

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი

სამი საუნივე




4

დეკემბერი, 2012


SUMMARY
РЕЗЮМЕ

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
კვარტალური გამოცემა



სამი საუნჯე


№4(6), 2012



თბილისი
დეკემბერი, 2012

სარედაქციო საბჭო

ბონდო არველაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ანზორ თოთაძე, გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ლომოური, გრიგოლ რუხაძე (რედაქტორი), გრანი ქავთარია.



დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია „სინერჯის“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“.

დიდება უფალს ყოველივესთვის 4

საიუბილეო მილოცვები
 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — 85 5
 ნოდარ ლომოური — 85 6
 ბონდო არველაძე — 80 10

ნიკო ფიროსმანი — დაბადებიდან 150 წლისთავი
ვახტანგ ბერიძე, ნიკო ფიროსმანაშვილი 16

განათლება
გვანცა კოპლატაძე, სულიერი მახვილი 43
გიორგი გოგოლაშვილი, ღვაწლი და წუთისოფელი
 იაკობ გოგებაშვილისა 49
ბორის დარჩია, ფორმალისტური ლიტერატურული მიმდინარეობები
 და კლასიკური ქართული ლიტერატურა 72
ინეზა იამანიძე, განათლება და XXI საუკუნე 105

ქართლის ცხოვრება
ანზორ თოთაძე, შავი ლაქა საქართველოს ისტორიაში 111
თემურ მირიანაშვილი, სიმართლე საქართველო-რუსეთის
 ურთიერთობაზე უკანასკნელი ხუთი საუკუნის განმავლობაში 121
ნოდარ ლომოური, მოკრძალებული მოგონებები 135
გულბაათ რცხილაძე, სერბეთისა და საქართველოს ტრაგედია 142
ბონდო არველაძე, ა) სომეხი მეზღაპრე მეცნიერები სააშკარაოზე 147
 ბ) კუმურდო 155
თინა იველაშვილი, თეთრი გენოციდის განხორციელების
 მცდელობა საქართველოში 164
მამუკა ცუხიშვილი, „მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე“ 177

ანტიკურობა
გრანი ქავთარია, თეოდორ მოშენი 189

პატროლოგია
გრიგოლ რუხაძე, სანამ ერესი აღმოცენდება 203

მამულიშვილთა მოსახსენებელი 213

ჩვენი ავტორები 221

PE3IOME (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი) 225
 SUMMARY (ინგ. თარგ. თეონა ჩადუნელისა) 232

დიდება უფალს ყოველივესთვის

2012 წელს ღმერთმა დიდი წყალობა მიანიჭა ქართველს ერს და იგი ბიძინა ივანიშვილის წინამძღოლობით „ნაციონალური მოძრაობის“ ურდოსაგან გაათავისუფლა. საზოგადოებამ ირწმუნა საკუთარი შესაძლებლობისა — გაერთიანების შემთხვევაში მას „ცხრათავიანი დევის“ დამარცხებაც ძალუძს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ურჩხულს რამდენიმე თავი ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს, ხალხის ნებას წინ ვედარაფერი აღუდგება: ნაცების ანტიეროვნული სისტემა ბოლომდე უნდა დაინგრეს!

ერის საწინააღმდეგო მოძაგლის იმედი, ახალგაზრდობაც გამოაფხიზლა და სასახელო ყმაწვილკაცის, ბერა ივანიშვილის პიძინი „ქართული ოცნება“ რეალობად გადააქცია. ზეიმია საქართველოში! ყველა ოჯახი სიხარულმა და იმედმა მოიცვა: არავინ ელის მოულოდნელ დაპატიმრებას, მოხელეთა ძალადობასა და სამშობლოდან განდევნას, — გაუსაძლისი პირობების გამო უცხოეთში გახიზნული ქართველები თავიანთ კერებს უბრუნდებიან!

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა ოჯახმა ქვეყანას უკვე გაუწიეს სამსახური, რომელიც «ქართლის ცხოვრებაში» ოქროს ასოებით ჩაიწერება. ჩვენ მხოლოდ ის გემართებს, რომ ჩვენ ჩვენი საქმის კეთებით შეძლებისდაგვარად გვერდით დაუდგეთ და გვეჯეროდეს, სხვა დაპირებებსაც ისე შეასრულებს, როგორც არჩევნებში გამარჯვების დაპირება შეასრულა. გაპარტახებული ქვეყნის ასაღორძინებლად მის წინამძღოლს ხალხის გულწრფელი თანადგომა სჭირდება. ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ, თუ რა ძალა აქვს სამშობლოსთვის უანგაროდ გაერთიანებას!

თუკი ახალი მთავრობის პოლიტიკური ხედვა დასავლური სტრუქტურების მიმართ საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის მისაღები არ არის, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლემიკისთვის წრე შეკრულია. ჩვენ გვეჯერა, რომ ახალი ხელისუფლება ქართველი ერისთვის საჭირობოროტო ყველა საკითხს მისი ნების გათვალისწინებით გადაწყვეტს.

დაე, ახალ 2013 წელს უფალმა წყალობა არ მოაკლოს სრულიად საქართველოს, საბოლოოდ გაათავისუფლოს ბოროტებისაგან და ღირსწყოს მშვიდობისა, რათა ქართველი ერი მაღლიერებით აღიდებდეს ყოვლად წმიდასა სახელსა მისსა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

„სამი საუნივერსიტეტო“ სარედაქციო საბჭო.




ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ

თქვენო უწმიდესობავ, გილოცავთ 80 წლის იუბილეს და აღსაყდრებიდან 35 წლისთავს. განუზომელია თქვენი ღვაწლი ჩვენი ერის სულიერების ამაღლების საქმეში. თქვენი ლოცვითა და დაუღალავი შრომით აღდგა, განახლდა და აშენდა უამრავი ეკლესია-მონასტერი — აღმშენებლობის ასეთი მასშტაბი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. თქვენი ჭადაგება სათნოების, შემწუნარებლობის, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულის, პატიოსნებისა და შრომისმოყვარეობის, განათლებისადმი სწრაფვის მოწოდებაა, რაც ასე სჭირდება დღეს ჩვენს ერს. როგორც ერის ერთიანობის სიმბოლო და სულიერი მამა, თავმდაბლობის, სულგრძელობისა და მოთმინების მაგალითს გვაძლევთ ყველას, თქვენს სულიერ შვილებს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.


ბიძინა ივანიშვილი,
საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

Bidzina Ivanishvili official



მეცნიერი ღონისობი

ჩვენი ჟურნალი ვალშია ბ-ნ ნოდარ ლომოურთან, ვინაიდან თავის დროზე ახალდაარსებულ პერიოდულ გამოცემას ერთდროულად მრავალი საკითხის მოგვარება მოუხდა და მისი საიუბილეო თარიღის აღნიშვნა ვერ შეეძლო. მაგრამ ჩვენ მიყვებით ძველ სიბრძნეს: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მით უმეტეს, რომ იგი, გარდა საკუთრად სპეციალობით წარმოებული კვლევებისა, საქართველოს ბოლოდროინდელი ისტორიის, 1990-იანი წლების, პირუთვნელი შემფასებელია. რომ არა ბ-ნი ნოდარის მიერ გაბედულად და მიუკერძოებლად გაანალიზებული პოლიტიკური მოვლენები, ვფიქრობთ, აღნიშნული პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას რეალურობა მოაკლდებოდა. ამიტომაც გამოვიტანეთ სათაურად მისთვის შესაფერისი ზედწოდება — დონკიხოტი.



პროფესორი ნოდარ ლომოური საქართველოს ძველი და ადრეული შუა საუკუნეების, ანტიკური ქვეყნებისა და ბიზანტიის ისტორიის ცნობილი და ფრიად ავტორიტეტული სპეციალისტია. მას საქართველოს ანტიკურ სამყაროსთან და ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის, აგრეთვე, საკუთრად საქართველოს ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური პრობლემა აქვს ახლებურად დაყენებული, დამუშავებული და გადაწყვეტილი.

ნ. ლომოურმა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა წამოჭრა საკითხი კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის თავისებურებათა შესახებ, პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კოლხეთის სანაპიროს ბერძნულ

კოლონიებად მიჩნეული ქალაქები, რეალურად ადგილობრივი საქალაქო ცენტრებია, რომელთა გვერდით მოგვიანებით გაჩნდა ბერძნული სავაჭრო დასახლებები. მთელ რიგ სტატიებსა და სპეციალურ მონოგრაფიაში განხილულ-დამუშავებული ეს მოსაზრება გაიზიარა არაერთმა სპეციალისტმა.

ნ. ლომოურმა საგანგებოდ შეისწავლა რომთან და ბიზანტიასთან ქართულ სახელმწიფოთა (ეგრისი, ქართლი) ურთიერთობის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, დაათარიდა რიგი მოვლენებისა და ახლებურად შეაფასა მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ასპექტები. ეს სტატიები და მონოგრაფიები მნიშვნელოვანი შენამენია ქართული ისტორიოგრაფიისა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნ. ლომოურის მიერ პონტოს სამეფოს ისტორიის მონოგრაფიული დამუშავება. შავიზღვისპირეთის ამ ელინისტური სახელმწიფოს განმარტოვებელი ნაშრომები XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში იქნა გამოქვეყნებული, ხოლო მას შემდეგ დღემდე ნ. ლომოურის მონოგრაფია „პონტოს სამეფოს ისტორია“ (რუსულ ენაზე, 1979) ერთადერთია საერთაშორისო ისტორიოგრაფიაში და მან სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ასევე უნიკალურია ნ. ლომოურის ფუნდამენტური ნაშრომი „საქართველო-რომის ურთიერთობა“ (რუსულ ენაზე, 1981), სადაც ამომწურავად, პირველწყაროებზე დაყრდნობით არის განხილულ-შეფასებული ქართულ სახელმწიფოთა და რომის ურთიერთობა დასაბამიდან ბოლომდე.

ნ. ლომოურმა დიდი წვლილი შეიტანა ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე (ბულგარეთში) არსებული ქართული მწიგნობრულ-საგანმანათლებლო კერის, პეტრიწონის მონასტრის ისტორიის შესწავლაში. რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „პეტრიწონის ქართული მონასტერი“ (1981) განსაკუთრებით ფასეულია ამ მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებულ ცნობათა გაყალბების დამაჯერებელი მხილება.

ნ. ლომოურის მნიშვნელოვან დამსახურებას წარმოადგენს საქართველოს შესახებ ანტიკური ავტორების (ბერძენი ლოგოგრაფოსების — კლავდიოს პტოლემეაიოსის, დიონ კასიუსის, პროკოპი კესარიელის, დიონისე სიცილიელის) ცნობების თარგმნა და პუბლიკაცია. ამ წყაროთა ზედმიწევნითი ცოდნა არის საფუძველი მისი გამოკვლევების მეცნიერული დამაჯერებლობისა.

ნ. ლომოური მონაწილეობდა არაერთ არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რამაც განაპირობა მისი შესანიშნავი ცოდნა არქეოლოგიური მასალისა, ხოლო უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ხაზგასასმელია მისი აქტიური მუშაობა ისეთ რთულ და პოლიტიკური დატვირთვის მქონე პრობლემაზე, როგორც არის აფხაზეთის უძველესი ისტორია. მან არაერთი სტატია და ორი წიგნი უძღვნა ამ თემას, ანგარიშგასწავლვ სპეციალისტთა მხარდაჭერა

მოიპოვა და ამ პრობლემის დამახინჯების ცდები გააქარწყლა.

ნ. ლომოური საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობს, მონაწილეა არაერთი მსოფლიო კონგრესისა და კონფერენციის, იგი არის მოსკოვში გამომავალი საერთაშორისო ჟურნალის «Византийский Временник»-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი და არჩეულია ბიზანტიანისტთა მსოფლიო ასოციაციის საქართველოს კომიტეტის პრეზიდენტად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისტორიკოსის წვლილი ქართლის მოქცევის თარიღის დადგენაში. მან მეცნიერულად დაასაბუთა ეკლესიაში არსებული ტრადიცია ქართლის 326 წელს გაქრისტიანების შესახებ. იგი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე, იმ ბრძოლაში, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო და კათოლიკოს-პატრიარქი ეწეოდა გასული საუკუნის 80-იან წლებში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

ნოდარ იულონის ძე ლომოური დაიბადა 1926 წ. 9 აგვისტოს ქალაქ თბილისში. 1943 წ. დაამთავრა თბილისის №15 საშუალო სკოლა, ხოლო 1949 წ. — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წელს მიიღეს ასპირანტად თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ბიზანტიანოლოგიის განხრით. 1952 წ. დაასრულა ასპირანტურის კურსი და დაიწყო მუშაობა ქ. სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც კითხულობდა მსოფლიოსა და ბიზანტიის ისტორიას. იმავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1953 წ. გადავიდა თსუ-ს ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად, ხოლო 1958 წლიდან დოცენტად. 1958-59 წწ. შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. 1965 წ. დაინიშნა თსუ პრორექტორად. პარალელურად კითხულობდა ლექციებს საქართველოს სამხატვრო აკადემიაში. 1970 წ. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო წოდება. 1969-71 წწ. ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის ძველი ისტორიის კათედრას.

1971 წ. გადავიდა სამუშაოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე და ამ დროიდან 1975 წ-მდე მუშაობდა არქეოლოგიაში, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ძველი დედაქალაქის, ნოქალაქევის გათხრებზე.


1975 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, აკად. გ. წერეთლის სახელობის ბიზანტიანოლოგიის განყოფილებაში. 1981 წ. 13 მაისს გარდაიცვალა ს. ყაუხჩიშვილი და განყოფილების გამგედ ნ. ლომოური დაინიშნა. იგი 2005 წლამდე ასრულებდა ამ მოვალეობას.


1992 წ. ხელისუფლების განკარგულებით დაინიშნა აკად. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად, თუმცა ბიზანტიანოლოგიის განყოფილების გამგის თანამდებობას ინარჩუნებდა.

მისი სამეცნიერო მუშაობის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. იკვლევს საქართველოს ძველ და ადრეულ შუასაუკუნეების ისტორიას, საქართველოს და ანტიკური სამყაროს და ბიზანტიის ურთიერთობას, როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული და ეკონომიკური განხრით. იგი არის 162 გამოცემული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. გამოკვლევები გამოქვეყნებული აქვს ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. აღნიშნულ ნაშრომებს შორის არის საკმაოდ უხვი საგაზეთო მასალა, კერძოდ, აფხაზეთის ისტორიაში.


ნ. ლომოური არჩეულია ბიზანტიანისტთა მსოფლიო ასოციაციის საქართველოს კომიტეტის პრეზიდენტად, 2001 წ-დან — ბიზანტიანოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული კავშირის პრეზიდენტად, ხოლო 1998 წ-დან — საქართველოს პედაგოგიურ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსად. 1987 წ. მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1996 წ. დააჯილდოვეს „ღირსების ორდენით“, ხოლო 2000 წ. აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ.

„სამი საუნივერსიტეტო“ სარედაქციო საბჭო ბ-ნ ნოდარს უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობის გაგრძელებას მისთვის ჩვეული შემართებით, რათა მისმა სიმართლით გაჯერებულმა ჟამთააღმწერლობამ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას კიდევ უფრო დიდი ღირსება შესძინოს.





ცნობილი მეცნიერის იუბილე



ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ბონდო არველაძეს** დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. დღაწლმოსილმა მეცნიერმა შრომისა და ძიების სახელოვანი გზა განვლო.

ბონდო არველაძე დაიბადა 1932 წელს 23 მაისს თბილისში. ვაჟთა მე-15 სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სომხური ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე.

უნივერსიტეტის დამთავრების (1956) შემდეგ მუშაობდა ჟურ. „საბჭოთა მედიცინის“ რედაქციაში ლიტერატურულ მუშაკად. 1961-1964 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიის განხრით (მეცნიერ-ხელმძღვანელი აკად. გიორგი ციციშვილი). ასპირანტურის კურსის დამთავრების შემდეგ მაშინვე (1964) ჩაირიცხა ამავე ინსტიტუტის საბჭოთა ხალხთა ურთიერთობის განყოფილებაში — ქართულ-სომხური ურთიერთობის განხრით. 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ქართულ-სომხური ურთიერთობანი XX საუკუნეში“, ხოლო 1980 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართულ-სომხური ურთიერთობანი XIX-XX სს.“, მისი პირველი მონოგრაფია გამოქვეყნდა 1967 წელს — „ქართულ-სომხური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობა XX ს-ში (ავ. ისააკიანი, ვ. ტერიანი და ქართული სინამდვილე)“. ამ ნაშრომში ერევნის ჩარენცის სახელობის ლიტ-

ერატურული მუზეუმის არქივში მიაკვლია და გამოაქვეყნა თვალსაჩინო სომეხი პოეტის ვაჰან ტერიანის მიერ ვეფხისტყაოსნის შესავლის სომხური თარგმანის საარქივო მასალა. ამ თარგმანს ნ. მარმა მაღალი შეფასება მისცა და „მზის ნატეხი“ უწოდა.

ცნობილი სომეხი პოეტის ავ. ისააკიანის საქვეყნოდ განთქმული პოემა „აბულ-ლალა-მაარი“ ტიცინან ტაბიძემ ქართულად თარგმნა (1929). ქართული თარგმანის შესავალი სპეციალურად დაწერა ავ. ისააკიანმა, რომელშიც წერდა — „აბულ-ლალა-მაარი“ ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ შთაგონებით დაგწერეო; აბულ-ლალა „მერანის“ კვალს მისდევსო. სომეხი პოეტის ამ განცხადებამ სომხურ სამეცნიერო და ლიტერატურულ საზოგადოებაში გარკვეული უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პროფ. ბონდო არველაძემ გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში მიაკვლია ამ შესავლის რუსულ დედანს, რომელშიც ავ. ისააკიანი ზუსტად წერს, „მერანი“ ჩემი პოემის შთაგონება იყო და ა. შ. ამ საარქივო მასალის გამოქვეყნების შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებით ყოველგვარი გაუგებრობა მოიხსნა.

1976 წელს ქართულად გამოვიდა ვრცელი მონოგრაფია „ქართულ-სომხური ურთიერთობანი (ქართული საზოგადოებრიობა) და ხ. აბოვიანის, გ. სუნდუკიანის, ოვ. თუმანიანის შემოქმედება“. ამ მონოგრაფიაში არაერთი სიახლეა, რომელთაგან უნდა გამოიყოს ოვ. თუმანიანის პოემის „ფარვანას“ (1901) იდეურ-მხატვრული ანალიზი, რის შედეგადაც ქართველმა მეცნიერმა დაადგინა, რომ ამ პოემას საფუძვლად უდევს ქართული ლეგენდა „თავფარაგნელი ჭაბუკი“. ასევე დაამტკიცა, რომ ოვ. თუმანიანის მეორე პოემა „თმოგვის ციხის აღება“ (1902) აგებულია ამ ციხის შესახებ არსებულ ქართულ ხალხურ თქმულებაზე. ქართველმა მეცნიერმა ფაქტობრივი მასალის საფუძველზე დაადგინა, რომ „თავფარაგნელი ჭაბუკი“ შესულია და გავრცელებულია სომხურ ფოლკლორში, განსხვავებით ზოგიერთი სომეხი მეცნიერისაგან, რომელიც საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობდა. 1988 წელს გამოცემულ წიგნში „საიათნოვა“ პროფ. ბონდო არველაძემ ახალი საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით საფუძვლიანად განამტკიცა გ. ლეონიძის და პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ვარაუდი საიათნოვას ბუნებრივი სიკვდილის შესახებ. ადრე იყო მოსაზრება თითქოს საიათნოვა ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების დროს (1795) მოწამეობრივად აღესრულა. პროფ. ბონდო არველაძის დამსაზრებაა, რომ მან საბოლოოდ დაადგინა, საიათნოვა გარდაიცვალა 1801 წელს ღრმად მოხუცებული ახპატის მონასტერში.

პროფ. ბონდო არველაძის კვლევითი არეალი თანდათან გაფართოვდა და მისი მეცნიერული ინტერესების სფეროში ქართული ეკლესიის პრობლემები მოექცა. გასული საუკუნის 90-იან წლებიდან ძველი ქართული ეკლესიების

პრობლემა მწვავედ დადგა, ზოგიერთი სომეხი მეცნიერის და სასულიერო პირის ყოვლად დაუსაბუთებელ პრეტენზიაზე დაყრდნობით ეჯიმიანიში მოითხოვა საქართველოში არსებული ეკლესიების საქართველოს სომხური ეპარქიისათვის გადაცემა. ამ მხრივ რიგ სომეხ მეცნიერს განუზომელი მადა აღმოაჩნდა. მაგალითად, ისტორიკოსმა სამეველ კარაპეტინმა ერევანში 1995 წელს სომხურ ენაზე გამოცა რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“. სომეხმა მეცნიერმა 653 „სომხური ეკლესია აღმოაჩინა საქართველოში“. ეს ე. წ. რუკა-ცნობარი საჩქაროდ თარგმნეს რუსულ და ინგლისურ ენებზე და ეს სიყალბე მთელ მსოფლიოს მოჰფინეს. პროფ. ბონდო არველაძემ სათანადო ისტორიული და საარქივო მასალების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე აკადემიური პასუხი გასცა სამეველ კარაპეტინს და დაამტკიცა, რომ მის მიერ საქართველოში „აღმოჩენილი სომხური“ ეკლესიების 80-85% ძველი ქართული ეკლესიებია გატანილი სომხურად და მეცნიერი ფალსიფიკაციაში ამხილა. მაგალითად, რუკა-ცნობარში დაფიქსირებულია სოფელ ჩაილურში X ს-ის სომხური ეკლესია. გაარკვია, რომ ასეთი ეკლესია ჩაილურში არ არსებობდა და არც არსებობს.

ასევე რუკა-ცნობარში მითითებულია, თითქოს XIX ს-ის 80-იან წლებში ზუგდიდში იყო სომხური ეკლესია, რაც მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა. კიდევ შეიძლება პროფ. ბონდო არველაძის მიერ რუკა-ცნობარში აღმოჩენილი ფალსიფიკაციის მაგალითების მოხმობა, მაგრამ, ვფიქრობთ, თვალსაჩინობისთვის, თუ როგორი „კეთილსინდისიერებით“ არის შესრულებული ეს ნაშრომი, ესეც კმარა. პროფ. ბონდო არველაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სამეველ კარაპეტინის რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“ სომხურიდან თარგმნა ქართულად, დაურთო ვრცელი შესავალი და მეცნიერული კომენტარები. ამით შესაძლებლობა მისცა ქართველ მეცნიერ-მკვლევარებს, ვინც სომხურ ენას არ ფლობს, გაეცნოს და ამხილოს ავტორის გაუმართლებელი ტენდენციურობა.

იუბილარის განსაკუთრებული მეცნიერული ინტერესის საგანია ტაო-კლარჯეთის ქართული არქიტექტურა. მან არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ამ მხარის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების დაცვას ზოგიერთი სომეხი მეცნიერის ხელყოფისაგან. მათგან შეიძლება სანიშნოდ დავასახელოთ ხელოვნებათმცოდნე პროფ. ტირან მარუთიანის ვრცელი მონოგრაფია „სიღრმეთა სომხეთი“ (1978), სომხ. ენაზე. ამ წიგნში ტაო-კლარჯეთის ქართული არქიტექტურა გამოცხადებულია სომხურად. პროფ. ბონდო არველაძემ ქართველი მეცნიერების ექ. თაყაიშვილის, ს. ჯანაშიას, გ. ჩუბინაშვილის, ვ. ბერიძის შრომებზე დაყრდნობით და მის მიერ მოძიებული საისტორიო მასალების გამოყენებით კიდევ ერთხელ დაასაბუთა ოშკის, ხახულის, ბანას და სხვათა ქართულობა (იხ. მისი შრომების კრებ. „ქვანი კვლავ დაღადაბენ“, 2004). მან მკაცრი აკადემიური პასუხი გასცა ქართველოლოგ პროფ. პ. მუ-

რადიანს, რომელიც ხელაღებით ამტკიცებდა მცხეთის ჯვრის ტაძრის სომხურობას (იხ. „რას ნიშნავს მურადიანიზმი სომხურ ქართველოლოგიაში“, „კვლავ მურადიანიზმის შესახებ“. კრებ. „ქვანი კვლავ დაღადაბენ“, 2004).

ს. კარაპეტინმა 1998 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოსცა კრებული „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური კულტურის ძეგლები 1988-1998“. მასში სომეხმა მკვლევარმა საქართველოში არსებული სომხური ეკლესიების მითვისება და განადგურება დააბრალა ქართველ მეცნიერებს და ქართველ ერს, აზერბაიჯანელ ხალხთან ერთად, ცივილიზაციის დამანგრეველი ბარბაროსი უწოდა; საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II აუგად მოიხსენია. პროფ. ბონდო არველაძემ მეცნიერულად დასაბუთებული, საკადრისი პასუხი გასცა ს. კარაპეტინს (იხ. „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი დაუწერია“).

მეცნიერმა აკადემიურად დამაჯერებელი პასუხი გასცა დოც. ხოსროვ თოროსიანს, რომელიც ამტკიცებდა იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ ორიგინალური სომხური ჰაგიოგრაფიული თხზულება არისო. ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომების და მისგან მოძიებული ახალი მტკიცებულების მკაცრი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე პროფ. ბონდო არველაძემ კიდევ ერთხელ დაასაბუთა „შუშანიკის წამების“ ქართული ვრცელი რედაქციის პირველადობა, სომხური თარგმანის ამ რედაქციიდან წარმომავლობა. მან მისაღებად მიიჩნია შუშანიკის მამის ვარდენ მამიკონიანის ქართული წარმომავლობა (იხ. წიგნი „როცა უდავო სადავო ხდება“, 2006).

სამცხე-ჯავახეთის ძველი ქართული ეკლესიების სომეხ მეცნიერთა მიერ მითვისების წინააღმდეგ არის მიმართული ახალი წიგნი „როცა დუმილი დალატის ტოლფასია“ (2012). მოვიტანთ ერთ მაგალითს: ს. კარაპეტინმა ქართული საეპისკოპოსო ტაძარი კუმურდო (X) სომხურ ძეგლად გამოაცხადა. მისი აშენების ინიციატორი ქართველი იოანე ეპისკოპოსი სომეხ ჰოვხანეს ეპისკოპოსად აქცია, ხოლო ქართველი წმინდანის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი სომეხი წმინდანის სურბ-ჰამბარცუმის სახელზე გადაათლა (იხ. „ჯავახქ“, 2006, გვ. 313, სომხ. ენაზე).

პროფ. ბონდო არველაძემ (პროფ. თინა იველაშვილთან თანავტორობით) სომეხ მეცნიერებს აკადემიური პასუხი გასცა და დაუმტკიცა მარდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის თავიდანვე ქართულობა. ამით საფუძველი გამოაცალა სომეხ მეცნიერთა მცდელობას ამ ეკლესიის მითვისების საქმეში (იხ. „მარდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია“, ახალციხე, 2009). პროფ. ბონდო არველაძემ (თანავტორი პროფ. თეიმურაზ მიბჩუანი) საქართველოს გენერალური პროკურატორის არქივში დაცული საგამომძიებლო მასალების (200 ტ.) შესწავლის საფუძველზე გამოცა წიგნი „ბაგრაშიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში“ (2009, ქართ., ინგ., რუს. ენებზე). მასში დოკუმენტურად არის ნაჩვენები ბაგრაშია-

ნის სომხური ბატალიონის ბოევიკები ქართველ ბავშვებს, ქალებს, მამაკაცებს როგორ აწამებდნენ და შემდეგ ხვრეტდნენ. მათ სახლ-კარს ძარცვავდნენ და წვაგდნენ.

პროფ. ბონდო არველაძე ფართო მასშტაბის მეცნიერ-მკვლევარია. ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის გარდა მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეპრესირებული ქართველი მწერლების ტრაგიკული ბიოგრაფიის შესწავლის საქმეში. გასული საუკუნის 90-იან წლებში უშიშროების არქივის გახსნისთანავე ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის საგამომძიებლო საქმე. მიხეილ ჯავახიშვილის ჩეკაში წამების არაერთი უცნობი ფაქტი დღის სინათლეზე გამოიტანა (იხ. მისი დოკუმენტური რომანი „წამება მიხეილ ჯავახიშვილისა“, 2005). პროფ. ბონდო არველაძემ პირველმა მოკიდა ხელი და შეისწავლა ცნობილი ქართველი მწერლის ლევან გოთუას ოთხტომიანი საგამომძიებლო საქმე და გამოაქვეყნა დოკუმენტური ნარკვევები (იხ. კრებ. „როცა უდავო სადავო ხდება“, 2006). დოკუმენტური პროზის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ „მწერლის ბედისწერა“ — საქმე №II ტ. 12028-508. მასში აღწერილია ცნობილი მწერლის გიორგი შატბერაშვილის ტრაგიკული დღეები ჩეკას საგამომძიებლო იზოლატორში (იხ. ჟ. „კლდეკარი“, 1998, №3-4).

აღსანიშნავია ის ღვაწლი, რომელიც მკვლევარს საგამომცემლო საქმიანობაში მიუძღვის. პროფ. ბონდო არველაძის ინიციატივით და რედაქტორობით რუსულიდან ქართულად ითარგმნა (მთარგ. თ. ებანოიძე) და გამოვიდა აკად. სიმონ ჯანაშიას ნაშრომი „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ“ (2003). ეს წიგნი მიმართულია პროფ. ტოკარსკის წინააღმდეგ, რომელმაც ტაო-კლარჯეთის ქართული არქიტექტურა სომხურად გამოაცხადა. აკად. ს. ჯანაშიას ეს ნაშრომი დღემდე აკადემიური პოლემიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება.

პროფ. ბონდო არველაძემ 2010 წელს გამოსცა სახელოვანი ქართველი მეცნიერის, პროფ. მიხეილ თამარაშვილის წიგნი „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარპყოფენ ქართველ კათოლიკობას“ (1904). გამოცემას დართული აქვს ვრცელი შესავალი და კომენტარები. შეიძლება ითქვას, ეს მონოგრაფია მეორე ქვათა ღალადია, რომელშიც ქართველი ხალხის მტრები ბოლომდე მხილებული.

ცნობილია, რომ ძმები კარბელაშვილების თავდადებული ღვაწლი ქართველი ერისა და ეკლესიის წინაშე სათანადოდ არ არის შესწავლილი და მას ქართული საზოგადოება ნაკლებად იცნობს. ამ თვალსაზრისით დასაფასებელია პროფ. ბონდო არველაძის საგამომცემლო საქმიანობა. მან პირველმა მოკიდა ხელი წმინდანად შერაცხული ძმებიდან ერთ-ერთის, მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის ნაშრომების ხელმეორედ გამოცემის საქმეს. 2011 წელს გამოვიდა პოლიევქტოს კარბელაშვილის „იერარქია


საქართველოს ეკლესიისა — კათალიკოსნი და მღვდელთმთავარნი“ (1900). ამავე წელს გამოვიდა მისივე „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ (1898). საუკუნის წინ გამოცემული ეს წიგნები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იყო ქცეული. ახალ გამოცემას დართული აქვს ვრცელი შესავალი და კომენტარები. გამოცემლის დამსახურებაა, რომ ისინი დღეს სამეცნიერო მიმოქცევაშია და სამეცნიერო და მკითხველთა ფართო საზოგადოებას მისი გაცნობის საშუალება მიეცა.

პროფ. ბონდო არველაძეს გამოქვეყნებული აქვს 33 წიგნი (ქართ., რუს., ინგ. ენებზე) და 320 ცალკეული სამეცნიერო ნაშრომი, პუბლიცისტური ნარკვევი, სტატია და წერილი.

პროფ. ბონდო არველაძე დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, არის მიხეილ ჯავახიშვილის და ვანო მანაბელის პრემიების ლაურეატი.

ჟურ. „სამი საუნივერსიტეტო“ რედაქცია ბ-ნ ბონდოს ულოცავს საიუბილეო თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და შემდგომ წარმატებას სამეცნიერო და პუბლიცისტურ მოღვაწეობაში.





პანტანო ბერიძე

ნიკო ფიროსმანაშვილი
1862 - 1918

დიდ მხატვარზე დაწერილი მონოგრაფიის ავტორი აკად. ვ. ბერიძე (1914-2000) თვით იყო ქართული ხუროთმოძღვრების დიდი მკვლევარი და ღირსეული მამულიშვილი. ამდენად ნიკო ფიროსმანის შემოქმედებაზე მეცნიერის მრავალწლიანი დაკვირვებისა და კვლევის შედეგად მომზადებული ნაშრომი ქართული ხელოვნებათმცოდნეობისთვის მნიშვნელოვანი შენამენია. იგი რუსულად დაიწერა (1983 წ.), შემდეგ წიგნი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოსაცემად მოამზადა გ. მარსაგიშვილმა (1988 წ.), მაგრამ მისი გამოცემა მხოლოდ 2007 წელს, ჩვენი კულტურის დიდი მეცენატის, ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის წყალობით განხორციელდა. რამდენადაც წიგნი მალე გავრცელდა, ვიფიქრეთ, რომ ნიკო ფიროსმანაშვილის საიუბილეო თარიღისთვის ჩვენს მკითხველს უკეთეს მონოგრაფიას ვერც შევთავაზებდით, რადგან იგი მართლაც სასიამოვნო საკითხავია.

ტექსტსა და ილუსტრაციებს ვბეჭდავთ ავტორის მემკვიდრის, ქ-ნ მაია ბერიძის თავაზიანი ნებართვით. მასთან ერთად მადლობას მოვახსენებთ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, ბ-ნ გიორგი მარსაგიშვილს, გაწეული დახმარებისათვის. ამჯერად ვთავაზობთ მონოგრაფიის პირველ ნაწილს; რაც შეეხება მეორე ნაწილს, იგი ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში დაიბეჭდება.

ნაწილი პირველი

I. ნიკო ფიროსმანაშვილის-ფიროსმანის გარდაცვალებიდან სა-
მოცდაათი წელი გავიდა;* ცოტა ხნის წინათ ჯერ კიდევ ცოცხალი იყვნენ
აღამიანები, რომლებიც პირადად იცნობდნენ მას; მაგრამ მისი ცხოვრების

* ნაშრომის ქართული ტექსტი დაწერილია 1987-88 წლებში (ვ. ბ.).

შესახებ დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტები თითქმის არ გაგვაჩ-
ნია (გამონაკლისი ერთი-ორია); მისი დაბადების უტყუარი თარიღიც კი
არ ვიცით; ფიროსმანს ტრაგიკული ბედი ხვდა წილად, მძიმე ცხოვრება
ჰქონდა, უჭირდა, წლების მანძილზე, არსებითად, მიუსაფარი იყო. რო-
გორც მხატვარი იგი „აღმოაჩინეს“ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე,
სცადეს მისთვის დახმარების ხელი გაეწოდებინათ, მაგრამ სხვადასხვა
მიზეზის გამო ამ ცდას არსებითი შედეგი არ გამოუღია. ფიროსმანი მარ-
ტოდ დარჩენილი გარდაიცვალა და მისი საფლავიც დაიკარგა.

პირველი ცნობები მის შესახებ თბილისის პრესაში 1912 და 1913 წლებ-
ში გამოჩნდა, მაშინ, როდესაც იგი დაახლოებით ორმოცდაათი წლისა
იქნებოდა, ამის შემდეგ, სამწუხაროდ, იგი მალევე გარდაიცვალა (1918
წ.). მისმა ნამუშევრებმა ახალგაზრდა მხატვრებისა და მწერლების ყუ-
რადღება მიიპყრო. იწერებოდა აღფრთოვანებული წერილები – მის სუ-
რათებში „ბუნების პირველქმნილი სახე წარმოგვიდგებაო“. ამავდროუ-
ლად, იმდროინდელი პრესიდან ვიგებთ იმასაც, რომ ჩვენდა გასაკვირად,
თვით მხატვრის შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცოდა: „ამბობენ, გა-
ლოთდა და სადღაც კახეთში გარდაიცვალაო“, – წერდა 1916 წელს ერთი
ავტორი.

თუ არ ჩავთვლით პოეტ ილია ზდანევიჩის დღიურის ჩანაწერებს, სა-
დაც, ავტორის შთაბეჭდილებათა გარდა, ძალიან ცოტა ცნობაა მხატვრის
განვლილი ცხოვრების შესახებ, ყველაფერი, რაც ჩვენ მის ცხოვრებაზე
ვიცით, რამდენიმე აღამიანის შრომის შედეგია (მათ ქვემოთ შევხვებით);
უკვე ფიროსმანის გარდაცვალების შემდეგ, ოციანი წლების დასაწყის-
ში, ამ აღამიანებმა შეაგროვეს ფიროსმანის ახლობლების მოგონებები.
რა თქმა უნდა, ამ მოგონებებში ბევრი რამე ერთმანეთს არ ეთანხმება;
როცა მთხრობელნი ფიროსმანს ახასიათებენ, ბუნებრივია, თავს იჩენს
ყოველი მათგანის პოზიცია, ფაქტების განსხვავებული ინტერპრეტაცია.
ამას გარდა, იმ მხატვართა და პოეტთა მოგონებებში, რომლებიც ცოცხალ
ფიროსმანს იცნობდნენ და მისი ხელოვნების პირველი პროპაგანდისტე-
ბი გახდნენ, ზოგჯერ ემოციურ „ამაღლებულობასთან“ ერთად იგრძნობა
სურვილი მისი ცხოვრებისთვის რომანტიკული შეფერილობის მიცემისა,
ცალკეულ შემთხვევაში კი – აშკარა „ბელეტრისტული“ თვითნებობაც,
სხვაგვარად რომ ვთქვათ, „გადახვევა“ პროზაული ჭეშმარიტებისაგან.

ოციანი წლებში ქართული პრესა მუდმივად აქვეყნებდა „ახალ მასა-
ლებს ფიროსმანის ბიოგრაფიისთვის“; 1926 წელს გამოვიდა პირველი
მდიდრულად დასურათებული წიგნი მის შესახებ. ეს არის მწერალთა და
მხატვართა წერილების კრებული ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.
ფიროსმანის სურათების მოგროვება და გადარჩენა, მისივე სიცოცხლის
ბოლო წლებში დაწყებული, შემდგომშიც გაგრძელდა. მოხერხდა 200-ზე

მეტი სურათის თავმოყრა. ფიროსმანის გამოფენები ეწყობოდა თბილისში, საბჭოთა კავშირის ქალაქებში. შემდეგ დაიწყო ფიროსმანის მიჩქმალვის ხანა, რომელიც თითქმის მეოთხედი საუკუნე გრძელდებოდა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ერთი მხრივ, მხატვრულ კრიტიკაში დოგმატიზმისა და ვულგარული სოციოლოგიზმის გაბატონება, მეორე მხრივ – უარყოფითი (მტრული!) დამოკიდებულება იმ ავტორებისადმი, რომელთაც ფიროსმანის შემოქმედება წარმოაჩინეს. 50-იანი წლების დასასრულიდან კი ფიროსმანი კვლავ სრული ძალით „აჟღერდა“, მისი სახელი და პოპულარობა საკვირველი სისწრაფით იზრდებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც: 1960-80-იან წლებში მისი სურათების გამოფენები მოეწყო ვარშავაში, პრაღაში, პარიზში, ნიცაში, ვენაში, დრეზდენში, აღმოსავლეთ ბერლინში, ზაგრებში, ბუქარესტში, ბუდაპეშტში, სოლონოკში (უნგრეთში), პადუაში, იაპონიასა და დასავლეთ ბერლინში. იგი გახდა ქართველი და რუსი დრამატურგების პიესების, კინოფილმის გმირი. ამ ფილმმა მსოფლიოს ეკრანები მოიარა; მას ეძღვნება სურათები, გამოჩენილ მწერალთა მოთხრობები და ლექსები, სიმღერები, სიმფონიები, რამდენიმე სპეციალური წიგნი და ნარკვევი სხვადასხვა ენაზე (მათ შორის არის სერიოზული ნაშრომებიც); თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდა, მას ძეგლიც დაუდგეს; საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ფიროსმანის სურათებს ცალკე დარბაზი აქვს დათმობილი, მისი ნამუშევრები აქვთ კერძო კოლექციონერებსაც საქართველოში, რუსეთში, საფრანგეთში*¹; მის სამშობლო სოფელში (მირზაანში) გახსნილია მემორიალურ მუზეუმი.

ფიროსმანის ხელოვნების განსაკუთრებულმა მომხიბვლელობამ, მისმა ტრაგიკულმა ბედმა, ისევე როგორც მის შესახებ საბუთების უქონლობამ, ხელი შეუწყო იმას, რომ მხატვრის სახელი თანდათანობით ლეგენდებით შეიმოსა. საქართველოში იგი იქცა ერთგვარ პოეტურ სიმბოლოდ, მხატვრის მაღალი შემოქმედების განსახიერებად. უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ იმ გავლენაზეც, რომელიც მან მოახდინა ჯერ ჩვენი საუკუნის ათიან წლებში ასპარეზზე გამოსულ ქართველ მხატვრებზე, შემდეგ კი 60-იანი წლების თაობაზეც, თუმცა ეს გავლენა პირდაპირი არ ყოფილა.

სავსებით ბუნებრივია, რომ ფიროსმანს ხშირად ადარებდნენ „მებაჟე რუსოს“, ახალი დროის პირველ „ნაივურ მხატვარს“, რომელმაც დიდი სახელი მოიხვეჭა და თვითნაწავლი მხატვრების ერთგვარ ეტალონად იქცა. ეს აღნიშნულია ფრანგი ავტორების თითქმის ყველა წერილში, რომლებიც გამოქვეყნდა, როცა პარიზში ფიროსმანის გამოფენა მოეწყო**². მაგრამ ეს

* საფრანგეთში, პოეტ ლუი არაგონის კოლექციაში დაცული ნიკო ფიროსმანაშვილის სურათი „არ-სენალის მთა დამირ“, 2007 წელს გაიყიდა აუქციონზე (გ.მ.).

** იგულისხმება 1969 წელს პარიზში, დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში გამართული ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენა (გ. მ.).

ორი მხატვარი მხოლოდ იმით ჰგავს ერთმანეთს, რომ არც ერთს არ მიუღია სპეციალური განათლება. ჰგვანან ისინი სახვითი ენის ზოგი თავისებურებითაც, რაც ახასიათებთ იმათ, ვისაც სასკოლო წვრთნა არ გაუვლია. ეს არის და ეს. სხვა ყველაფერი მათ განასხვავებს. რუსომ მიიღო თუმცა კი დაუმათავრებელი, მაგრამ მაინც რაღაც განათლება; მას ყოველთვის ჰქონდა კონტაქტები „აკადემიური“ ხელოვნების სამყაროსთან. საკმარისია გავიხსენოთ მისი მუდმივი საშვები ლუერში, ლუქსემბურგისა და სენ-ჟერმენის მუზეუმებში; ათეული წლების მანძილზე „დამოუკიდებელთა სალონის“ მონაწილე იყო; მისი თემატიკა „პარალელურია“ პროფესიული განათლების მქონე მხატვართა თემატიკისა, საკმარისად „ლიტერატურული“ და კოსმოპოლიტურია. ფიროსმანი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მაძილზე „შეუბღალავი“ დარჩა; ბევრად უფრო მეტად, ვიდრე რუსო, იგი დაკავშირებული იყო ხალხურ შემოქმედებასთან და, გარკვეულწილად, ეროვნული ხელოვნების საუკუნოვან ტრადიციებთან.

თუმცა პროფესიული მომზადება არ გაუვლია, ნიკო ფიროსმანი მაინც მხატვარი-პროფესიონალი იყო. არა მარტო იმიტომ, რომ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მხატვრობა წარმოადგენდა მის ერთადერთ საარსებო წყაროს, არამედ იმიტომ (და ეს არის სწორედ მთავარი), რომ ის მხატვრად იყო დაბადებული: თუკი რასმე სხვას აკეთებდა, ეს იძულებითი იყო, მისი სურვილის წინააღმდეგ – მისი ცხოვრების აზრს კი მუდამ მხოლოდ მხატვრობა შეადგენდა, რომელიც გატაცებით უყვარდა და რომელსაც მთელი თავისი სულიერი ძალები მიუძღვნა.

II. ნიკო ფიროსმანაშვილი დაიბადა კახეთის სოფელ მირზაანში. მამამისი ასლანი და დედა თეკლე (ტოკლიკაშვილის ქალი) გლეხები იყვნენ. მათ კიდევ სამი შვილი ჰყავდათ, ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი; მხოლოდ ერთმა, ფეფემ, იცოცხლა ნიკოზე დიდხანს. მან შეძლო ზოგი რამ მოეთხრო ნიკოს შესახებ, თუმცა, როგორც ჩანს, მის ნაამბობში ყველაფერი არ შეეფერებოდა სინამდვილეს. საოჯახო, საკმად რომანტიკული გადმოცემით, ნიკოს პაპა თუ პაპის მამა ლეკებს გაუტაცნიათ (XVIII საუკუნეში ეს ზომ ჩვეულებრივი ამბავი იყო), მაგრამ თანასოფელელ მღევრებს გამოუხსნიათ.

საკმაოდ დიდხანს ითვლებოდა, რომ ნიკო დაიბადა 1860 და 1863 წლებს შუა. სხვა თარიღებსაც ასახელებდნენ. რამდენიმე ხნის წინ აღმოჩნდა „საქმე“ 1890 წელს ნიკოს სამსახურში შესვლის თაობაზე – თითქმის ერთადერთი გადარჩენილი საარქივო საბუთი მისი ცხოვრების შესახებ. იქ არის ცნობა, ალბათ მისგანვე ჩაწერილი, 28 წლისა ვარო. ამ საბუთის მიხედვით მისი დაბადების თარიღი 1862 წელი გამოდის. ზოგი

ავტორი დაბადების თვესა და რიცხვსაც – 5 მაისს ასახელებს, მაგრამ წყაროს მიუთითებლად. ამ ბოლო დროს კი, სხვა საბუთის თანახმად, კიდევ ერთი თარიღი – 1866 წელი¹ – დასახელებულია.

ცნობები ნიკოს ბავშვობის შესახებ ერთმანეთს ეწინააღმდეგება: ზოგი მონაცემით მამამისი ჯერ კიდევ სოფელში გარდაცვლილა, დედა კი ბავშვებიანად თბილისს გადასახლებულა თავის გათხოვილ ქალიშვილთან. სხვა ცნობებით, მშობლიური სოფელი მამის მეთაურობით მთელმა ოჯახმა დატოვა, მაგრამ თბილისში კი არ გადასახლებულან, არამედ სოფელ შულავერში, სადაც ასლანი აზნაურ ქალანთაროვებთან დამდგარა ვენახის მცველად. გლეხის ოჯახს, ყოველთვის მჭიდროდ დაკავშირებულს მიწასა და საკუთარ ფესვებთან, მხოლოდ გაჭირვება თუ აიძულებდა აყრილიყო მშობლიური კარ-მიდამოდან და სხვაგან წასულიყო ბედის საძიებლად. მაგრამ ბედს მაინც ვერ ეწიენ: ყველა მონაცემის თანახმად, ნიკო ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილა, როცა მამამისი გარდაიცვალა, აღარც დედასა და უფროს დას უცოცხლიათ დიდხანს, ხოლო უმცროსი და ფეფე დაბრუნებულა მირზაანში და სიცოცხლის ბოლომდე იქიდან ფეხი არ მოუცვლია. პატარა ნიკო კი ქალანთაროვებთან დარჩენილა, როგორც ჩანს, მოჯამაგირედ.

ბედმა დიდი ხნით დააკავშირა ნიკო ქალანთაროვების მრავალშვილიან ოჯახს. ქალანთაროვები იმ სომეხთაგანნი იყვნენ, რომელნიც უკვე დიდი ხანია ცხოვრობდნენ საქართველოში და რომელთათვისაც ქართული მშობლიურ ენად იქცა. იმათ ოჯახში შეისწავლა ნიკომ ქართული წერა-კითხვა, ცოტა გვიან – რუსულიც. როცა ქალანთაროვები თბილისს გადასახლდნენ, ნიკოც თან წაიყვანეს. ცხოვრობდნენ ძველ ქალაქში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ნარიყალას ძირში. გაღმა აღმართული იყო მეტეხის ძველი ტაძარი, წინათ, საქართველოს მეფეების დროს, ციხესიმაგრის გალავნით გარშემორტყმული, ახლა კი – ციხის შენობებით.

ეს, ალბათ, სამოცდაათიანი წლების შუა ხანებში იყო.

რას წარმოადგენდა მაშინ პატარა ნიკო, რა მჭიდროდ დაუკავშირდებოდა მთელი მისი შემდგომი ცხოვრება, ამ ქალაქს, რომელიც მაშინ პირველად ნახა, ქალაქს მისი ძველი უბნებით, გასაოცრად თავისებური ყოფით და განუმეორებელი ფერადოვნებით. მით უფრო ვერ წარმოიდგენდა, რომ თვითონვე გახდებოდა ძველი თბილისის ერთ-ერთი „ღირსშესანიშნაობა“, რომლის გარეშეც (რომლის სურათების გარეშე!) დღეს ვერც წარმოვიდგენთ მაშინდელი თბილისის სახეს.

თბილისი XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე – ქალაქი, რომელშიც ცხოვრობდა ფიროსმანი. ოდესღაც საქართველოს დედაქალაქი, ახლა კი რუსეთის სამეფისნაცვლოს ცენტრი ამიერკავკასიაში. ქალაქი ჭრელი და მრავალსახა.

ახალი ხანა მის ისტორიაში, რომლის პირველი საფეხურები შორეული საუკუნეების ბურუსში იკარგება, XIX საუკუნიდან (როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიას შეუერთდა) დაიწყო. მას შემდეგ, რაც (სამი საუკუნის მანძილზე მას იძულებით ჰქონდა მიბრუნებული პირი მუსლიმანური აღმოსავლეთისკენ. გავიხსენოთ ირანისა და თურქეთის ძალმომრეობა!) საქართველო ევროპული კულტურის წიაღს დაუბრუნდა. მაგრამ, გარდა პოლიტიკური ცვლილებებისა (სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა), XIX საუკუნე გარდატეხის საუკუნე იყო, უპირველესად, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხრივ. XVIII საუკუნის ბოლოს, ირანელთა გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ, პირველად გამოცოცხლდა დაცემული ვაჭრობა, საუკუნის შუა ხანებიდან სამრეწველო საწარმოებიც გაჩნდა. ეს პროცესი დიდად დაჩქარდა ბატონყმობის გაუქმებისა და გლეხთა განთავისუფლების შემდეგ. 60–70-იანი წლებიდან საქართველოც ჩაერთო რუსეთის იმპერიის სწრაფი კაპიტალისტური განვითარების პროცესში. ამ პერიოდმა ბევრი რამ ახალი მოიტანა: აშენდა ფაბრიკა-ქარხნები, თბილისსა და სხვა ქართულ ქალაქებსა და ამიერკავკასიის ზოგიერთ ქალაქს შორის რკინიგზა გაიყვანეს (70–80-იანი წლებში); მკვიდრ თბილისელთა „ტრადიციულ“ სოციალურ ფენათა – თავადაზნაურების, გლეხების, ხელოსნების – გვერდით დიდად გაიზარდა ვაჭარ-მრეწველთა ხვედრითი წონა (მათ შორის უკვე მილიონერებიც ჩნდებიან), გაიზარდა, აგრეთვე, ბიუროკრატიული აპარატი და, ეს დამახასიათებელია, ჩამოყალიბდა პროლეტარიატი, მუშათა კლასი. თბილისის ტიპურ ბურჟუაზიულ-ჩინოვნიკურ ქალაქად გადაიქცა.

მკვეთრმა გარდატეხამ სოციალურსა და ეკონომიკურ, იმავე დროს, კულტურულ განვითარებაში, ფეოდალიზმის საბოლოო რღვევამ, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა ყოფა-ცხოვრების წესებზეც. ფეოდალური თბილისის გადაქცევამ კაპიტალისტურად ხელი შეუწყო „ევროპის“ შეჭრას „აზიაში“ ქალაქის მცხოვრებთა, უპირველესად, რა თქმა უნდა, მაღალი ფენების, და ბევრად უფრო ნაკლებად – ხელოსნების, წვრილი ვაჭრებისა და მუშების ყოფის თვალსაზრისითაც. შენდება ახალი უბნები, სახაზინო, საზოგადოებრივი შენობები, სასწავლებლები, უფრო გვიან – ბანკები, უნივერსალური მაღაზიები, ფაბრიკა-ქარხნები. მაგრამ არც ძველი ქალაქი თმობს თავის პოზიციებს. საუკუნის შუა წლებში თბილისის რუსული გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „ტფილისი.... გარკვეული თვალსაზრისით ორსახა იანუსია, რომელიც ერთი სახით აზიას უყურებს, მეორეთი კი – ევროპას“.

ეს დახასიათება შეიძლება მივაკუთვნოთ უფრო გვიან ხანასაც, როდესაც ფიროსმანმა შეგნებული კონტაქტი დაამყარა ქალაქთან, თუმცა იმ დროს ახალი სახლიც მეტი იყო და ყურთმაჯიანი ვაჭრების გვერ-

დით უკვე ევროპულად ჩაცმული კაპიტალისტებიც მომრავლდნენ. ძველ თბილისში კიდევ დიდხანს იარსებებს ტრადიციული სახალხო დღესასწაულები – „ყვენობა“, მუშტი-კრივი, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ „დაბალი ფენებისთვის“ იქნება განკუთვნილი. გაზეთ „დროების“ სიტყვით, მაღალი, „განათლებული“ საზოგადოება უკვე უფრო მეტად თეატრებსა და კლუბებს ეტანება; იარსებებს ძველი ქარვასლები, გოგირდის აბანოები (რომლებიც, იმავე დროს, თავისებურ კლუბებსაც წარმოადგენდა, იქ მთელ დღეებს ატარებდნენ), ჭრელი და ხმაურიანი რიგები ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების ღუქებით, რიგები, სადაც მთელი „კომერცია“ ქუჩაში იყო გამოტანილი; დიდხანს იარსებებენ კინტოები და ყარაჩოხელები, რომელთა ტიპები სწორედ თბილისში ჩამოყალიბდა. მათი ტანსაცმელი (შეიძლება ითქვას – „ფორმა“, რაკი იგი უცვლელი და ყველასთვის სავალდებულო იყო), ცხოვრების წესი, მანერები, ადამიანებთან ურთიერთობა – ყველაფერი, ყოველი წვრილმანი „დამუშავებული“ იყო. ძველ თბილისს ჰყავდა თავისი პოეტები და მომღერლები, რომელთა შემოქმედება ორგანულად იყო შერწყმული ძველი უბნების მკვიდრთა ყოველდღიურ ყოფასთან. ზოგი მათგანი დაკავშირებული იყო აღმოსავლური აშუღების ტრადიციებთან (მაგრამ არა ყველა): მათ შორის იყვნენ დიდად ნიჭიერნიც, მათი ლექსები და სიმღერები ძალიან პოპულარულიც გახდა და ქართული პოეზიის საგანძურშიც შევიდა.

აი, ეს იყო ის სამყარო, იანუსის ის სახე, რომელთანაც მოუხდა შეხვედრა და რომელსაც დაუკავშირა თავისი ცხოვრება ნიკო ფიროსმანმა. იყო, აგრეთვე, ღვინის ღუქნები, სარდაფები, არა მარტო ძველი ქალაქის უბნებში, არამედ სადგურის მიმდებარე უბნებშიც, იმ ქუჩებზე, რომელთაც მაშინ ჩერქეზოვისა და მალაკნებისა ერქვათ (მალაკნებისა ახლა ფიროსმანის სახელს ატარებს); იყო „მხიარული“ დაწესებულებები ბაღებით მტკვრის ნაპირას, ორთაჭალაში. ეს ღუქნები და ბაღები, მათი მუშტრები, აგრეთვე, დაიმკვიდრებენ ადგილს ფიროსმანის სამყაროში და აისახებიან მის შემოქმედებაში. მაგრამ თბილისი მარტო მსხვილი და წვრილი ვაჭრების, ბიუროკრატიისა და მოქეიფეთა ქალაქი ხომ არ ყოფილა. ეს იყო, იმავე დროს, XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ინტელიგენციის ქალაქიც, ქალაქი, სადაც ინტენსიური სულიერი ცხოვრება ღვიოდა, მით უფრო, სწორედ 60–70-იანი წლებიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ დიდი დემოკრატი მწერლები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების დამწერგავნი – ილია, აკაკი, შემდეგ – ვაჟა-ფშაველა. მათი შემოქმედება მთელი ხალხის საკუთრება იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; ნიკო იცნობდა და უყვარდა მათი ნაწერები, დიდად აფასებდა მათ ღვაწლს თავისი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში; თბილისში, გარდა საოპერო და რუსული დრამის თეატრებისა, არსებობდა ქართული

დრამატული თეატრიც, ერთადერთი ადგილი, სადაც მაშინ, ეროვნული ჩაგვრის დროს, კაცს შეეძლო გაეგონა საჯაროდ წარმოთქმული ქართული სიტყვა; მის სცენაზე, სხვა პიესებთან ერთად, იდგებოდა ისტორიულ-პატრიოტული პიესებიც. ფიროსმანისთვის უცხო არ ყოფილა ეს თეატრი, ამას მოწმობს ზოგი მისი სურათი. 70–80-იან წლებში უკვე არსებობდა სამხატვრო და სამეცნიერო საზოგადოებები, მუზეუმები; ეწყობოდა სამხატვრო გამოფენები, დაარსდა ქანდაკებისა და ფერწერის სკოლაც – მაგრამ ეს ყველაფერი ნიკოსთვის მიუწვდომელი დარჩა. ქალაქის მარჯვენა ნაპირი – ადმინისტრაციულ დაწესებულებათა, დიდი მაღაზიების, ბურჟუაზიის საცხოვრებელთა უბნები, მისთვის, არსებითად, უცხო იყო.

ფიროსმანის დაბადება ემთხვევა გლეხთა გათავისუფლებას, რაც მნიშვნელოვან მიჯნას წარმოადგენდა რუსეთის იმპერიისა და მასში შემავალი ქვეყნების განვითარებაში; ხოლო გარდაცვალება დაემთხვა ძველი სამყაროს დაღუპვას – იმპერიის დამხობას და მისი ქვეყნისა და ერის ცხოვრებაშიც ახალი ერის დასაწყისს. ფიროსმანის ცხოვრების ბოლო წლები – რევოლუციის კვირამდელია, მისთვის ნიშანდობლივი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენითურთ. ფიროსმანი არ ყოფილა მათი აქტიური მონაწილე, მხოლოდ მოწმე იყო, მაგრამ მოწმე, რომელიც არ ფარავდა თავის დამოკიდებულებას მათდამი.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, უნდა გვახსოვდეს, თუ გვსურს გავიგოთ ფიროსმანის სამყარო, არა მარტო ის, რომელიც ფიზიკურად ერტყა მას გარს, არამედ სულიერი სამყაროც, რომელმაც ანარეკლი პოვა მის თავისებურ შემოქმედებაში.

III. ქალანთაროების ოჯახის წევრები გულთბილად ეკიდებოდნენ ფიროსმანს. მათი მოგონებები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, ნაწილობრივ მაინც, როგორი იყო ჭაბუკი ნიკო თბილისში ცხოვრების პირველ წლებში.

„პატარა ნიკო ძალიან გონიერი ყმაწვილი იყო. მას უყვარდა წიგნების კითხვა, ხატვაც.... ისეთი პატიოსანი და ერთგული იყო, რომ ჩვენ მას ვანდობდით მთელს ჩვენს ოჯახს, რომელიც მაშინ მდიდარი იყო... ფაქიზი ბუნებისა იყო, არაჩვეულებრივი თავმოყვარე და ამასთანავე იშვიათი სიმართლის მოყვარული. საწყლის შემბრაღე“... „მას ისე ღირსეულად ეჭირა თავი, რომ ვერავინ გაუბედავდა რამე წყენას და დაჩაგვრას...“ „ნივთიერი სიმდიდრე არ აინტერესებდაო“.

ჩვენ არ ვიცით, როდის „შეიპყრო“ ფიროსმანი, ლუი არაგონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხატვის გიჟურმა ჟინმა“, მაგრამ, ახლობელთა ნაამბობის მიხედვით, ეს საკმაოდ ადრე უნდა მომხდარიყო: „მისთვის არსებობდა მხოლოდ ხატვა და როდესაც კი თავისუფალი დრო ჰქონდა, ხატვაში იყო გართული“... „როდესაც ვინმე გროშებს აჩუქებდა, ის მამ-

ინვე გაიქცეოდა, იყიდა ფანქარს და საღებავებს და დაიწყებდა ხატვას... მისი ოთახის კედლები ნახშირით ან ფანქრით იყო მოხატული... ერთხელ ნიკომ ჩვენი სახლის სახურავიდან დახატა მშვენიერი სურათი: გაღმით მდებარე მეტეხის ციხე-გელესია... ხატავდა პორტრეტებსაც ისე, რომ ცოცხალ ნატურას არ იყენებდა“.

„ხშირად ნიკო სახლის ეზოში ერთი კუთხიდან მეორეში დადიოდა ღრმა ფიქრებით გართული. ის იმ დროს, ალბათ, ოცნებობდა და როდესაც ასე დაინახავდა მას ჩემი და კეკე, შეშინებული მეტყობდა: ხედავ ჩვენს ნიკოს, როგორ ჩაფიქრებული დადის, ჭკუაზედ კი არ შეცდესო“. „ახალგაზრდობისას სრულიად არ სვამდა... ხშირად მიამბობდა ძველ ქართულ საგმირო ზღაპრებს (ეს ოჯახის ერთ-ერთი უმცროსი წარმომადგენლის სიტყვებია. ის მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი იყო და ნიკოსთან მეგობრობდა. ვ.ბ.), გასაოცარი ლამაზი ენით, ისეთი ხელოვნებით მომითხრობდა რაინდების, დევების გასაოცარ საგმირო ამბებს, რომ მე მთლად ყურადღებად ვიყავი გადაქცეული. ამავე დროს, ნიკოს წინ ედო ქაღალდი და ფანქარი, სწრაფად, ორიოდე ხაზის მოსმით ხატავდა იმ გმირებს, დევებს, რომლებზედაც მომითხრობდა ზღაპრებს... სხვათა შორის, მან ჩემ თვალწინ დახატა წითელი ფანქრით რუს-ოსმალთა ომის სურათი 1877 წელს...“ (ფიროსმანი მაშინ ჯერ ბავშვი იყო! – ვ.ბ.)... „მე ახლა გახსენებისას ვრწმუნდები იმაში, რომ ნიკო ზოგიერთ ზღაპარს თვითონაც თხზავდა, რადგან მას რაც უნდა ბევრი ჰქონოდა წაკითხული, მაინც ამდენს ვერ მიამბობდა. ამიტომ, ჩემი აზრით, ის იყო არა მხოლოდ ნიჭიერი მხატვარი, არამედ, ამასთანავე ბუნებით ნიჭიერი პოეტიც“.

სოფიო ქალანთაროვის სიტყვით, ნიკოს ძალიან ჰყვარებია თეატრი. „როცა დედაჩემი წავიდოდა ოპერაზედ, ნიკოც უეჭველად წაჰყვებოდა გამოსაცხლებლად. იგი ავიდოდა ქანდარაზედ და იქიდან ისმენდა. კარგად მახსოვს, რომ ნიკო თავის ტოლ ამხანაგებთან ჩვენი სახლის ეზოში გამართავდნენ ხოლმე წარმოდგენას. ამ წარმოდგენებში ნიკოც მონაწილეობდა...“, „ერთხელ მან გაგვიკეთა პატარა სასახლე ფანჯრებით, მშვენიერი ფასადისა. იგი გვედგა ყოველთვის სასტუმრო დარბაზში და აღდგომას ან ახალ წელიწადს შიგნიდან სანთლით ვანათებდით ღამით. მეტად ლამაზი სანახავი იყო“².

შესაძლებელია, ამ მოგონებებში ზოგი რამ წამატებულიც არის. რაკი საუბარი ეხებოდა ახლობელ ადამიანს, რომელიც სახელგანთქმული მხატვარი გახდა, მთხრობელნი, ბუნებრივია, სიამაყის გრძნობით იყვნენ აღვსილნი; მათ შეეძლოთ მოვალედაც ჩაეთვალათ თავი, რომ თავისი ნაამბობისთვის გარკვეული, სპეციფიკური სახე მიენიჭებინათ. მაგრამ მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ მთხრობელნი სხვადასხვა პირნი იყვნენ, სხვადასხვა თაობის წარმომადგენელნი, მათ შორის, სავსებით ინტელიგენტი ადამიანებიც; და ყველანი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ნიკო სიყრმითვე გამოირჩეოდა განსა-

კუთრებული სულიერი სიფაქიზით, მხატვრული ნიჭით, იდეალიზმით, პოეტურობით. მათ თვალში იგი უკვე მაშინ განსხვავდებოდა სხვათაგან, არ იყო „ჩვეულებრივი“, უფერული, ის იყო „კაცი არა ამ ქვეყნიდან“, ზოგიერთნი კი მას „ნეტარ ნიკოლოზსაც“ ეძახდნენ (ეს იმავე ქალანთაროვა ოჯახის შვილის, ოფიცერ სოლიკო ხანკალაშვილის სიტყვებია).

როცა ბიჭი წამოიზარდა, ითხოვა, რომელსამე ხელოსანს მიმბარეთ სასწავლებლად. როგორც ჩანს, ნიკო, ნიჭიერების გათვალისწინებით, ქალანთაროვემ ვიღაც მესტამბე გერმანელს მიამბარეს. იქ ერთი წელიწადი გაძლო, მაგრამ ან თვით საქმე არ მოუვიდა თვალში, ან იქაური გარემო არ მოეწონა („მე იქ ყოფნა არ შემიძლია, იქ ერთი სტამბის მომუშავისაგან გარყვნილი სიტყვები მესმისო“), დაბრუნდა შინ და თქვა, სტამბაში ყოფნა აღარ შემიძლიაო. ოთხმოცისწიანი წლების დასაწყისშია გადაღებული ფიროსმანის პირველი უტყუარი ფოტოსურათი (ასეთი სურათი სულ ორია). ეს უწვერულვამო ჭაბუკია, ცოცხალი თვალებით, იმდროინდელ ჩვეულებრივ ევროპულ სამოსელში გამოწყობილი (პიჯაკი, თეთრი საყვლო). დაახლოებით იმავე ხანებს მიეკუთვნება ერთი ამბავი, ნიკოს ერთი საქციელი, რომელმაც მისი „პატრონების“ დიდი გაკვირვება გამოიწვია, ნიკო კი აიძულა დაეტოვებინა ის სახლი, რომელშიც სიჭაბუკის წლები გაატარა: მას შეუყვარდა ქალანთაროვის ერთ-ერთი ქალიშვილი, მასზე ბევრად უფროსი, ახლად დაქვრივებული; გადაწყვიტა მიეწერა მისთვის. შემდეგ კი, როცა უარი მიიღო, წავიდა სახლიდან.

დამახასიათებელია, სწორედ იმ დროს, როდესაც მის წინაშე მწვავედ დაისვა საკითხი, რა გზა აერჩია, მან რჩევისათვის მიმართა არა სხვა ვისმეს, არამედ მხატვარს („ნამდვილ“ მხატვარს). ეს ხომ უეჭველი დადასტურებაა იმისა, რომ მას უკვე შინაგანად მოუმწიფდა გადაწყვეტილება ხელოვნებისათვის, ფერწერისათვის მიეძღვნა თავისი ცხოვრება. სხვა საქმეა, რომ ამ გზაზე მან ბევრი სიმწარე გამოსცა და ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა.

„ნამდვილი“ მხატვრის რჩევა ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო: ნიჭი გაქვს, უნდა ისწავლო. მაგრამ სწორედ სწავლის საშუალებას იყო მოკლებული ფიროსმანი*.³

მისი ცხოვრების მომდევნო წლების ქრონოლოგიის დადგენა შეუძლებელია. ზოგი “ცარიელი ადგილის” შევსება დღეს აღარ ძალგვიძს. ოთხმოცისწიანი წლებისთვის ჩვენ ხელთ არის მხოლოდ ერთი ფაქტი, რომელსაც ვიცნობთ გიგო ზაზიაშვილის მონათხრობის წყალობით. ზაზიაშვილიც თვითნასწავლი მხატვარი იყო, ნიკოზე 5-6 წლით უმცროსი, მაგრამ მან XX საუკუნის შუა წლებამდე მოაღწია. ისინი სულ ახალგაზრდები დამეგობრდნენ, განიზრახეს შეესწავლათ ფერწერა და, იმავე დროს, გაეხსნათ

* მხატვარი იყო გიორგი (გვორჯი) ბაშინჯაღიანი, ეს უნდა მომხდარიყო 1883 წლის შემდეგ (გ.მ.).

სახელოსნო, მიეღოთ შეკვეთები აბრების შესასრულებლად. ზაზიაშვილი არაფერს ამბობს, თუ რა შედეგი გამოიღო „ფერწერის შესწავლამ“ (არავითარი შედეგი არ გამოუღია!), სახელოსნოს გახსნა კი მაინც მოახერხეს.

გიგო ზაზიაშვილი: „ერთ დღეს ყოფ. ველიამინოვის ქუჩაზე გავხსენით პატარა სახელოსნო. მალე დარაბაში გამოჩნდა რამდენიმე ნახატი და ერთი აბრა რომელიც მეთევზისა, რომელიც დიდხანს იღო ჩვენს სახელოსნოში ფულის გადაუხდელობისა და პატრონის საიდუმლო გაქრობის მიზეზით“. სხვა შეკვეთები აღარ მიუღიათ. „თავნი“ უკვე შემოგვეღია – საცოდაობით, შეგირდობით და მზარეულობით ნაშრომი გროშები. რაკი საქმემ ვერ გაიმარჯვა, ამხანაგობა დაიშალა და პატარა კერა გაცივდა“. შემდეგ ნიკომ სხვა კომპანიონი იშოვა, მაგრამ არც იმასთან გამოვიდა არაფერი და მან საბოლოოდ აიღო ხელი ამ საქმეზე³.

1890 წელი, აპრილის 17. ფიროსმანი ხელწერილს აძლევს ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების სამმართველოს, რომ მან, კონდუქტორად მუშაობის დაწყებისას, მიიღო სათანადო ინსტრუქცია, რომ კისრულობს განუხრელად შეასრულოს ყველა წესი და მოთხოვნილება და, კერძოდ, „დაემორჩილოს სამსახურთან დაკავშირებულ ფულად ჯარიმებს, რომელსაც მას დაადებს“ გზის სამმართველო. ასეთი ჯარიმა, სამწუხაროდ, ბევრი იყო, ერთ ჯარიმას მეორე მოსდევდა. სამუშაო მძიმე აღმოჩნდა; ნიკო სატვირთო მატარებლების კონდუქტორად გაამწესეს, მას უხდებოდა ღია პლატფორმებით მგზავრობა სიცხესა და ყინვაში, ხშირად ცივდებოდა, ავადმყოფობდა, ხან შევებულებას ითხოვდა, ხან ფულად დახმარებას... რა თქმა უნდა, ამ ერთფეროვან, მოსაბეზრებელ სამუშაოს იგი გულს ვერ დაუდებდა; ადვილი წარმოსადგენია, რა გაუხარელი წლები იყო მისთვის რკინიგზაზე გატარებული ოთხი წელი. ამ სამსახურის ერთადერთ სიკეთედ ის შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ფიროსმანმა იმოგზაურა ამიერკავკასიაში, ზოგი რამ მაინც ნახა და, ალბათ, დაიმახსოვრა კიდევ. 1894 წელს მას საბოლოოდ გაუსწორეს ანგარიში და მის წინაშე – ის უკვე მიუახლოვდა ოცდაათი წლის მიჯნას – კვლავ დაისვა საკითხი: როგორ ეცხოვრა, როგორ ეარსება?

მან კიდევ ერთხელ სცადა ბედი ვაჭრობაში: გამოიყენა სამსახურიდან წამოსვლისას აღებული ფული, ცოტა რამ კიდევ იშოვა და გახსნა რძის დუქანი ახლანდელი რუსთაველის პროსპექტზე, იქ, სადაც ჯერ კიდევ შენობები არ იდგა, ხრამი იყო, რომლის გაყოლებითაც მტკვრისკენ, ახლად აგებული ხიდისკენ (ახლა რომ ელბაქიდის*⁴ხიდი ჰქვია) ეშვებოდა გზა. ამჯერად საქმე კარგად წაუვიდა; ამხანაგად აიყვანა თავისი თანასოფელი, ვინმე დიმიტრი ალუდიშვილი. ვაჭრობა გაიშალა და ორივემ ერთად ახალი დუქანი გახსნა „იარმუკაზე“. თავდაპირველად ყველაფერი

* დღეს ხიდი ვალაკტიონის სახელს ატარებს (გ.მ.).

რიგაიანად აეწყო, რომელიც მდიდარი თბილისელი საგან კრედიტიც მიიღეს; ნიკო დაუახლოვდა დიმიტრის ოჯახს, ქალიშვილი მოუნათლა მას, შინაური კაცი გახდა მის სახლში.

მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე კომპანიონები აქმალნენ ერთმანეთს, დაიწყო უსიამოვნებანი და სკანდალებიც კი. შემდეგში ალუდიშვილს მიაწერდნენ ყველა უბედურებას, რაც ნიკოს მოუვიდა – მის გაკოტრებას, დაქვეითებას. ჩვენთვის ძნელია მათი განსჯა. მაგრამ თუ სამართლიანობას დავიცავთ, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ განხეთქილების სათავე ის იყო, რომ ნიკო არ დაბადებულა ვაჭრად, მისთვის სრულიად უცხო იყო ფსიქოლოგია და ცხოვრების ნორმები იმ წრისა, რომელშიც იგი ძალაუბრად მოექცა (დახლიდარ სიმონ პაპიაშვილის მოგონებიდან: „საერთოდ ნიკალას ვაჭრობა კარგი ჰქონდა, მაგრამ მეტად გულკეთილი და მხარჯველი კაცი იყო და ამის გამო ბოლოს დახურა თავისი სავაჭრო და დიდუბეს გადავიდა“). ის სურათი, რომელსაც თვით ალუდიშვილი გვიხატავს, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუმცა, შესაძლებელია, ზოგი წვრილმანი დაზუსტებასაც მოითხოვდეს:

„ვაჭრობა ეზარებოდა და კიდევ თავილობდა. ზაფხულში, გაჩაღებული ვაჭრობის დროს მიმატოვებდა, ორი ვირის საპანე (sic!) მწვანე ბალახს იყიდდა, აიტანდა დუქნის თავზე საკუთარ „ბალახანაში“, გაიშლიდა და გამოეხვეოდა: – სოფელში რომ ვერ მივდივარ, ეს მიაძებო! დუქანსაც იამებოდა? მე როგორც თავგზიანი, დახლში ვიდექი, თითონ ის ან კარებთან იდგა აყუდებული, ან ბალახანაში ხატავდა. მოიყვანდა რომელიმე მეზობელს, დააყენებდა და ეტყოდა: – მოდი, ისე დაგხატო, შენზე მაიმუნი არავინ იყოსო. ერთხელ მეც დამხატა. თურმე უჩუმრად გადამიღო ვაჭრობის დროს. დიდხანს ვინახავდი სახლში ამ სურათს, რაღაც საზარელი შესახედი ვიყავი, შაფფერი... ბავშვებს ეშინოდათ. დავწვით“.

ნიკო ხან გააგდებდა ალუდიშვილს, ხან თვითონ გარბოდა. ერთხელ თავის სოფელში ჩავიდა დისა და სიძის თხოვნით... იმათ ხმა მიუვიდათ, ნიკოს ფული გაუჩნდაო, წარმოიდგინეს, რომ ძალიან გამდიდრდა და გადაწყვიტეს ამით ესარგებლათ: შეაკეთებინეს სახლი, როგორც ჩანს, ფულიც გამოსტყუეს, მერე კი უსირცხვილოდ მოიშორეს თავიდან. უთხრეს, გიჟი ხარო და გამოაგდეს. ნიკო თბილისში დაბრუნდა გაოფლილი, ამოგანგლული, საშინლად აღვზნებული, იმუქრებოდა, სიძეს მოვკლავო, გადარეულს ჰგავდა. ჰალუცინაციებიც კი დაეწყო, სასოწარკვეთილი მუხლებზე დაემხოვოდა, ქვითინებდა, ამბობდა მთავარანგელოზი და წმინდა გიორგი გამომეცხადნენო. ალუდიშვილის სიტყვით, მან ძლივს დაამოშმინა ნიკო. მაგრამ ცოტა ხანში იგი კვლავ „აიშალა“, ერთხელ კოჯორში გაიქცა, იქ საზანდრებსა და ამხანაგებში გაფლანგა ფული, მერე მონანიებითა და ტირილით დაუბრუნდა ალუდიშვილს. ალ-

ულიშვილმა, მისივე სიტყვით, კიდევ ერთხელ ამაოდ სცადა მიშველებოდა, მაგრამ ნიკოს სულ აერია გზა-კვალი და ისინი საბოლოოდ დაშორდნენ ერთმანეთს⁴.

ეს, როგორც ჩანს, ორი საუკუნის მიჯნაზე მოხდა, იქნებ ამ საუკუნის დასაწყისშიც. ჯერ მას ისევ ჰქონდა თავისი ოთახი რომელიღაც მიერუბულ ქუჩაზე... მერე კი დაიწყო ხეტიალი, რომელიც ცხოვრების ბოლომდე გაგრძელდა. ხან ერთ მედუქნეს შეაფარებდა თავს, ხან მეორეს, საკუთარი თავშესაფარი აღარ გააჩნდა. ბედის მწარე ირონია: სწორედ ამ დროიდან უძღვინის ფიროსმანი მთელ თავის ცხოვრებას მხატვრობას. იმისათვის, რომ თავისი ცხოვრების ოცნება განეხორციელებინა, მას უნდა დაეკარგა ყველაფერი, აღარ უნდა ჰქონოდა ადამიანური ცხოვრების ელემენტარული პირობებიც კი*.¹

ამ დროის მოვლენათა ქრონოლოგიის დადგენაც ძნელია, რადგანაც მოგონებებში თარიღები მიახლოებითაა და არც ყოველთვის ეთანხმება ერთმანეთს, მაგრამ ამას არც აქვს დიდი მნიშვნელობა: „მოვლენები“ უკვე აღარ იყო, იცვლებოდა მხოლოდ დუქნები, იცვლებოდნენ „მეცენატები“ – მედუქნეები. ზოგი მას კარგად ექცეოდა, სხვები – უარესად, ზოგი არც მის ექსპლუატაციას ერიდებოდა, მაგრამ ნიკოს ცხოვრებაში ამით ხომ არსებითად აღარაფერი იცვლებოდა, ყველაფერი უკვე ერთნაირად მიედინებოდა: რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად ეტანებოდა სმას, თანდათან გალოთდა კიდევ, ჯანმრთელობამაც უმტყუნა, იგი სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვებოდა. ცხოვრების უკანასკნელი 17–18 წლის განმავლობაში მან ბევრჯერ გამოიცვალა თავშესაფარი, ბევრი შემკვეთიც გაუჩნდა – მედუქნეები, ღვინის სარდაფებისა და სამხიარულო დაწესებულებათა მენეჯერები: მათთვის ხატავდა აბრებს, სურათებს, ხატავდა კედლებს. ამის სანაცვლოდ აჭმევდნენ, სასმელსაც აძლევდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგჯერ სურათს ასრულებდა ერთი ჭიქა ღვინის ან არყის, ერთი სადილის ფასად.

ერთხანს (1905–1910 წლებში) ფიროსმანი ცხოვრობდა მედუქნე ბეგოსთან*⁵ მტკვრის მარცხენა ნაპირზე, რიყეზე, რომელსაც ყოველ წელს, წყალდიდობის დროს, წყალი ფარავდა, შემდეგ ორთაჭალაში – „ელლო-რადოს“ ბაღის პატრონთან.

* ფიროსმანის ბიოგრაფიებში დიდი ადგილი ეთმობა რომანტიკულ ისტორიას მისი გაუზიარებელი სიყვარულისა ფრანგი შანსონეტი ქალისადმი, რომელიც თბილისის კაფე-შანტანებში გამოდიოდა. ეს იყო ვინმე მარგარიტა, რომლის პორტრეტიც მან მართლაც შეასრულა. ზოგნი სწორედ მარგარიტას უკავშირებენ ფიროსმანის ტრაგედიას, მის დაცემას. ნიკოს ახლო ნაცნობთაგან მხოლოდ დახლიდარი პაპიაშვილი იხსენებს გაკვრით, „ერთი ფრანგის ქალს ყვარობდა, მგონი ერთი წლის განმავლობაში. სახელი არ მახსოვს“. ეს არის და ეს (შ. დადიანი. ფიროსმანი, ახალი ბიოგრაფი-ული ცნობები: გ.ა. „ბახტრიონი“, 1922, # 10, 11. IX). ძნელი სათქმელია, საიდან მომდინარეობს ეს ვერსია. ყოველ შემთხვევაში, თუ მარგარიტას ამბავი ნამდვილია, ეს საფიქრებელია, „რძის დუქნის პერიოდში მომხდარიყო.

* მედუქნე ბეგლარ სტეფანეს ძე იაქაშვილი (გ.მ.).

მისი ცხოვრების ამ პერიოდთან დაკავშირებული ბევრი მოგონება მოაგროვა და გამოაქვეყნა გიორგი ლეონიძემ (ჯერ გაზეთ „ბახტრიონში“, 1922 წელს – მისი დავალებით სხვადასხვა პირის მიერ გაკეთებული ჩანაწერებით; შემდეგ ჟურნალ „მნათობში“, 1931 და 1938 წლებში – „ცხოვრება ფიროსმანისა“). ეს მოგონებები, თუ მთლიანად ვერ აღგვიდგენს მისი ცხოვრების ქრონიკას, საშუალებას მინც გვაძლევს წარმოვიდგინოთ მისი ცოცხალი სახე, მისი მდგომარეობა იმ წლებში. აი, რას ვგებულობთ ამ მოგონებებიდან: ნიკო იყო ბეგოს „კარის მხატვარი“, მაგრამ ბეგო არ უშლიდა მას, რომ სხვების შეკვეთებიც მიეღო. პირიქით, სთხოვდა კიდევ თავის ნაცნობებს, ნიკოს სურათები შეუკვეთეთო, ცდილობდა, რითაც კი შეეძლო, დახმარებოდა. ხშირად ყიდულობდა მისთვის გასამრჯელოდ, ნახმარ ტანსაცმელს, აბანოში დაჰყვებოდა, აჭმევდა და ასმევდა, უქმე დღეებში თავისთან პატივებდა.

თვით ბეგოს ნაამბობი: „ჩემს დუქანს პატარა ბაღი ეკრა, საყვავილე ფარდულებით შემკობილი და პატარა გუბეებით. როცა ნიკო ფხიზელი და თავისუფალი იყო, ბაღში გადიოდა, – ყვავილებს უვლიდა, მიწას ჩაჰყურებდა. მერე დიდი კაკლის ქვეშ დაჯდებოდა გაშტერებული. უფრო ზაფხულში იცოდა ბაღში განმარტობა. მარტობა უყვარდა. უცხო ხალხს არ ეკარებოდა.

– ნიკალაი, – ვეუბნებოდი, – მარტობა ძნელია, ოჯახს მოეკიდე!

– მარტო ვარ დაბადებული, მარტო უნდა მოვკვდეო!

– არ არის კარგი საქმე, ნიკალაი!

– აბა ერთი მითხარი, რომელ დიდ მწერალს ჰქონია ბინა, რომ მე მქონდესო. ძველად სულ გამოკაფულ კლდეებში და ქარაფებში უცხოვრიათ წმინდანებივით... ნეტავ ვიცოდე, როგორ ცხოვრობს ჩვენი აკაკი წერეთელიო. რა მოგვიტანია, რა უნდა წავიღოთ? ერთი მეგობარი დამმარხავს, დარდი არა მაქვსო! ვირის კუდივით მოკლეა წუთისოფელი... თუ ზარხოშად იყო, ჩუმი დიღინი უყვარდა: ლოთებო, ნეტავი ჩვენი, და სხვა. აიღებდა ჭიქას და იტყოდა: „გაუმარჯოს პავლეკა, დაისხამს და დალევსა“.

ღვინის ვაჭარი ნიკოლოზ სოზაშვილი იხსენებს: „ძალიან მშვიდი და უწყინარი იყო... თავის სიღარიბეში სუფთა კაცი იყო...“ (სხვები უმატებენ: ეცვა ევროპულად, ამით დიდად გამოირჩეოდა თავის მეგობრებისა და მფარველ-მედუქნეებისაგან. „ხომ ჩვენთან იყო, ჩვენს პურმარილში შესული, მაგრამ განა ბოლომდის თავს გვიყადრებდა ყარაჩოლელებს?“). თუმცა ნივთიერ დამოუკიდებლობას სრულიად მოკლებული იყო, „თავისი კაცობა არ დაუკარგია“... „სხვა ქუჩის მხატვრებივით ლუკმა პურისათვის ფეხქვეშ არ ეგებოდა და მათ კაპრიზებზედ არ იყო დამოკიდებული. თავმოყვარე ფიროსმანს გამკილავე მედუქნეები ირონიით გრაფს ეძახდნენ...“ მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა მისდამი, როგორც ჩანს, ყოველი მათგანი

ქვეცნობიერად მაინც გრძნობდა, რომ თუმცა ფიროსმანი მათზეა დამოკიდებული, ღარიბი, მშვიერ-მწყურვალ და უბედურია, თუმცა ის „არავინ“ არ არის, მათი ტოლი მაინც არაა, რადაცით მაინც მათთვის მიუწევდომელია.

ბოლო წლებში ხშირად დადიოდა სოხაშვილის ღუქანში. „მიჯღებოდა კუთხეში, მოითხოვდა არაყს, მწვანის და დიდხანს იჯდა ჩუმად... ხშირად ყოფილა, სარდაფის მოქეფეებს დაუპატიჟნიათ თავისთან, ან ღვინო მიუწოდებიათ, ნიკო ერთს კი ეტყოდა ზრდილობიანად უარს და მერე, თუ ჩააცივდებოდნენ, ძალიან ეწყინებოდა ხოლმე. ხუთმეტი წლის განმავლობაში მე ნიკო არ მინახავს სხვებთან მჯდომარე და მოქეფე... მაინც-დამაინც არ იყო ნაკითხი, მაგრამ არც უცოდინარი კაცი იყო. ქართული მწერლობა ცოტა იცოდა. ძალიან უყვარდა ვაჟა-ფშაველა. თვითონაც წერდა ლექსებს. კაი პოეტი იყო და მე და ჩემს მეუღლესაც გვინახავს მისი ლექსების რვეული“ (თუკი ასეთი რვეული მართლაც არსებობდა, იგი უკვალოდ გაქრა, ისევე როგორც ფიროსმანის წერილები, რომლებიც მის დას ჰქონია: ჩვენს სახლში წვიმა ატანდა, ნიკოს წერილები დასველდა და დალპაო. დიდად დასანანი, რომ ნიკოს ხელით დაწერილი არც ერთი სტრიქონი არ გადარჩენილა).*

თავისი მოხეტიალე ცხოვრების პირველ წლებში ნიკო გულგრილი არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი. იგი დიდად აუღელვებია 1905 წლის რევოლუციის ამბებს.

კვლავ მედუქნე ბეგო: ფიროსმანს სძულდა პოლიციელები. „ხშირად მოხდებოდა, შუაღამისას პოლიცია დაესხმოდა ჩემს ღუქანს დასაზვერად და უპასპორტო ხალხის საძებნელად. ნიკოსაც... მძინარეს ააყენებდნენ და ვინაობას ჰკითხავდნენ. გაიგო თუ არა ნიკალამ რევოლუცია, მისი პირველი სიტყვები იყო: – მოვრჩი, ახლა აღარ იკითხავენ, ეს ვინ არი, აქ რათ არის! იმ დღეებში ბავშვივით გახარებული დადიოდა, მიტინგებს ესწრებოდა და იტყოდა, მოვრჩით განსაცდელსო!”

1905 წლის ზაფხულში ნიკომ გამოსჭრა ქალაქის ასოები, წითელივე ქალაქი შემოავლო დიდს „პარუსინის“ ბრეზენტს“ და დააკერა ღუქნის ფარდას ქუჩაზე: – გაუმარჯოს ერთობა-ამხანაგობას! ძირს ხელმწიფე, მაღლა მუშა! ძირს ნიკოლაი!

მესამე დღეს ნაცნობი ბოქაული მომადგა და შინაურულად მიჩნია, ჩამომეხსნა, თორემ სახალინი აქეთ დამრჩებოდა...“ ნიკოს ბიძაშვილის, მოსე ფიროსმანაშვილის ცნობით, ნიკოს სურათიც კი დაუხატავს – „მიტინგი ნაძალადევი“.

სხვა მოგონებები გვიხატავს ნიკოს თანდათანობით დაცემის სურათს. „ღვინო იყო მისი მახრჩობელა, – გვიამბობს ღვინის ვაჭარი მესხიშვილი,

* აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ დარჩენილია ანრი რუსოს მიერ დაწერილი პიესები და მუსიკალური თხზულებებიც კი.

– როგორც ფუტკარმა დილის მანანა აიღოს, ისე უნდა დაევილო ღვინის ღუქნები. თვითონაც დაუქნელ ღვინოსებრ იყო, ერთ ადგილს ვერა დგებოდა. ხან ჭკვიანად მოგეჩვენებოდა, ხან ჭკვაგაფლანგულათ... როდის-ღაც ვუთხარი: – ნიკო, გეყო ამდენი წანწალი, მოდი ჩემთან, მოჯამაგირედ იმუშავე. თვიურ ჯამაგირს დაგინიშნავ, ოთახს, ტანისამოსს მოგცემ, კვირაში ერთხელ აბანო გექნება, დღეში – ჩარქვა ღვინო. გაიჩინე შენთვის ყულაბა და დამშვიდებით იცხოვრე. როცა ჩემი საქმეებიდან მოიცლი, იმხატვრე, არას დაგიშლი. გაიცინა, ბორკილებს ვერ დავიდებო“⁵.

რა თქმა უნდა, ღვინის ვაჭრისთვის ძნელი გასაგები იყო, რომ თვითონ და ის, ვისაც მოჯამაგირეობას სთავაზობდა, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, და თუმცა ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაინც თითქოს სხვადასხვა პლანეტაზე ცხოვრობდნენ.

სართიჭალელი მედუქნე სინკა ციცკრიალაშვილი: „ნიკალა ტანმაღალი და ხმელი კაცი იყო... თმა და წვერი გრძლად ჩამოშვებული ჰქონდა. პაპიროსს ეწეოდა ხშირად, ერთს რომ მოსწევდა, მეორეს უკიდებდა, სულ დაფიქრებული დადიოდა, კაცს არ გაუცინებდა (შეად. სხვა ცნობა: ნიკო „მზიარული კაცი იყო, პირსიცილიანი“, – ეს ბეგო იახსიევის სიტყვებია. – ვ.ბ.); რო ეტყოდნენ, შეგიძლია კარგი რამე დახატო? უპასუხებდა მაღალი ხმით: შვილო, მაშ რის ხელოსანი ვარ, რომ ვერ გადაგხატო, თქვენ ოჯახში რამდენი სულიც იქნებით, სუყველას ერთად დაგხატავთ, თუ თეთრი არაყი იქნებაო. არაყი რო დაგესახელებიათ, მართლაც დაჯდებოდა, ერთს კი შეხედავდა ადამიანს, თითქოს თვალბეზარს კი ხუჭავდა. ნახატები კი სუფთად გამოჰყავდა. ხელში ეჭირა მოსაკეცი დიდი ჩემოდანი, ჩემოდანზე დახატული ჰქონდა ცილინდრიანი დიდი კაცი. რო დაესახელებიათ, ორ ჭიქა არაყზე გაფრენილ ფრინველს დახატავდა“⁶.

ამდგვარია რამდენიმე სხვა პირის ნაამბობიც. მაგრამ როგორ შეეუთანხმოს ერთმანეთს ორი რამე – ერთი მხრივ, ფიროსმანის გაბმული ლოთობა, მეორე მხრივ, მისი დაუცხრობელი შემოქმედებითი შრომა, ის, რომ იგი ქმნიდა კომპოზიციებსა და პორტრეტებს, რომლებიც მოწმობს მათი აგების ღრმად გააზრებას და გამოსახულის არსში ღრმად ჩაწვდომის უნარს? როგორც ჩანს, ეს მოგონებები მაინც ცალმხრივი და ზერელეა.

მაგრამ მათ შორის გვხვდება ზოგი რამ არსებითიც, რაც გვიხატავს ფიროსმანის მუშაობასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს⁷. ერთხელ, ზაფხულის დღეს, დილაადრიან ნიკომ გადაჭიმა მუშაობა და ელოდა ბეგოს დავალებას – რა დაეხატა. ბეგო საგონებელში იყო, რაკი ვერ იგონებდა სიუჟეტს. გავიდა ქუჩაში, იქნებ რამე შესაფერი დავინახო. და უცებ ხედავს „დაჩარდახულ“ ურემს, თელეთში მიმავალი მლოცველებით. ურემს ვერძი ჰყავს გამობმული, უბია წითელი ხარები. წითელხალათა ბიჭი შოლტით ერეკება. ბეგოს ღუქნიდან გამოჰყავს ფიროსმანი, ამ სცენის დახატვას

სთხოვს, „ნიკო ურემს დააცქერდა, დუქანში შებრუნდა და ფუნჯს ხელი დასტაცა. მერე ერთხელ კიდევ ამოვიდა და, როცა შემობრუნდა, არაფერი მომთხოვა... მეორე დღეს სურათი ჩამაბარა – ჭკვიდამ შემშალა, ისე იყო დამზგავსებული“⁷.

ღვინის ვაჭარი მესხიშვილი ივონებს: „რასაც გინდოდა, დაგიხატავდა. საღებავები ჯიბით დაჰქონდა. სპიჩკის კოლოფზე ლომი ეხატა ხოლმე, გახსოვთ? ერთხელ ასეთ კოლოფიდან ლომი გადმომიხატა. რა სურათიც მიგეცათ, მიმსგავსებით დაგიხატავდათ. ბევრი აქვს ასე გადმოხატული წიგნებიდან სხვისი დაკვეთით. სხვათა შორის ჩემი პორტრეტი გააღიდა“ (რა თქმა უნდა, ფოტოსურათიდან)⁸.

დიდად საყურადღებოა სოხაშვილის ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ აბეზრებდნენ თავს ნიკოს შემკვეთნი – ერეოდნენ მის მუშაობაში, დარიგებას აძლევდნენ, ზოგ რისამე დამატებასა და შეცვლას მოითხოვდნენ. ეს ფიროსმანს ძალიან აღიზიანებდა და ზოგჯერ მუშაობას თავსაც ანებებდა, წავიდოდა და გადაიკარგებოდა. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა იძულებული ხდებოდა შეესრულებინა „პატრონების“ მოთხოვნა. სოხაშვილმა აღიარა, რომ ამ მხრივ არც თვითონ იყო უცოდველი: „1913 წელს მე ვახატვინებდი დიდ სურათს „რთველი“... სურათის პლანს (sic!) მე ვაძლევდი. ვატყობდი, რომ ძალიან სწყინდა ჩემი თავზე დგომა და ერთხელ მომიბრუნდა: წადი აქედან, შენ გიყურო, თუ ამასაო. ერთხელ ძლივს დავიყოლიე, რომ დაეპატარავებინა რთველის სურათზე რუმბი.... მეორე ჩემი შენიშვნა იყო დაბალი ხარების გამოყვანაზე. ამის გაგონებაზე ნიკომ დასდო ყალამი და მთელი ერთი კვირა აღარც შემოუხედნია...“⁹ აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ის, რაც თვით ნიკომ უთხრა ილია ზდანევიჩს: „აი, ყველა ჩემს სურათს მიფუჭებენ. მაგალითად, ამ სურათზე დახატულია კურდღელი. რისთვის არის კურდღელი, ვის რად უნდა? მაგრამ ვინც შემიკვეთა, მთხოვა, ჩემი ხათრით დახატე კურდღელიო. მეც ვხატავ, – ჩხუბი არ მინდა. ასე მიფუჭებენ ყველა სურათს“¹⁰. სხვაგან ზდანევიჩი გვიამბობს, ერთი მედუქნე ჩემი თანდასწრებით სთხოვდა ნიკოს, სურათში მთვარე ჩაუმატეო, და ძალიან გააბრაზა.

კირილე ზდანევიჩის წიგნში ფიროსმანის შესახებ რამდენიმე გვერდი აქვს დათმობილი ფიროსმანის ცხოვრებას „ელდორადოს“ ბაღში. ჩემი აზრით, ეს აღწერა რამდენადმე იდილიურ სურათს გვიხატავს. ასეა თუ ისე, „ელდორადოში“ ნიკოს სურათების ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და საინტერესო კოლექცია ჰქონდათ. ბაღის პატრონს ძალიან გაუძნელდა მათი დათმობა. ფიროსმანი მარტო დაზვურ სურათებს კი არ ასრულებდა,

* გ. ლეონიძე, იქვე. საინტერესოა, რომ არსებობს ამ მოთხრობის სხვა ვარიანტიც: ხარები შავია, ვერძის ნაცვლად ურემს ნაგაზი უბია, არის სხვა დეტალებიც; ამ ვარიანტით სურათი უკვე ერთი საათის შემდეგ იყო მზად. კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომ მოწმეთა მოთხრობებს მაინც გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

კედლებზეც ხატავდა. ყველა ეს მოხატულობა დაიღუპა: ზოგი შეათეთრეს ქალაქის სანიტარული ინსტანციების მოთხოვნით – დუქნების კედლები სუფთა უნდა იყოსო; ზოგი თვით შენობებთან ერთად გაქრა, ზოგის საღებავები ჩამოცვივდა; დაიკარგა აგრეთვე აბრების უმეტესობაც. აბრებს ნიკო თუნუქზე ასრულებდა, თუნუქს კი პრაქტიკული საჭიროებისთვის იყენებდნენ, მით უფრო ომის წლებში, რომლის შედეგებმაც კიდევ უფრო დაამძიმა „საწყალი ნიკალას“ ისედაც მძიმე ცხოვრება.

IV. მხატვარი ფიროსმანი „აღმოაჩინეს“ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე. როგორც ღვინახეთ, გარკვეულ წრეებში თბილისის მკვიდრთა გარკვეულ სოციალურ ფენებში, იგი უკვე კარგა ხანია ცნობილი და პოპულარული იყო, შეიძლება ითქვას, რომ მას აფასებდნენ კიდევ: რაკი მისი სურათები ღვინის სარდაფებში მოქეიფეთ მოსწონდათ, დუქნების მეპატრონეების მოთხოვნაც გარანტირებული იყო. ამ წრეებში, რა თქმა უნდა, არ სჭირდებოდათ ფიროსმანის აღმოჩენა. მაგრამ „კულტურული ფენები“, ინტელიგენცია (შემოქმედებითი ინტელიგენცია) ფიროსმანს ან არ იცნობდა, ან ვერ ამჩნევდა.

იგი „აღმოაჩინეს“ ძმებმა ზდანევიჩებმა – მხატვარმა კირილემ და პოეტმა ილიამ (დელით ქართველებმა და საქართველოში დაბადებულებმა)*⁸; და მათმა ამხანაგმა მხატვარმა მიხეილ ლე-დანტიუმ; მალე მისი სურათების გამოვლინებისა და თავმოყრის „კამპანიაში“ ჩაერთნენ ახალგაზრდა ქართველი მხატვრებიც – დიმიტრი შევარდნაძე, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, მიხეილ ჭიაურელი, სრულიად ახალგაზრდა პოლონელი მხატვარი ზიგა (სიგიზმუნდ) ვალიშევსკი, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა, პოეტი კოლაუ ჩერნიავსკი, იურისტი და ჟურნალისტი სანდრო ყანჩელი.

კირილ ზდანევიჩის ნაამბობი: ის და მისი ამხანაგი ლე-დანტიუ, ორივენი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, და მისი ძმა ილია, უნივერსიტეტის სტუდენტი, 1912 წლის ზაფხულზე არდადეგების დროს, ჩამოვიდნენ თბილისში. მათ განზრახული ჰქონდათ „ეტიუდების შესრულება, ხუროთმოძღვრების შესწავლა (ილია გულგრილად ვერ ლაპარაკობდა საქართველოს დიდებული ტაძრების შესახებ), ლექსების შეთხზვა, ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვება... 1912 წლის ზაფხულის დასაწყისის ერთ საღამოს მოხდა ამბავი, რომელიც დღევანდელ დღემდე მალელებს, მახარებს და გულს მითბობს. მე ღვინახე უცნობი მხატვრის სურათები...

ერთ საღამოს ჩვენ სამნი, ქალაქში ხეტიალის დროს, სადგურის მოედანთან მივედით, უკვე საღამოს ბინდი იყო... ჩვენი ყურადღება მიიპყრო

* მამა – მიხეილ ანდრეას ძე საქართველოში ჩამოსახლებულ პოლონელთა შთამომავალი, პედაგოგი, გიმნაზიაში ასწავლიდა ფრანგულ ენას. დედა – ვალენტინა კირილეს ასული გამყრელიძე განათლებით მუსიკოსი იყო (გ.მ.).

სამიკიტრო „ვარიაგის“ აბრამ – ზედ გამოხატული იყო ბრძოლა ზღვაზე... შესასვლელში – ჩვეულებრივი, გემოვნებით გაწყობილი ვიტრინა... სიღრმეში, დახლთან, იდგა მსუქანი მელქენე. შესვლისას დავინახეთ კედელზე უწესრიგოდ დაკიდული სურათები... წარმოსადგევი, გრძელულვაშა მამაკაცი, ხელში ღვინით სავსე ყანწით. მკაცრად გვიყურებდა დიდი შავი თვალებით.... ჩვენ წარმოგვიდგა მხატვრობა, რომელიც სრულებით არ ჰგავდა იმას, რაც ამგვარ დაწესებულებებში გვენახა“. გაოცებული ახალგაზრდები აკვირდებიან სურათებს, ეკითხებიან სამიკიტნოს პატრონს მათი ავტორის შესახებ, იგებენ მის გვარს, მისი მისამართის გაგებაც სურთ.

„ეკ, საწყალი, – უპასუხებენ მათ, – უკვე მრავალი წელიწადია ოთახი აღარა აქვს, მოხეტიალე კაცია, აიღებს საღებავების ყუთს და მიდის, და სად მიდის – ვერაფერ ვერ გეტყვით“.

აღტაცებული ახალგაზრდები იწყებენ ძებნას.

ილია ზდანევიჩის დღიურიდან: „მხატვარი მოვძებნეთ. მივუახლოვდით ერთ სახლს მალაკნების ქუჩაზე, იქ დაგვანახეს ნიკო, რომელიც ტროტუარზე იდგა. ფუნჯით კედელზე აკეთებდა წარწერას „სარძევე“, შემობრუნდა, დიდი ღირსებით დაგვიკრა თავი და განაგრძო მუშაობა, დრო და დრო რეპლიკებს გვაწოდებდა... თეთრ კედელთან იდგა მხატვარი, რომელსაც დახეული შავი პიჯაკი ეცვა, ფეტრის ქუდი ეხურა, ტანმალაღი, მშვიდი და დამოუკიდებელი, მაგრამ რაღაც ფარული სევდა კი ეტყობოდა“... ახალგაზრდებმა ნიკო სასადილოში დაპატიჟეს, გაესაუბრნენ, თავიანთი აღტაცება გამოთქვეს მისი შემოქმედების გამო, უთხრეს, თქვენი სურათების შეგროვება გვინდაო, უთხრეს, აგრეთვე (ასე ჰყვება კირილე ზდანევიჩი ნახევარი საუკუნის შემდეგ), რომ ის ახალი ქართული ხელოვნების გზებს სხავს, და ბევრი სხვა რამეც. აღელვებული ნიკო კი მათ თავისი ცხოვრების შესახებ უამბობს.

ახალგაზრდები მართლაც მაშინვე ენერგიულად შეუდგნენ საქმეს.

კითხვა-კითხვით დაადგინეს ფიროსმანის სურათთა მფლობელების უმეტესობის ვინაობა, შეადგინეს სია იმ დუქან-სამიკიტნოებისა, სადაც სურათები ეგულვებოდათ, და დაიწვეს მოლაპარაკება მათი შეძენისათვის. მათ შეუერთდნენ ვალიშევსკი, ჩერნიავსკი, გუდიაშვილი, ჭიაურელი, შევარდნაძე. ისინი ხვდებოდნენ სხვადასხვა ჯურის ადამიანებს. ზოგი მათ კარგად ხვდებოდა, ზოგი ეჭვის თვალთ უყურებდა, ზოგნი ადვილად თმობდნენ ნიკოს სურათებს, სხვები – რაკი ნიკალას შემოქმედებისადმი განსაკუთრებული ინტერესი იგრძნეს – ცდილობდნენ ხელი მოეთბოთ, ზოგს კი მართლაც ენანებოდა სურათების გაყიდვა, იმიტომ რომ მიეჩვივნენ იმ სურათებს, უყვარდათ ეს სურათები¹¹.

ძმები ზდანევიჩები და ლე-დანტიუ, არდადეგების შემდეგ პეტერბურგში დაბრუნებისას, გზად მოსკოვში შეჩერდნენ. „მოხსენებამ ფიროს-

მანის შესახებ და ლე-დანტიუს მიერ მისი ორი სურათის ჩვენებამ მოსკოვის მხატვართა და ხელოვნების მოყვარულთა ერთ ნაწილში სენსაცია გამოიწვია¹². გადაწყდა მისი სურათების გამოფენის მოწყობა მოსკოვში. ლე-დანტიუ აქვეყნებს წერილს მის შესახებ პარიზის ერთ-ერთ გაზეთში, ზოლო ილია ზდანევიჩი, მომდევნო 1913 წელს, – თბილისის რუსულ გაზეთ „ზაკავკასკაია რეჩი“. წერილში ჩამოთვლილია, რომელ სამიკიტნოებში აქვთ ნიკოს სურათები (და, სახელდობრ, რომელი სურათები), ნამბობია მხატვრის მძიმე მდგომარეობის შესახებ. „მისი მისამართია: სარდაფი „კარდანახი“, მალაკნების ქუჩა, 23. იქნებ ვინმე დაინტერესდეს მისი ბედით და თანაუგრძნოს მას“, – ასე მთავრდება წერილი. 1913 წელს ილია ზდანევიჩმა მიიღო წერილი მოსკოვიდან, „ლუჩინის“ სახელგანთქმული დამფუძნებლის, მხატვარ მიხეილ ლარიონოვისაგან, რომელიც მაშინ გამოფენას ამზადებდა. „ჩვენთან გამოდის, – წერდა იგი, – კრებული ბოლო ორი წლის მოსკოვური გამოფენებისა და მათი მონაწილე მხატვრების შესახებ. უმორჩილესად გთხოვთ, მომაწოდოთ წერილი გონჩაროვას და ნიკო ფიროსმანის ახალი ფერწერის შესახებ... საგამოფენოდ ვიმოვით ახალი შენობა, ზემო შუქით. ძალიან გთხოვთ, გამომიგზავნოთ თქვენი ძმის სურათები, აგრეთვე, რაც შეიძლება ბევრი სურათი არაჩვეულებრივი ნიკო ფიროსმანისა (ძალიან შეგვიყვარდა), აგრეთვე, მისი შესანიშნავი აბრები“¹³.

იმავე წელს ილია ზდანევიჩმა ნიკოს თავისი პორტრეტი შეუკვეთა, ნიკო ნატურით ხატავდა. ოქტომბერში ფიროსმანის სურათების გამოფენა მოეწყო მოსკოვში, მომდევნო წელს ისინი კიდევ ერთხელ გამოფინეს, მაგრამ, კ.ზდანევიჩის სიტყვით, ამით ნიკოს ნივთიერი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ჯერ 1912–13 წლებში, შემდეგ 1916–ში, მას შემდეგ, რაც კ.ზდანევიჩმა თბილისში, თავის სახელოსნოში მისი სურათების ერთ-დღიანი გამოფენა გამართა¹⁴, თბილისის ქართულსა და რუსულ პრესაში კიდევ ჩნდება წერილები ფიროსმანის შესახებ, გაზეთ „სახალხო ფურცლის“ სურათებიან დამატებაში ბეჭდავენ მხატვრის ფოტოსურათს და რეპროდუქციას მისი სურათისა „უწინდელი საქართველოს ქორწილი“.

რა თქმა უნდა, ფიროსმანის „აღმოჩენა“, მისდამი განსაკუთრებული ინტერესის გაჩენა, მისით გამოწვეული აღფრთოვანება (რომელსაც ყველა არ იზიარებდა) არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს. შემთხვევითი ის იყო, რომ იგი სწორედ 1912 წელს შენიშნეს, და არა ერთი ან ორი წლით ადრე, ან რამდენიმე წლით გვიან. მთავარი ისაა, რომ ფიროსმანის „აღმოჩენისა“ და დაფასების დრომ მოაწია, მომწიფდა როგორც ეროვნული ასპექტით, ისევე „საერთოდაც“, ამ ასპექტის გარეშე. ჩვენი საუკუნის ათიანი წლები ხომ ის დროა, როდესაც განსაკუთრებული გამამაგებით უარყოფდნენ და „ანგრევდნენ“ ძველს, XIX საუკუნის ხელოვნე-

ბაში ჩამოყალიბებულს, დროა დუდილისა, ახლის ძიებისა – შეეხებოდა ეს საკუთრივ ფერწერას, შინაარსს, თუ „წმინდა“ ფორმას; ეს არის დრო, როცა თავბრუდამხვევი სისწრაფით იბადება, ხან ერთმანეთს ცვლის, ხან კი თანაარსებობს ახალი მიმართულებები და დაგვიფუფებები. ევროპული ხელოვნება (რუსულის ჩათვლით) ათიოდე წლის მანძილზე გაივლის გზას ფოვიზმიდან და სეზანიზმიდან ფუტურიზმამდე, კუბიზმამდე და აბსტრაქციონიზმამდე, რომლებიც ერთდროულად იშვა 1900-იანი და 1910-იანი წლების მიჯნაზე. ასევე დამახასიათებელია გატაცება პრიმიტიული და ხალხური ხელოვნებით (შორეულითაც, ეგვიპტურიც და საკუთართითაც), რომლისკენაც მიისწრაფიან თანამედროვე „მოხერხებული“ ცივილიზაციისგან თავის დასაღწევად. ლარიონოვმა, ფიროსმანის თაყვანისმცემელმა, სწორედ მაშინ, 1900-იანი წლების ბოლოს, განვლო პრიმიტივისტული პერიოდი; შეიძლება გაგვეხსენებინა რუსული და დასავლური ხელოვნების ბევრი სხვა ოსტატიც, რომელთაც ხარკი გადაუხადეს პრიმიტივიზმს. ძმები ზდანევიჩები და ლე-დანტიუ, აგრეთვე, უახლეს მიმდინარეობათა მიმდევრები იყვნენ, „უარყოფელი“ და „დამამგრეველი“, და თითქოს ავტომატურად უნდა ყოფილიყვნენ გატაცებულნი „სალი“, „პირველქმნილი“ ხელოვნებით.

აი, მაშინდელ მისწრაფებათა და განწყობილებათა დამახასიათებელი სტრიქონები ერთი წერილიდან, რომელიც 1916 წელს 16 მაისს დაიბეჭდა გაზეთ „კაკაზში“ სახელწოდებით: „ქართველი პრიმიტივისტი“ (ავტორი – გარი გოლანდი; ეს ფსევდონიმი უნდა იყოს): „მხატვრული ხედვა მოიქანცა ფილიგრანობით და დახვეწილობით, მაქმანისებრი ხლართვით და დეტალური დასრულებულობით. და, აი, ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგება სახე „პირველქმნილი ბუნებისა“: ამ „პირველქმნილობაში“ არის რაღაც უსაზღვროდ უბრალო, მაგრამ, იმავე დროს, უსაზღვროდ ღრმაც... როგორ არ უნდა დაემორჩილო ამ მომხიბვლელობას, როდესაც ყველაზე უბრალოსა და ყოველდღიურის ფონზე ერთბაშად გაიელვებს „ბუნების გენიალურობა“, ყოვლის შემძლე და ძლევამოსილი... პრიმიტივიზმი ხელოვნებაში არის მისწრაფება, გადმოგვცეს ბავშვურად უბრალოდ ბუნების გენიალობის „გამომსახველობის ძალა“... ნიკო ფიროსმანაშვილიც პრიმიტივისტია. თანამედროვე პრიმიტივისტებისაგან მას მხოლოდ ის განასხვავებს, რომ მისთვის უცხოა თანამედროვეობის რაიმე ძიება.*9

განსაკუთრებული იყო ფიროსმანისადმი ქართველ მხატვართა ახალგაზრდა თაობის დამოკიდებულება. იგი ჩამოყალიბდა არა მარტო ფიროსმანის, მხატვრის „პირადი“ ღირსებების წყალობით, არამედ იმ პრობ-

* დასანანია, რომ არა მარტო მაშინ, არამედ დღესაც, ლიტერატურაში ხშირად ვერ განასხვავებენ „პრიმიტივისს“ და „პრიმიტივისტის“ ცნებებს, თუმცა მათ შორის არსებითი განსხვავებაა. მიუხედავად იმისა, მიიჩნეოთ თუ არა ფიროსმანს „პრიმიტივად“, „პრიმიტივიზმთან“ მას არაფერი აქვს საერთო.

ლემებისა და ამოცანების გამოც, რომლებიც მაშინ, რევოლუციის წინა ხანებში, წამოიჭრა ქართული ხელოვნების წინაშე. ეს ზომ ის ხანა იყო, როცა ქართული ხელოვნება, ისევე როგორც კულტურის სხვა დარგებიც, ეროვნული აღორძინებისთვის ემზადებოდა.

ქართულმა ფერწერამ მხოლოდ ერთი (XIX) საუკუნის მანძილზე გაიარა გზა შუა საუკუნეებიდან (ფრესკები, ხატები, მინიატურა, რომელთაც შუა საუკუნეთა ხელოვნების ყველა პირობითობა ახასიათებდა) – თანამედროვეობამდე, ევროპული ტიპის რეალისტურ დაზგურ სურათამდე, ახალ შინაარსამდე, რომელიც ასე თუ ისე, რეალურ ცხოვრებასა და სოციალურ პრობლემებს ასახავდა. ეს ევოლუცია, დაკავშირებული ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ საფუძვლიან ცვლილებებთან, სავსებით კანონზომიერი, აუცილებელი და გარდაუვალი იყო: იმისათვის, რომ ეარსება და ახალ პირობებში განვითარებულიყო, ქართულ ხელოვნებას თავი უნდა დაეღწია შუა საუკუნეების ესთეტიკური ნორმების ბორკილებისაგან, ევროპასა და რუსეთთან შედარებით უნდა დაუფლებოდა, გვიან, რენესანსული გაგებით რეალისტური ხელოვნების კანონებსა და ხერხებს. მაგრამ ქართველ ფერმწერთა მომდევნო თაობა, ის, რომელიც ფიროსმანის ხელოვნებას პირისპირ შეხვდა, ახალ ამოცანებს ისახავდა, კერძოდ, არა მხოლოდ ზიარებოდა ევროპისა და რუსეთის ხელოვნების უახლეს მიმდინარეობებს, არამედ შეგნებულად მოეძებნათ აგრეთვე ეროვნული ფორმა, რაც თავისთავად სათანადო „ფესვებისა“ და ნიადაგის ძიებას გულისხმობდა.

ზემოთ მოვისხენიეთ კ.ზდანევიჩის მოგონება, – მან, მისმა ძმამ და ლე-დანტიუმ რომ უთხრეს ფიროსმანს, ქართულ ხელოვნებაში ახალი გზების დამსახველად მიგვაჩინებოდა.

და, აი, რას წერდა 1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“, ზდანევიჩებთან მოწყობილ გამოფენასთან დაკავშირებით, მოსე თოიძე, პეტერბურგის აკადემიაში აღზრდილი, ქართველ მხატვართა უფროსი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი (თუმცა მაშინ სულ 45 წლის იყო): „ზოგიერთისათვის ეს გამოფენა უღირსი და სასაცილო იყო... მაგრამ ჩემის აზრით ნ.ფიროსმანაშვილი ისეთი ძლიერი პიროვნებაა, ისე ძლიერად სცემს მისი გული ეროვნული თავისებურობით, რომ არა თუ უნდა გვრცხვენოდეს მისი ნახატების გამოფენის, ჩემის აზრით, მასში უნდა ვეძიოთ ნიადაგი, როგორც დაუშუშავებელ ოქროს მადანშია. თუ გვინდა, რომ ქართული მხატვრობა სრულიად არ ჩაინთქეს ევროპული ხელოვნების რეფლექსებში, არ იქცეს მხოლოდ და მხოლოდ სხვა ეროვნებათა ხელოვნებათა უმნიშვნელო, დაგვიანებულ მეთე და მეოცე კოპიოდ... სანამ ხალხს კიდევ შეუნახავს თითო-ოროლა ძლიერ პიროვნებაში თავისებური სტილი, ხასიათი, თავისებური ფორმები შემოქმედებისა, უნდა დავეწაფნეთ, აქაა ჩვენი ძალა, სიცოცხლე“. ამას წერდა მხატვარი, რომელიც მთლიანად სრულია-

დაც არ სცნობდა ფიროსმანის შემოქმედებას, მხატვარი, რომელიც მიუხედავად შუქისა და ფერის სპეციფიკური პრობლემებით დაინტერესებისა, ფრიად შორს იდგა თანამედროვე მემარცხენე მიმდინარეობათაგან, მხატვარი ტრადიციული რეალისტური სკოლისა¹⁵.

აზრი ფიროსმანისადმი დამოკიდებულებისა და ქართული მხატვრობისთვის მისი მნიშვნელობის შესახებ ცოტა მოგვიანებით, მაგრამ ყველაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბა ახალი თაობის დიდმა ქართველმა მხატვარმა დავით კაკაბაძემ. დავითი ერთი იმათგანი იყო, ვინც თანმიმდევრულად და უკომპრომისოდ სვამდა საკითხს ქართული ეროვნული ხელოვნების მომავალი ბედ-იღბლის შესახებ (კაკაბაძე ხომ, ჩვენი ეროვნული პეიზაჟის შემქმნელი, იმავე დროს ევროპული აბსტრაქტული მხატვრობის თვალსაჩინო წარმომადგენელიცაა. ეს იყო მეორე, პარალელური ხაზი მისი შემოქმედებისა). მას მიაჩნდა, რომ რამდენადაც ქართველ მხატვართა უფროსმა თაობამ ძალ-ღონე ევროპული ფორმების დაუფლებას შეაღწია. „ამიტომ, თუმცა საქართველოს ფარგლებში მუშაობდნენ, მათი სული ვერ სწვდებოდა ქართულ ცხოვრებას და ადგილობრივ პირობებს“. რომ, მეორე მხრივ, ახალი ხელოვნების შექმნის თვალსაზრისით, არც ძველი ფორმების მიბაძვა, არც მათი ინტერპრეტაცია არ შეიძლება ნაყოფიერი იყოს. დ.კაკაბაძე ასკვნის: „ახალი მხატვრობის ცოცხალი სახე ნიკო ფიროსმანაშვილია... მისი შემოქმედება ქართულ სინამდვილესთან არის დაკავშირებული. მისი მიზანი არასოდეს ყოფილა რომელიმე მხატვრული მეთოდის გადმოცემა, არამედ მხატვრულ ფორმებში იმ ცხოვრების ჩამოყალიბება, რომელსაც განიცდიდა.... არც ეროვნულ და არც ტრადიციულ ხელოვნებაზე ნიკო ფიროსმანს განზრახული ფიქრი არ ჰქონია... მისი შემოქმედება უადრესად ეროვნულია და, იმავე დროს, საერთო, საკაცობრიო... ნიკო ფიროსმანის გზა საუცხოო ნიმუშია ჩვენი ახალი ხელოვნებისათვის“¹⁶.

არც დ.კაკაბაძე, არც მისი თაობის სხვა მხატვრები, რომელნიც ასევე დიდად აფასებდნენ ფიროსმანს, სრულიად არ მოუწოდებდნენ, რომ მისი მიმდევრობისა და, მით უფრო, მიმბაძველობისაკენ. ამას ადასტურებს თვით მათი საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკა. ფიროსმანი მათ სწორედ იმით ხიბლავდა, რომ არც რაიმე რეცეპტების მიხედვით ქმნიდა და არც იმას ფიქრობდა, „ეროვნულ“ ნაწარმოებთ ვქმნიო; ის ქმნიდა ორგანულად, ბუნებრივად, „შიგნიდან“, თითქოს უშუალოდ ამოზრდილს მშობლიური ნიადაგიდან.

„ნასწავლი“ მხატვრები, სწორედ ამ თავისი „ნასწავლობის“ გამო, მოკლებულნი ასეთ უშუალობას, მაგრამ მშობლიური ხელოვნების განვითარების ახალ გზათა მაძიებელნი, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ მოეკიდებოდნენ ფიროსმანს, მისკენ მათ გული მიუწევდათ, როგორც მაცოცხლებელი წყაროსკენ; და, მიუხედავად იმისა, რამდენად „ისტორი-

ული“ იყო მათ მიერ ფიროსმანისა და ქართული ფერწერის განვითარებაში მისი ადგილის შეფასება, მის შემოქმედებასთან შეხვედრას მათთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ზოგიერთი მათგანისათვის კი ეს შეხვედრა შემდგომი დამოუკიდებელი მოღვაწეობის ბიძგადაც იქცა. იმავე დროს, ეს შეხვედრა დამახასიათებელი და ნიშანდობლივი იყო ახალი ქართული ხელოვნების ისტორიის იმ ეტაპისთვის.

V. 1916 წელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფიროსმანის ბიოგრაფიაში არა მარტო იმიტომ, რომ ზღანვეიჩების სახელოსნოში მისი გამოფენა მოეწყო, არამედ იმიტომაც, რომ პრესაში მის შესახებ რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა. 1916 წელს, მიუნხენიდან ახლად დაბრუნებული დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით, დაარსდა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული კადრების შემოკრებას, ხელოვნების პოპულარიზაციას, აგრეთვე „ძველი ქართული ხელოვნების ნაშთების შეგროვებას, დაცვას და შესწავლას“¹⁷. საზოგადოების წევრთა სიაში დ.შევარდნაძეს უწერია ფიროსმანიც, რომლის შემოქმედებაც მან იმთავითვე დააფასა; შემდეგ კი ძალიან ბევრი რამ გააკეთა ნიკოს სურათების თავმოსაყრელად მის მიერვე დაარსებულ სურათების გალერეაში.

საზოგადოებამ გადაწყვიტა თავის კრებაზე მიეწვია ფიროსმანი.¹⁸ ეს დაევაღათ ლადო გუდიაშვილსა და გიგო ზაზიაშვილს, რომელთაც კითხვა-კითხვით ძლივს მიაგნეს მას. ამ შეხვედრის შესახებ დარჩენილია რამდენიმე მოთხრობა. შეხვედრის მონაწილეთა სიტყვით, ნიკო დიდად ნასიამოვნები დარჩა ამ მოწვევით, თუმცა ამყად განაცხადა, ახლა მე საფრანგეთშიც მიცნობენო (გულისხმობდა ლე-დანტიუს წერილს). ჩუმიად ისმენდა შეკრებილთა სიტყვებს. შემდეგ კი თქვა, კარგი იქნებოდა, სადმე, ქალაქის ცენტრში, აგვეშენებინა ხის სახლი მხატვრებისთვის, შეგვიძინა დიდი სამოვარი, შევიკრიბებოდით ჩაის დასალევად და ვისაუბრებდით ხელოვნებაზეო. კრების დროს მისი სახე ფანქრით ჩაიხატეს იაკობ ნიკოლაძემ, მხატვრებმა ალექსანდრე მრეველიშვილმა და შალვა ქიქოძემ, კრების შემდეგ კი სთხოვეს ეამზნა თავის შესახებ, მისცეს მცირე თანხა დახმარების სახით. მან თქვა, ამ ფულით საღებავებს ვიყიდი, სურათს დავხატავ და „საზოგადოებას“ მოვართმევო. რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც მიიტანა „უწინდელი საქართველოს ქორწილი“. შემდეგ წაიყვანეს ფოტოგრაფ კლართან და გადაუღეს ამჟამად საყოველთაოდ ცნობილი სურათი. ამ შეხვედრის შემდეგ დაიბეჭდა „სახალხო ფურცელში“ მისი პორტრეტი და ხსენებული სურათის რეპროდუქცია, რამაც ნიკო ძალიან გაახარა. სამწუხაროდ, რამდენიმე კვირის შემდეგ იმავე გაზეთმა, სრულიად გაუგებარი მიზეზით, გამოაქვეყნა კარიკატურა: ნიკო დგას მოლბერტთან – ფეხშიშველა, ჩამოკონკილი, სახედამწუხრებული – და ხატ-

ავს თავის „ჟირაფს“. მის გვერდით დგას გრიგოლ რობაქიძე, რომელიც მას ეუბნება: „უნდა ისწავლო, ძმობილო! შენს ხანში მყოფს კიდევ ბევრის შექმნა შეუძლია... ორფიულის... ერთი ათი-ოცი წლის შემდეგ კარგი მხატვარი გამოხვალ... აი მაშინ გაგაზავნით ახალგაზრდათა გამოფენაზე“. კარიკატურამ შეაძრწუნა თავმოყვარე ფიროსმანი, იგი აღლევებული მივარდა გიგო ზაზიაშვილთან, სთხოვა მას დაეხსნა ახალი ნაცნობებისგან, რომელთაც საჯაროდ შეარცხვინეს, თუმცა „საზოგადოება“ და მისი ახალგაზრდა წევრები, რომელთაც მისთვის გულწრფელად სურდათ სიკეთე, აქ არაფერ შუაში იყვნენ.¹⁵ „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ“ ამის შემდეგაც რამდენიმეჯერ გამოიტანა დადგენილება მხატვრისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, ფულსაც უგზავნიდა იმავე ლადო გუდიაშვილის ხელით. ლადომ გულთან განსაკუთრებით ახლო მიიტანა ყველაფერი, რაც ნიკოს შემოქმედებასა და პიროვნებას ეხებოდა. უფრო გვიან გუდიაშვილმა რამდენიმეჯერ გამოაქვეყნა მოგონება ფიროსმანთან უკანასკნელი შეხვედრის შესახებ, როცა მხატვარი უკვე ძალიან მოშვებული, თავგზააბნეული იყო და სადღაც კიბის ქვეშ ცხოვრობდა, ჯურღმულში. ბიჭბუჭები დასცინოდნენ, ქვებს ესროდნენ, ის კი მუშაობას განაგრძობდა. გუდიაშვილთან საუბრის უმთავრესი თემაც მხატვრობა იყო, თუმცა კაცი ადვილად მიხვდებოდა, რომ მას ლუკმა-პური ენატრებოდა.

ეს, როგორც ჩანს, 1917-ში იყო. ამის შემდეგ, მიუხედავად არაერთი ცდისა, გუდიაშვილმა მას ვეღარ მიაკვლია. 1919 წელს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ“ თავის პირველ გამოფენაზე მისი 8 სურათი წარმოადგინა, მაგრამ მხატვარი გამოფენის ნახვას ვეღარ მოესწრო – 1918 წელს გარდაიცვალა. ოთხი წლის შემდეგ, 1922 წელს გიორგი ლეონიძემ ჩაიწერა მეჯღანე არჩილ მაისურაძის ნაამბობი ნიკოს უკანასკნელი დღეების შესახებ: სიცოცხლის ბოლოს მალაკნების ქუჩაზე დაბრუნებულა, ვინმე აბაშიძის დუქანში შოულობდა ორიოდ კაპიკს... ერთხელ, ავადმყოფობისგან დასუსტებული, ცივ იატაკზე დაწოლილა სარდაფში და ვეღარც წამოდგარა, „ორი-სამი დღის შემდეგ შემთხვევით ჩაველი შიგ და თითქმის წყვილიაღმი წავაწყდი, ვიღაც მწარედ კვნესოდა. მე შევეკრთი და შევძახე: – ვინა ხარ? გაისმა კვნესა და ხმაზედ მაშინვე ვიცანი ნიკალაი. მან კი ვეღარ მიცნო. მხოლოდ ძლივს მოახერხა რამდენიმე სიტყვის თქმა: – ცუდად გავხდი, სამი დღეა აქ ვწევარ და ვეღარ ავდექიო! მე მაშინვე ეტლი მოვიყვანე და რაკი თვითონ არ მეცალა, ეტლში ჩაუჯდა განსვენებული ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი და წაიყვანა მიხეილის თუ არამიანცის (არ ვიცი) საავადმყოფოში. ეს კია, საწყალი დღენახევარში გათავებულყო“. მაისურაძისავე სიტყვით, ეს აღდგომა დღეს მომხდარა. ისიც და სხვებიც ამოწმებენ, რომ ნიკო დამარხულა უპატრონო მკვდართა შორის კუკიის სასაფლაოზე¹⁶. მაგრამ ფიროსმანის საფლავის მოძებნა არ

მოხერხდა, თუმცა სხვადასხვა მოსაზრება იყო გამოთქმული და ერთხელ რომელიღაც ჩონჩხიც ამოთხარეს... მაგრამ ჩონჩხი ქალისა აღმოჩნდა.

შემდეგ კი ნათელი გახდა, რომ საფლავის ძებნას აზრიც არა აქვს, ეს ვერაფერს შემატებდა სევდიან, თუმც კი პოეტურ ლეგენდას მხატვარი ნიკო ფიროსმანის შესახებ.

*მეორე ნაწილი და ილუსტრაციები
ჟურნალის მომდევნო ნომერში დაიბეჭდება.*

შენიშვნები

1. ნ. კობიაშვილი. ისევ ფიროსმანზე: გაზ. „კომუნისტა“, 1985, 24.VIII.
2. ვ. ბუთლიაშვილი. ნიკო ფიროსმანი: ჟურნ. „დროშა“, 1926,5, გვ.20,19.
3. გ. ლეონიძე. ცხოვრება ფიროსმანისა: „მნათობი“, 1938, 6, გვ. 193.
4. გ. ლეონიძე. ცხოვრება ფიროსმანისა: „მნათობი“, 1931, 3, გვ. 227–228.
5. იქვე.
6. ვას. არჩუაძე. ნიკო ფიროსმანი. მასალები ბიოგრაფიისთვის: გაზ. „ბახტრიონი“, 1922, 16.IX. 15.
7. გ. ლეონიძე, იქვე.
8. იქვე.
9. ე. მენთეაშვილი. ნიკო ფიროსმანი: გაზ. „ბახტრიონი“, 1922, 17.
10. კ. ზდანევიჩი. ნიკო ფიროსმანაშვილი. თბილისი, 1963, გვ. 32. იხ. აგრეთვე, გ. ლეონიძე. ცხოვრება ფიროსმანისა: „მნათობი“, 1938, 6, გვ. 182.
11. იქვე, გვ. 18,19,20. აქ და მომდევნო გვერდებზე ნაამბობია ფიროსმანის აღმოჩენისა და შემდგომი ამბების შესახებ. ძალიან საყურადღებოა აგრეთვე დიმიტრი შევარდნაძესთან საუბრის ჩანაწერი, გამოქვეყნებული გაზეთ „ბახტრიონში“ (რედაქტორი გ. ლეონიძე იყო), 1922 წლის 28. VIII.: „ბიოგრაფიული ცნობები“. აქ ნაამბობია დ. შევარდნაძის პირველი „შეხვედრა“ ფიროსმანის სურათებთან, ქართველ ხელოვანთა საზოგადოებაში მისი მიწვევის კარგად ცნობილი ამბავი, შემდეგ – მისი სურათების აღმოჩენა–შეძენის პერიპეტეები: „... განვიზრახეთ მისი სურათების შეკრება და თავის მოყრა და შევუდექით კიდევ (მე და გოგოლაშვილი) განზრახვის სისრულეში მოყვანის საკუთარი თანხით. დავდიოდით სარდაფებში და დუქნებში, რომლებიც მოფენილი იყო მისი სურათებით. ამასთანავე არსენიძის ინიციატივით დავით ქებაძემ შემოსწირა ფიროსმანაშვილის სურათების შესაკრებად 4000 მანეთი. ამ თანხით შეძენილ იქნა 20-მდე სურათი. უნდა აღინიშნოს, რომ მიკიტნები არ ელვოდნენ მის სურათებს და ზშირად წინააღმდეგნიც იყვნენ სრულიად მოყვიდნათ ჩვენთვის. ამ შემთხვევაში დაუფასებელი დახმარება აღმოგვიჩინეს ბენია ჩხიკვიშვილმა და რეჟისორმა ალ. წუწუნავამ. მაგონდება ასეთი შემთხვევა: ერთი მიკიტანი, რომელსაც ძვირფასი კოლექციის აღმოაჩნდა ნიკოს სურათებისა, წინააღმდეგი გახდა მოყვიდა ივანი. მხოლოდ ბენიას დამუქრებამ გასჭრა. დამუქრება კი სამიკიტნოს დახურვაში გამოიხატებოდა. მე-მიკიტნემ არ დაივიწყა ეს და, როდესაც დუქნებს გადასახადი დაადეს, იგი მივიდა ბენიასთან და უთხრა – უნდა ამინაზღაუროთ ახლა ფიროსმანის სურათებო. ითხოვდა

გადასახადისგან გათავისუფლებას და კიდევაც მიაღწია მიზანს. საერთოდ სურათების ჩამორთმევამ დიდი მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება გამოიწვია მიციტანთა შორის და დამფუძნებელ კრებაშიც კი აღძრეს ეს საკითხი, თუმცა უშედეგოდ¹. ამ საუბარში, რომელიც მას შემდეგ არასოდეს არ გამოქვეყნებულა და ამიტომ ბევრს აღარავის ახსოვს, ორი ნაკლებად ცნობილი (უფრო სწორად, უცნობი) ფაქტია: ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა (წნიკვიშვილი, არსენიძე) ჩარევა ფიროსმანის ბედში და შეძლებულ ქართველთა (დ. ქებაძე) მონაწილეობა მისი სურათების გადარჩენა-შექენაში ამ „მოძრაობის“ პირველ საფეხურებზე.

„ბახტრიონის“ ეს ნომერი (1922 წლის 8) მთლიანად ფიროსმანისადმი მიძღვნილი. დ. შევარდნიძესთან საუბრის გარდა, მოთავსებულია ნიკოს პორტრეტი, დახატული კ. ზდანევიჩის მიერ, დაბეჭდილია გრ. რობაქიძის, ტ. ტაბიძის, კ. ზდანევიჩის, გ. ლეონიძის წერილები. არის აგრეთვე ცნობა – ფიროსმანზე მონოგრაფიას ამზადებს ტიციან ტაბიძე – წიგნი (დასურათებული) შემოდგომის დამლევს გამოვაო. რატომდაც ეს მონოგრაფია არ გამოსულა. დაბეჭდილია აგრეთვე ოქში ქართველ ხელოვანთა საზოგადოების კრებისა 1916 წლის 15.11, რომელმაც განიხილა „საკითხი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების გამოკვლევა-შეძენის, მისი ბინადრობის აღმოჩენისა და ცნობების შეკრებისა“.

12. К. Зданевич. Нико Пироманашвили. Тбилиси, 1965, с.24.

13. იქვე, გვ. 30.

14. იქვე, გვ. 40.


15. მოსე თოიძე. ნიკო ფიროსმანაშვილი და მისი ნახატები: გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, 579, 21V.

16. დ. კაკაბაძე. ხელოვნება და სივრცე. პარიზი, 1924–25 წლები, პარიზი, 1926, გვ. 24. უფრო ადრე მსგავსი აზრი დ. შევარდნიძემაც გამოთქვა: „აღსანიშნავია, რომ ქართული აკადემიური მხატვრობა გულცივად შეზდა მას და ტენიკა დაუწუნა. ჩემი აზრით კი იგი იყო ერთადერთი მხატვარი, რომელმაც ნამდვილი ხალხური გადმოცემის სიცხოველით მოგვცა მთელი მე-19 საუკუნის ქართული ფოფა-ცხოვრება“: გაზ. „ბახტრიონი“, 1922, 28. VIII, 8.

17. წესდება ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა. თბ., 1916, გვ. 3.

18. ამ კრების შესახებ ბევრი რამ არის დაწერილი: იხ. დ. შევარდნიძის ზემოთ ხსენებული „საუბარი“ („ბახტრიონი“, 1922, №8), კ. ზდანევიჩის წიგნი, გვ. 39 და შემდეგ; ლ. გუდიაშვილი. ნიკო ფიროსმანაშვილი: ჟურნ. „დროშა“, 1964, 3, გვ. 11; 4, გვ. 6. აქ ნაამბობია აგრეთვე ლ. გუდიაშვილისა და ფიროსმანის შეხვედრების შესახებ.

19. გ. ლეონიძე. ცხოვრება ფიროსმანისა: „მნათობი“, 1931, 3, გვ. 217.



ვანცა კოპლატაძე

სულიერი მახვილი

მკითხველს ბოდიშს ვუხდი, რომ ამონარიდის მოხმობა საკუთარი წერილიდან მიხდება, რომელიც ჯერ კიდევ 2001 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „მადლში“.

„პავლე მოციქული სიტყვას სულის მახვილს უწოდებს, რითაც ზუსტად გამოხატავს მის ძალას, მაგრამ, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, ამ ძალას ვინ და რა მიზნით გამოიყენებს. ცნობილია, რომ ქრისტეს მოწაფეებმა მასწავლებლის ღმრთეებრივი მოძღვრება მხოლოდ ამ იარაღით გაავრცელეს და არაჩვეულებრივ წარმატებასაც მიაღწიეს — უბრალო მეთევზეებმა კაცობრიობის დიდი ნაწილი ქადაგებით დაიპყრეს. რამდენადაც მათი სიტყვა ღმრთისა იყო, ამდენად ამალღებულსა და მშვენიერ მიზანსაც ემსახურებოდა — კაცობრიობის ჭეშმარიტების გზაზე დაყენებას და მის სულიერ გადარჩენას. მაგრამ, სამწუხაროდ, სიტყვის გამოყენება საპირისპირო მიზნით, ანუ ადამიანთა სულების მოსაკლადაც შეიძლება და ამ შემთხვევაში მას უფრო დიდი და გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს, ვიდრე კაცთა ფიზიკური განადგურების ყველაზე ეფექტურ იარაღებს. დღეს, როცა სიტყვის ზემოქმედების უსწრაფესად გავრცელებას ვეღარც დრო და ვეღარც მანძილი ვეღარ აბრკოლებს, მით უმეტეს გაზრდილია პასუხისმგებლობა იმ ადამიანთა, რომელთაც ამ საშიში იარაღის გამოყენების საშუალება აქვთ; ჩვენთან კი სწორედ ეს პასუხისმგებლობაა დაფიქრებული თუ შეგნებულად უგულვებელყოფილი“¹.

ხსენებული წერილის დაწერა იმდროინდელმა ვითარებამ გვაიძულა. ეს ჩვენი უახლესი წარსულია და მისი გახსენება არ უნდა გაგვიჭირდეს. თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, უჩვეულოდ მომრავლებული ჟურნალ-გაზეთები და ტელე-რადიო არხები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ მაშინდელი ხელისუფლების დასამცირებლად და დასამდაბლებლად და ხელისუფლებაში იმ პირთა მოსაყვანად, რომელთაც ძალაუფლების მოპოვების შემდეგ,

¹ „სიტყუათა შენთაგან განმართლდეს და სიტყუათა შენთაგან დაისაჯოს“, „მადლის 1990-2010 წლების კრებული“, თბ., 2011, გვ. 598-99.

ძალიან ძალე დაუნდობელი ბრძოლა სწორედ აზრისა და სიტყვის თავისუფლებას გამოუცხადეს. ჟურნალისტები თუ პუბლიცისტები, რომლებიც წინა ხელისუფლების პერიოდში არა მხოლოდ უსამართლო კრიტიკის, არამედ ხშირად ცილისმწამებლური წერილებისთვისაც კი სრულ დაუსჯელობას იყვნენ მიჩვეულნი, ახალი ხელისუფლების პირობებში უკვე სიმართლის მხილებისთვის აღმოჩნდნენ შევიწროვებულნი და დევნილნი. დასკვნის გაკეთება ძნელი არ იყო: მიაღწიეს თუ არა მიზანს და მოექცნენ თუ არა ქვეყნის სათავეში, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათი „დამსახურება“ მყისვე დაივიწყეს და ნათლად აგრძობინეს, რომ თვითონ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ სიტყვის თავისუფლებას, რის თავგამოდებულ დამცველებაც ცოტა ხნის წინ თვითონ გამოდიოდნენ; არ დაუშვებდნენ კი იმიტომ, რომ მათი ანტიდემოკრატიული და ანტიეროვნული საქმიანობა, რაც შეიძლება, დაფარული და გაუხმაურებული დარჩენილიყო.

ჟურნალისტთა, პუბლიცისტთა და ე. წ. ექსპერტთა ერთი ნაწილი, რომელსაც არც ძალა და არც სურვილი არ აღმოაჩნდა ზნეობრივი პრინციპების დაცვისა, სახელისუფლებო ჟურნალისტებად, პუბლიცისტებად და ექსპერტებად იქცა. ისინი დამნაშავე ხელისუფლებას მტკიცედ ამოუდგნენ გვერდში და მასზე არანაკლები უტიფრობით, ძნელად მოსასმენი და მოსათმენი დემაგოგიით, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ბნელი პერიოდის ყველაზე წარმატებულ ხანად წარმოდგენას ცდილობდნენ. რა უნდა ითქვას იმ ადამიანებზე, რომლებიც ყველაზე სასტიკ დანაშაულსაც კი გამართლებას ისე უძებნიდნენ, არც სახეზე უკრთოდათ არც ერთი ნაკვთი და არც ხმაში ეტყობოდათ ბზარი? ეკლესიის წმინდა მამები ასეთ ადამიანებზე ამბობდნენ, რომ მათ სინდისი დამწვარი ჰქონდათ.

მეორე ნაწილი, მართალია, ხელისუფლებას დაუპირისპირდა და ოპოზიციაში გადავიდა, მაგრამ, რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძალა არ ეყო იმ წვლილის აღიარებისათვის, რომელიც თითოეულ მათგანს ჰქონდა შეტანილი ხელისუფლებაში იმ პირთა მოსაყვანად, რომელთაც ქვეყანაში ანტიდემოკრატიული და ანტიეროვნული რეჟიმი დაამყარეს. პირიქით, ნაცვლად საკუთარი შეცდომისა თუ ცოდვის აღიარებისა და მონანიებისა, ცდილობდნენ (უარს არც ახლა ამბობენ ამაზე) ქვეყნის სათავეში ანტიდემოკრატიული ძალების მოყვანა იმ კაცისათვის დაეღოთ ბრალად, ვისაც სწორედ ამ ძალების სასარგებლოდ წლების განმავლობაში შესაშური გულმოდგინებით ებრძოდნენ. ამ საქციელს სახელი თვითონ მკითხველმა მოუძებნოს, მიზეზს კი დავასახელებ — ამპარტავნება; და ვისთვის მოუტანია სიკეთე ამპარტავნებას, ჩვენთვის რომ მოეტანა?

აქ მკითხველს შევახსენებთ, რომ ცოდვა სულის სწეულებაა და იგი მხოლოდ და მხოლოდ აღიარებითა და სინანულით იკურნება, სული მხოლოდ

ამ გზით თავისუფლდება მისგან. მის აღიარებას სიმართლის სიყვარული, გაჟაკაცობა და სიმამაცე სჭირდება, ეს თვისებები კი ადამიანის ღირსეულობაზე მეტყველებენ. მაშასადამე, საკუთარ ცოდვით დანახვა და მათ გამო სინანული ღირსეულ ადამიანებს ახასიათებთ. სწორედ ამგვარი ადამიანები არიან შემოქმედნი იმ ნეტარი ჟამისა, როცა ქვეყანაში სამართლიანობა ზეიმობს და საზოგადოება თავისუფლად სუნთქავს და აზროვნებს.

ამ სამიოდე თვის წინ მოწყალე ღმერთმა, ყოვლადწმიდა ღმერთისმშობლის მეოხებით, ჩვენი გადარჩენა ინება და უფსკრულისკენ პირმოქცეული ქვეყანა უკან მოაბრუნა. რა თქმა უნდა, ღმრთის ნება დედამიწაზე ადამიანთა საშუალებით ხორციელდება და უფალმაც ამგვარი ადამიანი გამოგვიჩინა. ბ-ნმა ბიძინა ივანიშვილმა თითქმის შეუძლებელი შეძლო; მომავალზე ხელჩაქნეული და ცხოვრების მდინარებისათვის თავმიცემული საზოგადოება საოცრად გადამდები ოპტიმიზმით გამოაფხიზლა და თავის გადასარჩენად ბრძოლისათვის განაწყო. ვერ ვუარყოფთ, რომ ამ ბრძოლაში ჟურნალისტებმაც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანეს, მაგრამ პირველივე გამარჯვებისთანავე (საბოლოო გამარჯვება ჯერ წინ გველოდება) სწორედ მოუნანიებლობის გამო, ისევ იმ ცოდვის ჩადენისაკენ გაუჩნდათ მიდრეკილება, რომლითაც 2000-იან წლებში ქვეყნის დაღუპვის გზაზე შედგომას შეუწყვეს ხელი.

დღეს უკვე ნათლად იკვეთება, რომ ობიექტურობის მიზეზით, ჩვენს ჟურნალ-გაზეთებსა და ტელე-რადიო გადაცემებში არა მხოლოდ ზედმეტად დიდ ადგილსა და დროს უთმობენ არჩევნებში დამარცხებული წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ახალი ხელისუფლების მიმართ უმეტესწილად სრულიად უსაფუძვლოდ და უსამართლოდ წაყენებული ბრალდებების გახმოვანებას, არამედ, რაც ბევრად უარესია, კრიტიკული ანალიზის გარეშე ტოვებენ მათ და თავიანთი საქციელს იმით ამართლებენ, რომ ჟურნალისტს ობიექტურობის შესანარჩუნებლად პოზიცია არ უნდა ჰქონდეს. დავიწყეთ იქიდან, რომ სინამდვილეში უპოზიციო ადამიანი, მით უმეტეს ჟურნალისტი და პუბლიცისტი, არ არსებობს და უპოზიციობის მხოლოდ და მხოლოდ თამაში თუ შეიძლება. სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი: დღეს პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში სიტყვა თამაშს არა მხოლოდ დიდი ადგილი უჭირავს, არამედ დადებითი მნიშვნელობაც კი აქვს შეძენილი, რაც სრულიად გაუგებარია. თვითონ ტერმინი „პოლიტიკა“ ბერძნული ენიდან მომდინარეობს და სახელმწიფოებრივ მეცნიერებას, სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას ნიშნავს და სრულიად არ უიგოდება შინაარსობრივად თამაშს. შეუძლებელია რომ სახელმწიფოს მართვა, რომელიც უშუალოდ აისახება მის მოქალაქეთა ბედზე, თამაში იყოს. თუმცა, შეიძლება, თანამედროვე მსოფლიოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას სიტყვა თამაში ყველაზე მეტად ესადაგებოდეს; რადგან კაცობრიობის ის-

ტორიაში არასოდეს არ უთამაშიათ, როგორც ცალკეულ ადამიანთა, ისე სახელმწიფოთა ბედით ისე, როგორც დღეს ძლიერნი ამა ქვეყნისანი თამაშობენ.

ჟურნალისტს ტენდენციურობა და მიკერძოებულობა არ უნდა ახასიათებდეს, თორემ სამართლიანობის დასაცავად ვეალება კიდევ საკუთარ პოზიციებზე იდგეს და საზოგადოებას იმ მოვლენისა თუ ფაქტის სწორად გაანალიზებაში დაეხმაროს, რომელთა შესახებაც წერს, ან გადასცემს.

თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის პირობებში, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, საზოგადოებაზე მხატვრულ ლიტერატურაზე გაცილებით დიდ ზეგავლენას ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკა ახდენს, რასაც რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს: რამდენადაც ცხოვრების არქარებული რიტმისა და არსებობის შესანარჩუნებლად ყოველდღიური დაძაბული ბრძოლის გამო, ადამიანებს წიგნთან დაჯდომა მის წასაკითხად სულ უფრო და უფრო უძნელდებათ, ისინი იმ მზა-მზარეული ინფორმაციებითაც კმაყოფილდებიან, რომელთაც მათ პრესა და, განსაკუთრებით, ტელევიზია აწვდის (სანახაობითი მხარის გამო ტელევიზია პრესაზე ბევრად უფრო პოპულარულია). აქედან გამომდინარე, ჟურნალისტებსა და პუბლიცისტებს გააზრებული და შეგნებული უნდა ჰქონდეთ, რომ მათ ადამიანთა სულიერ სამყაროსთან აქვთ საქმე და ყოველ წარმოთქმულ სიტყვას — ამ სულიერ მახვილს, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებს სულზე, დიდად უნდა გაუფრთხილდნენ. დაწერილი სიტყვის წაშლა შეიძლება, ხოლო, როგორც გენიალური ჰომეროსი იტყოდა (ძვ. წ. VIII ს.), „კბილთა ზღუდეს დაცდენილი“ სიტყვის არც უკან ჩაბრუნება შეიძლება და არც საკუთარი ნებით სხვათა მეხსიერებიდან წაშლა.

სამწუხაროდ, ჟურნალისტთა უდიდეს ნაწილს, მისი პროფესიის მხოლოდ ეს ერთი მხარე — საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა ახსოვს, მისგან გამომდინარე ამპარტავნობითაა შეპყრობილი და სრულიად დავიწყებული აქვს, რომ ამავდროულად მას საკუთარი უვიციობისა თუ მიკერძოებულობის გამო, საზოგადოების შეცდომაში შეყვანაც შეუძლია, რამაც, თავის მხრივ, ადვილი შესაძლებელია, ისეთივე მძიმე შედეგი გამოიღოს, როგორც ეს 2003 წლის შემოდგომაზე გამოიღო. ასე რომ, საზოგადოებაზე ზემოქმედების შესაძლებლობამ ამპარტავნობის ნაცვლად ჟურნალისტს ის პასუხისმგებლობა უნდა აგრძნობინოს, რომელიც მას აკისრია ერისა და ღმრთის წინაშე. ამგვარი პასუხისმგებლობის გააზრება მას თავმდაბლობას ასწავლის და მიახვედრებს, რომ ქედმაღლურად არ უნდა ილაპარაკოს თუნდაც შეცდომებზე იმ ადამიანებისა, რომელთაც მასთან შედარებით განუზომლად დიდი დამსახურება მიუძღვით ერისა და ქვეყნის წინაშე. თუ იმის გამეორება თამამად და ერთგვარი სიამაყითაც კი შეუძლიათ, რომ ისინი სახელმწიფოში ხელისუფლების მეოთხე შტოს წარ-


მოადგენენ, ის პასუხისმგებლობაც უნდა გაიზიარონ, რაც ხელისუფლებას ეკისრება ქვეყნის ბედის წარმართვაში.

იმისათვის, რომ საზოგადოებას სწორი არჩევანის გაკეთებასა და სწორ გზაზე დადგომაში დაეხმაროს, კეთილსინდისიერი ჟურნალისტი მოვალეა ყოველდღიურად იზრუნოს არა მხოლოდ მეტყველების დახვეწაზე, არამედ ცოდნის შეძენასა და გაღრმავებაზე. მან საფუძვლიანად უნდა იცოდეს ის საგანი თუ თემა, რომელზეც გადაცემას აკეთებს თუ წერილს ამზადებს. მაგალითად, თუ ჟურნალისტი ან პუბლიცისტი თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების გაშუქებასა და ანალიზზე მუშაობს, მან კარგად უნდა იცოდეს არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ისტორიაც, რათა ანალოგიების დაძებნითა და პარალელების გაგებით რომელიმე პოლიტიკური მოვლენის თუ ფაქტის ღრმა ანალიზი და მის საფუძველზე სწორი დასკვნების გაკეთება შეძლოს. ასევე, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაერკვევა ბოლომდე თანამედროვე მსოფლიო პროცესებში, რომლებშიც, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყანაცაა ჩართული, ჟურნალისტი, რომელმაც არა თუ რელიგიათა ისტორია არ იცის, არამედ არც საკუთარი სამშობლოს რელიგიური წარსული და დღევანდელი მდგომარეობა სარწმუნოებრივი თვალსაზრისით აქვს შესწავლილი. ჩვენთან ამ თვალსაზრისითაც საგანგაშო მდგომარეობაა. ჩვენდა საფალალოდ სერიოზული მცოდნე საქართველოსა და ქართული ეკლესიის ისტორიისა არა თუ ჟურნალისტთა, არამედ თვით იმ პოლიტიკოსთა შორისაც ძნელად მოიძებნება, რომელთაც ქვეყნის ბედის წარმართვაზე პრეტენზიები აქვთ. ასეთი ცოდნა რომ ჰქონდეთ, მაშინ ადვილად მიხედებოდნენ, რას გულისხმობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიტყვები, რომელთაც მისი უწმიდესობა მათ გასაგონად ხშირად ამბობს ამბიონიდან: გახსოვდეთ, რომ თქვენს უკან საქართველოა, ანუ: პასუხისმგებელნი ხართ იმ ერისთვის არსებობის შესანარჩუნებლად, რომელმაც დღემდე სასწაულებრივად მოაღწია. ეს სიტყვები გაფრთხილებად უნდა მიიღოს ხელისუფლების, ე. წ. მეოთხე შტოს წარმომადგენლებმაც. როცა საქმე ჩვენი სამშობლოს ბედს, მისი გასაჭირიდან გამოყვანისა და გადარჩენის გზების ძიებას ეხება, ყოველი სიტყვა, ჟურნალისტისა იქნება ის თუ პუბლიცისტისა, ცოდნის საფუძველზე უნდა იყოს ნათქვამი, კარგად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს წერილები თუ გადაცემები, რომელნიც ბოლო წლების საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას ასახავენ, ავტორთაგან დამოუკიდებლად, მექანიკურად შეიქმნენ. სხვაგვარად მათ ავტორებს ყველაზე უკეთ უნდა მოეხსენებოდეთ, რას გადაურჩა ქვეყანა 2012 წლის 1 ოქტომბერს და რა ძალისხმევა სჭირდება არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ სამშობლოს ყოველ გულშემატკივარ ქართველს, რათა უფსკრულში გადაჩეხვისაგან სწორ გზაზე გასვლა შეძლოს.

არ შეილება ყველა ერთად არ დაგფიქრდეთ იმაზე, რომ ხელისუფლებას მემკვიდრეობით მიღებული დანგრეული ქვეყნის ხელახლა აშენება მძიმე პირობებში უხდება. ნუ დაგვაფიწყდება, რომ მათ გამუდმებით ებრძვის წინა ხელისუფლების ის ნაწილი, რომელმაც ძალაუფლება ნაწილობრივ ახალ ვითარებაშიც შეინარჩუნა და დასავლელი მფარველების იმედით რევანშისტების ემზადება. სამწუხაროდ, ეს მფარველები უკვე იმაზეც კი აღარ ზრუნავენ, რომ ფასადურად მაინც შეინარჩუნონ დემოკრატიის მამების როლი და სისხლის სამართლის დამნაშავეებს პოლიტიკურ დევნილებად მოურიდებლად აცხადებენ. მათი ამგვარი სრულიად გაუმართლებელი პოზიციის წყალობით, პირველად გაჩნდა ბუნებაში მანამდე არარსებული ბრალდებული — *სისტემა* და დაიწყო ლაპარაკი სისტემის გასამართლებაზე. თითქოს სისტემას თავისთავადი დამოუკიდებელი არსებობა ჰქონდეს და იგი ადამიანების მიერ არ იყოს შექმნილი. თავის მხრივ, წლების განმავლობაში ღირსებააყრილი, ეკონომიკურად დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი და დამცირებული ადამიანები, რომელთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ თავისუფლად შეიძლება ხალხით ჩავანაცვლოთ, კანონის ამოქმედებას და იმით დასჯას მოითხოვს, რომელთაგანაც ამდენი სიმწარე განიცადეს.

ასეთ შემთხვევაში იმ ჟურნალისტებს, პუბლიცისტებს, თუ ექსპერტებს მაინც, რომელნიც წინა ხელისუფლების დროს სამთავროებად არ იყვნენ ცნობილნი, ახალი ხელისუფლების საქმიანობის შეფასებისას ობიექტურობით კეკლუცობის ნაცვლად გულისხმიერება და სიტყვის მოზომვა ჰმართებთ, პირველ ხანებში მაინც, რათა წყალი რევანშის ადების მსურველთა წისქვილზე არ დაასხან და ხელი არ შეუწყონ იმას, რომ ძალადობის ტყვეობისაგან სასწაულებრივად თავდახსნილი ქვეყანა ისევ მოძალადეთა ხელში აღმოჩნდეს. დაფიქრდეთ ქვეყნის ბედზე, რომლის შეილებიც ვართ და მას ახალი ექსპერიმენტისათვის ნუ გავწირავთ.



ბიორგი გოგოლაშვილი

ღვაწლი და წუთისოფელი იაკოვ გოგოლაშვილისა

წერილი II

წუთისოფელი იაკოვისა

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების გზა — ეს იყო თავდადებული შრომისა და შეუპოვარი ბრძოლის გზა, ეს იყო ერისა და ქვეყნისათვის თავშეწირული მოღვაწის გზა, **ნამდვილი მოწამის გზა.**

დაიბადა 1840 წლის 15 (27) ოქტომბერს.

შუაგულ ქართლში, შშობლიურ ვარიანში გატარებულ ბავშვობის ლამაზ და უზრუნველ დღეებს, ყრმობის შინაარსიან და საინტერესო ჟამს შეგნებული ცხოვრების რთული და ძნელი წლები მოჰყვა...

იაკობ გოგებაშვილის შეგნებული ცხოვრება შეიძლება ორ ეტაპად წარმოვიდგინოთ: „დედაენის“ შექმნამდე და „დედაენის“ შექმნის შემდეგ. და მთელი ეს გზა, ერთი მხრივ, წინააღმდეგობათა, დაპირისპირებათა, იმედგაცრუებათა და, მეორე მხრივ, გამარჯვებათა, წარმატებათა გრძელი გზაა. იმდენად დიდი იყო წინააღმდეგობანი, დაპირისპირებანი, იმედგაცრუებანი, რომ იაკობის ადგილზე სხვას შეიძლება ან დასახული მიზნისათვის ეღალატა, ანდა პოზიცია შეეცვალა; მაგრამ იმდენად შთამბეჭდავი იყო გამარჯვებები, წარმატებები, იმდენად დიადი — მიზანი, იაკობი ვერ გატეხა წინააღმდეგობებმა და სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა დასახული მიზნისა და არჩეული გზისა...

იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფები მიანიშნებენ მისი ცხოვრების ერთ მძიმე ეპიზოდზე — ასე ვთქვათ, თვითმკვლელობის მცდელობაზე.

ვლადიმერ გაგუა წერს: „უსამართლოდ დასჯილმა პედაგოგმა თვითმკვლელობა გადაწყვიტა და მტკვარში გადაფარდა. შეგროვილი ხალხიდან ერთი ახალგაზრდა თავგამოდებით შეება მტკვრის ტალღებს და დაზრწობას გადაარჩინა“ (ვ. გაგუა 1991, 7). სხვაგან ვკითხულობთ: „სასწარვეთილებაში ჩავარდნილმა იაკობმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ ბედ-

ნიერმა შემთხვევამ იგი სიკვდილს გადაარჩინა“ (ვ. გაგუა, დ. გურგენიძე, გ. სიხარულიძე 1989, 11).

იაკობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაწერილა, მაგრამ მკვლევრები გვერდს უვლიან ამ ეპიზოდს. ამ ფაქტზე არ საუბრობს ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევის ავტორი დ. ლორთქიფანიძე (დ. ლორთქიფანიძე 1945; დ. ლორთქიფანიძე 1955). ეს ფაქტი არ არის აღნიშნული არც ენციკლოპედიურ ცნობარებში (ქსე III; ენც. ქართული ენა 2008)... სხვა შემთხვევაში თუ არის ყურადღება გამახვილებული „თვითმკვლევლობის მცდელობაზე“, წყაროდ ნიკო ლომოურის მოგონებაა გამოყენებული (იხილეთ ზ. ბოცვაძე 1991; რ. ჩხეიძე 2007; მატიახე 2003; გ. თაფშიძე 1990).

რას წერს ნიკო ლომოური? არსებობს ორი ვარიანტი მისი მოგონებისა: პირველი ვარიანტი გამოქვეყნდა კრებულში „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“ სათაურით „იაკობ გოგებაშვილი. პირველი ნახევარი მისი ცხოვრება-მოღვაწეობისა“ (ხელმოწერა — არბოელი). ეს კრებული მთლიანად შევიდა 1990 წელს ჯ. თითმერიასა და ზ. ჩილაჩავას მიერ გამოცემულ წიგნში „იაკობის სამრეკლო“. ვიმოწმებთ ამ გამოცემიდან (არბოელი, 1990). მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს ამ „მთავარი წყაროდან“: „ერთ დღეს გაისმა — იაკობ გოგებაშვილი სადღაც დაკარგულაო. შიშის ზარით მოედო ეს ხმა სემინარიელების სულსა და გულსა. წამს მთელი უზარ-მაზარი შენობა სემინარიისა დაცარიელდა. გუნდ-გუნდად მოედგნენ მოსწავლეები თბილისის გარეშემო მდებარე მთასა და ბარსა. ანტონ ფურცელაძე, ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი ეტლებით დარბოდნენ აქეთ-იქით მტკვარში რამდენიმე მეთევზე ნაგებით დაცურავდნენ და ეძებდნენ დაკარგულის გვამსა. ასე გაგრძელდა საღამომდე.“

შზის ჩასვლისას საიდგანდაც გაისმა სანუგეშო ხმა — იაკობი ცოცხალია. საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც სემინარიისაში მოვიდა სანდრო ცხვედაძე, უმცროსი ძმა ნიკოსი, სახალხო სკოლის მასწავლებელი, მხნე და ერთგული მეგობარი გლეხკაცისა, ყოვლად პატიოსანი ადამიანი და გვიამბო შემდეგი: შუა დღე იქნებოდა მოტანებული, როცა მე რაღაც საქმისათვის ვერის სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ჩავდიოდი ძირსაო. მარცხენა ნაპირიდან ვიღაც მოადგა მტკვარსა და ისე, გაუზღედი, შევიდა წყალშიო. შუა ადგილს წყალმა წააქცია და რამდენსაძე წამს სრულიად დამალა, მერე კვალად გამოჩნდა, იწყო ბრძოლა ტალღებთან და ნაპირს დაუახლოვდაო. მაშინათვე მივეშველე მეც და, როდესაც სახეზე შევხედე, მეტის მწუხარებითა და გაოცებისაგან კინაღამ გული შემიწუხდაო. სანდრო ცხვედაძეს მაშინათვე წამოეყვანა, სასაფლაოს ქუჩაზე ეტლში ჩაესვა და სასტუმროში წაეყვანა“ (არბოელი 1990, 480).

გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში, ნი-

კო ლომოურის ფონდში, დაცულია ნ. ლომოურის ნარკვევი „იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი“ (№ 19671-ხ), რომელიც 1991 წელს გამოაქვეყნა ზ. ბოცვაძემ (ზ. ბოცვაძე 1991). ეს ნარკვევი ნ. ლომოურისა არის განსხვავებული რედაქცია იაკობის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნებული ნარკვევისა. მოვიყვანთ ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდის შესახებ ამონარიდს ამ ვარიანტიდან: „ერთ დღით გაისმა იაკობი სადღაც დაკარგულაო!.. ამ ხმამ ელდასავით დაურბინა მთელი სემინარიის მოსწავლეთა სულსა და გულსა. იმავე წამს თითქმის სრულიად დაცარიელდა უზარმაზარი შენობა სემინარიისა... გუნდ-გუნდათ მოედგნენ თბილისის გარეშემო მდებარე მთა და ბარსა. ნიკო ცხვედაძეს და გიორგი იოსელიანს მეთევზეები დაეჭირავენინათ, ნაგებში ჩაესხათ და ბადეებით აძებნინებდნენ დაკარგულის გვამსა. ასე გაგრძელდა მთელი დღე. საღამოზე საიდგანდაც გაგრძელდა სანუგეშო ხმა... ბინდისას სემინარიისაში მოვიდა ნიკოს უნცროსი ძმა სახალხო სკოლის მასწავლებელი, ყოვლად პატიოსანი ადამიანი, ალექსანდრე ცხვედაძე და გვიანბო: დილის ცხრა საათი იქნებოდა, ვერაზე, სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ვიყავ წამოწოლილი და მტკვარს გადაეცქეროდიო. მტკვარის მარცხენა ნაპირიდან მოადგა ვიღაც კაცი, ისე გაუზღედი შემოვიდა წყალში და ღრმა ადგილას ჩაფარდაო. რამდენსაძე ხანს აღარ სჩანდა, მერე უცებ გამოჩნდა, იწყო წყალთან ბრძოლაო... მე მაშინათვე ჩავიბრინე ფერდობი და როდესაც ნაპირთან ჩვედი, ის კაციც იქვე გამოვიდაო. შევხედე და თაფზარი დამეცა: ეს იყო იაკობ გოგებაშვილიო. აქ ტანისამოსი გაუწურე, ჩემი მშრალი პალტო ჩააცვი და წამოეყვანე, მერე მე და ნიკომ მიზეილის სააგადმყოფოში წავიყვანეთ და იქ დაგაწვინეთ“ (ნ. ლომოური 1991, 331)...

საკმაოდ განსხვავებული ვარიანტებია:

„შუა დღე იქნებოდა მოტანებული“ და „იქნებოდა დილის ცხრა საათი“;

„ვერის სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ჩავდიოდი“ და „დაღმართზე ვიყავ წამოწოლილი“ და სხვა... მაგრამ მთავარი ფაქტი მაინც ერთნაირად არის მოთხრობილი: „ვიღაც კაცი“ შედის მტკვარში, შუა ადგილას (ღრმა ადგილას) წყალმა დაფარა, მერე იწყო ბრძოლა ტალღებთან და გამოცურა ნაპირზე. აქ მიეშველა სანდრო ცხვედაძე...

ეს ამბავი 1873 წელს მომხდარა.

ნიკო ლომოური პირველ ვარიანტს 1913 წელს გამოაქვეყნებს; როდის შეიქმნა მეორე ვარიანტი, არ ვიცით. ნ. ლომოურის მოთხრობილი „მტკვარის ეპიზოდი“ გახდა საფუძველი ბიოგრაფებისათვის „თვითმკვლევლობის ვერსიაზე“ საუბრისა...

არ ჩანს შემთხვევითი ის ფაქტი, ჩვენ მიერ ზემოდასახელებული რამდენიმე ავტორი ამ ფაქტზე ყურადღებას რომ არ ამახვილებს: როგორც

ჩანს, ბიოგრაფებისათვის ეს ზეპირი ვერსია არ არის სარწმუნო... თანაც საუბარია იაკობ გოგებაშვილზე! ბიოგრაფები ვერ დაიჯერებენ იმას, რომ იაკობმა, ჭეშმარიტ ქრისტიანულ ოჯახში გაზრდილმა კაცმა, ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა ასეთი არაქრისტიანული ნაბიჯი გადადგა... თუმცა, მოდით, ფაქტებზე ვისაუბროთ.

ნ. ლომოურის ნაამბობზე დაყრდნობით შექმნეს, **გამოიგონეს ტრაგიკული სურათი:**

მტკვარში გადავარდნა,
შეგროვილი ხალხი,
თავგამოდებელი ახალგაზრდა,
მტკვრის ტალღებთან შებმა,
განწირულის გადარჩენა...

არადა, პირველწყაროში გარკვევით იკითხება: **„ვიღაც კაცი“ შვეიდა მტკვარში და თავად გამოვიდა ნაპირზე... რატომ ამდაფრებს ბიოგრაფი (ვ. გაგუა) ვითარებას ასე? როგორც ჩანს, უნდა დაგვარწმუნოს, რა საშინელი რეჟიმი იყო იმჟამად, როგორ იღვევებოდა იაკობ გოგებაშვილი... და ამ მიზანს ეწირება ჭეშმარიტება: იაკობი აღმოჩნდა ცილისწამების ობიექტი!..**

ნიკო ლომოურის მონათხრობს, როგორც ჩანს, აქვს საფუძველი. იაკობ გოგებაშვილმა, ჩანს, მართლა გადადგა საბედისწერო ნაბიჯი... მაგრამ ჯობს დავაზუსტოთ: **გადადგა თუ გადაადგმევინეს;** ანუ, **ეს იყო ნება იაკობისა, თუ აიძულეს, ეს ნაბიჯი გადაედგა.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იყო **მცდელობა მკვლელობისა თუ თვითმკვლელობისა?**

მოდით გავიხსოვოთ, რა მოხდა 1873 წლის შემოდგომაზე.

გუშვებთ იმ ფაქტს, რომ იაკობი შვეიდა მტკვარში... ერთადერთი მოწმე, თვითმხილველი — სანდრო ცხვედაძე — დარწმუნებით აღნიშნავს, რომ იგი თავად გამობრუნდა უკან და გამოვიდა ნაპირზე... როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში საგანგებოდ მიანიშნებს იმაზე, რომ ს. ცხვედაძე დაჟინებით უარყოფდა, მე არ გადამიჩინია, თავად გამოვიდა ნაპირზე; იონა მეუნარგია ცდილობდა დაეზუსტებინა და ჰკითხავდა — **„თუ კაცი ხარ, მითხარი, როგორ იყო, იაკობი დახრჩობას რომ გადაარჩინეო, — იონა მეუნარგია შემთხვევას როგორ გაუშვებდა ხელიდან, რომ ყველა გარემოება არ დაეზუსტებინა, რაც ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს ეჩებოდათ და, მათ შორის იაკობსაც, ვისი ცხოვრების ქრონიკის შედგენაც განუზრახა და ყოველგვარ ცნობას — მსხვილმანსა თუ წვრილმანს — ისე ჩასაფრებოდა, როგორც მონადირე მსხვერპლს. მით უფრო ასეთი ეპიზოდი იპყრობდა მის ყურადღებას და იმედოვნებდა, რომ მკითხველს ერთადერთი თვითმხილველის ნაამბობზე დაყრდნობით გააცნობდა... მაგრამ კვლავ უარზე დადგებოდა სანდრო; რა დახრჩობა და რის გადარჩენა, მტკვარში მოტოპავდა, სიჩქარეში ხიდი შორს მოსწვენებია და ტალღებშიც ამიტომ შევარდნილა**

გულდაგულ, და უნებურად რომც არ შევსწრებოდი, თვითონვე უვნებელი გამოაღწევდაო. — არ მოეშვებოდა იონა მეუნარგია. — არაფრისდიდებით არ გატყდებოდა სანდრო ცხვედაძეო“ (რ. ჩხეიძე 2007, 123). არადა, რატომ უნდა დაეძალა, თუკი მან გადაარჩინა? ს. ცხვედაძე სიმართლეს ამბობს, როგორც ჩანს; ამავე წერს ნ. ლომოურიც... იაკობის მდგომარეობის შესაფასებლად აქვს მნიშვნელობა იმასაც, თავად გამოვიდა ნაპირზე თუ გამოიყვანეს...

რა უსწრებდა ყოველივე ამას და რა მდგომარეობაში იყო იმჟამად იაკობ გოგებაშვილი? — ვიფიქროთ ამაზეც:

1873 წლის მოვლენამდე, „მტკვრის ეპიზოდამდე“, 10-15 წლის განმავლობაში იაკობის ცხოვრება ძალზე მძიმედ, წინააღმდეგობრივად წარმართა.

1861 წლის ივლისში იაკობმა წარმატებით (პირველი თანრიგით) დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი. „ივლისის 8 — თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი ვიქტორი წერილობით მოახსენებს საქართველოს ეგზარქოსს იაკობ გოგებაშვილის კიევის სასულიერო აკადემიაში გაგზავნის გამო“ (მატიანე, 10).

აქ იჩინა თავი **პირველმა წინააღმდეგობამ და იმედგაცრუებამ:**

„ოცი წლის ვიქტორი, როდესაც სემინარია დაამთავრე; — ივონებს იაკობი, — პირველი მოწაფე ვიყავი წინა კლასებშიც და უკანასკნელი კლასიც პირველ მოწაფედ დაამთავრე. აკადემიაში გასაგზავნად დამნიშნეს. მხოლოდ მომთხოვა მთავრობამ — ექიმს ეჩვენე და ცნობა მომიტანე ჯანმრთელობისაო. ვეჩვენე. ექიმმა სუბოლჩიკოვმა კარგად გამისინჯა... მოწმობაში ჩასწერა: გოგებაშვილი ამჟამად საღია, მაგრამ სუსტი აგებულების პატრონია და შეიძლება რუსეთის ჰაერ ვერ აიტანოსო“ (დ. კასრაძე 1940, 29).

იაკობს წინადადება მისცეს, დარჩენილიყო თბილისში. აკადემიაში მეორე მოწაფის წასვლა გადაწყდა... იაკობს უთქვამს დ. კასრაძისათვის: **„მე ძალიან მწყუროდა მაღალი განათლება და წასვლის სურვილი განუცხადე“** (იქვე).

პირველი წინააღმდეგობა დაძლეული იქნა... იაკობი აღარ წვრილმანდება, რის ფასად და როგორ...

1861 წლის შემოდგომაზე იაკობი კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტია. იგი ჩვეული სიბეჯითით შეუდგა სწავლას. მაგრამ **ისევ იჩინა თავი ბედის უკუღმართობამ:** **„წლის ბოლოს ტვიზის ანთებით ვახდა ავად და ამ დროს იყო თურმე ჟამი, როდესაც ბქწზე ეკიდა მისი სიცოცხლე. რამდენსამე კვირის შემდეგ ამ ავადყოფობას იაკობმა მშვიდობით დააღწია თავი, მაგრამ მისგან დაძაბუნებულ აგებულებას ახლა სხვა დაუძინებელი მტერი აღმოუჩნდა: დააწყებინა ხველება, რომელიც თითქოს შეეყრდა ზაფხულის განმავლობაში, მაგრამ, დადგა თუ არა რუსეთული ზამთარი თავისი მკაცრი ყინვებით, ხველამ**

უმატა, ზედ დაერთო გამუდმებული სიცხე, რის გამოც ზშირად მოსდიოდა სა-
ჯადმყოფოში წოლა. მესამე წლის შემდეგ სისხლის ლებინება და სხვა ნიშნები
ჭლექისა ცხადად აღმოაჩნდა“ (არბოელი 1990, 468).

„ექიმების გადაწყვეტილება ურყევია — დაუყოვნებლივ დაბრუნდეს სა-
მშობლოში. აკადემიის ხელმძღვანელობაც ასევე ურჩევს. იაკობი იძულებ-
ულია დაემორჩილოს თავის მწარე ზეედრს, ტოვებს აკადემიას და გულ-
ნატკენი ბრუნდება საქართველოში“ (მატიანე, 14). იაკობი მაშინ II კურსზე
იყო...

სწავლას მოწყურებული ფაწვილისათვის ეს იყო უმძიმესი ტრაგედია...

1863 წელს იაკობი კვლავ საქართველოშია.

კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი ზრუნავს ნიჭიერი სტუდენტ-
ტის ბედზე და იაკობს უშუამდგომლობს საქართველოს ეგზარქოსთან მისი
კავკავის სასულიერო სასწავლებელში ინსპექტორად დანიშვნის შესახებ.
იაკობი თანახმაა ამ შეთავაზებაზე — მას გადაწყვეტილი აქვს პედაგოგიუ-
რი საქმიანობა. მაგრამ ისევ წინააღმდეგობა და ბედის უკუდმართობა: სა-
ნამ იაკობი მუშაობას შეუდგებოდა, კავკავის სასულიერო სასწავლებელი
დაიხურა... იაკობი უმუშევარი დარჩა...

კიდევ ერთი იმედგაცრუება ახალგაზრდა კაცისა...

უსახსროდ დარჩენილი იაკობი კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგე-
ნელ საზოგადოების კომიტეტს ორჯერ მიმართავს თხოვნით, ერთი წლის
განმავლობაში აძლიონ ხელფასი, როგორც უსამსახუროდ დარჩენილს...
კომიტეტი ორივეჯერ უარს ეუბნება...

ისევ იმედგაცრუება და უმძიმესი ყოფა...

საქართველოს ეგზარქოსი ავალებს თბილისის სასულიერო სემინარიის
მმართველობას, შეატყობინოს კიევის აკადემიის რექტორს, რომ კავკავის
სასწავლებლის დახურვის გამო მისი თხოვნა გოგებაშვილის თაობაზე ვერ
შესრულდა. კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი ამჯერად თბილისის
სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობას სთხოვს, უშუამდგომლონ ია-
კობ გოგებაშვილს კავკავის სამაზრო-სამრევლო სასწავლებლის ინსპექ-
ტორად დანიშვნის თაობაზე... **არც ეს მოხერხდა** (მიზეზი უცნობია)...

იაკობის ცხოვრება გაუსაძლისი ხდება. 1864 წლის იანვარში იგი თხოვ-
ნით მიმართავს თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას, დანიშ-
ნონ ამავე სემინარიაში რაიმე თანამდებობაზე... „იანვრის 15 — საქართვე-
ლოს ეგზარქოსისა და თვით იაკობის თხოვნით მას ნიშნავენ თბილისის სა-
სულიერო სემინარიის მეორე კლასის მეორე მასწავლებლად“ (მატიანე, 16).

ასე იწყება იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური კარიერა თბილისის
სასულიერო სემინარიაში: მეორე კლასის მეორე მასწავლებელი...

მერე: მეოთხე კლასის მეორე მასწავლებელი...

მერე: შეთავსებით „სახელმწიფო ხარჯზე მყოფი უსულგულო მოსწავ-

ლების სამეთვალყურეო ოთახის ზედამხედველი“...

აი, ამ ვითარებაში და ამ მდგომარეობაში იაკობ გოგებაშვილი ადგენს
და სემინარიის დახმარებით გამოსცემს თავის პირველ სახელმძღვანელოს
— „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“
(1865წ.).

მერე: ისევ ავადმყოფობა; ამის გამო იაკობი ითხოვს სემინარიის ხელ-
მძღვანელობისაგან შეუცვალონ მეცადინეობის გრაფიკი...

1866 წლის ივლისში გორის სასულიერო სასწავლებელში განთავისუფ-
ლდა ზედამხედველის თანამდებობა. ვარიანიც ახლოს იყო და... იაკობი
სთხოვს სემინარიის ხელმძღვანელობას, უშუამდგომლონ ზემდგომ ორგა-
ნოებში, ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნის თაობაზე... თხოვნა არ იქნა
დაკმაყოფილებული; ცნობილი არ არის, რატომ (მატიანე, 19).

ისევ იმედგაცრუება...

თბილისის სემინარიის სიტყვიერების კათედრაზე განთავისუფლდა მას-
წავლებლის თანამდებობა; ახლა უკვე კიევის სასულიერო აკადემია არ აძ-
ლევს რეკომენდაციას იაკობს, რადგან არა აქვს დამთავრებული სრული კურ-
სიო... იაკობი მაინც აღწევს იმას, რომ დანიშნონ მასწავლებლის მოვალეობის
შემსრულებლად... ეს არის სხვა მხრივაც წარმატებული პერიოდი იაკობის
ცხოვრებაში: იაკობი ადგენს უნიკალურ სახელმძღვანელოს — „ბუნების
კარს“; გამოდის მესამე, გადამუშავებული, გამოცემა „ანბანისა“. 1868 წელია.

მიუაქციოთ ყურადღება: **ამდენი იმედგაცრუება, ამდენი წინააღმდეგო-
ბა და ასეთი ნაყოფიერი შემოქმედებითი თუ პედაგოგიური საქმიანობა.
რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის
ხარჯზე ხდება...**

ისევ ჭიდილი იმედგაცრუებისა და გამარჯვებების:

1868 წლის დეკემბერში იაკობს ირჩევენ თბილისის სასულიერო სა-
სწავლებლის ზედამხედველად. მოგუსმინოთ იაკობს: „**ზედამხედველის თა-
ნამდებობაზე ჩემი საქმიანობა დაიწყო 1868 წლის ბოლოს და გავრძელ-
და 1873 წლის შემოდგომამდე. სასწავლებელი მე ჩავიბარე ყოველმხრივ
აწეწილ მდგომარეობაში... მე ახლოს ვიცნობდი ამ სასწავლებლის მდგო-
მარეობას, წინასწარ ვგრძნობდი, თუ რა სიმწელეს წარმოადგენდა მისი
კეთილმოწყობა, ვგრძნობდი პასუხისმგებლობის სიმძიმეს, რომელთანაც
დაკავშირებული იყო მოშლილი სასწავლებლის მმართველობა და ხელ-
მძღვანელობა და ამიტომ თავს ვარიდებდი ზედამხედველის თანამდებობას.
მაგრამ სასულიერო წოდების საოლქო ყრილობამ, რომელსაც სურდა ბო-
ლო მოელო სასწავლებლის საჯალალო მდგომარეობისათვის, სადაც მისი
საკუთარი შვილები სწავლობდნენ, შემომთავაზა სასწავლებლის უფროსო-
ბა და ამირჩია მის ზედამხედველად“.**

ისევ უცნაურად განვითარებული მოვლენები:

იაკობს სთხოვენ იყაროს კენჭი ზედამხედველის თანამდებობაზე; იაკობი წინააღმდეგია, მაგრამ დაითანხმეს; კი დაყაბულდა იაკობი, მაგრამ... როგორც ჩანს, ვეზარქოსი და უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება უკმაყოფილოა იაკობის საქმიანობით — მისი ეროვნული პოზიციით და... იაკობის კონკურენტია ვინმე პავლოვი... კვლავ იაკობს მოვუსმინოთ: „*მე უარი ვთქვი და სრულიად გულწრფელადაც, შემდეგი მოსაზრებით: კიევის სასულიერო აკადემიაში ყოფნის შემდეგ მე დამჩემდა სისხლელებინება, რაც შეიძლება გაძლიერებულიყო ზედამხედველის რთულ მოვალეობათა შესრულების გამო... მაგრამ ჩემი კატეგორიული უარის მიუხედავად სამღვდელოების ყრილობამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა და გაიყვანა*“.

მაგრამ აქ ისევ თავი იჩინა იაკობის ტრადიციულმა იმედგაცრუებამ... თვით იაკობს მოვუსმინოთ: „*კენჭისყრისას პავლოვმა მიიღო ერთი თეთრი კენჭი და ოცდაცხრამეტი შავი, მე კი ოცდაცხრამეტი თეთრი და ერთი შავი... მაგრამ ვეზარქოსმა არ დაამტკიცა ყრილობის დადგენილება და რამოდენიმე თვის შემდეგ ახალი არჩევნები დანიშნა*“. მიზეზად ის დაასახელა ვეზარქოსმა, რომ იაკობს ღვთისმეტყველების ხარისხი არა აქვს... არადა წინა ზედამხედველი ტანიკოვი უბრალო სემინარიელი იყო, იაკობს კი დამთავრებული ჰქონდა „*კიევის სასულიერო აკადემიის ზოგადი განათლების კურსი პირველ სტუდენტად*“... თუმცა იაკობი ამგვარ დარტყმებს შეჩვეულია...

განმეორებით არჩევნებზე იაკობი ერთხმად აირჩიეს ზედამხედველად. სამღვდელოების ყრილობამ საგანგებოდ მიმართა ვეზარქოსს, დაუსაბუთეს თავიანთი გადაწყვეტილების სისწორე და ვეზარქოსიც იძულებული შეიქნა, დათანხმებულიყო იაკობის არჩევას, ოღონდ არა ზედამხედველად, არამედ „*ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებლად*“...

და იაკობი შეება უმძიმეს ტვირთს...

სასულიერო სემინარიაში იაკობის ზედამხედველად მუშაობის პერიოდი ცალკე მსჯელობის თემაა. ფაქტია, ავადმყოფი კაცისთვის ეს იყო უდიდესი ფიზიკური და სულიერი დატვირთვა.

- ერთი მხრივ, **ზედამხედველის მძიმე შრომა;**
- მეორე მხრივ, **პედაგოგის პასუხისმგებლობა;**
- მესამე მხრივ, **„ანბანისა“ და „ბუნების კარის“ ავტორის საზრუნავი და,**
- მეოთხე მხრივ, **დიდად შერყეული ჯანმრთელობა...**

იაკობი წერს: „*ამ ხანობაში მე მძიმე ავადმყოფი შევიქენი, ფილტვებიდან სისხლის დენა მქონდა. და უკიდურესი დაქანცულობის გამო, ამას საშინელი უძილობაც დაერთო. მას დაემატა ჩემი სამსახურიდან დათხოვნა მესამე მუხლის ძალით (ე.ი. პოლიტიკურად არასაიმედოდ ცნეს ვ.გ.) თანხმად ანდაზისა: მიეცეს და მიემატოსო*“... ამას იაკობი მოგვიანებით, 1911 წელს, მოიგონებს...

ავადმყოფ იაკობ გომგაგაშვილს ებრძვიან გააფთრებით. 1873 წლის შემოდგომაზე „*თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის — ვალენტინის — მიერ შეკრებილი ცნობებითა და წარდგინებით იაკობ გომგაგაშვილი გიორგი იოსელიანთან, თომა ტურაშვილთან, ნიკო და კონსტანტინე ცხვედაძეებთან ერთად შეჰყავთ საზოგადოებრივი სამსახურისათვის არასაიმედოთა სიაში*“ (მატიანე, 32).

ეს 1873 წელია, „*მტკვრის ეპიზოდის*“ წელი...

არადა, წინა 1872 წელს, იაკობის საქმიანობა დადებითად შეფასდა. ისევ იაკობს მოვუსმინოთ: „*1872 წლის დასაწყისში პეტერბურგიდან გამოგზავნილ იქნა უწმინდეს სინოდთან არსებული სასწავლო კომიტეტის წევრი ბ-ნი ზინჩენკო ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლების გამოსარკვევად. მან ყოველმხრივ გამოარკვია სასწავლებელი და სცნო იგი მშვენიერ მდგომარეობაში. განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა ის სასწავლო საქმის დაყენებით*“...

უწმინდესი სინოდის ობერპროკურორი და სახალხო განათლების მინისტრი გრაფი ტოლსტოი მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების შესახებ წარდგენილ ანგარიშში (1872 წ.) თბილისისა და ქუთაისის სასწავლებლების მდგომარეობას ასე აღწერს: „*ზედამხედველთა სასარგებლო საქმიანობას უნდა მიეწეროს თბილისისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში სასწავლო საქმის მეტად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მიუხედავად მრავალი ისეთი არახელსაყრელი გარეშე პირობებისა (აქ მინისტრი ჩამოთვლის იმ პირობებს — ვ.გ.)... მაგრამ თბილისისა და ქუთაისის სასწავლებელთა ზედამხედველების საქმისათვის სავსებით თავდადებად გადალახა აღნიშნული სიძნელეები და მიაღწია იმას, რომ მათდამი რწმუნებულ სასწავლებლებში დამყარდა სწორი სასწავლო წესები და საგნების რაციონალური სწავლება, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო*“.

და ეს იყო იშვიათი შემთხვევა: ხელისუფლება იძულებულია, დადებითად შეაფასოს იაკობის მოღვაწეობა... მაგრამ... ეს 1872 წელს მოხდა. ამის შემდგომ იყო ის, ზემოთ რომ აღვნიშნეთ: იაკობი, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, „*სემინარიის რექტორის — ვალენტინის — მიერ შეკრებილი ცნობებითა და წარდგინებით*“ საზოგადოებრივი სამსახურისთვის არასაიმედოდ ცხადდება... იაკობის არასაიმედოობა — ქართული საქმის ერთგულება იყო... საჭირო ხდება მისი თავიდან მოშორება...

პარადოქსული ვითარება გრძელდება:

1873 წლის იანვარი. სინოდის ობერპროკურორი, სახალხო განათლების მინისტრი დიმიტრი ტოლსტოი მიმართავს საქართველოს ვეზარქოსს, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგთა კრებამ განიხილოს, თუ რა ჯილდოზე შეიძლება იქნეს წარდგენილი სასწავლებლის ზედამხედველი იაკობ გომგაგაშვილი (მატიანე, 28).

იმავე წყაროდან: „გოგებაშვილისათვის, მისი ავადმყოფობის გათვალისწინებით, საუკეთესო ჯილდო იქნება ერთდროული ფულადი და ხმარება“... ამას ეგზარქოსი ამბობს და გოგებაშვილს მიეცა ფულადი დხმარება მისი ერთი წლის ჯამაგირის — 900 მანეთის — ოდენობით (მატიანე, 29).

აქებენ იაკობს, აჯილდოებენ... ასეთი იყო 1873 წლის ზამთარი და გაზაფხული...

იაკობი ამ დროს სერიოზული ავადმყოფია. ნიკო ლომოური წერს: „შინაურმა მტერმაც მრისხანებით წამოჰყო თავი: სიცხემა და ზველამ უმატა. ხშირად სისხლიც ამოჰქონდა ნახველში... ნერვები საშინლად აეშალა. იაკობის ოთახიდან ხშირად ისმოდა გაჭირვებული ძახილი, მუქარა, წყევლა-კრულვა. მძლავრი გონება აფორიაქებულმა ნერვებმა დაიმორჩილეს“ (არბოელი 1990, 479).

დაუნდობელი შემოტევა ავადმყოფობისა და... ისარგებლეს ამით: „რაკი ცოცხალ საქმეს ერთგული თვალყურის ჭერა მოაკლდა, მრუდე ხელმა იწყო ფარულად მოქმედება. კანცელარია სრულიად აურ-დაურიეს, შემოსავალ-გასავლის წიგნები მოჰპარეს, სხვა და სხვა საბუთის ქაღალდები მისჩქმალეს. ავადმყოფი ზედავდა ყოველივე ამას, მაგრამ რას იზამდა?“ (არბოელი 1990, 479).

1873 წლის ოქტომბერია — „მტკვრის ეპიზოდის“ წინა დღეები. „**იაკობის დაუსწრებლად (იგი ამ დროს ავად არის) სასულიერო სასწავლებელს იკვლევს პეტერბურგიდან ჩამოსული რევიზორი კერსკი და სასწავლებლის მთელ საქმიანობას უარყოფითად აფასებს, ხოლო იაკობს სწამებს ათვისტობას, სეპარატიზმსა და რუსოფობიას**“ (მატიანე, 29).

გავიხსენოთ: ზუსტად ერთი წლის წინ შეამოწმა სასწავლებელი ზინჩენკომ... მინისტრმა დ. ტოლსტოიმ ჯილდო მოითხოვა იაკობისათვის... კერსკის რევიზია კი თითქოს სხვა სასწავლებელს და სხვა პირს ეხებოდა... ამ რევიზიის შედეგებს მოგვიანებით (1878 წელს) ასე გაიხსენებს იაკობი: „ერთი წლის შემდეგ სემინარიაში არსებული უწესრიგობის გამოსაკვლევადა თბილისში ჩამოსულმა მეორე რევიზორმა, ბ-მა კერსკიმ გამოარკვია სასწავლებელი და სცნო იგი მოშლილად, ხოლო ჩემი საქმიანობის შესახებ სულ სხვა აზრი გამოთქვა. ვინ იყო მართალი, ბ. ზინჩენკო თუ ბ. კერსკი? თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პირველმა მნახა სამსახურის დროს, დაესწრო ჩემს გაკვეთილებს, ხშირად საუბრობდა ჩემთან და საერთოდ შესაძლებლობა ჰქონდა გამცნობოდა და გამოერკვია ყველაფერი სასწავლებელში, ხოლო უკანასკნელმა კი მოახდინა რევიზია ჩემი ავადმყოფობის დროს, რომ მას ჩემთვის არ მოუმართავს არც ზეპირი და არც წერილობითი განმარტებისათვის“... ეს იაკობმა გაიხსენა მოგვიანებით; ახლა კი სხვა თვალთ დახანხული იგივე ფაქტები: „1873 წელი. ოქტომბრის ბოლო — ნოემბრის დასაწყისი. რევიზორ კერსკის უსამართლო განჩინება-დასკვნა-

თა და შინაურთა გაიძვერობით ავადმყოფი იაკობის ჯანმრთელობა კიდევ უფრო უარესდება. ნერვებაშლილი და დაღლილ-დაქანცული იაკობი თვითმკვლელობის განზრახვამდე მიდის. მანამდე კი წერილებს უგზავნის რევიზორ კერსკის, სინოდს, ეპისკოპოს გაბრიელს, რომლებშიც ამხელს უგზარქოს ვესევის, სემინარიის რექტორ ვალენტინის და მათი დამქაშების ბოროტმოქმედებას“ (მატიანე, 30).

შეტევა სხვა მხრიდანაც: „ნოემბრის 30 ვაზეთი „დროება“ (№400) ბეჭდავს ნიკო ნიკოლაძის მეორე რეცენზიას (ნ. სკანდელის ხელმოწერით) იაკობის „ბუნების კარის“ შესახებ, რომელშიც ზედმეტად მკაცრად და დაუმსახურებლად არის გაკრიტიკებული იაკობის წიგნი“ (მატიანე, 31).

ნიკო ლომოური კვლავ ეცდება ახსნას ვითარება: „**ექსარქოსის მტრობა, რექტორის კლიაუზიკობა, გარშემო მყოფთა სულმდაბლობა, საზარელი სენის გაძლიერება, ერთგული მეგობრების განშორება, — აი ის ბოროტებით სავსე ვარემოებანი, რომელთა შეერთებული ძალა კარს მოადგა იმ უამად იაკობს**“ (ნ. ლომოური 1991, 89). დიახ, ერთდროულად ხდება ყოველივე ეს:

- იაკობი მძიმედაა ავად, სამსახური ხშირად უცდება...
- კერსკის რევიზია და უარყოფითი დასკვნა...
- საზოგადოებრივი სამსახურისთვის არასაიმედოთა სიაში შეყვანა...
- სემინარიის შინაურ მტერთა შემოტევა...
- დაუმსახურებელი კრიტიკა „ბუნების კარისა“...
- დაბოლოს: სამსახურიდან დათხოვნა!..

ლოგიკური შედეგი: „ერთ დილით ხმა გავრცელდა — იაკობ გოგებაშვილი უგზო-უკვლოდ დაკარგულაო“... „მტკვრის ეპიზოდს“ ზემოთ გავეცანით...

გავიხსენოთ სანდრო ცხვედაძის ნაამბობი: „**მე მაშინათვე ჩავიბრინე ფერდობი და, როდესაც ნაპირთან ჩავედი, ის კაციც იქვე გამოვიდაო. შევხედე და თავზარი დამეცა: ეს იყო იაკობ გოგებაშვილიო. აქ ტანისამოსი გაუწურე, ჩემი მშრალი პალტო ჩააცვი და წამოვიყვანე, მერე მე და ნიკომ მიხეილის საავადმყოფოში წავიყვანეთ და იქ დაფარვინეთ**“ (ნ. ლომოური 1991, 39).

იაკობი მიხეილის საავადმყოფოში სულით ავადმყოფთა განყოფილებაში დააწვივნეს. კვლავ იაკობის უპირველესი ბიოგრაფი ნ. ლომოური: „**რორიოდ კვირის შემდგომ იაკობი ვინაზულე სულით ავადმყოფთა განყოფილებაში. დილის ათი საათი იქნებოდა. მე შემვიყვანეს გრძელ დერეფანში, რომელსაც მარჯვენა ბაღში გამავალი ფანჯრები ჰქონდა ჩამწკრივებული, მარცხნივ კი მრავალი კარბები ოთახებისა. გაიღო ეს კარბები და აქედან საშინელი ჟღარ-ჟღარით, ხტუნაობით გამოცვიფდნენ სამოცამდე სულით ავადმყოფნი. ზოგი მღეროდა, ზოგი ლეკურს უვლიდა, ზოგიც ყირამალა გადადიოდა.**

მართალია, საშინო ამბობი არააინ ერია, მაგრამ მათი პირუტყვილი ხმა-ურობა, არეული თვალეები, შეშლილი სახე ძალაუნებურად ჟრუანტელს მოგვეკრიდათ ძარღვებში. მთელი დერეფანი აივსო ამ უბედურების არე-დარეული ღრინანცელითა. თვალზე ცრემლები მომადგა, როდესაც ამავე დერეფნის ბოლოში მიჩვენეს იაკობის ოთახის კარები. ვნახე ძვირფასი მას-წველებელი. გამხდარ-გაყვიითლებულ სახეზე სვედიანათ გამოიყურებოდნენ მისი დაღონებული თვალეები“ (ნ. ლომოური 1991, 334-335).

ღიას, მტკვარსგადარჩენილი იაკობი უახლოეს მეგობრებს — ნიკო ცხვედაძეს, გიორგი იოსელიანს, ანტონ ფურცელაძეს — აქ, მიხეილის სა-ჯადმოფოს სულით აჯადმოფოთა განყოფილებაში, დაუბინავებიათ...

რა იყო „მტკვრის ეპიზოდი“ — მკვლელობის მცდელობა თუ თვით-მკვლელობისა? იაკობი მიიყვანეს ამ მდგომარეობამდე, იგი აიძულეს, ეს ნაბიჯი გადაედგა: ათი წლის განმავლობაში (1863 წელს თბილისში და-ბრუნდა, 1873 წელს სამსახურიდან დაითხოვეს) იაკობი სისტემატურად უსამართლოდ იჩაგრებოდა... ახალგაზრდობიდანვე შერყეული მისი ჯან-მრთელობა დღითი დღე უარესდებოდა... დღითი დღე ძლიერდებოდა მასზე სულიერი ზეწოლა... ყოველივე ამან შეურყია ფსიქიკა იაკობს. „მტკვრის ეპიზოდი“ სულიერად შერყეული ადამიანის მიერ გადადგმული ნაბიჯი იყო... ღიას, იაკობი აიძულეს, ეს ნაბიჯი გადაედგა...

არის ერთი დიდად საგულისხმო არგუმენტიც: შემოგვენახა იმერეთის ეპისკოპოსის — გაბრიელის — წერილი...

იაკობ გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში რომ სწავ-ლობდა (1855 — 1861 წ.წ.), გაბრიელ ქიქოძე იყო ინსპექტორი და პე-დაგოგი სემინარიისა. იაკობი იყო უშუალოდ გაბრიელის მოწაფე. „ბუ-ნებით ნიჭიერმა, ბეჯითმა და სიცოცხლით აღსავსე იაკობმა თავიდანვე მიიპყრო მასწავლებლის ყურადღება. აქ გაინასკვა უღრმესი სიყვარული აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის, რომელიც მთელი სიცოცხლის მან-ძილზე უბერებელი გრძნობით აღავზნებდა ორივეს გულს“ (ს. სხირტლაძე 1965, 170). როდესაც იაკობი გადაწყვეტს კიევში წასვლას სასწავლებლად, რჩევა-დარიგებისათვის ქუთაისში ქვევა თავის მასწავლებელს, იმჟამად უკვე იმერეთის ეპისკოპოსს და მისგან მიიღებს კურთხევას... თავისი მო-ძღვრისგან იაკობი რჩევა-დარიგებას იღებს მისთვის უძიმეს პერიოდშიც, 1873 წელს...

როგორც ჩანს, ვეზარქოსის მიერ იაკობის დევნა გაბრიელ ეპისკოპოსს სერიოზულად აფიქრებდა და ამის გამო უპირისპირდებოდა კიდევ ვეზარ-ქოს ვესევს; ადანაშაულებდა მას იაკობ გოგებაშვილის დევნაში. ვეზარქო-სი ითხოვს წერილობით ახსნა-განმარტებას ეპისკოპოს გაბრიელისაგან. ჩვენთვის უცნობია ვეზარქოსის წერილი (ისიც არ ვიცით, შემოგვენახა თუ არა იგი) ეპისკოპოს გაბრიელისადმი. საპასუხო წერილის ფრაგმენტები

გამოაქვეყნა ს. სხირტლაძემ 1965 წელს. ს. სხირტლაძე წერს: „სწორედ ერთი ასეთი ახსნა-განმარტება მოუთხოვინა ვეზარქოს ვესევს გაბრიელი-საგან 1874 წელს. აი, ეს საინტერესო, არაოფიციალური დოკუმენტი, რომ-ლის ხელნაწერის ასლიც ჩვენთან ინახება“ (ს. სხირტლაძე 1965, 185). სამწუხაროდ დოკუმენტის დედანზე მითითება არ არის...

გაბრიელის წერილი 1874 წლის 16 სექტემბრით თარიღდება. რამდენიმე ფრაგმენტი ამ წერილიდან: „თქვენ განსაკუთრებით გაინტერესებთ ჩემგან, — მიმართავს ეპისკოპოსი ვეზარქოსს, — რა მტკიცებულება მაქვს მე იმის თაობაზე, რომ თქვენ თითქოსდა დევნიდით გოგებაშვილსა და, ამავე დროს, თავის მართლების მიზნით თან ურთავთ მართლაცდა შემზარავ აღწერას მისი აჯადმოფობისა, მისივე ხელით შედგენილს“... გაბრიელ ეპისკოპო-სი დიდად საგულისხმო აზრს გადმოსცემს წერილის შემდეგ მონაკვეთში: „რაც შეეხება კერძოდ თქვენს დამოკიდებულებას გოგებაშვილის მიმართ, ამ თემაზე მსჯელობისას მე ვემყარებოდი, პირველ ყოვლისა, ჩვენთან გა-ვრცელებულ საყოველთაო ხმებს, რომ გოგებაშვილმა, სასწავლებლიდან წასვლის წინ, ანუ როგორც აქ ამბობენ, თვითმკვლელობის მცდელობა-მდე, თავის ბინაში დატოვა ბარათი, დაახლოებით ასეთი შინაარსის: „ახა-რეთ ვეზარქოსს, მე საბოლოოდ ვიღუპები“ და სხვა. მეორეც, მე ხელში ჩამიგარდა უშუალოდ მის მიერ დაწერილი ბარათი, არ მახსოვს, როდის და ვისთან მიწერილი, რომელშიც ის იხსენიებდა, რომ თქვენ გადაწვეტიეთ რაღაც უნდა დაგვედომოდათ, დაგედუპათ იგი“ (ს. სხირტლაძე 1965, 187).

ყურადღებას მივაქცევთ რამდენიმე ფაქტს:

„მტკვრის ეპიზოდი“ მოხდა 1873 წლის დეკემბერში. ეს წერილი იწე-რება 1874 წლის სექტემბერში. ჩანს, ამ ბარათს წინ უსწრებდა სხვა წე-რილი, რომელშიც გაბრიელი ესარჩლებოდა იაკობს და ბრალს სდებდა ვეზარქოსს გოგებაშვილის მტრობაში, მის დევნაში; როგორც ჩანს, გოგე-ბაშვილი ამგვარ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა, ამაში ვეზარქოსს ადანა-შაულებდა ეპისკოპოსი გაბრიელი.

ვეზარქოსი თავს იმართლებს და ეპისკოპოსისაგან ითხოვს დამატებით არგუმენტებს ამ ბრალდებისა... ეპისკოპოსი გაბრიელი გოგებაშვილის მი-ერ „თვითმკვლელობის მცდელობას“ არ მიიჩნევს ფაქტად და მას უწო-დებს „ჩვენთან გავრცელებულ საყოველთაო ხმებს“...

ეპისკოპოსი ასევე გავრცელებულ ხმად მიიჩნევს და არა ფაქტად, თით-ქოსდა იაკობს შინ დაეტოვებინოს ბარათი: „როგორც აქ ამბობენ“...

გაბრიელი ფაქტად მიიჩნევს იმას, რომ არსებობდა იაკობის ხელით და-წერილი წერილი, რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ ვეზარქოსს ჰქონდა გადაწვეტილი იაკობის დაღუპვა...

ეპისკოპოს გაბრიელის ამ ბარათს ვეზარქოსისადმი აქვს არსებითი მნიშვნელობა იმის გასარკვევად, „მტკვრის ეპიზოდი“ მკვლელობის მცდე-

ლობა იყო თუ თვითმკვლელობისა. ისარგებლეს იაკობის უმძიმესი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობით და აიძულეს ეს ნაბიჯი გადაედგა...

და კიდევ ერთი კითხვა: შეიძლება თუ არა, იაკობ გოგებაშვილს, როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებელს, გადაედგა ნაბიჯი, რომელიც „თვითმკვლელობის მცდელობად“ აღიქმებოდა? — რა თქმა უნდა, არა:

იაკობის დამოკიდებულებაზე ქართული ეკლესიისადმი, სარწმუნოებისადმი ზემოთაც ვთქვით. გავიმეორებთ: იაკობი ქრისტიანულ ოჯახში გაიზარდა; მამა — სიმონი — სოფლის მღვდელი იყო. იაკობმა წარმატებით დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და შემდეგ — თბილისის სასულიერო სემინარია. საუკეთესო სტუდენტი იყო კიევის სასულიერო აკადემიაში, თუმცა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო დამთავრება. ისიც საინტერესოა, სემინარიის რექტორი გამორჩეულ სტუდენტის ბედზე ამის შემდეგაც ზრუნავდა...

იაკობი იყო გაბრიელ ქიქოძის მოწაფე და სულიერი შვილი; ეპისკოპოს გაბრიელის ყურადღება და მზრუნველობა მას არასდროს მოჰკლებია; იაკობი ჩვეულებრივ მისგან იღებდა რჩევებს...

იაკობს ღრმად სწამდა და ქადაგებდა ეკლესიის დიდ მნიშვნელობას. ეკლესიის, როგორც ჩვენი ეროვნულობის ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯის, შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. აქ მხოლოდ გავიხსენებთ, რომ იაკობს ეკლესია სამშობლოს, დედაენისა და ეროვნული სკოლის ტოლფასად მიაჩნია...

საერთოდ თემა იაკობ გოგებაშვილი და სარწმუნოება ვრცელი თემაა... ფაქტია, იაკობი იყო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და მისგან ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც „თვითმკვლელობის მცდელობად“ შეიძლება აღქმულიყო, ყოვლად დაუჯერებელია...

ბოლოს ის უნდა ვთქვათ, რომ „მტკვრის ეპიზოდის“ შეფასებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო — ჩრდილი არ მიადგეს დიდი ქართველი მოღვაწის წმინდა სახელს.

წერს ერთგან იაკობი: „რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემის სახელმძღვანელოების შედგენას და ხან-გამოშვებით ვაუკეთესობას, ათი იმდენა დრო და შრომა მომიხდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებისაგან“. სხვაგან: „მათი (ჩემი წიგნებისაო — გ.გ.) დაცვა ბევრს დროსა და შრომას ითხოვს, რაც ჩემს წიგნების შედგენაზედ ჯაფა მამსვლია, ორი იმოდენა შრომა მონდომია სხვადასხვა გასამართლებელს მოხსენებებსა, რომლითაც საესეა ჩემი სტოლის უჯრა“... ერთგან თავის მართლებებისას იმის განმარტებაც დასჭირდა, ცილისწამება რა არის — „ცილისწამება ჰქვია იმისთანა სიცრუეს, რომელშიაც შედის ბოროტი განზრახვა“ და სწორედ ამ ბოროტ განზრახვას ებრძვის; ებრძვის და უმკლავდება, მაგრამ საშური დრო იკარგება...

ვის ებრძვის? იოსებ იმედაშვილის თქმით, „ბრძოლა უხდებოდა გარეშე თუ შინაურ მოწინააღმდეგეებთან“.

ივანე გომელაური იგონებს: „იაკობი თავგამოდებით, ბასრი კალმითა და მჭრელი ენით იცავდა თავის სახელმძღვანელოებს ყოველმხრივ მოსული მტრებისაგან. მტრები კი ბევრი ჰყავდა — შინაური და გარეული. შინაურები იყვნენ წვრილფეხა და განდიდება-გამდიდრების სურვილით შეპყრობილი მასწავლებლები, რომლებიც ცდილობდნენ „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ დამცირებას, რათა მათ მაგიერ სკოლებისათვის მიეჩეჩებინათ თავიანთი შეითთხნილი სახელმძღვანელოები და ამით გემრიელი ლუკმა აეღოთ ხელში. განსაკუთრებით „დედაენას“ ეცილებოდნენ, რადგან ის უფრო შემოსავლიანი იყო. გარეშე მტრები კი იყვნენ მთავრობის მოხელეები, მოყოლებული სასწავლო ოლქის მზრუნველიდან, ყველა მისი ყურმოჭრილი ჩინოვნიკით, რომელთაც არაფრად ეპიტნავებოდათ არც ზვიადი და განათლებული ჩვენი პედაგოგი და არც მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები“... ერთგან თავადაც იტყვის იაკობი: „ჩემს წიგნებს ბევრი მტერი ჰყავდა, შინაური და გარეული, აშკარა და იდუმალი, მკიცხავი და მამბეზღარი“...

ერთი მაგალითი გარეშესთან ბრძოლისა. ზემოთაც გავიხსენეთ: იანოვსკისთან ბრძოლა ვრცელი თემაა. ასეთი შემთხვევა გავიხსენოთ: იანოვსკიმ თვალი დაადგა „დედაენას“. იაკობისთვის უთქვამს:

— „ჩვენის სკოლების მთავარი მიზანი რუსულის ენის გავრცელებაა აქაურ მცხოვრებთა შორის; ამ მიზანს, სხვათა შორის, აბრკოლებს სიფართოვე თქვენის „დედა-ენისა“, რომელიც დიდს დროს ითხოვს თავისი გათავებისთვის. ქართული წერა-კითხვის შესწავლა ძალიან ადვილია და სრულიად საჭირო არ არის დიდი სახელმძღვანელო. საბჭოში გვქონდა ამის შესახებ მსჯელობა და შემდეგ დასკვნამდინ მივედით: მოგცეთ წინადადება, ერთი ორად შეამოკლოთ „დედა-ენა“ და გვერდში პარალელურად, ამოუყენოთ რუსული თარგმანი. ამ გზით ქართული ენაც საკმარისად შეისწავლება და რუსული ენაც წინ წაგა“.

მძიმე წინადადებაა. ფაქტობრივ, „დედაენის“ გაძევება სურთ ქართული სკოლიდან. ერთი კვირა მისცა იანოვსკიმ იაკობს მოსაფიქრებლად.

— „თუ არ დაგვეთანხმებით, საბჭო თითონ გამოსცემს სახელმძღვანელოს და, ნურას უკაცრაფად, თუ თქვენი „დედა-ენა“ გაირიყებაო“.

იაკობმა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ მოახსენა ეს ამბავი. იცნობენ იანოვსკის, მის ინტერესებს და „პრინციპებს“ და ამიტომაც ზოგი ურჩევნ, დაყაბულდეს:

— „დედა-ენის“ ნახევარს მაინც გადავარჩინოთ, თორემ, ივინი გამოსცემენ მახინჯს რასმე, ისიც რუსული ალფაბეტიით და საქმე სრულიად წახდებაო“.

იაკობი კატეგორიული წინააღმდეგია იანოვსკის წინადადებისა, ურჩევნია აიკრძალოს „დედა-ენა“, რადგან — „ახლანდელი სახით დამარხული „დედა-ენა“ მკვდრეთით შეიძლება მალე აღდგეს; მაგრამ დამახინჯებული კი საუკუნოდ მკვდარი დარჩებაო“...

ბრძოლა გრძელდება... იანოვსკი არაა ის მოხელე, იოლად დაიხიოს უკან... იაკობი არგუმენტაციაზე ფიქრობს... მოკლედ, ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ იაკობმა გაიმარჯვა, საბჭომ ხელი აიღო თავის განზრახვაზე... იაკობი იუმორით ამთავრებს თხრობას: „და მეც ჩემი მხრივ ასეთი ხათრი გავუწიე მას: „დედა-ენა“ ერთი-ორად გაჟღერდეს...“

ეს იყო ერთი შემთხვევა გარეშე მტერთან ბრძოლისა. ფაქტი საშიში და საბედისწერო — იაკობის დამარცხება ქართული სკოლის დამარცხება იქნებოდა... სხვაც იყო გარეშე მტერთან ბრძოლის ფაქტები და არაერთი — ეგზარხოსთან თუ სემინარიის დირექტორთან, სამთავრობო კომისიასთან თუ ინსპექტორებთან... და თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე ეს ფრონტი აქტიური იყო...

უფრო აბეზარი, უფრო ხანგრძლივი, დამქანცავი და მომაბეზრებელი შინაურ მტერთან ბრძოლა იყო...

ვთქვით, იაკობის „დედაენა“ რომ გამოვიდა, რამდენიმე საანბანე წიგნი იყო სასწავლო პროცესში. იოლად, უპრობლემოდ ჩაენაცვლა „დედაენა“ მათ და გამოდევნა სკოლიდან, მაგრამ პროცესი აღმოჩნდა რთული, ძნელად შესაგუებელი სხვათათვის და...

„ბრძოლა უხდებოდა გარეშე თუ შინაურ მოწინააღმდეგეებთანო“... „შინაურმა მტერმაც მრისხანებით წამოჰყო თავიო,“ — დაინანებს არბოელიც და ეს გრძელდებოდა თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე.

1907 წელს წერდა იაკობი: „ოც და ათის წლის წინად თითქმის დამსახურებული მოზრდილი პენსია შავრაზმელებმა ხელიდან გამომტაცეს, პენსიის ნაკვლად ხელში მომაჩერეს, ისიც ავადმყოფობის დროს, მგლის ბილეთი ესრედ წოდებულის მესამე მუხლის ძალით და გამრიყეს სავსებით იმ იმედით, ვგება სული მთლად ამომხდესო. ახლა სხვა ფერის ვაჟბატონები იმავე გარიყვას შემუქრებიან, რაშიაც იგივე შავრაზმელები მხურვალე დახმარებას გაუწევნ დიდი სიამოვნებით. ჩინებული კავშირია, საუცხოო ერთობაა, მაგრამ როგორც მაშინ სრულიად გაცრუვდა იმედი გარიყვისა, ისე ახლაც გაცრუვდება, იმედია“.

როგორც ვთქვით, როცა „დედაენა“ გამოდის, რამდენიმე საანბანე წიგნია ქართული. ორი ასპექტია: ერთი: კონკურენტი სახელმძღვანელოს ავტორს არ უნდა ირწმუნოს, რომ „დედაენა“ მის ნაცოდვილარს სჯობია; მეორე და, ალბათ არსებითი, არ ეთმობა ის შემოსავალი, რომელსაც საანბანე წიგნი აძლევს მის ავტორს. ამ „პრინციპს“ იაკობი „სახსრის ტრფიალსა და კუჭის პრინციპს“ უწოდებს. ცილისწამებათა სერია, არაო-

ბიექტური შეფასება სწორედ ამ პრინციპს ემყარება უმთავრესად... და კიდევ მესამე: იაკობი დაუნდობელი პოლემისტია: ქართველ კაცს არ უყვარს დამარცხება, აღიარება დამარცხებისა — არ შესწევს ყველას ამის ძალა (იაკობი აქაც მაგალითი იყო...) და იწყებოდა ახალ-ახალი შემოტევაანი.

ერთი წერილი აქვს იაკობს ძალზე საინტერესო სათაურით „უმეცრების ამაყობა“ და ასევე საინტერესო დასაწყისით „დედა ენას ისევ ესროლეს კენჭები“ (1881). დიას, ეს კენჭებია, ნაკლებად საშიში და ნაკლები ზიანის მომტანი!... „დედაენას“ ვერაფერი დააკლესო, მაგრამ „ბუნების კარი“ ორჯერ ააკრძალვინეს სემინარიის ხელმძღვანელობას... რატომ ებრძვიან? „მართო უმეცრობა არ არის აქ დამნაშავეო; ზოგიერთ მკილაჟს „დედაენამ“ ცული საქმე უყოო, რამდენიმე მათგანვე შედგენილი ანბანი დაააღპო სტამბაში და იმიტომ გამოილაშქრეს ისე ბრიყვეულად „დედა-ენაზედაო“. — ეს წერილი იაკობისა „გადაღმიელის“ საპასუხოდ დაიწერა; ეს „გადაღმიელი“ (ანთიმოზ ჯუღელი) ერთ-ერთი ავტორია საანბანე წიგნისა. რას წერს, იცით, ანთიმოზი? — „ღმერთმა შენს მტერს ნუ მოაკლოს იმისთანა არეულ-დარეული და აფუშულ-დაფუშული სიმდიდრე, როგორიც არის „დედაენის“ პირველი საკითხავი წიგნიო“... და იაკობი იწყებს დეტალურ ანალიზს შენიშვნებისას, გაბათილებას „არგუმენტებისას“, მტკიცებას ელემენტარული ჭეშმარიტებისას... დასკვნა ზოგადი და მარტივია: „ამგვარს გაუგებრობაზედ ბერძნები ამბობენ, რომ მისი განკურნა ღმერთსაც არ შეუძლიაო“... მაშინ რა სჯის პასუხისათვის იაკობს? ყურადღება მივაქციოთ ამ წერილის მიძღვნას: „ვუძღვნი სახალხო მასწავლებლებს“. გადაღმიელის წერილი ჟურნალ „იმედის“ ორ ნომერში იბეჭდებოდა; იაკობს გადაღმიელი კი არ აღარდებს, შიშობს, მასწავლებლები არ შეიყვანოს შეცდომაშიო... ამიტომაცაა, გადაღმიელისა და მისთანათა მიზანი „დ ე დ ა ე ნ ი ს ა და ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი ს დანაცრება“. ამხელს იაკობი: „არა ერთი ენერგიული და ნიჭიერი პირი აღიჭურვა ამ კეთილშობილის წადილითა (პიროვანი გაბოროტების გამო)“... თავიანთი უსუსური წიგნების „გასავრცელებლად მათ მიმართეს ისეთ საშუალებას, რასაც ი. გოგებაშვილი თავის დღეში არ იკადრებდა: ეს იყო მთავრობის ჩინოვნიკების მომხრობა, მათი გულისმოგება“ (ი. გომელაური). ამ ფაქტს უფრო დაწვრილებით იგონებს იგივე ივანე გომელაური: „დედაენის“ სამაგფრო სახელმძღვანელო შეადგინეს ზ. გულისაშვილმა, ფ. როსტომაშვილმა, ალ. ნათაძემ და სხვ. „ბუნების კარის“ მაგფრობას აპირებდა მიხ. ნასიძის მიერ შედგენილი „ქართული ქრესტომათია“, რომელიც 1885 წელს დაიბეჭდა პირველად და უკანასკნელად; შემდეგ არ ქუთათელაძის „წყარო“ (ორი წიგნი). მაგრამ ამ მოქმედებათა შორის საშიშ მტრებად გადაიქცნენ ალ. ნათაძე, თავისი „ბავშვების მოკეთით“ და არ. ქუთათელაძე, თავისი „წყაროებით“; არა იმიტომ, რომ ისინი უფრო ნიჭიერი და მცოდნე იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი

ორივენი იყვნენ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებლები, იმ გიმნაზიისა, რომლის მასწავლებლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი იაკობთან... სწორედ მათ მიიმხრეს მთავრობის ჩინოფნიკები“...

თავისთავად, პირად ინტერესებზე ფიქრი არაა სათაკილო, თუ ეს ინტერესი საზოგადოს არ უპირისპირდება... თუ საზოგადო ინტერესს უპირისპირდება, დამლუპველია... შეგვაგონებს იაკობი: „ისე დამლუპველი და დამამზობელი არსად არის, როგორც ხალხის განათლებაში, ტებნა პირადი ინტერესებისა, ნივთიერის სახსრის გაძლიერებისა, ფულის მოპოებისა, — მეტადრე იქ, სადაც დედაენას ზოგიერთნი ეპყრობიან ისე, როგორც ავი დედინაცვალი ეპყრობა თავის მოძულეებულს გერსა“.

არადა, მრავლად იყვნენ ისეთები, ვისთვისაც საზოგადო ინტერესი არად ფასობს, პირადია მთავარი...

ამიტომაც დაიხივლებს იაკობი: „დიად, ჩვენში საქმის გაკეთება ბევრად ძნელია, ვიდრე სხვაგან, უფრო კიდევ ძნელია დაცვა გაკეთებულის საქმისა ვაფუჭებისაგან, რადგან გამფუჭებელნი ჩვენში წინ გელობებიან ყოველს ნაბიჯზედა. და როდესაც ამ გამფუჭებლების უკუღმართობას და უმეცრობას გამოააშკარავენ, წმინდა მოვალეობის აღსასრულებლად საზოგადოების წინაშე, ცბიერნი და ვერაგნი მორთავენ ხოლმე ყვირილსა: დახე! დახე! ახალგაზრდა ტალანტებს გზას უკრავსო. და ამის შემდეგ რად გიკვირსთ, როდესაც ცხადად ვხედავთ ჩვენს საზოგადოებაში გახრწნილების ნიშნებსა!“

ერთგან ამასაც იტყვის იაკობი: „ამდენს წერომას, სწორედ მოგახსენოთ, კაი გაძლება უნდა; მაგრამ იქნება როგორმე ცოცხალი გადაჯრჩეთ, თუ უფალმა სრულიად ხელი არ აიღო ჩვენზედ“.

და, რა თქმა უნდა, უფალი იაკობთანაა და იგერიებს იაკობი მოჯარეებულ მტერს... საქმე სამედიატორო სასამართლომდეც მისულა...

და იაკობი იბრძვის მაშინ, როცა ამას „მოითხოვდა თვით ინტერესი ქართული ენისა“, რადგან სწამდა, რომ ამ შინაური ბრძოლის შედეგი იქნება „დაუბრკოლებელი გაძლიერება იმ უკუღმართობისა, რომელიც ლამობს ხალხის განათლებას გადააქციოს ხალხის დაბნელებად“.

ასეთი თქმაც არსებობს — თუ გინდა კაცი წონასწორობიდან გამოიყვანო, დააბრალე ის, რის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება იბრძვისო... და ამგვარ ხერხსაც მიმართავდნენ იაკობის წინააღმდეგ. „ერთხელ ჟურნალ „ნიშადურში“ ვითომდა „კორექტურულ შეცდომებში“ იაკობს კლანჭი გაჰკრეს „მოგებაშვილი“-ო (გოგებაშვილის მაგიერ)“ (ი. იმედაშვილი). კი, იცის მოკეთებ, რომ „იაკობი ნივთიერი ანგარებისაგან“ შორს იდგა“ (ი. იმედაშვილი), მაგრამ... გულისტკენა ერთია, ამასაც გაძლება უნდა. „ის გარემოებაც არის მხედველობაში მისაღები, რომ იგი მეტიმეტად მგრძნობიარე ნერვული სისტემის პატრონი იყო და ყოველ უსიამოვნებას

და წყენას ძალიან მწვავედ განიცდიდა“... ეს მაშინ, როცა „მისი პატიოსნება ყველამ იცოდა“ (არტურ ლაისტი).

ცნობილი ფაქტია, როცა იაკობმა გადაწყვიტა პედაგოგიური საქმიანობისათვის მიეძღვნა ცხოვრება და მხოლოდ ყმაწვილის აღზრდაზე ეფიქრა და ეზრუნა, თავისი საბუთები დაწვა, სამოხელეო ასპარეზს რომ აღარ დაბრუნებოდა. ნიკო ლომოური იგონებს:

„იაკობს მართლაც შეეძლო მდიდარი კაცი ყოფილიყო, მიზნად ეს რომ დაესაზა“.

საინტერესო მოგონებას გვთავაზობს ფილიპე გოგიჩაიშვილი: „ი. გოგებაშვილი მთელს საქართველოში ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ახალგაზრდობის შემდეგ სამსახურში არ შესულა და მხოლოდ თავისი ნაწერების პონორარით ცხოვრობდა. მისი ცხოვრების წყარო იყო ის შემოსავალი, რომელსაც მას აძლევდა უმთავრესად მისი სამი სახელმძღვანელო: „დედა-ენა“, „ბუნების კარი“ და „Русское слово“ და ეს წყარო გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, ი. გოგებაშვილი რომ დათანხმებულიყო ამ სახელმძღვანელოების ცოტაოდნავ გაძვირებაზე, ფასის გადიდებაზე. მაგრამ იგი ამას ყოველი საშუალებით ერიდებოდა“.

საანბანე წიგნი ფუფუნების საგანი არ არის, იგი საჭირო და აუცილებელია ყველასათვის და ამიტომაც ყველა ოჯახს უნდა ჰქონდეს მისი შეძენის შესაძლებლობაო, ფიქრობდა იაკობი. ეგ კი არადა, წერის დედანიც კი საანბანე წიგნში შეიტანა და თურმე ფასი არ გაზარდა: „ერთ დროს მან, „დედა-ენის“ პარალელურად, ქართული წერის „დედანი“ გამოცემა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მალე გასაღდა, მან მისი გამოცემა აღარ განაახლა. ის „დედანი“ შემოკლებული სახით „დედა-ენაში“ შეიტანა და იმავე დროს „დედა-ენის“ ფასი არ გაუდიდება. ცალკე „დედნის“ გამოცემაზე ხელის აღებას ი. გოგებაშვილი ასე ხსნიდა: „დედანი“ ღირდა ექვს შაურად, ყდით ჯდებოდა ორ აბაზად. „დედა-ენაშიც“ ამდენივე უნდა მიეცათ მოსწავლეებს. ოთხი აბაზის გაღება კი ჩვენი ღარიბი ხალხისათვის სამძიმო იყო“ (ფ. გოგიჩაიშვილი).

და როცა „მოგებაშვილობას“ უკიჟინებდნენ, იაკობი იძულებულია უსიამოვნო ანგარიში წარუდგინოს მკითხველს: „გოგებაშვილს „დედა-ენიდან“ წლითი-წლობით შემოდის(?) 250 თუმნამდეო“ — ბრძანებს ჩვენი სიმართლის მოყვარე ბატონი. ეს რომ ნახევრობით მაინც მართალი იყოს, მე ახლა მდიდარი ქართველი ვიქნებოდი.; ავიღოთ, მაგალითად, უკანასკნელი გამოცემა „დედა-ენისა“, რომელიც 18 000 დაიბეჭდა. „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ გამოცემიდან ჩემი პონორარითურთ უნდა დაეხარჯა, პირობისამებრ, 3 600 მანეთი. აქედან წიგნის გამოცემას მოუხდა 2 200 მანეთი და ჩემ წილად დარჩა 1 400 მანეთი, რომელიც მე უნდა მეძლიოს თვიურად, ვიდრე წიგნი გაიყიდებოდა. რადგან „დედა-ენა“ ამ-

ქამად იყიდება 10 000-მდე წელიწადში, ამიტომ უკანასკნელის გამოცემის გასაღებას მოუხდება თითქმის ორი წელიწადი. მამასადამე, წელიწადში „დედა-ენა“ მაძლევს 700-800 მანეთს და არა 2 500 მანეთსა. საზოგადოდ ქართული ენის აკრძალვამ მეგრულს სახალხო სკოლებში, შევიწროებამ სხვა სკოლებში და ფაქტიურმა გაუქმებამ ზოგს სასწავლებლებში ისე შეამცირა ჩემი წლიური შემოსავალი, რომ იგი ძლივსღა მყოფნის, თუმცა წინანდელზე უფრო ხელმომჭირნედ ვცხოვრობ, და მოკლებული ვარ შეძლებას, ჩემდა სამწუხაროდ, ხელი გაუძარტო ზოგიერთთა გაჭირვებულს მოსწავლესა“... და ეს ცნობილი ამბავი იყო: „იგი მინიმალურ ფასს ადებდა თავის სახელმძღვანელოებს, რის გამო შემოსავალსაც გაცილებით იმათზე ნაკლებს იღებდა, რისი მიღებაც შეეძლო ნამდვილად“ (ფ. გოგიჩაიშვილი). ესეც ცნობილი ფაქტია: იაკობი არ იღებდა „სალიტერატურო პონორარს არც ქართულ სტატიებში და არც რუსულში“. ამას ასე ხსნიდა: „ქართულში არ ვიღებდი ჯილდოს იმ განზრახვით, რომ ლუკმა პურში არ შეეცვილებოდა იმ ქართველს მწერლებს, რომელთაც სალიტერატურო შრომის გარეშე არავითარი სახსარი არ აბადიათ რაც შეეხება რუსულს სტატიებს, ყველა მათგანი გამოსარჩლება იყო ჩვენი ჩაგრული ერისა და ამისთანა სტატიებს კი რუსული გაზეთების რედაქციები მხოლოდ მაშინ ბეჭდავენ, როცა ჯილდოს არა სთხოვთ“...

არც ეს იყო სიტყვისათვის ნათქვამი, ჩემდა სამწუხაროდ, ხელს ვერ ვუძარტავ გაჭირვებულსო. ქველმოქმედება მისი ცხოვრების წესი იყო:

„თავისი შემოსავლის, სულ ცოტა, ნახევარს, ი. გოგებაშვილი საქველმოქმედო საქმეებზე ხარჯავდა. უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობას აძლევდა შემწობად. იშვიათად გამოზრდილა იმ დროში საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ისეთი ხელმოკლე ახალგაზრდა ქართველი, რომელსაც თავის მიმართ, ამათუიმ გზით, ყურადღება დაემსახურებინოს და ი. გოგებაშვილს, აშკარად ან ფარულად, ერთდროულად ან სისტემატურად, დახმარება არ მიეცეს. იგი ყოველთვის ჰკრეფდა ცნობებს ასეთი ახალგაზრდების შესახებ და გარდა იმისა, რომ თვითონ უგზავნიდა შემწეობას, თავის ნაცნობ-მეგობრებს ცეცხლს უნთებდა მათთვის სტიპენდიის გასაჩენად ან სისტემატური დახმარების დასანიშნავად“ (ფ. გოგიჩაიშვილი)... წერს ერთგან იაკობი: „მართალია, მე იმდენს ვიღებ, რომ თვითონაც კარგად ვცხოვრობ, უნაკლებულოდ, დამოუკიდებლად, და ჩემის ოთხის ძმის ქვრთვ-ობლებს ყოველ წელს ვეწევი ორმოციოდე თუმნითა, მაგრამ განა ეს მე შესაყვედურება? სასაყვედურო მაშინ იქნებოდა, ძვირად რომ ვყიდდე წიგნებსა“...

და ასეთ კაცს ეძახდნენ „გოგებაშვილს“... ნათელია — ამ გზით უფრო იოლად შეიძლება კაცი გამოიყვანო მდგომარეობიდან და ხელი ააღებინო დიდ საქმეზე... მაგრამ, ცდებოდნენ... არ იყო გოგებაშვილი ის კაცი, ვინც

ასე იოლად აიღებდა ხელს საქვეყნო საქმეზე, მაგრამ ენერგია და ძალა სწორედ იმ საქმეს აკლდებოდა...

და როცა დაწერდნენ ან გააგონებდნენ, გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებს კი არა, „თავის შემოსავალს იცავსო, რამდენჯერ უთქვამს მას ამის პასუხად: „პირუტყვის სხვაც პირუტყვი ჰგონიაო“ (ფ. გოგიჩაიშვილი)...

პოლემიკა თან სდევს იაკობის მოღვაწეობას; ალბათ, არავის ქართველ მოღვაწეთაგან ამდენი ძალა და ენერგია, დრო არ დაუხარჯავს წერილობით დაფა-კამათში, რამდენიც იაკობს. არასოდეს თავად არ იყო ინიციატორი პოლემიკისა; მოვუსმინოთ: „უმრავლეს შემთხვევაში ჩემს წინააღმდეგ პოლემიკას სხვები წამოიწებდნენ ზოლმე, მე კი მხოლოდ თავს ვიცავდი და ამ თავდაცვისას შეტევას ვადავდიოდი. გარდა ამისა, თუმცა უკანასკნელი სიტყვა მე მეკუთვნოდა, როგორც თავდამცველ მხარეს, ერთობ ხშირად მას მოწინააღმდეგეს ვუთმობდი ზოლმე; სიმართლეს მისდიე და ძალმოსილი, უძლეველი იქნები მეტქი — ვეტყვოდი თავს ასეთ შემთხვევაში, და მართლაც, ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორიცაა სიმართლე, ერთხელაც არ დაემარცხებულვარ“... „ტრაბახი მეკუთვნისო“, — ამბობს ერთგან იაკობი, მაგრამ ეს არ არის სატრაბახო თავმოწონება... ცნობილი ფაქტია: აკაკიმ პოლემიკა შეწყვიტა იაკობთან — არ მინდა იაკობს ვაწყენიო, ის ჩვენი სინამდვილისთვის მეტად გამორჩეული პიროვნებააო...

სიმართლე იყო ჩემი მოკავშირეო, წერდა იაკობი და ეს სიმართლე აძლევდა ძალას... და კიდევ, მოკამათებს მოუწოდებს სალიტერატურო ეთიკის დაცვისაკენ... სალიტერატურო ეთიკა „ჰგობდა და გმობს, როდესაც პირადი ბოროტება ამოქმედებს რომელიმე მწერლის კალამსა“. უსიამოვნო პირადმა დამოკიდებულებამ შეიძლება ჭეშმარიტებისათვის ადალატეზინოს კალმოსანსო... არადა, ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ხშირია ამგვარი შემთხვევებიო, — ჩიოდა იაკობი, — ეს კი არის „წყარო ყოველის უკადრისობისა და უსამართლობისაო“...

მხოლოდ საკუთარი სახელმძღვანელოები არ არის იაკობისთვის საგანნი პოლემიკისა. კავკავის ქართული სკოლის მნიშვნელობა იაკობს სხვაზე უკეთ ესმოდა. ამიტომაც აღმოფოთება ვერ დამალა, როცა „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობამ წერილობითი საჩივარი მიიღო კავკავიდან „შესახებ კავკავის სკოლის დაქვეითებისა აღზრდის მხრივ“... კავკავის სკოლასა და იქაურ პედაგოგებს დამცველებიც აღმოუჩნდნენ: გ. ლასხიშვილი, გ. იოსელიანი, პ. გოთუა, გ. ნათაძე და სხვები. „იფერია“ და „ცნობის ფურცელი“ წერილს წერილზე ბეჭდავენ იაკობის წინააღმდეგ. ათიოდე წერილი გამოქვეყნდა იაკობისა ამ თემაზე. ერთ-ერთი ბოლო „იკლიკანტური“ წერილის პასუხში იაკობი თითქოს აჯამებს და განმარტავს ამ პოლემიკის აზრსა და მიზანს; ესეც ძალზე საინტერესოა იაკობის პოლემიკური პრინ-

ცაების გასააზრებლად: „*მე არავის დასჯა არ მწადდა და არც არავის დაჯილდოება. მე მოწოდებული ვიყავი ხელი მომემართნა ნორმალური წესწესობილების დამყარებისათვის სკოლაში. მე ამითი ავასრულე მხოლოდ ჩემს მოვალეობას და ჩემი სინიღისის ბრძანებას ვემორჩილებოდი. თუ მე ეს იაფად არ დამიჯდა და, სხვათა შორის, შემძღვნა ახალი მტრები, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა იმათის ცხოვრებაში, რომელთაც დევნიზად აქვთ წაღმართი აზრების გახორციელება და არა ამება სხვა-და-სხვა პირებისა...*“

საინტერესო აზრია: პოლემიკა მტერს შეგძენს მაშინ, როცა მოპაექრისათვის მთავარი არაა ჭეშმარიტება; საპირადო ან რაიმე კერძო ინტერესი როცა წარმართავს მის ქმედებას, თორემ როცა საზოგადო ინტერესი არის პოლემიკის საგანი და მიზანი, შედეგი სხვაგვარია: „*აკაკი წერეთელსა და ჩემს შორის დაწყებული ხანგრძლივი პოლემიკა ქართული ენის გრამატიკული ფორმების თაობაზე იმით დასრულდა, რომ ჩვენი მანამდე უბრალო ნაცნობობა თითქმის მეგობრობად იქცაო*“... იაკობი, როგორც პოლემიკის დიდოსტატი — ეს ვრცელი თემაა... იაკობის პოლემიკური კულტურა — მაგალითად უნდა იქცეს თაობებისათვის. და საერთოდ: იაკობის ცხოვრების გზა უნდა უნდა იქცეს მაგალითად ჭეშმარიტი ქართველისათვის...

ასე იცხოვრა და იღვაწა იაკობმა შვიდი ათეული წელი. სიცოცხლის 72-ე წელი საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. 1912 წლის გაზაფხულზე იაკობს გული ცუდს უგრძნობს — გრძნობს აღსასრულის მოახლოებას. თუ სიცოცხლეს ნატრობდა, ისევე „დედაენისათვის“, ეროვნული სკოლისათვის, საქართველოს სიკეთისათვის.

იაკობის ძმისშვილი შალვა გოგებაშვილი იგონებს იაკობის სიცოცხლის ბოლო წუთებს. მითხრო, „*მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ კარგად მოუაროს ჩემს „დედა-ენას“ და გონიერულად მოიხმაროს მისი შემოსავალი. თუ ახლა ვადაურჩი სიკვდილს, შეიძლება ცოტა შესწორება შევიტანო ამ მხრივ და შენ, როგორც ახალგაზრდა ეკონომისტმა, დახმარება უნდა გამიწიო ამ საქმეში. „დედა-ენა“ დიდი რამეა ჩვენი ერისთვის. მეფე ერეკლეც რომ გვეყოლოდა, ეს სახელმძღვანელო ისეთივე იქნებოდა, როგორც დავტოვე ამ ბოლო დროს*“, — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

1912 წლის 1 (14) ივნისი იყო...

ძირითადი ლიტერატურა:

არბოელი (ნ. ლომოური), იაკობ გოგებაშვილი // იაკობის სამრეკლო, თბ., 1990

ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991

ვ. გაგუა, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991

ვ. გაგუა, დ. გურგენიძე გ. სინარულიძე, იაკობ გოგებაშვილი // რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1989

გ. გოგოლაშვილი, ერთი ეპიზოდი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან // „ჩვენი მწერლობა“, № 14, 2009

გ. გოგოლაშვილი, დედაენა — ძველი სამარადისო, თბ. 2011

ენციკლოპედია — ქართული ენა, თბ., 2008

გ. თავზიშვილი, იაკობ გოგებაშვილი // იაკობის სამრეკლო, თბ., 1990

იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. I, თბ., 1954

იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. II, თბ., 1954

იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. III, თბ., 1954

იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV, თბ., 1955

ი. იმედაშვილი, სინათლის შუქი — სიბნელის მფანტველი // იაკობის სამრეკლო, თბ., 1990

დ. კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1940

არტურ ლაისტი, იაკობ გოგებაშვილი // იაკობის სამრეკლო, თბ., 1990

ნ. ლომოური, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი // ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991

დ. ლორთქიფანიძე, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1948

დ. ლორთქიფანიძე, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. I, თბ., 1954

მატიანე — ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, მ. საჯაია, იაკობ გოგებაშვილი — ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1840-1912, თბ., 2003


ს. სხირტლაძე, გადანახული საგანძურადან, თბ., 1965

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ალ. მიქაბერიძე, ნარკვევი ი. გოგებაშვილზე მოგონებების სახით // ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.

შოი მღვიმელი, იაკობ გოგებაშვილი (მოგონება) // ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991

რ. ჩხეიძე, ბურჯი ეროვნებისა, თბ., 2007.



ბორის ღარჩია

**ფორმალისტური ლიტერატურული მიმდინარეობები
და კლასიკური ქართული ლიტერატურა**

საქართველოში XXI საუკუნის პირველი ათეული წლის მეორე ნახევრიდან განათლებისა და მეცნიერების ე. წ. რეფორმების შედეგად მნიშვნელოვანწილად დაეცა როგორც განათლება, ისე მეცნიერება. ოპტიმიზაციის სახელით დაიხურა უამრავი სკოლა, გაუქმდა სამეცნიერო ცენტრი — მეცნიერებათა აკადემია და მასში შემავალი რამდენიმე სამეცნიერო (ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის...) ინსტიტუტი. დარჩენილთაგან, რომლებიც განათლების სამინისტროს შეუერთდა, ყველა უკიდურესად შემცირდა — ბევრი ღირსეული მეცნიერ-თანამშრომელი ინსტიტუტებიდან მიზანმიმართულად გააძევეს და ბევრი უღირსი დატოვეს.

ჩვენი თემა განათლება არ არის, მაგრამ ზოგადად მაინც უნდა აღინიშნოს, თუ „დამოუკიდებელ“ საქართველოში რა დიდი სიამაყით, აღფრთოვანებითა და ზარ-ზეიმით დაგანგრიეთ ჩვენში უკვე ტრადიციად ქცეული განათლების სისტემა, რომელიც წარმოშობით ევროპული, გერმანულიდან მომდინარე, იყო, და მის ნაცვლად ამერიკულს ვნერგავთ. თუ რა შედეგები მივიღეთ და როგორ დაგამსგავსეთ ერთი მეორეს, ამაზე ამ საქმის მცოდნეთა შეფასებიდან ორიოდე ამონაწერს დავიმოწმებთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ განათლების სისტემას, რბილად რომ ვთქვათ, ათვალწუნებით უყურებს არაერთი იქაური გამოჩენილი მოაზროვნე-პილიტიკოსი. მოგუსმინოთ, რას ამბობს ამის შესახებ პრეზიდენტ კარტერის ყოფილი მრჩეველი **ზბიგნევ ბჟეზინსკი** გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტთან საუბრისას. დიახ, ეს ის ბჟეზინსკია, რომელმაც საბჭოთა წყობილების დამხობა და დრო ზუსტად გამოიცნო. კორესპონდენტი ახასიათებს აღნიშნულ სისტემას, რომელიც ზედმიწევნით შეესაბამება საქართველოში არსებულ სინამდვილესაც: „ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყანა ამერიკის საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაზე გადადის: სწავლა ფასიანი ხდება, მცირდება სავალდებულო საგნების სია, უმაღლესში ჩასაბარებლად ერთიანი ეროვნული გამოცდები ტარდება...“

ბჟეზინსკის პასუხი-შეფასებაა: „თქვენ ამერიკისათვის მეტად მტკივნეულ

თემას შეეხეთ. ძალიან მაწუხებს განათლების პრობლემა ჩვენს ქვეყანაში. დიახ, ჩვენ დემოკრატია ვართ, რომელიც რთულ სამყაროში გადარჩენას ლამობს გონივრული საგარეო პოლიტიკის განხორციელებით. მაგრამ ეს იმ პირობით არის შესაძლებელი, თუ ქვეყნის მოსახლეობა გონიერი და ჯვანსადად მოაზროვნეა. სხვაგვარად ჩვენ წინაშე მდგომ ამოცანებს ვერ გადავჭრით.

უნდა ვაღიარო, რომ ამერიკელი ხალხი უ ვ ი ც ი ა. მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს გარესამყაროზე. ჩვენს სახელმწიფო სკოლებში არ არის საგანი «*მსოფლიო ისტორია*». ჩვენ ბავშვებს ამერიკის პატრიოტულ ისტორიას ვასწავლით, სინამდვილეში კი ეს შელამაზებული «საშობაო» ისტორიაა, რომელიც შორს არის წარსულის რთული და წინააღმდეგობრივი რეალობისაგან.

მაგალითად ავიღოთ, თუნდაც დამოკიდებულება ამერიკის მკვიდრ მოსახლეობასთან — ინდიელებთან. რა საწყენიც უნდა იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ პირველი ეთნიკური წმენდები «კანონის სახელით» სწორედ ამერიკულ მიწაზე მოხდა! ათასობით ინდიელი აყარეს საკუთარი მიწებიდან პრეზიდენტ ვუქსონის დროს...

გეოგრაფია ავიღოთ. ჩვენ მას არ ვასწავლით! ამერიკული კოლეჯების ახლანდელი აბიტურიენტების 52%-ს არ შეუძლია რუკაზე გაჩვენოთ, სად მდებარეობს ნიუ-იორკი. 2003-2010 წლებში უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა 70%-ს რუკაზე ერაყის პოვნა არ შეუძლია. ეს კი ის ქვეყანაა, რომლის წინააღმდეგაც ვომობდით! ერთხელ მომაჯალ სტუდენტებს შესთავაზეს რუკაზე ცისფრად დატანილი ტერიტორიის იდენტიფიცირება. მათგან 30% ვერ მიხვდა, რომ ეს წყნარი ოკეანე იყო! თქვენ გელიმებათ, მაგრამ ეს სულაც არ არის სასაცილო...“¹.

ახლა მოგუსმინოთ ჩვენს მუხლჩაუხრელ დემოგრაფ ანზორ თოთაძეს: „უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნაციონალები მოვიდნენ ხელისუფლებაში, ფაქტობრივად მთლიანად მოიშალა საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემა. ჩვენი ახალგაზრდობის უმრავლესობას ელემენტარული ცოდნაც აღარ გააჩნია, ზოგად განათლებაზე ზომ ლაპარაკიც ზედმეტია. განათლების სფეროში დაუსრულებელმა, ვითომ მასშტაბურმა, მაგრამ არაფრისმომცემმა რეფორმებმა ახალგაზრდების დიდი ნაწილის ცოდნის დონე ნულამდე დაიყვანა. რა დაუჯერებლადაც უნდა მოგეჩვენოთ, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საკმაო ნაწილს დიდი რიცხვის, ვთქვათ, მილიარდის ან მილიონის დაწერაც კი არ შეუძლია“². მათ

¹ გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 22-29 თებერვალი, 2012, № 7, გვ. 15. აქ აღნიშნულია, რომ ეს ინტერვიუ გამოქვეყნებულია გაზ. „კომსომოლსკაია პრავდაში“, მაგრამ, თუ როდის, მითითებული არაა. ინტერნეტში ვნახე, საუბარი შემდგარა 2012 წლის 5 თებერვალს.

² ახალგაზრდებს რა უნდა მოსთხოვო, როცა ქართველი კაცი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე (კახა) ლომაია სკოლაში გაკვეთილზე მოსწავლეების წინაშე „ბავშვის“ დაწერას ვერა და ვერ ახერხებს! (შენიშვნა ჩემია — ბ. ღ.).

წარმოდგენაც არა აქვთ ჩვენს გამოჩენილ მოღვაწეებზე მე-20 საუკუნეში, რომ არაფერი ვთქვათ მე-19 საუკუნეზე. ოცდახუთკაციან ჯგუფში ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღი ვერც ერთმა სტუდენტმა ვერ დაასახელა, ბოლოს ჯგუფი შეთანხმდა იმაზე, რომ ილია ჭავჭავაძე დაბადებულია 1917 წელს. ჯერ კიდევ ამ ორი-სამი წლის წინათ თითქმის 300 სტუდენტის გამოკითხვის დროს არც ერთმა არ იცოდა, ვინ იყო აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი. ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტთა საკმაო ნაწილმა პროცენტის გამოანგარიშებაც კი არ იცის, მაშინ როდესაც ადრე მეექვსე-მეშვიდე კლასის მოსწავლეებისათვის პროცენტის გაანგარიშება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ზემოაღნიშნული იმასაც ნიშნავს, რომ ახალგაზრდებს წარმოდგენაც კი არა აქვთ მე-19 და მე-20 საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებზე. თუ ვინმეს რაიმე საეჭვოდ მოეჩვენა, დამამტკიცებელი ფაქტები იმისა, რაც ვთქვით, საკმაოდ მოგვეპოვება³.

ერთხელ დავბეჭდე და აქ უნდა გავიმეორო: **თამაზ კარანაძე**, რომელიც ათეული წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიკის კათედრას განაგებდა და სხვადასხვა ფაკულტეტზე ამ საგანს ასწავლიდა, ჰყვება:

— ფილოლოგიის ფაკულტეტზე (ფილოლოგიას ხაზს ვუსვამ!) პედაგოგიკაში გამოცდები რომ მოახლოვდა, სტუდენტი გოგონა მეკითხება: რომელი სახელმძღვანელოთი მოვაშხადოთო. კაცმა რომ თქვას, ამაში მოულოდნელი და საძრახისი არაფერია. მაგრამ, რადგან თავიდანვე და შემდეგ ყველა ლექციის ბოლოს საჭირო ლიტერატურას საგანგებოდ ვაწერინებდი, შეკითხვამ გააძლიზიანა და ვუთხარი: „დეკამერონით“.

... და რას ვზედავ, გოგონა ამას იწერს და ირგვლივ მყოფი 10-15 სტუდენტი რაიმე რეაქციას არ ამჟღავნებს!

ახლანან „იმედის“ ტელეარხმა რუბრიკით „ქალური ლოგიკა“ გადმოსცა: ორ სტუდენტ გოგონას აჩვენეს გალაკტიონ ტაბიძის ფოტოსურათი და ჰკითხეს, ვინ არის ეს კაციო. საგარაუდო პასუხებიც დაუსახელეს: *ქართველი მწერალი, რუსი მწერალი, ინგლისელი ბიზნესმენი*. გოგონებმა საკმაოდ იფიქრეს და „გამოიცნეს“, *ქართველი მწერალიო*, ოღონდ დაასახელეს *აკაკი წერეთელი* — წვერი აქვს და წვერი აკაკი წერეთელს ჰქონდაო. ამავე არხით აჩვენეს, ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა ვერა და ვერ თქვეს, ტონა რამდენ კილოგრამს შეიცავს.

ნიშანდობლივი მსგავსებაა, არა?! და რამდენი ამგვარი კურიოზი მოიძებნება!

ახლა, რაც ჩვენ გვინტერესებს, — მეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა.

³ ანზორ თოთაძე, დემოგრაფიული ვითარება და ერის სულიერი ცხოვრება, ჟურ. „სამი საუნივე“, 2012, № 1, გვ. 110.

ამჟამად ჩვენთან ლიტერატურათმცოდნეობაში სახელმწიფო დონეზე, ხელისუფლებისა და საზღვარგარეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა ანტიეროვნული ფონდებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მძლავრი ძალისხმევით ჩვენი გიგანტი მეცნიერების — **ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძისა** და მრავალ სხვათა მიერ დანერგილი კვლევა-ძიების აკადემიური მეთოდი, რომელიც (ესეც!) წარმოშობით სწორედ ევროპულია, გვერდზეა მიგდებული და მის ადგილს (აქ ფართო ასპარეზის თქმა ცოტაა) უმთავრესად და წამლეკავად იჭერს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ზოგ ქვეყნაში არსებული საწინააღმდეგო ლიტერატურულ-მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი. ეს არის ნაწილი გლობალიზაციის და ამერიკანიზაციისა, რისი დანერგვა საქართველოში ჯიქურ და შეუპოვრად მიმდინარეობს.

თუ ადრე მათ ყურადღებას მხოლოდ თითო-ორი სწავლული აქცევიდა და მუშაობისას იყენებდა, ახლა, XXI საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით ე. წ. სამეცნიერო რეფორმის შემდეგ, რასაც, ვიმეორებთ, ჩვენში მეცნიერების ნგრევა მოჰყვა, ეს „სიახლე“ ყოვლის მომცველი ხდება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში გაურცელეებულ თეორიებს, მას ათვალწუნებით უყურებდა და კიდევაც ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ეს დამოკიდებულება მარტო საბჭოთა იდეოლოგიის შედეგი როდი იყო. აკადემიზმი ჩვენთან ოქტომბრის რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე დამკვიდრდა და მას ჩვენი ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარები მთელი შეგნებითა და არსებით იცავდნენ.

ახლა, როდესაც ყოველგვარი საბჭოურის გადაფასება მიდის, ნაბან წყალს ბავშვსაც აყოლებენ ხოლმე. „უცხო სადმი“ ინტერესს ისიც აღვივებს და აძლიერებს, რომ ზოგს იგი აკრძალულ ხილად მიუჩნევია. არადა, იმ ქვეყნებშიაც, სადაც ეს თეორიები აღმოცენდა და არსებობს, მათ საკმარისი მოწინააღმდეგე ჰყავს.

სამეცნიერო დაწესებულების ბევრმა მდარე მუშაკმა განათლებისა და მეცნიერების ამ მოთხოვნას იოლად აუბა მხარი და იგი მისთვის კარგი თავშესაფარი გამოდგა.

ამავე დროს, ეს თეორიები სახელმძღვანელო გახდა არა მარტო ლიტერატურათმცოდნეობაში, არამედ კიდევ უფრო მეტად მწერლობაში. საქმე იქამდე მივიდა, ახლანან ტელევიზიით გვაუწყეს, რამდენიმე მწერალი შეუდგა ტელემყურებლებთან ერთად მხატვრული ნაწარმოებების შეთხზვასო!

ბუნებრივია, ამ მეთოდებით შექნილი მხატვრული თხზულებანი ამავე

თვალთახედვით უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს. მაგრამ, როცა ჩვენს ადრინდელ, კლასიკურ ლიტერატურას ამავე თვალსაზრისით მივუდგებით, სასიკეთოს ვერაფერს მივიღებთ.

ამ მხრივ საქართველოში იმდენი მასალა დაგროვდა, მათ განხილვას ტომები დასჭირდება. აქ მხოლოდ ერთ ნიმუშს შევჩვენებთ. შევჩვენებთ იმ პიროვნების, პროფესორ ი რ მ ა რ ა ტ ი ა ნ ი ს, „მეცნიერებას“, რომელიც ამ „სიახლეების“ ერთ-ერთი მეთაურ-შემომტანი, თავგადაკლული დამცველი-დამწერგავი და გამაგრცელელებელია.

ადრე ნაჩვენები მაქვს, ქალბატონი ირმა ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის რა უვიციცაა⁴. ამიტომ, სანამ მის წიგნზე გადავიდოდე, იმის ნიმუშად, რომ საძიებელი მეთოდები ქართული კლასიკური ლიტერატურის კვლევისას გამოსადეგი არ გამოდგა არა მარტო უნიჭო და ხელმოცარულთა ხელში, არამედ სასურველ შედეგებს არც გამორჩეული ნიჭითა და ცოდნით დაჯილდოებულთა შემოქმედებაში იძლევა, სანიმუშოდ შევჩვენებთ ერთ სტატიას.

გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის ინტერპრეტაცია

2011 წელს ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა ლიტერატურის ჩინებული თეორეტიკოსისა და, რაც ამჟამად გვინტერესებს, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ასევე ჩინებული მკვლევრის, **თეიმურაზ დოიაშვილის** სტატია „და მენანება ... მოხუცი მამა“ (11 ნოემბერი, № 23, გვ. 32-39). როგორც ქვესათაურში იუწყება, ეს ყოფილა ნაწილი მის მიერ დამუშავებული ციკლისა „გალაკტიონი და ილია“.

ავტორი განიხილავს გალაკტიონის ცნობილ ლექსს „მამული“ და განმარტავს: „ეს წერილი «მამული» ინტერპრეტირების კიდევ ერთი ცდაა, ოღონდ კულტურულ-ლიტერატურული კონტექსტის აქცენტირებით“ (გვ. 32. დაყოფა და ხაზგასმა აქ და ქვემოთ ყველგან ჩვენია. — ბ. დ.).

მოვიგონოთ ეს სამსტროფიანი ლექსი:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე — რაა მამული?!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.
გაშალა ველი ნელმა ნიაჟმა
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლაჳით ხელში დაღის ვენახში.“

⁴ ჩვენი წიგნები: „უვიციობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველ-ოლოგიაში“ (თბ., 2008) და „რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I“ (თბ., 2010).

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება!
ისევ ამწვანდა მდელი და კორდი!..
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!“

აქ ყველაფერი ნათელია და რაიმე ოდნავ ბუნდოვანსა და საჩოთიროს არაფერს შეიცავს. თ. დოიაშვილის შეფასებით, იგი, „თავისუფალი რთული, აბსტრაქტიზებული ტროპოლობისაგან, თავისი მოჩვენებითი სისადავით ტექსტის იოლად წედომის ილუზიას ქმნის“ (გვ. 32). მკვლევარი ცალ-ცალკე ქვესათაურებად გამოყოფს გამოთქმებს: I. „ცვრიან ბალახზე...“, II. „სხვა ხალხი“, III. „მოხუცი მამა“, IV. „დავდივარ, ვწუხვარ და მენანება“ და მათში სულ სხვა, ერთობ განსხვავებულ შინაარსს ხედავს.

მისი აზრით, „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი გავლა სახე კონცეპტია, პიპოთეტიურად, ერთდროულად მომდინარე ეროვნული წიაღიდან (აკაკი) და დასავლური «ახალი პოეზიიდან» (რემბო)“ (გვ. 33-34).

მეორე ფრაზაში, თურმე, კონკრეტული პირები იგულისხმებიან. „ჩემი აზრით, — წერს ავტორი, — ამ სიტყვით («ყველა» — ბ. დ.) ოდენ ისაა ნათქვამი, რომ ყველა, ვისაც პოეტი წინაპრად მიიჩნევს, წასულია, ცოცხალი აღარაა. აქედან გამომდინარე, ეს «წინაპართაგან წავიდა ყველა», საგარაუდოდ, სულ იერ წინამორბედთ — ლიტერატურულ წინაპრებს უნდა გულისხმობდეს“ (გვ. 35). სახელდობრ: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველას, სხვას არავის. ავტორი განაგრძობს: 1915 წელს, როდესაც „მამული“ დაიწერა, „ზამთარში ჯერ აკაკი გარდაიცვალა, შემდეგ, ზაფხულში — ვაჟა, პირველ ლანდად კი, ცხადია, ილია ნაგულისხმევი, უფრო ადრე მოკლული წინამურთან. გალაკტიონი ნიუანსების ენით, მინიშნებით გვამცნობს, რომ დიდი «ლანდეზის» - ილიას, აკაკის და ვაჟას გარდაცვალების გამო ქართულ პარნასზე ლამე ჩამოწვა“ (იქვე, გვ. 35).

ასევე „მოხუცი მამაში“, რომელიც ვენახში სასხლაჳით დაღის, სწორედ ილია ჭავჭავაძე უნდა დავინახოთ: „და მაინც... თუ წინაპრის სახის დაკონკრეტებას შევეცდებით, «მოხუცი მამის» სიმბოლოში, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს ნაგულისხმევი!“ (გვ. 37).

როგორც ვხედავთ, თ. დოიაშვილი ყველა ამ გაგებას ვარაუდის სახით გამოთქვამს და შთაბეჭდილება მრჩება, მას მეცნიერული პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. ავტორი საგნებით სწორად წერს: „მხატვრული ტექსტის რეცეფცია თავისი ბუნებით სუბიექტურია, ამიტომ ყველა ინტერპრეტაციას არსებობის უფლება აქვს, მაგრამ(,) თუ მას მეცნიერულობის პრეტენზია ახლავს, უცილებელია ობიექტური არგუმენტირება“ (გვ. 34).

არის თუ არა რაიმე სიმართლე წამოყენებულ და, საერთოდ, ამგვარ თვალსაზრისში, ზუსტი პასუხის გაცემა მხოლოდ ავტორს, მწერალს, შეუძლია. მაგალითად, ფელეტონში, რომელიც ამგვარი ხილვების წინააღმდეგ გამოვაქვეყნე, შარლოტა კვანტალიანის ლექსი „ამი“ ორპლანიან ნაწარმოებად „მივიჩნიე“, სადაც თითქოს პირდაპირი მნიშვნელობით პოეტი, ქალი, ცოლი, მეუღლე მიმართავს და ესიყვარულება საკუთარ ქმარს, გადატანითი და ძირითადი მნიშვნელობით, სძალი, წმინდანი, აქებს და აღიდებს ღმერთს, ქრისტეს. ამაზე ქალბატონმა შარლოტამ გულწრფელად მიპასუხა, რომ „არასოდეს მომსვლია აზრად (...) ჩემი ლექსის ორპლანიანობა“⁵.

გავკადნიერდები და დავიტრაბახებ: ჩემი „საბუთები“ საგრძნობლად უფრო „მყარი“ და სიმართლეს მიმსგავსებულია, ვიდრე თეიმურაზ დოიაშვილისა.

ასე რომ, რადგან გალაკტიონი პირადად ვერაფერში დაგვეხმარება, წამოყენებული თვალსაზრისის სერიოზულად განხილვას აზრი არა აქვს. ეს ის შემთხვევაა, თქმა რომ იციან, გინდ დაიჯერე და გინდ არაო. მიუხედავად ამისა, ზოგი რამ მაინც უნდა ითქვას.

1915 წელს, როდესაც „მამული“ დაიწერა, ჩვენში სიმბოლისტური პოეზია მნიშვნელოვნად იყო გავრცელებული და მასთან გალაკტიონ ტაბიძესაც გარკვეული კავშირი ჰქონდა, მაგრამ მამის რ ე ც ე ფ ც ი უ ლ ი ესთეტიკა არ არსებობდა და შეუძლებელია, ჩვენს პოეტს მის კვალობაზე რამე შეეთხზა. რეცეფციული ესთეტიკის მიხედვით, საგანგებოდ იწერება ნაწარმოებები, რომლებიც შეგნებულად სხვადასხვა პლანიანია და საშუალებას იძლევა, იგი სხვადასხვანაირად გაეგოთ. გალაკტიონს ის შინაარსი რომ მასში ჩაედო, რასაც თეიმურაზ დოიაშვილი ვარაუდობს, პოეტი ამაზე რაღაც მინიშნებას მაინც მოგვცემდა, თორემ რაღაცა რაღაცას ყოველთვის ჰგავს.

იმაშიაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აღნიშნული ფორმალისტური ლიტერატურული თეორიები რომ არ არსებოდეს, მეტადრე მათი შემოტყვები არ იყოს, თეიმურაზ დოიაშვილის ეს სტატიაც არ დაიწერებოდა. მაგრამ რას იზამ, მოდა ძალიან გადამდებია, მან ბევრი ქალი გააშიშვლა — ნახევრად ტიტველებს დაატარებს!

ერთი კი გულწრფელად უნდა ვაღიარო. განხილული სტატია იმდენად უხვი მასალითაა გაჯერებული და ნიჭიერად ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ იგი ბრწყინვალე ნაშრომად წარმოგვიდგება, ოღონდ ერთი პირობით: **თავზე უნდა ქწეროს „პ ა რ ო დ ი ა“ ან „ფ ე ლ ე ტ ო ნ ი“ !**

ოპ, როგორ სჭირდება დღეს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას **ოთარ ჩხეიძის ა ხ ა ლ ი** „ღვინია გადაიჩნა“!

ახლა გადავიდეთ ჩვენს უმთავრეს საკითხზე.

⁵ რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I, თბ., 2010, გვ. 224-226.

ილია ჭავჭავაძე სტრუქტურალიზმის სარეცელზე

მართლაც ჭეშმარიტებაა, რომ ლიტერატურის თეორიის უპირველესი და არსებითი დანიშნულება არის მხატვრულ თხზულებათა ზოგადი კანონების დადგენა და მათი მეშვეობით ამა თუ იმ სიტყვაკაზმული ნაწარმოების ღრმად შესწავლა, მისი იდეურ-მხატვრული ნიშნებისა და თავისებურებების გამოვლენა.

შოთა რუსთაველის [სახელობის] ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი და ივანე ჯავახიშვილის (სახელობის) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი ირმა რატიანი ლიტერატურის თეორეტიკოსად წარმოგვიდგება. ამ დარგში დაიცვა მან საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები და ორივე „ნაშრომი“ ცალ-ცალკე წიგნებად გამოსცა. პირველად, 2005 წელს, დაბეჭდა სადოქტორო დისერტაცია — *„ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში, ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის“*, მომდევნო წელს — საკანდიდატო დისერტაცია — *„ქრონოტოპი ილია ჭავჭავაძის პროზაში (ხუთი თხზულების ანალიზი)“*. ამ უკანასკნელში ავტორი იუწყება: ეს „ნაშრომი თორმეტი წლის წინ დაიწერა როგორც (...) საკანდიდატო დისერტაცია“ და „გასული თორმეტი წლის მანძილზე ჩვენ მუდმივად ვცდილობდით გაგვეღრმავებინა ცოდნა და ქრონოტოპის კვლევა გავეფართოებინა მასშტაბური ლიტერატურულ-თეორიული და კულტუროლოგიური ანალიზის მიმართულებით“ (გვ. 3).

ეს ორი ნაშრომი ავტორმა გააერთიანა, დაუმატა ამავე ტიპის სხვა გამოქვეყნებული სტატიები და 2010 წელს ერთ წიგნად გამოსცა სათაურით „ტექსტი და ქრონოტოპი“. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი უჭირავს სადოქტორო დისერტაციას, მეორე — საკანდიდატოს და მესამე — ცალკეულ სტატიებს. „ბოლოთქმაში“ აღნიშნულია: „წიგნმა «ტექსტი და ქრონოტოპი» ავტორის ხანგრძლივი შრომის შედეგებს მოუყარა თავი“ (გვ. 314).

პირველი ნაწილის, ანუ სადოქტორო ნაშრომის, თითქმის ორი მესამედი ან ტ ი უ ტ ო პ ი უ რ ჟანრსა და ქ რ ო ნ ო ტ ო პ ზ ე არსებულ შეხედულებებს გადმოგვცემს, დანარჩენში ამ თეორიის მიხედვით „განხილულია“ ვ. ნაბოკოვის რომანები „მოპატიჟება სიკვდილზე“, „Bენდ შინისტერ“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“.

საკანდიდატო ნაშრომი, რომელიც სარეცენზიო წიგნის მეორე ნაწილია, ეთმობა ილია ჭავჭავაძის ხუთი ნაწარმოების ქრონოტოპს. ეს ნაწარმოებებია: „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „სარჩობელაზე“. წიგნის მესამე ნაწილიც ქრონოტოპის საკითხებსა და ილიას იმავე თხზულებების „ანალიზს“ ეძღვნება.

ამჯერად ჩვენი განსჯის საგანია წიგნის ის ნაწილები, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს ეხება.

წიგნის დიდ ნაწილი, როგორც ვთქვით, *დროისა და სივრცის* შესახებ არსებულ შეხედულებებს გვაცნობს, დაწყებული უძველესი დროიდან, თანამედროვეობამდე. მაგალითად, როგორ განსაზღვრავდნენ დროს, ერთი მხრივ, პარმენიდე, ზენონი, პლატონი, არისტოტელე, მეორე მხრივ, — ჰერაკლიტე, პითაგორა, დემოკრიტე, არისტოტელე. ესენი ისეა მოწოდებული, ვითომცდა ქალბატონ ირმას ყველა გადაბუღბუღებული ჰქონდეს! პირველთა „*თვალსაზრისით, დრო არის კოსმოსის თვისება, «მარადისობის მოძრაობა ხატი» და არ ემორჩილება არითმეტიკული გაზომვის კანონს. მეორე თვალსაზრისით, დრო უფრო მატერიის თვისებაა და მჭიდროდ უკავშირდება რიცხვისა და საზომის ცნებას*“ (გვ. 95).

ქვემოთ ვნახავთ, ი. რატიანის დაქალი, ენათმეცნიერი თინათინ ბოლქვაძე ამბობს, „რომ ვერ გაიზიარებს ვარაუდს, თითქოს ილია ამ („მგზავრის წერილები“ — ბ. დ.) ტექსტის წერისას არ ფიქრობდა ქრონოლოგიაზე“-ო. მე კი ვიტყვი: ღმერთმა მაშოროს და მშვიდობაში მოახმაროს მას და ყველას, თუ კიდევ ვინმე ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძე ან მიხეილ ჯავახიშვილი ამ თეორიებით იყვნენ ნასაზრდოები და მათი თხზულებანი — ამით კვალობაზე შექმნილი.

ტერმინი „ქრონოლოგია“, რომლის დამნერგავი მიხაილ ბახტინი გახლავთ და მას მრავალი ეჭება, ქართულ ენაზე ნიშნავს დ რ ო ს ა და ს ი ვ რ ც ე ს ერთად. მაგრამ მას ნაკლებად იყენებენ ამ პირდაპირი, ჩვეულებრივი გაგებით. ასე რომ იყოს, ჩვენი მწერლების დასახელებულ მოთხრობებში დროცა და ადგილიც გარკვევითაა მოცემული და ამ მხრივ საძიებელი არაფერია.

მაშ, რა ხდება?

ი. რატიანი სხვა „ქრონოლოგიისტების“ შეხედულებათა საკუთარი გააზრების მიხედვით, ილიას შემოქმედებაში არა აღნიშნულს, არამედ სხვა დროსა და სივრცეს ეძებს. „ჩვენი თვალსაზრისით, — წერს იგი, — მხატვრული დრო განხილული უნდა იქნეს როგორც მხატვრულ ნაწარმოებში აღწერილ ესთეტიკურ ფასეულ მოვლენათა დრო, რომელიც წარმოადგენს დროის პ ი რ ო ბ ი თ პროექციას ლიტერატურის პ ი რ ო ბ ი თ სისტემაში“ (გვ. 180).

ამგვარივე ყოფილა „მხატვრული სივრცეც“: „ტერმინი «მხატვრული სივრცე» ასახავს ი ლ უ ზ ო რ უ ლ, წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ი თ სამყაროს, (...) მხატვრული დროისა და სივრცის განუყოფელობის პრობლემა ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი ყ ვ ე ლ ა ზ ე ს ა დ ა ვ ო პრობლემაა. განსაკუთრებით ს ი მ წ ე ა ვ ი თ დ ვ ა ს მხატვრული დროისა და სივრცის ერთობლივი ე. წ. კომპლექსური კვლევის საკითხი“ (გვ. 181).

აი, ამ და ამდაგვარი „ინოვაციური“ ცოდნითა და მეთოდით შეიარაღებული ი. რატიანი იკვლევს ილია ჭავჭავაძის ძირითად პროზაულ თხზულებებს. ახლა ვნახოთ, ლიტერატურათმცოდნეობის საჭეთმპყრობელმა ჩვენმა ქალბატონმა, აღნიშნული თეორიების მიხედვით, რა გაარკვია ქარ-

თულ ლიტერატურაში, — აქამდე რა არ ვიცოდით ილია ჭავჭავაძის პროზის შესახებ და ამჯერად რა აღმოაჩინა მან?

თავიდანვე უნდა გაფაფრთხილო მკითხველი: საკითხის ი. რატიანისეული შეხედულებების ჯეროვანი გადმოცემისათვის, მის მიერ დამოწმებული მაგალითები და შესაბამისი მსჯელობანი რომ სრულად იქნეს წარმოდგენილი, თუ მეტი არა, ნახევარი წიგნი მაინც უნდა გადმოგვეწერა, რაც აქ შეუძლებელია. ამიტომ მხოლოდ ზოგიერთ მხარეს, უფრო არსებითსა და ნიშანდობლივს, შევვებით. მეორე: ისინი იმდენად უინტერესო და არაფრის მომცემია, წიგნის წაკითხვაცა და მათზე მსჯელობა საშინლად ჭირს.

1. კატეგორია „დრო“

თავში „*მხატვრული, ანუ სიუჟეტური დრო და სივრცე*“ (გვ. 203-224) ჯერ საუბარია „დროზე“, სახელდობრ, „*კრიტიკიუმზე*“ „ადრე-გვიან“. თურმე, „*მიმართულების «ადრე გვიან» დადგენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოებში ლოკალიზებული მხატვრული დროის სპეციფიკის განსაზღვრისათვის*“ (გვ. 208).

რა სპეციფიკა ვლინდება ი. ჭავჭავაძის მოთხრობებში? „ანალიზი“ იწყება „*მგზავრის წერილებიდან*“. „*მხატვრული დროის მაჩვენებლების მიმართებიდან გამომდინარე, — წერს ავტორი, — მართებული წესრიგის იდეალურ მაგალითად თხზულება «მგზავრის წერილები» უნდა მივიჩნიოთ: მოქმედებები თანამიმდევრული სიმწყობრით ცვლის ერთი-მეორეს და სრულიად ლოგიკურად მიედინება ნაწარმოების ფინალისაკენ. რამდენადმე განსხვავებული სურათი გვაქვს თხზულებებში «გლახის ნაამბობი», «კაცია-ადამიანი?!», «სარჩობელაზედ», და «ოთარაანთ ქვრივი»*“ (გვ. 208).

„მგზავრის წერილებზე“ კიდევ ნათქვამია: აქ თხრობათა „წარმოდგენილი თანამიმდევრობა სრულიად სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ ძ ლ ი ე რ თ ა ნ ა მ ი მ დ ე ე რ ო ბ ა დ : მოქმედებათა განვითარების ერთიანი ხაზი არ ირღვევა და არ იმიჯნება დროული პაუზებით, სიუჟეტური ქარგა მხატვრული დროის უწყვეტი ხანგრძლივობითაა აღნიშნული. მყარდება მიმართება *ადრე-გვიან*“ (იქვე, გვ. 208).

ახლა ვნახოთ, „*გლახის ნაამბობში*“ რა არის ეს „*არათანამიმდევრული დროის კატეგორია*“, რომელიც ი. რატიანმა აღმოაჩინა: აქ „*წარმოდგენილი დროის ხანგრძლივობის რაოდენობრივი მაჩვენებლის განსაზღვრული ფორმულა იწყება შედეგით, შედეგი გამომდინარეობს მიზეზიდან, რომელიც მხოლოდ შედეგის წარმოჩენის შემდეგ მოგვხსენდება და გვისაბუთებს შედეგის ლოგიკურობას. რეალიზდება მხატვრული დროის მახასიათებელი — მისი შექცევადობა. გაბრიელი დაგლახაეულია, იგი ყველა საკუთარი ცხოვრების ისტორიას და მხოლოდ შემდეგ ირკვევა გაუბედურების მიზეზი*“ (გვ. 209).

ესენი ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, ამ ნაწარმოებთა კომპოზიციებია,

რასაც საშუალო სკოლაში ვსწავლობდით! რა არის აქ ახალი და მნიშვნელოვანი? — არაფერი, მხოლოდ ესაა, ჩვენმა „რეფორმატორმა მეცნიერმა“ საყოველთაოდ ცნობილი უცხოურად და დახვლანჯულად „აგვიხსნა“.

„კაცია-ადამიანიში?“ „დროის მდინარება“ განსხვავებული და თავისებური, თურმე, იმ მხრივაც, რომ „მისი ხანგრძლივობის რაოდენობრივი მაჩვენებლის განმსაზღვრელი ფორმულა ასეთ სახეს იღებს: **გვიან-ადრე-გვიან**“ (გვ. 210).

პირველ „გვიანზე“ აღფრთოვანებით წერია, რომ „გამოყოფილი სამი დროული მონაკვეთიდან პირველი ფარგლებში აღწერილი მოვლენები არათანამიმდევრული წყობის ბრწყინვალე ნიმუშად უნდა ჩაითვალოს“ (გვ. 210). შემდეგ: „კატეგორიით «გვიან» აღნიშნულ პირველ დროულ მონაკვეთზე მოხსნილია მოვლენათა ურთიერთგამომდინარეობის საკითხი და თხრობა ერთ იდეას დაქვემდებარებული ფაქტების აღნუსხვის კონცენტრატს წარმოადგენს: დარეჯანისა და ლუარსაბის მიერ მსახურთა «დაწიოკების» ეპიზოდი სტრუქტურულად არ განაპირობებს ელისაბედის სტუმრობის ეპიზოდს, ელისაბედის სტუმრობის ეპიზოდი — ვახშმის თაობაზე გამართული კინკლაობის ეპიზოდს და ა. შ. დრო წყვეტადია, მაგრამ ზუსტი რიცხობრივი ნიშნების მითითება არ ხდება, ვიდრე კატეგორიას «გვიან» არ ცვლის კატეგორია «ადრე»“ (იქვე).

სად არის ეს „ადრე“? „კატეგორიით «ადრე» აღნიშნულია ლუარსაბისა და დარეჯანის შეუღლების ფაქტი. იგი ოცი წლით უსწრებს წინ კატეგორიით «გვიან» აღნიშნულ მოვლენებს: «ოცი წელიწადია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეჯანი ერთ უღელში შებმულან»“ (იქვე. მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ ბოლო ციტატა მწერლისაა).

დაგვჩა ბოლო „გვიან“. იგი ასეა წარმოდგენილი: „ქორწინების ეპიზოდის შემდეგ კვლავ იჩენს თავს კატეგორია «გვიან», რომელიც წინარე აღწერილი მოვლენებისაგან გამომდინარეობს. მოვლენათა თანამიმდევრობა რადიკალურად განსხვავდება მოვლენათა იმ თანამიმდევრობისაგან, რომელიც კატეგორიით «გვიან» აღნიშნულ პირველ სიუჟეტურ მონაკვეთზე დაფიქსირდა: დაწყებული ცოლ-ქმრის თელეთში მოგზაურობის ეპიზოდიდან, ვიდრე ლუარსაბისა და დარეჯანის მზიარული ქეიფის ეპიზოდამდე, მოვლენათა განვითარება აბსოლუტურად თანამიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა დროის წყვეტადობა სუსტი თანამიმდევრობის ვარიანტს გვთავაზობს. განსხვავებით კატეგორიით «გვიან» აღნიშნული წინა ეტაპისაგან დროული პაუზები ზუსტადაა მითითებული“. თხზულებიდან დამოწმებულია ამონაწერები: „ოცი წლის შემდეგ“, „მეზუთე დღეს“, „გავიდა სამი თვე... გავიდა ექვსი თვე... გავიდა ცხრა თვე“ (გვ. 210-211).

უფრო რთული დროული კონსტრუქციის შემცველი ყოფილა „სარჩობელაზე“. ი. რატიანი თავიდანვე გვიხსნის: „თხზულებაში «სარჩობელაზედ»

გადმოცემულ მოვლენათა განლაგება დროში ასე გამოიყურება: ადრე-გვიან-ადრე-გვიან“. „პირველ ეტაპზე, — წერს იგი პირველი „ადრეს“ შესახებ, — დროული ამპლიტუდა ზუსტადაა მითითებული“. ასახელებს ნაწარმოების ტექსტს, რომელიც გვაუწყებს, რომ პეტრე გაძარცვიდან ოთხი წლის შემდეგ ქალაქში ისევ მიემგზავრება. მეორე „ადრეს“ შესახებ ვკითხულობთ: „მოვლენათა განვითარება დროში სუსტი თანამიმდევრობით გამოიხატება: კატეგორია «ადრე» ხელმოერედ იჩენს თავს უცნობი ყმაწვილის წერილში. დროული პაუზა, რომელიც პერსონაჟთა წარსულში გვაბრუნებს, თავდაპირველად ზოგადია, შემდეგ კონკრეტდება“ და მოჰყავს ამონაწერები ამ ყმაწვილის წერილიდან: „... ვახსოვს, ამ ოთხის წლის წინად ლოჭინის ზევის პირს რომ ურმები გამოშვებული გქონდათ?“ და „და ამ ორი წლის წინად ისე მოხდა, თითქო თითონ ბედმა მივეყვანა მამინაცვლის სახლშიო“. ქალბატონი ირმა დასკვნის სახით წერს: „მიმართებით «ადრე-გვიან-ადრე» აღნიშნული სიუჟეტური მონაკვეთები მჭიდრო კავშირში იმყოფება ერთმანეთთან და ლოგიკურად ასაბუთებს თხზულების პერსონაჟთა სულიერ ტრანსფორმაციას, რაც თხზულების დამამთავრებელ, კატეგორიით «გვიან» აღნიშნულ სიუჟეტურ პასაჟში ხდება საცნაური: უფროსმა ძმამ საზრჩობელაზე დაამთავრა სიცოცხლე, უმცროსი დარჩა ქვეყანაზე გულაყრილი და გაბოროტებული, პეტრე კი საზოგადოებისა და ადამიანის ურთიერთობის ამოცნობის დილემის წინაშე აღმოჩნდა“ (გვ. 211).

ამის შემდეგ ი. რატიანი უშუალოდ გადადის „ოთარაანთ ქვრივის“ განხილვაზე. აქ, თურმე, „დროული მიმართების სქემა ასე გამოიყურება: **გვიან-ადრე-გვიან**“ (გვ. 211).

ჯერ საუბრობს „ადრეზე“: „კატეგორიით «ადრე» აღნიშნული მოვლენები სოლიდური დროული პაუზებით იმიჯნება“ (გვ. 211). მაგალითებად იმოწმებს თხზულების შემდეგ ტექსტებს: „ოც-და-ოთხის ძლივ იქნებოდა, როცა დაქვრივდა და ერთის წლის შვილი დარჩა. ის დღეა და ეს დღე... აი, ეს ოცი წელიწადია მზიარული ფერი არ მიუკარებია ტანზედ“, „ერთხელ — ჯერ გიორგი ათი-თორმეტი წლისა ძლივ იქნებოდა“, „ამ ორი წლის წინათ თოფიარალი აისხა ზედ... წაივდა და სამი დღე შინ არ დაბრუნებულა“ (გვ. 212).

ვიძეოვრებით: ი. რატიანის შეფასებით, ეს იყო „სოლიდური დროული პაუზები“. თურმე, „აღინიშნება შედარებით მოკლე პაუზაც“. ნიმუშად დამოწმებულია ტექსტი: „ამას წინად — სულ ორი კვირა არ იქნება — კინაღამ სოფლის სასამართლომ გომურში არ ჩაამწყვდია“ (იქვე).

პირველ „გვიანსა“ და „**ადრეს**“ შორის დამოკიდებულება ასეა დახასიათებული: „მიუხედავად ესოდენ ზუსტი გამიჯნულობისა, კატეგორიით «ადრე» აღნიშნული სიუჟეტური ეპიზოდების მიმართება «გვიან» აღნიშნულ სიუჟეტურ ეპიზოდებთან ერთგვარი თანამიმდევრული წყობით გამოირჩევა: ამკარად ფიქსირდება მხატვრული დროისათვის ნიშანდობლივი ტიპოლო-

გიური მახასიათებელი – მოუწესრიგებლობა: სხვადასხვა კატეგორიით აღნიშნულ მოვლენათა სტრუქტურული სხვაობა არ არის გამყარებული – ერთმანეთშია აღრეული აღრინდელი და გვიანდელი მოვლენები, თხრობა ხან ერთს ეხება, ხან – მეორეს. სწორედ ასეთ გარემოცვაში ფიქსირდება პერსონაჟთა ტრანსფორმაცია – როგორც მარტვი, ოდენ ვიზუალური, ისე რთულიც, მომდინარე პერსონაჟის ხასიათიდან“ (იქვე, გვ. 112).

მეორე „გვიანზე“ წერია: „კატეგორიით «გვიან» აღნიშნული მეორე მონაკვეთი ნაწარმოების ფინალურ ეპიზოდებს გულისხმობს: გიორგის სიკვდილის ეპიზოდიდან, ვიდრე დასასრულამდე“. მოთხრობის საილუსტრაციო ტექსტი: „შუა-ხანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისკენ პირი ჰქმნა... მოვიდა ზამთარი და მოიტანა თოვლი“.

და ბოლოს დამაგვირგვინებელი, „წყალგაუვალი“ დასკვნა: „კატეგორიით «გვიან» აღნიშნული მოქმედებები მომდინარეობს წინამორბედი მოვლენებისაგან და პერსონაჟის – ოთარაანთ ქვრივის ცხოვრების დასასრული საფასებით ლოგოკურად გვეჩვენებს“ (იქვე, გვ. 212).

ეს არის და ეს! დიახ, დიახ, თურმე, რომ არა ეს მწერლისეული დროის კატეგორიის მანიპულაციები, ოთარაანთ ქვრივის ცხოვრების დასასრული ლოგიკური აღარ იქნებოდა!

როგორ მოგწონთ, ძვირფასო მკითხველო, ილია ჭავჭავაძის მოთხრობათა ეს ანალიზი? მაღლობა ღმერთს, ეს ნაწარმოებები სკოლის მერხიდან შეთვისებული გვაქვს, მაგრამ დამატებით რა გავიგეთ აქედან, მეტადრე, საყურადღებო და მნიშვნელოვანი? სიახლე და გასაკვირი ყოფილა, თურმე, ის, რომ მასში აღნიშნულია „დრონი“: რა ასაკისაა ესა თუ ის პერსონაჟი, როდის ხდება მოქმედებანი, წლის რომელ დროს ან პირველად რა ამბავი ხდება და შემდეგ რა, ე. ი. დროის თვალსაზრისით კომპოზიციურად როგორაა აგებული თხზულება და ა. შ. მე უნებურად მახსენდება ნოდარ დუმბაძის „ბოტანიკური“ ლექსი: „ხეს გამოუბამს კვირტები, მოდი და ნუ გაკვირდები!“

ი. რატიანი ამის შემდეგ ილიას თხზულებებში განიხილავს „ათვლის წერტილებს“ და „მოვლენა-ბირთვის“ საკითხს კი არა, — პრობლემას. მისი სიტყვებით: „მთელი სიმწვავეით დგება მხატვრული დროის თანამიმდევრობის თვისებრივი მახვევებების განსაზღვრისათვის საჭირო ათვლის წერტილის მოძიების პრობლემა“ (გვ. 214). „მოვლენა-ბირთვის“ შესახებ წერია: „მიგვაჩნია, რომ ქართულ რეალისტურ პროზაში, რომლის მეტრადაც ითვლება ი. ჭავჭავაძე, უდავოდ შეინიშნება ერთი კანონზომიერება: მხატვრული დროის მთლიან მოდელში არსებული დროული პლანები — მხატვრული აწმყო, წარსული და, გარკვეულწილად, მომავალი — კონცენტრირებულია რომელიმე ერთი ძირითადი მოვლენის ე.

წ. მოვლენა-ბირთვის გარშემო“ (იქვე).

ახლა ვნახოთ, როგორ ესახება ი. რატიანს ეს „დროული პლანები“ „მგზავრის წერილებში“: „მოვლენა-ბირთვად გვევლინება მგზავრის მეზვედრა ლელთ ღუნიასთან“; „მხატვრული დროის წარსული პლანის მიეკუთვნება მგზავრის მოვზაურობა ვლადიკავკასიდან ვიდრე ფასანაურამდე, მაგრამ მასში, ამასთანავე, ფიქსირდება ათვლის სხვა წერტილები და სხვა დროული პლანები, რომლებიც განსხვავებულ სიუჟეტურ ეპიზოდებს ასახავენ და სხვადასხვა სტრუქტურულ რგოლს ესადაგებიან“ (გვ. 215). კიდევ: ორი დიალოგი: „მგზავრის დიალოგები «რუსის აფიცერთან» ლელთ ღუნიასთან მთავარი პერსონაჟის — მგზავრის აწმყო, თუმცა მოვლენა-ბირთვთან მიმართებაში ისინი მხატვრული წარსულის პლანის პოზიციაში იმყოფებიან. თავის მხრივ, ორივე დიალოგი გვთავაზობს მიკროწარსული პლანის ინვარიანტებს“ (გვ. 216) და სხვა.

„გლახის ნაამბობის“ შესახებ ნათქვამია: აქ „«მოვლენა-ბირთვი» გაბრიელისაგან დათიკოს მოკვლა“ არის, რომელიც „მხატვრული დროის წარსულს მიეკუთვნება“. „ათვლის წერტილებად შეიძლება მივიჩნიოთ გაბრიელისა და დათიკოს გამგზავრება ქალაქში, გაბრიელისა და თამროს მეზვედრა ორლობეში, დათიკოსაგან თამროს ნახვა საყდარში, გაბრიელისა და დათიკოს კონფლიქტი და პეპიას სიკვდილი. თითოეული ეს ეპიზოდი მიჯნავს მხატვრული დროის იმ მიკროპლანებს, რომლებიც ესადაგებიან აღნიშნულ სიუჟეტურ მონაკვეთს და, ცხადია, წინ უსწრებს მოვლენა-ბირთვს“.

აქედან ვღებულობთ ამგვარ შედეგს: „ამრიგად, რამდენად პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენოს ეს კონცეფცია, «გლახის ნაამბობში» წარმოდგენილი დროული პლანების ურთიერთმიმართება გვაძლევს შემდეგი დასკვნის უფლებას: ნაწარმოებში დაფიქსირებული ათვლის ნებისმიერი წერტილი აერთიანებს უკვე მომხდარ, კრისტალიზებულ წარსულს, უშუალოდ განცდილ აწმყოს და განუხორციელებელ, მაგრამ პროგნოზირებად მომავალს“ (გვ. 215-217).

ახლა ვნახოთ დანარჩენ თხზულებათა „ანალიზი“. სურათი რომ უფრო სრულყოფილი იყოს, „კაცია-ადამიანზე?!“, „სარჩობელაზე“ და „ოთარაანთ ქვრივზე“ მსჯელობანი დიდი არ არის და მათ მთლიანად წარმოვადგენ:

„თხზულებაში «კაცია-ადამიანი?!» მოვლენა-ბირთვი მხატვრული წარსულის პლანშია მოცემული. ლუარსაბისა და დარეჯანის ქორწინება თხზულების მთავარ, ცენტრალურ ეპიზოდს წარმოადგენს და სრულიად სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ ნაწარმოების დროული პლანების გამმიჯნავ ათვლის წერტილებად. ლუარსაბისა და დარეჯანის ქორწინების ეპიზოდი მიჯნავს ლუარსაბის სიყმაწვილის პერიოდს, როგორც მხატვრულ აწმყოს. გარდა ათ-

ვლის ძირითადი წერტილისა, «სიუჟეტურ ველზე» მოიძიება ათვლის მცირე-არისხოვანი წერტილები, რომლებიც მხატვრული დროის მიკროპლანებს წარმოადგენენ. მსგავსი ათვლის წერტილებია: სუტ-ენინას ვიზიტი ლუარსაბთან, ლუარსაბისა და დარეჯანის მგზავრობა თელეთში და მკითხვეის სტუმრობა ლუარსაბის ოჯახში. სუტ-ენინას ვიზიტი ყმაწვილ ლუარსაბთან მიჯნავს ლუარსაბის სიყრმეს, როგორც მხატვრულ წარსულს და ლუარსაბის ყმაწვილკაცობას, როგორც მხატვრულ აწმყოს. მოვლენა-ბირთვი – ლუარსაბისა და დარეჯანის ქორწინება — თხზულების დროული პლანების ცენტრალურ წყალგამყოფად გვევლინება: მის მიღმა რჩება ლუარსაბის ოჯახური ცხოვრება, როგორც მხატვრული აწმყო. ლუარსაბისა და დარეჯანის თელეთის მოგზაურობისა და მათ ოჯახში მკითხვეის მოსვლის ეპიზოდები თითქმის ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებს: ერთმანეთისაგან მიჯნავს ლუარსაბის რადიკალურად განსხვავებულ სულიერ მდგომარეობებს“ (გვ. 217-218).

ამას უშუალოდ ებმის „სარჩობელაზედ“: „საინტერესო სტრუქტურულ სურათს წარმოადგენს «სარჩობელაზედ». განსხვავებით თხზულებებისაგან «მგზავრის წერილები», «ვლახის ნაამბობი» და «კაცია-ადამიანი?!» მოთხრობის «სარჩობელაზედ» მოვლენა-ბირთვი მხატვრული აწმყოს ჭრილშია მოცემული. ყმაწვილი კაცის ჩამოხრჩობის ეპიზოდი პეტრეს, უცნობი ყმაწვილისა და მისი ძმის მხატვრულ აწმყოს წარმოადგენს. «სარჩობელაზედ» დროული ჭრილისა და ათვლის წერტილების მიმართების ორიგინალურ ფორმას გვთავაზობს: მოვლენა-ბირთვი მხოლოდ ორ დროულ ჭრილს მიჯნავს — პეტრესა და ყმაწვილების აწმყოსა და პეტრესა და ჩამოხრჩობილი ბიჭის ძმის მომავალს. მხატვრული წარსული ათვლის სხვა, მეორეხარისხოვანი წერტილებიდან მომდინარეობს: პეტრეს წარსულის ჭრილი პეტრესა და პატარა ძმების შეხვედრის ეპიზოდს უკავშირდება, ჩამოხრჩობილი ყმაწვილისა და მისი ძმის წარსულის პლანი კი ათვლის ორ წერტილს გულისხმობს: პეტრესა და პატარა ძმების შეხვედრის ეპიზოდს და უცნობი ბიჭის წერილს, რომელთა შორისაც სრულიად აშკარად მყარდება დამოკიდებულება ადრე-გვიან“ (გვ. 218).

აქაც ავტორი პირდაპირ გადადის „ოთარაანთ ქვრივზე“: „თხზულებაში «ოთარაანთ ქვრივი» მოვლენა-ბირთვი მხატვრული წარსული დროის პლასტის კუთვნილებაა: გიორგის სიკვდილი უკვე მომხდარი და გარდასულია. ათვლის ძირითადი წერტილიდან სათავეს იღებს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის აწმყო და მომავალი დროის ჭრილები, არჩილისა და კესოს მომავალი დროის პლასტი როგორც პროგნოზი. მოვლენა-ბირთვის მიღმა რჩება მხატვრული წარსული, რომელიც, თავის მხრივ, ათვლის რამდენიმე წერტილს შეიცავს: ოთარაანთ ქვრივის სიკვდილს, რომელიც მიჯნავს ოთარაანთ ქვრივის პერსონაჟის წარსულსა და აწმყოსა და გიორგის წასვლას შინიდან, რომელიც მიჯნავს გიორგის პერსონაჟის წარსულს, აწმყო

და მომავალი დროის პლასტებს“ (გვ. 218).

ამის შემდეგ ი. რატიანი მსჯელობს „მომავალი დროის“ შესახებ და თავად აღიარებს: „მომავალი დრო, გარკვეულწილად, ეფემერული კატეგორიაა, ჯერ არ დამდგარი დრო, რომელიც არ განიზომება და არ აღიქმება. (...) გამომდინარე აქედან, ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მიდგომა დროის მომავალი ჭრილისადმი სრულიად არაერთგვაროვანი და ურთიერთგამომრიცხავიც კია“ (გვ. 218). იქვე ამ „დროს“ ის „ბუნდოვანსა და სადავო კატეგორიასაც“ უწოდებს (გვ. 219).

ჩვეულებრივმა მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ აქ საუბარია მწერლის იდეაზე, მისი პერსონაჟის მომავლის პერსპექტივაზე. არა! იგი სხვა რამეს — სტრუქტურულ ენებას, რომელიც „მოვლენა-ბირთვს“ უკავშირდება. „სტრუქტურული თვალსაზრისით, — განმარტავს ავტორი, — ი. ჭავჭავაძის თხზულებებში არსებული მომავალი დრო მარტივი და რთული კონსტრუქციების სინთეზს წარმოადგენს. მარტივი კონსტრუქცია გულისხმობს მომავალი დროის ერთი ძირითადი მოდელის არსებობას, რომელიც კონცენტრირებულია მოვლენა-ბირთვის გარშემო, რთული კონსტრუქცია კი აერთიანებს მომავალი დროის რამდენიმე მოდელს, რომლებიც ათვლის არა მარტო ძირითადი, არამედ მეორეხარისხოვანი წერტილებიდანაც მომდინარეობენ“ (გვ. 219).

პირველის, ანუ მარტივი კონსტრუქციის, ნიმუშად დასახელებულია „მგზავრის წერილები“ და „კაცია-ადამიანი?!“, მეორესი — დანარჩენი სამი მოთხრობა, რომელთა „მომავალი დროის პლანი არაერთგვაროვანია“ (გვ. 219-220).

სამაგალითოდ დავიმოწმებ, თუ როგორაა დახასიათებული „მგზავრის წერილების“ „მომავალი დროის პლანი“. მოტანილია ამონაწერი მგზავრის, ანუ ილია ჭავჭავაძის, კითხვებიდან, რომელიც მას ლელთ ღუნისათან საუბრისას გაუჩნდა: „მიგიხვდი, ჩემო მოხვეე, რა ნესტართა ხარ ნაჩხვლეტი. (...) უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა. (...) როდემდის დამრჩეს ეს ტკივილი გულში, როდემდის, ოხ, როდემდის, როდემდის?“. ამას წინ უძღვის ი. რატიანის სიტყვები: მგზავრი, ანუ ილია, „აქტიური მოქმედებისათვის ემზადება, მომავალს ეგება კითხვით, რომლის პასუხიც მხოლოდ პოტენციაში შეიძლება ვეძიოთ“ (გვ. 220). თუ ეს ახსნა არა, მკითხველი დაიბნეოდა?!

ძვირფასო მკითხველო, ამ „სიახლეებიდან“ რომელიმე საჭირო და სასარგებლო არის?! აქაც დროის მიხედვით ამ თხზულებათა კ ო მ პ ო ზ ი - ც ი ი ს წარმოჩენა იმდენად თითიდან გამოწოვილია, ილია ჭავჭავაძის რომელიმე თხზულების რაიმე შემოქმედებით თავისებურებას, სხვა რომელიმე მწერლის შემოქმედებისაგან განსხვავებულს, არაფერს იძლევა. ასე უსაგნოდ ნებისმიერი მწერლის ნებისმიერ ნაწარმოებზე შეიძლება ვილაპარაკოთ!

2. „სივრცის კატეგორია“.

დიდი რუსი მეცნიერი დიმიტრი ლიხანოვი გასაგებ ენაზე განმარტავს (ვიმოწმებთ ი. რატიანის წიგნიდან): „თავის ნაწარმოებში ავტორი ქმნის გარკვეულ სივრცეს, რომელშიც მიმდინარეობს მოქმედება. ეს სივრცე შეიძლება იყოს მასშტაბური, აერთიანებდეს სხვადასხვა ქვეყანას (მოგზაურობის ჟანრის რომანებში), მეტიც – სცილდებოდეს ჩვენი პლანეტის – დედამიწის საზღვრებს (ფანტასტიკური ან რომანტიკული ჟანრის რომანებში) ან, პირიქით, ლოკალიზდებოდეს ერთი ოჯახის ვიწრო ჩარჩოებში. სივრცე, რომელსაც ქმნის ავტორი თავის ნაწარმოებში, შეიძლება ხასიათდებოდეს გარკვეული «გეოგრაფიული» თავისებურებებით: იყოს რეალური (როგორც მატთანესა და ისტორიულ რომანში) ან წარმოსახული (როგორც ზღაპარში)“ (გვ. 181).

მაგრამ ი. რატიანი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ამ ადამიანურად გამოთქმულ სივრცეს არ დაეძებს. თუმცა, რომ გავიმეოროთ, რაც „დროს“ შესახებ ვთქვით, ილიას შემოქმედებაში ამ მხრივ საკვლევი არაფერია — სადაც ხდება მოქმედება, ყველა მოთხრობაში გარკვევით და ნათლად აღნიშნული.

მაშ, რაა ი. რატიანისეული მიგნებული სივრცე? მისივე სიტყვით, „ილია ჭავჭავაძის პროზაულ თხზულებებში ფიქსირებული ძირითადი სივრცეული მოდელები – გზა, სოფელი, კარ-მიდამო, სახლი, ქალაქი, ღუქანი, საყდარი და პეიზაჟური ფონი – მხოლოდ მხატვრული დროისა და მხატვრული ქრონოტოპული მოდელების სპეციფიკით განისაზღვრება“ (გვ. 224).

შემდეგ კიდევ უფრო აზუსტებს: „ი. ჭავჭავაძის პროზაულ თხზულებებში ფიქსირებულ მხატვრულ ქრონოტოპულ სისტემაში, ჩვენი აზრით, სამი ძირითადი, მთავარი, საკულისხმო ქრონოტოპული მოდელი გამოიყოფა: პერსონაჟთა ინდივიდუალური ქრონოტოპი, გზისა და შეხვედრის ქრონოტოპი და პერსონაჟთა ქრონოტოპი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი სრულიად ორიგინალური სტრუქტურითა და თავისებურებებით გამოირჩევა, მათ აერთიანებს საერთო-ფუნქციური მისია: დრო-სივრცის ფსიქოლოგიური სუბლიმაციის პროცესის ასახვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი“ (გვ. 225).

„მგზავრის წერილებში“ მიგნებული „სივრცეები“ (ცხადია, „დროსთან“ ერთად): ი. რატიანს მოჰყავს ტექსტის ნაწევრები: „დაღამდა, მიწვდა ადამიანის ფეხის ხმა“ და „ვათუნდა. რა მშვენიერი რამა ხარ დილის რიჟარაჟო“. მისი თეორიით, აქ, თურმე, „ფიქრის სივრცე კვლავ ზოგადი, იმიტირებული გარემოთია შემოფარგლული და ინტენსიფიცირდება ფიქრის ირეალურ-მხატვრულ დროში“ (გვ. 228).

თხზულების შემდეგი ნაწევრები: „მართლა-და რა უნდა ვქნა? — ვკითხე ჩემს თავს ხმამაღლა. — ჩაი უნდა მიირთოვო — მიპასუხა სტანციის გუშაგმა, რომელმაც ამ დროს შემოიტანა სამოვარი და ჩემს სტოლზედ დადგა“.

ჩვენი ქალბატონის სამივე ნაწევრის ქრონოტოპული ანალიზი ასეთია: „ფიქრი ერთი ხელის დაკვრით წყდება და მგზავრი ფიქრის ირეალური სამყაროდან აღმოჩნდება ლოთი რუსი ოფიცრის საზოგადოებაში. მხატვრული დრო კონკრეტდება – დღე იწურება და დგება საღამო, რომელსაც უნდა მოჰყვეს მგზავრის შინაგანი ამაღლება. მგზავრი ტოვებს «სტანციის» ოთახს და გადის უფრო მასშტაბურ, გაშლილ სივრცეში. იგი აღარ ემორჩილება არავითარ საზღვრებს, მიჯნებსა და ჩარჩოებს. მგზავრი აღმოჩნდება თავის უფალი სივრცის ცენტრში, შინაგანად ფლობს დროს, რაც განაპირობებს მისი სულიერი ტრანსფორმაციის გარდაუვალობას. მოძრაობისა და უძრაობის, ნათელისა და ბნელის უზოგადოესი პრობლემების დეფინიცია ცხადად გამოკვეთს გმირის შინაგან, ფსიქოლოგიურ-ემოციურ და აზრობრივ ზრდას, რომელიც პირდაპირ პროპორციულია დრო-სივრცეული თავისუფლების ზრდისა“ (იქვე, გვ. 228).

„მგზავრის წერილების“ ი. რატიანისეულ „ანალიზზე“ უფრო სრული წარმოდგენა რომ გვქონდეს, ერთ მაგალითს კიდევ დავიმოწმებ. მისი სიტყვებითა: „სრულიად განსხვავებულ ალელთ ღუნიას მიმართება მიკრომშობლიურ სივრცესთან“. ავტორს მოჰყავს მგზავრის, ანუ ილიას, საუბარი ლელთ ღუნიასთან, სადაც ბარისა და მთის შესახებ ღუნია ამბობს: „იქვე კაცს ფერი არ აქვს, ჯანი არ აქვს. აქვე ჯანმრთელნი არნ... არჩევანზედ? ამ ღორდიან კლდეთ ვიჯობდი, ჯანმრთელია. ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძღების, სატკეფარს რაი ეყვის?“

როგორ იზომება ეს ნაუბარი „დრო-სივრცეული კატეგორიით“? ინებეთ „ამრიგად, ლელთ ღუნიას ცნობიერებაში იქმნება უაღრესად საინტერესო და უცნაური სინთეზი: იდეალში ერთმანეთს ერწყმის ორი კატეგორია – არსებული ლალი მშობლიური სივრცე და უკვე გარდასული დრო. სწორედ ასეთი დრო-სივრცეული ამპლიტუდა იწვევს იმ დიდ ტკივილსა და განცდას, რომელიც სტანჯავს მოხვევს (გავიხსენოთ მის მიერ მოთხრობილი ისტორიული ამბავი) და რეალურ ელფერს სძენს მგზავრის პოზიციას: ლელთ ღუნიასთან შეხვედრის შემდეგ მშობლიური სივრცე აღარ არის მგზავრისათვის მხოლოდ იდეურ-ეთიკური განწყობის ფონი, არამედ — წარმოადგენს იმ კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ სივრცეს, რომელიც ითხოვს მისგან რადიკალურ მოქმედებას, რეალურ საქმეს და თავის წილს მსხვერპლს“ (გვ. 229).

ნამდვილად კარგად ზის აქ სიტყვა „უცნაური“. დიანაც, აქ აღნიშნული ისევეა უცნაური და საოცარი, როგორც „ხეს გამოუბამს კვირტები, მოდი და ნუ გაკვირდები“!

„გლახის ნაამბობი“. ი. რატიანი თავიდანვე გვაცნობს, რა სივრცეებზე აქვს მსჯელობა: „მხატვრული სივრცე, რომლის წიაღშიც იხსნება პერსონაჟის (გაბრიელის — ბ. დ.) ხასიათი, შემდეგ ძირითად მოდელებს

წარმოდგენილია: სოფელი, ქალაქი, საყდარი, სატუსალო, დუქანი, საბძელი და პეიზაჟური ფონი“ (გვ. 230).

ვნახოთ რამდენიმე მათგანი. მოყვანილია თხზულების ტექსტი — დაგლახავებული გაბრიელის პირველი გამოჩენა: „უხლა კი რომ ამოვიარე... დავინახე ერთი კაცი, გომურის კარებთან მიწოლილი. ვე არაფერი. დილაზედ ჩამოვიარე, შვეიხედე, ის კაცი ისევ-ისე მწოლიარე დავინახე. საღამოზედ, ჯერ ბინდი არ მოპრეოდა სინათლესა, ამოვიარე — ის კაცი ისევ-ისე ვნახე“. ი. რატიანის კომენტარი: „აქ საგულისხმოა ერთი გარემოება: პერსონაჟის სტატიკური მდგომარეობა არ იწვევს პერსონაჟის ინდივიდუალური დროის გასტატიკურებას, ან შეჩერებას, გაქვავებას. პირიქით, პერსონაჟის ინდივიდუალური დრო მაქსიმალურად მოძრავი და რიტმულია, რაც მწვავე დროული ცაიტნოტით აღინიშნება“.

აქ „მკვლევარი“ ორწერტილს სვამს და აგრძელებს მოთხრობის ტექსტს: „მე სწორედ მოგახსენოთ... ჩემს ვინაობას არ გეტყვოდი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოებულყო. ვიცი — ჩემი დღე დათვლილია“. ქალბატონი ირმა ამ პასაჟზე აკეთებს დასკვნას: „ამრიგად, თხზულების მთავარი პერსონაჟის ინდივიდუალური დროის მონაკვეთი, რომელიც მხატვრული დროის აწმყოს პლანშია გახსნილი, აერთიანებს ვიწრო, ლოკალურ სივრცესა და დინამიკურ დროს“ (გვ. 230).

ი. რატიანი შემდეგ იმოწმებს ნაწარმოების ტექსტებს, სადაც, მისი სიტყვებით, „ორჯერ ფიქსირდება სივრცული მოდელი «ქალაქი». პირველ შემთხვევაში იგი უკავშირდება ორ სივრცულ მოდელს - «საყდარსა» და მღვდლის «სახლს», მეორე შემთხვევაში — სივრცულ მოდელს «დუქანი»“ (გვ. 231).

გასაგებად რომ ვთქვათ, დამოწმებულია მოკლე ამონაწერები აღნიშნულ ადგილებში მომხდარი ამბებიდან. რა ჩანს ამ ეპიზოდებიდან? მოვუსმინოთ ქალბატონს: „ვფიქრობთ, აღნიშნული ორი სივრცული კონსტრუქცია: «ქალაქი — საყდარი — მღვდლის სახლი» და «ქალაქი — დუქანი» ქმნის სივრცული კონტრასტის პრეცედენტს, რომლის ფონზეც პერსონაჟის ტრანსფორმაციის თვისობრივად განსხვავებული სახეები მოცემული: თუ ერთ შემთხვევაში ქალაქის მასშტაბური სივრცე გაბრიელის ღვთისნიერადამიანად გარდაქმნას ემსახურება, მეორე შემთხვევაში ნათელყოფს შურისძიების გზაზე დამდგარი პერსონაჟის სისუსტეს. სივრცული კონტრასტის ხერხის ესოდენ სწორად გამოყენება ი. ჭავჭავაძის, როგორც მწერლის, უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს“ (გვ. 232).

შემდეგ განხილულია „სივრცული მოდელები“ „სატუსალო“, „პეიზაჟი“ და ა. შ. „კაცია-ადამიანის“ ქრონოტოპის დახასიათება ასე იწყება: „პერსონაჟთა ინდივიდუალური დრო მხატვრული დროის სხვადასხვა პლანში განისაზღვრება და ორ სტრუქტურულ ინვარიანტს გვთავაზობს: ინდივიდუალური-ყოფით და ინდივიდუალური-ბიოგრაფიულ დროს. ინდივიდუალური

დროის თითოეული პლანში მხატვრული სივრცის გარკვეულ მოდელს უკავშირდება და თხზულების «კაცია-ადამიანი» პერსონაჟთა ინდივიდუალური ქრონოტოპი შეიძლება გავიხროთ როგორც ყოფითი დრო-სივრცისა და ბიოგრაფიული დრო-სივრცის მთლიანობა“ (გვ. 234).

რას ვერდნობა ეს „გააზრებანი“?

თურმე, „ყოფითი ქრონოტოპი განისაზღვრება სივრცული მოდელით «სოფელი-კარმიდამო-სახლი»“. დამოწმებულია ტექსტები: „კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი...“; „ქვეშ იყო მარანი...“ და ა. შ. გარემოს ეს აღწერილობა შედარებულია ლუარსაბის პორტრეტთან: „კარგად ჩასუქებული... მოგვკვივით სქელი კისერი...“ და ა. შ. ქრონოტოპული პრინციპით მათ შორის, აი, რა განსხვავება ყოფილა: „სივრცის დეტალური აღწერა ფაქტობრივად გამოირიცხავს მხატვრული დროის მდინარებას. მხატვრული დრო ამ ეტაპზე გაუჩინარებულია. მასშტაბური სივრცული მახასიათებლები პირდაპირპროპორციულია მცირე სივრცული მახასიათებლებსა, რომლებიც პერსონაჟთა გარეგნული მონაცემებით განისაზღვრება“ (იქვე, გვ. 234).

იმის ნიშნად, რომ „ინდივიდუალური დრო ლუარსაბის სულიერ პლანსებს აირეკლავს“, მოყვანილია ლუარსაბის მსჯელობა ძველი და ახალი დროების შესახებ: „...კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავი პატიოსანი“.

ი. რატიანი იმოწმებს სუტ-კენიანს არეულ-დარეულ მონათხრობს ლუარსაბის ბავშვობის დროინდელ ამბებზე და მას ასეთ კომენტარს ურთავს: „სუტ-კენიანს თხრობას თან ახლავს სპეციფიკური დრო-სივრცული ატმოსფეროს შექმნა, რასაც შეიძლება ცრუ ქრონოტოპი ვუწოდოთ“ (გვ. 236).

ერთი ამონაწერი კიდევ „კაცია-ადამიანის?!“ ქრონოტოპზე: „დროისა და სივრცის მაქსიმალური მობილიზება აღინიშნება ლუარსაბის ქორწილის ეპიზოდში: პერსონაჟის ინდივიდუალური დრო კონკრეტდება — სამშაბათი, დამე, სივრცული მოდელი კისაყდრის სახითაა წარმოდგენილი. საინტერესოა ის გარემოება, რომ სივრცული მოდელი — «საყდარი» სრულწინააღმდეგობაში მოდის ეპიზოდის იდეურ-ზნეობრივ ფაქტორთან: საყდარი ღვთის სახლია და მის ფონზე გაცილებით უფრო მკვეთრად ისახება თხზულების პერსონაჟთა ყოველგვარი სიმდაბლე“ (გვ. 237).

ამგვარივეა დანარჩენ თხზულებათა „ანალიზიც“. სიტყვა ძალიან გაგვიგრძელდა. ძნელია ამ არაფრისმთქმელი ამბების მოსმენა. ამიტომ აქ თითო-თითო ნიშნის ჩვენებით დავკმაყოფილდებით.

მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“ მოყვანილია ნაწყვეტები ლოჭინისხევისა და ყმაწვილი ძმების პორტრეტული აღწერილობებიდან და ეს „პეიზაჟურ“ და „პორტრეტულ“ „მოდელთა“ თუ „ფონთა“ ურთიერთობა ასეა დახასიათებული: „მხატვრული დრო თავდაპირველად ზოგადად განსაზღვრულია — შუაზაფხული. მხატვრული სივრცე ორ

კონსტრუქციას აერთიანებს. პირველი მათგანი მასშტაბურ სივრცულ მოდელს წარმოგვიდგენს პეიზაჟური ფონის სახით: გვალვისაგან დასიცხულ ლოჭინის ხეებს, ძლივს მოწინწკარე წყალს, ქანცგაწვევტილ მეურმეებსა და კამეჩებს, მეორე კი — შედარებით მცირე სივრცულ მოდელს — «პორტრეტს» — ორი პატარა ძმის გარეგნობის დახასიათებას. პეიზაჟური ფონიცა და პორტრეტული ფონიც სივრცის ვიზუალურ აღქმას ეფუძნება, დეტალები მაქსიმალური სიზუსტით ფიქსირდება და წყდება მხატვრული დროის ფუნქციონირება. (...) პეიზაჟურ და პორტრეტულ მხატვრულ სივრცულ მოდელში კონცენტრირებული ყველა დეტალისა და მოვლენის ესოდენ კორექტული ფიქსაცია იწვევს დასახელებული სივრცული მოდელების გამიჯვნას მხატვრული დროის ქსოვილიდან“ (გვ. 238).

ამას მოსდევს მწერლის სიტყვები: „უეცრად ხევის ყურედამ ორი გამწვილი გამოვიდა გზაზედ“. ეს „უეცრად“ თუ რა ყოფილა, მოვუსმინოთ ი. რატიანის ახსნას: „სიტყვა «უეცრად» არ შემოდის ნაწარმოებში როგორც მხოლოდ ლექსიკური ერთეული. მის გამოჩენას თან ახლავს გარკვეული ემოციური პლანის შექმნა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ნაწარმოების დასაწყისში აღწერილი ემოციური ვითარებისაგან: «უეცრად» წყვეტს ნაწარმოების მშვიდ ვითარებას და ახდენს დროული პარამეტრების მაქსიმალურ დაძაბვას. ფიქსირდება ავანტიურული ელემენტები და იქმნება შემთხვევითობის ატმოსფერო. შემთხვევით განპირობებული ავანტიურული დრო უკავშირდება კონკრეტულ თვისებრივად ახლობელ, მშობლიურ სივრცეს“ (გვ. 238-239).

ვისაც ამის გააზრება შეეძლიათ, ღმერთმა შეგარგოთ!

ამგვარადვე წარმოდგენილი „ოთარაანთ ქვრივნი“ აქაც საუბარია დრო-სივრცულ მოდელზე — სოფელი—კარ—მიდამო—სახლი, პეიზაჟური ფონი. დამოწმებულია ტექსტები, სადაც აღწერილია მთავარ პერსონაჟთა ცხოვრებისა და მოქმედების გარემო, მათი ასაკი და გარეგნობა. მაგალითად, არჩილისა და კესოს ბაღზე ნათქვამია: „სივრცული მოდელის — «ყვავილების ბაღის» — ვიზუალური აღწერა სინთეზირებულია პერსონაჟთა ინდივიდუალური დროის მდინარეებსა. პეიზაჟთა აღწერილობა უკავშირდება პერსონაჟის მოქმედების დინამიკას, ამდენად, ინარჩუნებს დროულ მახასიათებლებს. მოქმედებები დინამიკური, რიტმულ-განმეორებადია, რასაც მიუთითებს ფრაზები: «ყოველ დღე», «ყოველ ცისმარე დღეს», მხატვრული სივრცე ინტენსიფიცირებულია დროში და, შესაბამისად, დრო არის მხატვრულად აღქმადი. ვიორგისა და კესოს ქრონოლოგიური მოდელები სრულიად ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს“ (გვ. 244-245). მხოლოდ ერთგან მითითებულია ერთი თავისებურება: „განსხვავებით წინარე განხილული ნაწარმოებებისაგან, «ოთარაანთ ქვრივნი» კონცენტრირებული მხატვრული დროის ბრუნვა ხაზგასმულად სპირალურია და მოიცავს პერსონაჟთა ინდივიდუალურ დროულ სვეტენტებს“ (გვ. 243).

დასასრულ ი. რატიანის ამ თავის („პერსონაჟთა ინდივიდუალური ქრონოლოგიები“) საბოლოო დასკვნას ასე აყალიბებს: „ი. ჭავჭავაძის პროზაული თხზულებებში ფიქსირებული პერსონაჟთა ინდივიდუალური ქრონოლოგიური სისტემა უაღრესად საინტერესო და არაერთგვაროვანი სტრუქტურული შემადგენლობით ხასიათდება: ინდივიდუალური ქრონოლოგიის თითოეული დამოუკიდებელი კონსტრუქცია მხატვრული სივრცის, მხატვრული დროისა და ინდივიდუალური დროის განსხვავებულ პლასტებს აერთიანებს. ანალოგიური სივრცული მოდელების გამოყენება სხვადასხვა ნაწარმოების დონეზე არ გულისხმობს მათი სტრუქტურული და ესთეტიკური ფუნქციების ანალოგიურობას. თითოეული პერსონაჟის ქრონოლოგიური მოდელის ორიგინალობას სივრცული მოდელების, მხატვრული და ინდივიდუალური დროული მახასიათებლების მიმართებისა და შერწყმის პროცესის მრავალფეროვნება უზრუნველყოფს“ (გვ. 247).

ამის შემდეგ მოდის თავი „გზისა და შეხვედრის ქრონოლოგიები“ (გვ. 248-258), რომელიც წიგნის მესამე ნაწილში მცირე ცვლილებითა და სხვა სათაურით მეორდება: „გზის მეტაფორიზებული მოდელები: «გლაზის ნაამბობიდან» «ოთარაანთ ქვრივნი»“ (გვ. 294-306).

აი, ეს ქრონოლოგი რა თვალსაზრისით ყოფილა საინტერესო და საკვლევი: „გზა, როგორც სივრცული მოდელი, მასშტაბურია და აერთიანებს ტექსტის დანარჩენ სივრცულ მოდელებს. იგი მოვლენათა შერწყმისა და მოქმედებათა დასრულების ასპარეზს წარმოადგენს. გზა შეიძლება მიემართებოდეს მშობლიურ ან უცხო ტერიტორიაზე, იყოს გრძელი ან მოკლე. (...) შეხვედრა შეიძლება შედგეს ან არ შედგეს. პირველ შემთხვევაში შეხვედრის მოტყვის თვისებრივი მარჯვენაგანი დადებითია, მეორე შემთხვევაში — უარყოფითი. (...) შეხვედრა შეიძლება იყოს სასიამოვნო ან არასასიამოვნო, მიზანშეწონილი ან არამიზანშეწონილი, საშიში ან — პირიქით უწყინარი, მეტაფორული ან ნაწილობრივ მეტაფორული. კომპოზიციური ასპექტი ავლენს შეხვედრის მოტყვის კომპოზიციურ ფუნქციას: შეხვედრა შეიძლება წარმოადგენდეს ნაწარმოების კულმინაციურ წერტილს, შეიძლება აღნიშნავდეს კვანძის შეკვრას ან გახსნას. ტექსტში შეხვედრის მოტყვი პირდაპირ დამოკიდებულებაშია დაშორების, ქორწინების, გაქცევის, შეძენის, დაკარგვის, ცნობის, ვერცნობის და სხვა ფასეულ მოტყვებთან“ (გვ. 248-249, 294-295).

ამდენ ამბავს ნაწარმოებში თუ კი აღმოვაჩინოთ, მეტი რაღა გვინდა, ავშენდით და ეს არის!

აქაც სამაგალითოდ ამ თავის მხოლოდ ერთ ნაწილს — „კაცია-ადამიანის“ გარჩევას — მთლიანად წარმოვადგენთ, რადგან იგი შედარებით მოკლეა: „თხზულებაში «კაცია-ადამიანი» გზისა და შეხვედრის ქრონოლოგიის მართ-

ლაც ძალიან საინტერესო და საყურადღებო მოდელებია წარმოდგენილი: სიუჟეტური პასაჟი, რომელშიც ლუარსაბისა და დარეჯანის წინასაქორწინო მოვლენები და ქორწილის ამბავია გადმოცემული, შეხვედრათა საკმაოდ ვრცელ სპექტრს გეთავაზობს – სუტ-კენინა ხვდება ლუარსაბს, დაჯიბი – მოსე ვძელაძეს, ლუარსაბი – დარეჯანს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად აშკარა და თვალშისაცემია გზის სივრცული მოდელის ერთგვარი იგნორირება: გზა არ იხსენიება, არ აღიწერება, არ მონიშნება, მხოლოდ — იგულისხმება“. დამოწმებულია წინადადებები: „ლუარსაბმა მარტო ერთი დაჯიბი და ერთი კიდევ ვიღაცა გამოისტუმრა“; „დიდის პატყვით მიიღო მოსემ დაჯიბი“; „მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით“. ჩემმა მშემ, დიდებული შემჩნევს, არადა ილიას რომ დაეწერა, რა გზით და რამდენ ხანს იარეს, ტალახიანი იყო გზა თუ მოკირწყლული, უტალახო, ხიდი შეხვდათ თუ არა, გზაზე ვინმეს გამოელაპარაკენ თუ არა და ა. შ. მაშინ კიდევ რამდენ რაიმეს მოიფიქრებდა ი. რატიანი! მწერალი კი ყველაფერ ამას რატომღაც გვერდს უვლის და არც იმას გვეუბნება, რატომ უვლის გვერდს?!

„გამოკვლევა“ გრძელდება: „გზის მოტივით განსაზღვრული შეხვედრების მოტივი გზის სივრცული მოდელის ფიქსაციის გარეშე მოიპოვება. გზისა და შეხვედრის მოტივთა ამგვარი შეუხსნაობის საპირისპირო ვარიანტს წარმოგვიდგენს ცოლ-ქმრის თელეთში გამგზავრების ეპიზოდი: გზა, ამ შემთხვევაში, იძენს როგორც რეალურ-მხატვრულ, ისე — სიმბოლურ ფუნქციასაც. რეალურ-მხატვრული თვალსაზრისით, გზა მოიცავს მანძილს ლუარსაბის სახლიდან თელეთის საყდრამდე, სიმბოლოურ თვალსაზრისით კი წარმოადგენს იმ სივრცულ მოდელს, რომლის საშუალებითაც ლუარსაბი, პირველად ნაწარმოების სიუჟეტის განვითარების მანძილზე, არღვევს საკუთარ ლოკალურ, ილუზორულ-იდეოლოგიურ სამყაროს და თავის კენინასთან ერთად მიემგზავრება სალოცავად“. საილუსტრაციოდ დამოწმებულია ტექსტი: „თუღონ შეაბმევენეს ურემი, გადააფარეს ფარდავი, ერთი კარგი ცხვარი დააკრეს ურმის ბოლოს, ახსენეს ღმერთი და ერთ მშვენიერ პაფხულის დილას შეუდგენენ ქალაქის შარა-გზას“.

მიყვავთ „გამოკვლევას“: „მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ გზა გრძელია და მოგზაურობის დრო ათ დღეს ითვლის, გზას არ ენიჭება გადასწევვეტი ესთეტიკური ფუნქცია. გზის ქრონოტოპი არ უკავშირდება შეხვედრის ქრონოტოპს და, შესაბამისად, არ უკავშირდება პერსონაჟთა შემეცნებით-ეთიკური ტრანსფორმირების პროცესს. ამ ეპიპოდში გზის როგორც რეალურ-მხატვრული მოდელის ფუნქცია ბუტაფორულია, საცნაურია გზის ოდენ სიმბოლოური დანიშნულება: გზას, ერთი მხრივ, გამოჰყავს ლუარსაბი და დარეჯანი ვიწრო, შემოზღუდული სამყაროდან, მაგრამ, მეორე მხრივ, უფრო საიმედოდ, მტკიცედ ამწყვდევს მათ თავიანთ ბუნავში“ (გვ. 254-255, 301-302). მეორე ადგილას

დაბეჭდილში ბოლო სიტყვა შეცვლილია, წერია „ნაჭუჭში“.
 ვიშოვ, მკითხველმა არ მკითხოს, რატომაა ეს მგზავრობა სიმბოლური, რას ნიშნავს „არღვევს“, ლუარსაბს აღთქმა ჰქონდა დადებული, ჩემი კუთხიდან არ გავალო?! ი. რატიანი კი ამას არ გვიხსნის.

აქვე დავძენ: ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ი. რატიანი ამ თავს შემდეგ მთლიანად იმეორებს. ვინც ჩემს წიგნებს იცნობს, იქ თვალნათლევ მაქვს ნაჩვენები, რომ გამეორებებით წიგნების გაზრდისა და გაზავრიელების დიდოსტატი რ. სირაძე ბრძანდება. ისინი ამ შემთხვევაშიაც ერთმანეთს მხარს უმშვენებენ?!

3. პერცეფციული ქრონოტოპი

ამ თავის სახელწოდებაა: „პერცეფციული დრო და სივრცე, ანუ პერცეფციული ქრონოტოპი“ (გვ. 258-263). „კლასიკური განმარტებით, — წერს ი. რატიანი, — პერცეფციული დრო-სივრცის უკიდურეს გამოვლინებას ორი ტიპის ფსიქოლოგიური მდგომარეობა წარმოადგენს: ძილისა და ღრმადი ჰიპნოზის ფსიქოლოგიური მდგომარეობები. ი. ჭავჭავაძის ჩვენთვის საინტერესო თხზულებებში ორივე ტიპის ნიმუშებია წარმოდგენილი. პირველი მათგანი ფიქსირებულია ორ ნაწარმოებში: «გლახის ნაამბობსა» და «კაცია-აღამიანში?!»“ (გვ. 260).

აქ ჰიპნოზზე არაფერია ნათქვამი. ძირითადად გაბრიელის, ლუარსაბისა და ოთარაანთ ქვრივის ზმანებებზეა საუბარი. თითოეული მათგანი, თურმე, „ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკური მისიის ლოგიკურ კომპონენტებს წარმოადგენს, თუმცა ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებულია“ (იქვე, გვ. 260). თუ რა არის ეს „თვისობრივი განსხვავება“, აქ გამოყოფილად და გარკვევით ნაჩვენები არ არის.

ავტორი გაბრიელის სიზმარს არ გადმოგვცემს, მაგრამ, რადგან პატარაა, მთლიანად მოვიყვან: „იქნება არ დამიჯეროთ, მაგრამ ჯოჯოხეთს მიეცეს ჩემი სული, თუ იმ კვირალამეს ჩემი მღვდელი სიზმარში არ მომჩვენებოდა. ის დაღონებული იდგა ჩემ წინა და, რასაც დავეკითხებოდი, პასუხად სულ ამას მეტყვოდა ხოლმე:

ზამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
 გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

ბოლოს მე მითამუხლებზედ მოვეხვიე, ცრემლით და ტირილით შვეჩილე ჩემი ამბავი და ვუთხარ: მიბძანე, საით რას გავხდე? იმან არა მითხრა და წავიდა. რომ გადიოდა გარეთ, შემომხედა მე და მაშინ კი მითხრა — რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია“⁶.

ი. რატიანი ამაზე წერს: „... სიზმრის დრო პერსონაჟის ცხოვრების დროის ოპოზიციურია: სიზმრის მოკლე, წამიერი დრო უპირისპირდ-

⁶ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, თბ., 1988, გვ. 185.

ება შედარებით ხანგრძლივ დროს პერსონაჟის მომავალი ცხოვრებისა, რომლის კონტურებიც უკვე ასახულია სიზმარში“ (გვ. 260-261).

ლუარსაბის სიზმარს კი ვრცლად, ციტატებითურთ წარმოგვიდგენს. აი, რამდენიმე ამონაწერი მისი შეფასებიდან: „სიზმარში ფიქსირებული სივრცე პერსონაჟის მიერ წარმოებული რეალურ-მხატვრული სივრცის აღქმის შედეგს წარმოადგენს – მოქმედება მოიცავს ნაცნობ, სრულიად ახლობელ ტერიტორიულ არეალს: ლუარსაბის სახლსა და კარმიდამოს. თვით სიზმრის, ე. ი. უკიდურესად პერცეფციული აქტის, დონეზეც პერსონაჟი უძღურია დაარღვიოს სივრცის შემოზღუდულობა და გაიჭრას წარმოსახულ, მიღმურ, კოსმოსურ სივრცეებში. მეტიც: სიზმრის განვითარების პარალელურად აღინიშნება სივრცის მაქსიმალური ლოკალიზაცია — სახლის სივრცე ტრასფორმირდება და გადაინაცვლებს გერკუბოში, შემდეგ — მიწის ქვეშ, საფლავეში. სივრცის ლოკალიზება პერსონაჟის სრული დესტრუქციის პროცესის იზომორფულია“ (გვ. 261).

„სიზმრის დრო მრავალგანზომილებიანი და უაღრესად დინამიკურია. იგი ამთლიანებს არა მარტო პერსონაჟის ცნობიერებაში კოდირებულ გამოცდილებას, არამედ მიმდინარე და წარმოსახულ პროცესებსაც. ამ თვალსაზრისით, სიზმრის დროული ველი სამ ნაწილად შეიძლება გაიყოს: დროის ერთი მონაკვეთი პერსონაჟის შინაგანი გამოცდილების ხანგრძლივობის მაჩვენებელია, მეორე — აწმყოში განვითარებული მოვლენებისა, მესამე კი — პერსონაჟის წარმოსახვისა“ (იქვე).

„სიზმრის ფინალი უაღრესად დაძაბულია. კალეიდოსკოპურად აჩქარებული დროითა და მაქსიმალურად ლოკალიზებული, შემოზღუდული სივრცით განსაზღვრული პერსონაჟი გრძნობს აღსასრულს და უკანასკნელად ცდილობს გადაარჩინას“ (გვ. 262).

„სიზმრის მიმდინარეობის რეალურად მცირე, წამიერი დრო არ შეესაბამება სიზმრად ნახულის გაცილებით მასშტაბურ დროსა და შთაბეჭდილებას“ (იქვე).

„ოთარანთ ქვრივის“ ზმანების ქრონოტოპი ასეა დახასიათებული: „საინტერესო დეტალი ფიქსირდება თხზულებაში «ოთარანთ ქვრივი» — აქ თავს იჩენს პერცეფციული ქრონოტოპის არასრული მოდელი“. დამოწმებულია ტექსტი: „ოთარანთ ქვრივიც მოჰლალა ფიქრმა... თვლემს მოერია, ღვიძილი ძილად ექცა და ცხადი — სიზმრად. სჩანს ამ ფიქრების ზარი ძილშიაც ჩაჰყვა, რომ მძინარემ რამდენიმეჯერ წამოიძახა: — ღმერთო, მიხსენ!“.

აქ, ი. რატიანის თვალსაზრით: „პერსონაჟის მდგომარეობა განისაზღვრება როგორც ძილ-ღვიძილი. პერსონაჟი თვლემს, იგი ვერ ეძლევა ღრმა ძილს — «ფიქრი ლანდად გადაექცა... ფიქრების ზარი ძილშიაც ჩაჰყვა» (ჭავჭავაძე). ფიქრისათვის სპეციფიკური დრო-სივრცე მყარად ეჯავჯება სიზმრისათვის სპეციფიკურ დრო-სივრცეს, ძილის პროცესს ექვემ-

დებარება ფიქრის პროცესს და სიზმრის დრო-სივრცეული პლასტების სტრუქტურები არ არის გარკვეული. პერცეფციული ქრონოტოპული მოდელი, შესაბამისად, არასრულია, მაგრამ იგი ზედმიწევნით ესადაგება პერსონაჟის ემოციურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. პერცეფციული ქრონოტოპის აღნიშნული მოდელი სუბიექტის ცნობიერებით პლასტების მეტამორფოზების ურთულეს პროცესს აირეკლავს“ (გვ. 263).

რა არის აქ ახალი, „საინტერესო“, საჭირო და მნიშვნელოვანი? ნუთუ ავტორი იმას გვიმეორებს (თანაც რამდენიმეჯერ!), რასაც ფიზიოლოგები გვიმტკიცებენ, რომ სიზმარში ნანახი ხანგრძლივი ამბავი სინამდვილეში ძილის დროს ერთ წაშში ხდება? რა თავისებურებაა ის, რომ სიზმარშიაც იმ სივრცეს, ადამიანებსა და საგნებს ვხედავთ, რაც ცხადში ვიცით? ან იქ ნანახი რომ ბევრჯერ სინამდვილეს არ შეესაბამება? ანდა კიდევ ის, რომ მწერალი სიზმარს იყენებს პერსონაჟის ხასიათის, ნაწარმოების თემისა და იდეის გახსნისა და დახატვისათვის? განა დრო-სივრცული მოდელით პლასტონ სამანიშვილის სიზმარი ილიას გმირთა სიზმრებისაგან განსხვავდება?

4. მწერალი, მკითხველი და ტექსტი

აღნიშნული თეორიიდან კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ი. ჭავჭავაძეს ეხება. ესაა წერილი „ილია და მისი მკითხველი“, რომელიც პირველად 2007 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოშვებულ ილია ჭავჭავაძის დაბადების 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნდა (გვ. 98-107) და სარეცენზიო წიგნში ორჯერ — მთლიანად (გვ. 307-313) და ნაწილობრივ (გვ. 267-269) არის დაბეჭდილი.

აქ ასახულია პოსტმოდერნისტული შეხედულება ე. წ. „ტექსტის“ შესახებ. ამ ქრონოტოპული გაგების მიხედვით (ვიმოწმებთ ი. რატიანს), „მხატვრული ტექსტი ხანგრძლივობის სამ ტიპს ითვალისწინებს: შექმნილი პროცესი, რომელიც მიმდინარეობს დრო-სივრცული პარამეტრების ფარგლებში და ტექსტის მეკავშირედ ავტორს მოიაზრებს, მხატვრულ კონტინუუმს (ანუ ხანგრძლივობას — ბ. დ.), რაც გულისხმობს კონკრეტული ტექსტისათვის ნიშანდობლივი ინდივიდუალური მხატვრული ქრონოტოპული მოდელის ფორმირებას და აღქმის პროცესს, რომელიც, აგრეთვე, ხორციელდება რეალური დრო-სივრცის კონტექსტში, მხოლოდ ტექსტის მეკავშირედ ამჯერად გვევლინება მკითხველი. შესაბამისად ლიტერატურული ნაწარმოები სამი ტემპორალური⁷² მოდელის

⁷² ი. რატიანის თანაავტორობით, რედაქტორობითა და წინათქმით ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „ლიტერატურის თეორიის“ სახელმძღვანელოში, რომელსაც ერთვის ვენერა კავთიამშვილისა და რუსუდან ცანაფას მიერ შედგენილი „ტერმინოლოგიური სიტყვარი“ „ტემპორალობა“ ასეა ახსნილია: „ამ ტერმინს ხშირად იყენებენ ფილოსოფიაში, როდესაც საუბრობენ დროზე. ტემპორალობის ტრადიციული მოდელი გულისხმობს წარსულის, აწმყოსა და მომავლის დროთა თანმიმდევრობას“ (გვ. 346).

ფარგლებში ფუნქციონირებს - ავტორის ეული, მხატვრული და მკითხველის ეული მოდელებისა“ (გვ. 307).

გაი, საცოდავო მწერალო, თავს რომ იკლავ და შედევრებს ქმნი, შენ, თურმე, „ტექსტის მეკავშირე“ ყოფილხარ, იმგვაროვე, როგორც შენი „მკითხველი“!

მწერლებს ერთ ხანს საქმე უფრო მძიმედაც ჰქონიათ. გაყვეთ ი. რატიანს: „რეალიზმის ლიტერატურული სკოლა ხაზგასმული ყურადღებით მოეკიდა ავტორისა და მკითხველის ურთიერთმომართების საკითხს. მართალია, მოგვიანებით, მე-20 საუკუნის ლიტერატურულმა კრიტიკამ არაერთხელ გადასინჯა «ავტორის» პრობლემა ლიტერატურაში და, რბილად რომ ვთქვათ, მინიმალურად შეაფასა მისი როლი ტექსტში (ტ. ელიოტი, რ. ბარტი, ჟ. ჟენეტი და სხვ.), მე-19 საუკუნის ლიტერატურული ტრადიცია ვერ თავსდება ამ ინოვაციური გააზრების ფარგლებში: რეალისტური ლიტერატურის წიაღში ავტორი და ავტორისეული ქრონოლოგი გვევლინება თხრობის კომპოზიციური და დრო-სივრცული ორიენტაციის ღერძად“ (გვ. 308).

მადლობა ღმერთს, „ორიენტაციის ღერძობაზე“ მეტი რაღა უნდა ავტორს, მწერალს!

ი. რატიანი გვაცნობს ქრონოლოგიისტა შეხედულებას იმ დროის შესახებ, რომელსაც ისინი ავტორის, ტექსტისა და მკითხველის ურთიერთობაზე საუბრისას აყენებენ: დრო, რაც ნაწარმოების შექმნასა და მკითხველის მხრივ მის აღქმას სჭირდება: „მხატვრული და მკითხველისეული ტემპორალური მოდელები ესადაგება ლიტერატურული ტექსტის გარეგან ფორმას და მხატვრული ტემპორალური მოდელების გააზრებისა და აღქმის სხვადასხვა პოზიციებად გვევლინება. ამ პოზიციათა სტრუქტურული ურთიერთმომართების დარეგულირების მიზნით, სპეციალურ ლიტერატურაში შემუშავებულია ფიზიკური და მხატვრული მეტრიკის ცნებები. ფიზიკური მეტრიკა, თუმცაღა, თავისთავად, აღნიშნავს თხრობისა და აღქმის ხანგრძლივობებს, მაგრამ მუდმივად განიხილავს მათ მოთხრობილის ხანგრძლივობასთან, ანუ «მხატვრულ მეტრიკასთან» მიმართებაში: ავტორი მოგვითხრობს კონკრეტულ ამბავს გარკვეული დროის განმავლობაში და, ასევე გარკვეული დროის განმავლობაში, მის მონათხრობს აღიქვამს მკითხველი, ანუ ნაწარმოებში ფიქსირებული მოვლენა წარმოადგენს როგორც ავტორის, ისე მკითხველის ინტენციის⁸ საგანს, მაგრამ განსხვავებული პერსპექტივიდან“. აქედანვე ვგებულობთ, თურმე, „აღქმის დროის ხანგრძლივობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია თხრობის დროის ხანგრძლივობასთან“ (გვ. 307)

საკითხი, თუ როგორ აღიქვამს მკითხველი, სახელდობრ და მეტადრე

⁸ იმავე „ტერმინოლოგიურ სიტყვარში“ ახსნილია: „განზრახვა, მიზანი, სწრაფვა რაიმესაკენ“ (გვ. 323).

მკვლევარი, ამ თუ იმ მხატვრულ ქმნილებას, ზოგად-თეორიულად და, კიდევ უფრო მეტად, კონკრეტულ შემთხვევებში, მართლაც საკვლევა. გარკვეული თვალსაზრისით უინტერესო არც ის არის, მწერალმა ესა თუ ის ნაწარმოები რამდენ ხანში შეთხზა. მაგრამ, შესაძლებლობას რომ თავი დაგანებოთ, საერთოდ, და, კერძოდ, ილიას მოთხრობათა შეცნობისათვის რა სარგებლობის მოტანა შეუძლია იმის გარკვევას, თუ მის (ნაწარმოების) აღქმას რა დრო სჭირდება ან დასჭირდა, ჩვენი თეორეტიკოს-მკვლევარი არაფერს გვეუბნება, ჩემთვის ზომ გაუგებარი და გაუგებარია!

ი. რატიანი ი. ჭავჭავაძეს უსადაგებს ქრონოტიპისტა შეხედულებას მწერლისა და მკითხველის დიალოგის თაობაზე. გვისხნის: ზემოთ განხილვისას „ავტორი გამოიკვეთს კონცეპტუალური ლიდერი, ტექსტის წარმმართველი (...), ხოლო მკითხველი წარმოიხსნა როგორც ავტორთან აქტიურ დიალოგში ჩაბმული მოსაუბრე, ინტელექტუალური პარტნიორი, რომელიც უსმენს ავტორს და რომლის მხარდაჭერასაც მუდმივად სჭირდება ავტორი. გამომდინარე აქედან, რეალისტური ლიტერატურა და, ცხადია, ქართული რეალისტური ლიტერატურაც, დაეფუძნა ორატორული პრაგმატიკის მოდიფიცირებულ, დიალოგურ მეტოდს და მაქსიმალურად გააქტიურა ავტორისა და მკითხველის ურთიერთობა ტექსტში“ (გვ. 309).

„მკვლევარი“ იმაზე არაფერს ამბობს, თუ როგორ „აქტიურობს“ მკითხველი, მაგრამ ილიას მკითხველთან „კავშირზე“ ნათლად და გარკვევით წერს: „ილია ღიად იწვევს დიალოგში თავის მკითხველს: უყვება, უსაბუთებს, უხსნის, განუმარტავს, ეკითხება, პასუხობს, ანუ მოუღლეა და თავდაუზოგავად ესაუბრება თავის ერს“ (გვ. 310).

ეს ზმნები რამდენადმე ილიასა და, საერთოდ, პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს უფრო შეეფერება, ვიდრე მხატვრულ თხზულებებს. მხატვრულ თხზულებებში მწერალი, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, თავის სათქმელს მოგვითხრობს, გვიყვება მხატვრულად და ამისათვის მრავალფეროვან პალიტრას, სიტყვიერ გამომსახველობით ხერხებს, იყენებს. მათში შიგადაშიგ შედის მკითხველთან „გასაუბრება“.

ი. რატიანი, როგორც რაღაც განსაკუთრებული მხატვრული მოვლენა, ილიას მოთხრობებიდან იმოწმებს იმ ტექსტებს, სადაც ილია მკითხველს მიმართავს.

„მგზავრის წერილებიდან“ მოჰყავს მწერლის სიტყვები: „ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია!“. რატიანი წერს: ეს „მიმართვა «მგზავრის წერილების» კონცეპტუალურ ლაიტმოტივს წარმოადგენს: მას ეფუძნება თხზულების შინაარსობრივი და კომპოზიციური პირამიდა. სახეზეა მკაცრად მოტივირებული რიტორიკული დიალოგი მკითხველთან...“ (გვ. 267, 311).

„ოთარანთ ქვრივი“: „აქ ავტორის ერთადერთი პირდაპირი მიმართვა მკითხველისადმი გიორგის პერსონაჟს უკავშირდება, რაც წარმოაჩენს მკითხველის მიერ გიორგის პერსონაჟის გააზრების მნიშვნელობას ავტორისათვის“ (გვ. 268, 311). დამოწმებულია წინადადება: „გიორგი კი როგორც ჩემთვის, მკითხველო, ისე მათთვის გამოცანა იყო“.

ი. რატიანი კიდევ განიხილავს „კაცია-ადამიანს?!“. წერს: „ჩვენთვის საინტერესო მესამე თხზულება «კაცია-ადამიანი?!» გამორჩეულად უზნადაა დატვირთული მკითხველისადმი მიმართვებით. როგორც ჩანს, თხზულების პრობლემემატიკის მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი ე ქ ს პ ო ნ ი რ ე ბ ი თ ფ რ თ ა შ - ე ს ბ მ უ ლ მ ა ი ლ ი ა მ ზ ე დ მ ი წ ე ვ ნ ი თ კ ა რ გ ა დ მ ო ი რ - გ ო ო რ ა ტ ო რ ი ს ტ რ ი ბ უ ნ ა. მკითხველისათვის განკუთვნილი რიტორიკული მიმართვები, შეკითხვები თუ შეძახილები კ ლ ა ს ი კ უ რ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ს ტ ი ლ შ ი ა შესრულებული და ლიტერატურული რიტორიკის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს“ (გვ. 268, 311-312).

ვიდრე „კაცია-ადამიანზე“ სიტყვას გაგაგრძელებდე, ვჩქარობ, „აღტაცება“ გამოვთქვა: ჰა, ილიას რაფარი ქებაა, რომ „მაქსიმალური ექსპონირებით⁹ ფრთაშესხმულმა ილიამ ზედმიწევნით კარგად მოიხერხა ორატორის ტრიბუნა“, თანაც „კლასიკურ სტილში შესრულებული“!

ი. რატიანი იმოწმებს მოთხრობის ტექსტებს (მოგვყავს ზოგიერთი მათგანი და ისიც შემოკლებებით): „არ გვეონოთ, მკითხველნო, რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს ვისმეს ღარიბსა და...“; სახლი „რაღად სდგას ვერე ცუდად? მკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმიტომ რომ ქართველია“; „...მაგრამ ეს უნდა იცოდე, შენ, მკითხველო, ...“; „...მე მინდა ამ მოთხრობამ ჩააფიქროს მკითხველი...“; „მე მინდა, რომ მკითხველმა იმიტომ კი არ მოიწყინოს, რომ გასართველი არ არი...“; „...ნეტავი იმით, მკითხველო...“; „მე გავათავე, და შენ, რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო“: „სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა...“ და სხვა.

საინტერესოა, ვიკითხოთ, მწერალს მკითხველისადმი მიმართვის ეს ფორმა რომ არ გამოეყენებინა, თავის სათქმელს ისე ვერ გაგვაგებინებდა?

ი. რატიანი ილიას დანარჩენ მოთხრობებზე არაფერს ამბობს. ჩანს, სხვა თხზულებებში მკითხველისადმი მწერლის პირდაპირი მიმართვა ვერ აღმოაჩინა. საინტერესო კი იყო, ქრონოტოპის თვალსაწიერიდან როგორ აიხსნება ეს! რაიმე „კონცეპტუალური“ ხომ არ იმალება მასში?!

5. საერთო სურათი

ახლა რომ მთლიანად თვალი გადავავლოთ ამ „კვლევა-ძიებას“, აქვს მას რაიმე მეცნიერული ღირებულება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლასა

⁹ აქაც აუცილებელია, იმავე „ტერმინოლოგიური სიტყვიერიდან“ წარმოვადგინოთ „ექსპონირების“ განმარტება: „საჯაროდ ჩვენება“ (გვ. 318).

და გარკვევაში? ისე რომ არ გამოგვივიდეს, — *კაცს რომ თავს სჭირდნენ, და იხვეწებოდა, მუწუკი არ მატკინოთო*, — სხვა ნაკლოვანებებზე აღარაფერს ვამბობთ მხოლოდ ზოგადად შევნიშნავთ: ი. რატიანს ის თეორიები, რომლებსაც ვერდნობა, ჯეროვნად დამუშავებული, ათვისებული და გათავისებული არა აქვს. ისინი რუსული და ინგლისური ენებიდან უმად გადმოაქვს და ამიტომაც გატენილია უცხო სიტყვებით, გამოთქმებითა და სინტაქსით.

ბევრი მათგანი, ვინც მხატვრულ ლიტერატურას სტრუქტურალიზმის თვალსაზრისით იკვლევს, აღიარებს, რომ ეს მეთოდი უკიდურესად სუბიექტურია. მაგალითად: **ზაზა შათირიშვილი**, რომელიც ი. რატიანის თაობისაა, გატაცებულია „დასავლური თეორიებით“ და ცდილობს ქართული ლიტერატურისადმი მათ მისადაგებას. იგი შენიშნავს: „თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნება ესაა «მცირე დროში» (ბახტინის ტერმინია) ჩაკეტილი უსასრულო სივრცე — ანუ «ქრონოლოგიური პროვინციალიზმი» (ეს ლუისის კონცეპტია). მაგრამ არსებობს «დიდი დრო» (იმვე ბახტინის თანახმად), სადაც «გვიან» და «მერე» ჩვენი საკუთარი ინტერპრეტაციის მახასიათებელია და არა ტექსტისა“¹⁰.

ამგვარივე კვლევის ობიექტურობაზე ერთგვარ ეჭვს თვით ი. რატიანიც გამოთქვამს: „გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: ნებისმიერ შემთხვევაში ძალზე რთულია ერთი რომელიმე დრო-სივრცული თეორიის მორგება ზოგადად ლიტერატურის მოდელზე და მისი დაკანონება. ჩვენი აზრით, დრო-სივრცული პარამეტრების ურთიერთმიმართება ლიტერატურულ ტექსტში არასოდეს არის ერთნაირი და უცვლელი. მიგვაჩნია, რომ მიზეზი ამისა მდგომარეობს თავად ლიტერატურის სპეციფიკაში“ (გვ. 183).

მიუხედავად ამ შეგნებისა, გლობალიზაციის ზეწოლისა და თავიანთი მეცნიერული უნიათობის გამო მეცნიერებაში ჩვენი ხელმოცარული „მკვლევარები“ ამ საქმეს უტეხად და დაჟინებით ეპოტინებიან. ვისაც სათანადო ნიჭი და ცოდნა აქვს, მისგან რაციონალურს იღებს და ჯეროვნადაც იყენებს. მაგალითად: სერგი სერებრიაკივი თავადაც აღნიშნავს, რომ ის მ. ბახტინისა და მის მიმდევართა თეორიას ემყარება, მაგრამ მისი წიგნაკი „დროისა და ჟანრის პრობლემისათვის «ვეფხისტყაოსანში»“ (თბ., 1990) ნათელი და გასაგები ენით დაწერილი საყურადღებო და ანგარიშგასაწვევი გამოკვლევაა. თუნდაც ის ნაწილი ავიღოთ მაგალითად, სადაც პოზიტიურად იკვლევს, თუ რას ნიშნავს პოემაში „ჟამი“, „ხანი“, „დრო“ და ა. შ.

შეიძლება ვინმემ, თუკი ამ ტლაპოში იარა და აქამდე მომყვა, საყვედურიც მითხრას, რა საჭირო იყო ტვინის ამ ჭყლეტაზე გამოდევნება, ან თვითონ რას სცდები, ან ჩვენ რას გვაწვალებო. ამ ხელმოცარულმა დილეტანტმა თავისთ-

¹⁰ ზაზა შათირიშვილი, ნარატვის აპოლოგია, თბ., 2005, გვ. 182-18.

ვის რამდენიც უნდა, იმდენი იჩირთიფირთოს, მის ბეუტურს რას ვუყურებთო.

რა თქმა უნდა, ი. რატიანის თავისთვის რომ ცოდვილობდეს, ამ აბდაუბდას ვინ ცოდვილი მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ მის ხელშია ჩვენი ეროვნული მეობის ერთ-ერთი გამომხატველი და გამსაზღვრელი დარგი, ლიტერატურათმცოდნეობა, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ლიტერატურის თეორიის მიმართულების მეთაურია, რომელიც, თვითნებაზე მიშვებული, ცეცხლითა და მახვილით იბრძვის ამ დარდუბალას დასანერგავად. თუ ამ მხრივ რამდენად საგანგაშო ვითარება სუფევს, ერთ უადრესად ნიშანდობლივ შემთხვევას მოვიყვან: **როგორ შეხვდა სამეცნიერო საზოგადოება ი. რატიანის ამ „მეცნიერებას“?**

6. ხბოს აღტაცება

ამ „ნაშრომს“ ერთვის „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“ (გვ. 325), სადაც აღნიშნულია, რომ წიგნებად გამოცემულ მის პირველ და მეორე ნაწილებზე გამოქვეყნდა ბელა წიფურიასა და გაგა ლომიძის რეცენზიები. **ბ. წიფურია**მ „ანტიუტოპიური რეალობა და ანტიუტოპიური რომანი“ 2009 წელს დაბეჭდა ფილოლოგიურ კვლევათა წელიწადეულის „წახნაგის“ პირველ ნომერში (გვ. 344-347), **გ. ლომიძემ** — 2010 წელს ამავე აღმანახის მეორე ნომერში მოათავსა „ქართული რეალისტური პროზის პოეტიკა“ (გვ. 372-377). ქალბატონი ბელა ი. რატიანის ბავშვობის მეგობარია და, როცა ბედის ირონიით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბრძანდებოდა, თავის დაქალს სამეცნიერო კარიერულ აღზევებაში ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო. ბატონი გაგა ლიტერატურის ინსტიტუტში ქალბატონი ირმას დაწინაურებული ხელქვეითია. ამიტომ ადვილი მისახვედრია, რა ყაიდისა იქნება მათი მოსაზრებები! ერთსა და მეორეშიც მხოლოდ აღმატებული საქებარი სიტყვებით მეტ-ნაკლებად გადმოცემულია მათი შინაარსები, მაგრამ კონკრეტულად არც ერთი არ გვიჩვენებს, მეცნიერულად რამდენად ღირებული და დასაბუთებულია მასში ადრული ესა თუ ის საკითხი. ვიმეორებთ, ორივეში მხოლოდ ზოგადი საუბრებია. რა თქმა უნდა, რაიმე შენიშვნა არსად ჭაჭანებს.

მაგრამ ამავე დროს ქალბატონი ირმა ა რ ა თ უ ე ხ ე ბ ა და პ ა - ს უ ხ ს ც ე მ ს, კრინტსაც არ ძრავს იმაზე, რომ მის პირველ ნაწილზე, რომელიც 2005 წელს ცალკე წიგნად გამოიცა, მძაფრი და განმჯობებული კრიტიკული წერილები გამოაქვეყნეს **რევაზ მიშველაძემ**¹¹, **მურმან თავდიშვილმა**¹² და **სოსო სიგუამ**¹³. მათში ნაჩვენებია, თუ რა საშინლად აქვს ათვისებული და ქართულად გადმოცემული ის ლიტერატურულ-თეორიული

¹¹ მერუბესე ვაიმეცნიერი, „მწერლის გაზეთი“, 2007, № 18; „ასავალ-დასავალი“, 2008-2009. № 1
¹² ქრონოტოპოსანი, „მწერლის გაზეთი“, 2008, № 2.
¹³ ირმა რატიანი — მეცნიერების ფოზეფინა, „მწერლის გაზეთი“, 2009, № 14.

მოდვრებანი, რომელთა მიხედვითაც ქართულ მწერლობას განიხილავს.

ი. რატიანის ამ გაერთიანებული წიგნის პრეზენტაცია, ანუ წარდგინება, გამართულა თბილისის „ვეროპის სახლში“ 2011 წლის 18 ნოემბერს (გაზ. „კალმასობა“, დეკემბერი, 2011, № 1, გვ. 19), სადაც გამოსულა ი. რატიანის ორიოდე ახლობელი და სხვა ხელქვეითი თანამშრომლები. როგორც დირექტორის მარჯვენა ხელი **მირანდა ტყეშელაშვილი** ყურნალ „ჩვენს მწერლობაში“ იუწყება, ყოფილა დიდი ქება-დიდება და არც ერთი — რაიმე შენიშვნა ან სურვილი (24 თებერვალი, № 4, გვ. 41-42). დავიმოწმებ აქედან ზოგიერთ მათგანს:

ლიტერატურის ინსტიტუტში არაფრის გამკეთებელ ორგზის პარლამენტარ **ირაკლი კენჭოშვილს** განუცხადებია: „ამ წიგნის წარდგენა «ვეროპულ სახლში» სიმბოლურია, რადგან ნაშრომი ქართული ლიტერატურის ვეროპულ რადიუსზე გამართვის ნიმუშია. ქართულ მეცნიერებაში ასეთი წიგნის არსებობა თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ახალი ერის (უნდა „ერა“ — ბ. დ.) დასაწყისად. ესაა საქმიანი, მოტივირებული და არგუმენტირებული მეცნიერული გამოკვლევა“.

ინგა მილორაჯა: მას, თურმე, „...ირმა რატიანის წიგნმა უამრავი იმპულსი შესძინა, ბევრი სიახლე გააცნო და ნაცნობი პრობლემები სხვა თვლით დაანახა: (...) ირმა რატიანის «ტექსტი და ქრონოტოპი» წმინდა თეორიული, მეცნიერული წიგნია. (...) როდსაც ტექსტს ვკითხულობდი, ვფიქრობდი, რ ა ს ა ს წ ა უ ლ ი ა ა დ ა მ ი ა ნ ა დ ყ ო ფ ნ ა, რომ მას შეუძლია მოახერხოს, ასე მწეობრად დააღავოს და გადმოსცეს ამგვარი აზრები...“. არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ, მართლაც ს ა ს წ ა უ ლ ი ა ე ს მ ო ა ხ ე რ ხ ო, ოღონდ პირუკუ გაგებით!

კონსტანტინე ბრეგაძე: „დღეს, როდესაც ასე აქტუალურია ქართული ლიტერატურის ინტეგრაცია ვეროპული კვლევების სფეროში, მსგავს ნაშრომთა დაბეჭდვა სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია. შეიძლება ითქვას, ირმას წიგნი ერთ-ერთი პირველიცაა ამ მიმართულებით. ეს არ არის წმინდა კომპარატივისტული კვლევა, არამედ ინტეგრალური ლიტერატურათმცოდნეობის ნიმუში(ა), სადაც ჩართულია სხვადასხვა დისციპლინები, ინტერდისციპლინური კვლევები. ნაშრომში გამოყენებულია გ ო ნ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ყ ვ ე ლ ა მიღწევა: ანთროპოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურათმცოდნეობა. ირმა რატიანმა ლიტერატურათმცოდნეობაში დაამკვიდრა ლიბინალობის ანთროპოლოგიური თეორია. მეტიც, ეს თეორია მან ძალიან კარგად მოარგო სულ სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა ესთეტიკური მიმართულების მწერლობასა და ტექსტებს. წიგნი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ ამ ნაშრომში პ ი რ ვ ე ლ ა დ მ ო ხ დ ა ქ რ ო ნ ო - ტ ო პ ი ს ჭ რ ი ლ შ ი ი ლ ი ა ს პ რ ო ზ ი ს ფ უ ნ დ ა მ ე ნ ტ უ რ ი მ ე ს წ ა ვ ლ ა. აქამდე ის მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის ჭრილში


განიხილებოდა. ახალი თეორიებით მიდგომა ილიას ტექსტებისადმი მნიშვნელოვანი მოვლენაა...“.

თინათინ ბოლქვაძის სიტყვა ასეა გადმოცემული: „...დასაწყისში «მოიბოდიშა», რომ ლიტერატურათმცოდნეების წრეში მას დაჟინებით ლინგვისტად მოიხსენიებენ (...). ქრონოტოპის კვლევა ილიას «მეზავრის წერილებში» სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში. აღნიშნა ისიც: რომ ვერ გაიზიარებს ვარაუდს, თითქოს ილია ამ ტექსტის წერისას არ ფიქრობდა ქრონოტოპზე. შეუძლებელია არ ეფიქრა და ისე შეექმნა ამ ტიპის თხზულება: ოთხი წელიწადი არის ქრონოსი, თურვი ტოპოსი, ლელთ ლუნია კი ორივე ერთად...“.

ლევან ბრეგვაძე: „ლიტერატურათმცოდნეები თეორიის გარეშე ახლომხედველები ვართ, რაღაცას კი ვამჩნევთ, მაგრამ როგორც კი თეორიის სათვალეს მოვიმარჯვებთ, მაშინვე ყველაფერი გამოიკვეთება, მკაფიო კონტურებს შეიძენს. ახალი თეორიები დროსთან ერთად მოდის, ცხოვრება გვასწავლის, ხოლო მეცნიერული საჭიროება მოითხოვს. კომპარატივისტიკა თავის დროზე შეცვალა სტრუქტურალიზმმა, შემდეგ — პოსტსტრუქტურალიზმმა. და როგორც ერთ დროს უმწივო ვიყავით სტრუქტურალიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის ტერმინების წინაშე, ასევე ვართ ახლაც — ლამინალობის წინაშე. შევეჩვევით ერთ თეორიას, გაეითავისებთ და მერე მოდის ახალი. თავზარი გვეცემა, განსაკუთრებით უფროსი ასაკის მეცნიერებს, რამდენჯერ მოგვიწია გადაიარაღება. აქამდე მე და ჩემი თაობა ვსწავლობდით უფროსი კოლეგებისაგან, ახლა კი ვსწავლობთ უმცროსი თაობისაგან“.

ქალბატონი მირანდა ასკვნის: „ყველა გამომსვლელის რეზიუმე იყო: «წიგნი წარმოადგენს ახალ სიტყვას ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში»“.

ერთი სიტყვით, ისეთი შეფასებებია, რომ იტყვიან: *ონ გენი, ნო ნი ბოლშე!* მკითხველს ყოველივე ეს არ გაუკვირდება, თუ გაითვალისწინებს, რომ ქალბატონ ირმა რატიანს ირგვლივ მყოფნი, თავისი ხელქვეითი თანამშრომლები, იმდენად დაშინებული და დაბრიყვებული ჰყავს (ამაზე იხ. ჩემი „რუსთველოლოგიური გამოკვლევების“ პირველი წიგნი, გვ. 372-388), იქ დამსწრეთაგან ვერვინ გაბედავდა, ეთქვა: *მეფე შიშველია!* კაცმა რომ თქვას, ძნელზე ძნელია, მის ულუფაზე დასმულთ გმირობა მოსთხოვო. კუჭზე მარტო სიყვარული როდი გადის! აქედანაც კარგად ჩანს: კუჭზე გადის აზროვნება და სინდის-ნამუსიც!



ინიზა იამანიძე

განათლება და XXI საუკუნე

საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ ქართველ ხალხს იმედი ჩაუსახა, რომ ჩვენი ქვეყანა რეალურად დაადგება დემოკრატიული მშენებლობის და განვითარების გზას, რაშიც განათლება ერთ-ერთი, თუ ერთადერთი არა, და უპირველესი პრიორიტეტია.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამიერიდან პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაითვალისწინებს საზოგადოების აზრს განათლების კარდინალურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

განათლების სისტემის მოდერნიზაცია, ფაქტობრივად, ყოველდღიურად საზრუნავი საქმეა, რადგან XXI საუკუნე იმდენად სწრაფად ცვალებადია, რომ დღევანდელი სიახლე ხვალ უკვე მოძველებულია. ამ სიტუაციაზე მორგება, რაც დროითაა ნაკარნახევი, ადვილი არ არის. რთულად შეიძლება განისაზღვროს, რა მოთხოვნებს უყენებს ეს საუკუნე განათლებას საერთოდ მსოფლიოში და კერძოდ, ცალკეულ ქვეყანაში, რაც სიტუაციას ართულებს და პრობლემათა გადაწყვეტის სისტემის შექმნას მოითხოვს.

დამეთანხმებით, ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა დეცენტრალიზაციის გზით განათლების სისტემის ავტორიტარული მონოპოლიზმისგან სახელმწიფო სექტორის განთავისუფლებაა. გამომდინარე აქედან, აუცილებელია უარის თქმა უნიციფირებულ ერთფეროვან სტრუქტურებზე სკოლების სახით, რათა ჯერ შიგა კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნას, ხოლო სამომავლოდ, სამოქალაქო საზოგადოების შექმნის მიზნით, მსოფლიო განათლების სისტემაში ორიენტაცია მოხერხდეს.

მსოფლიოში კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო დონის ახალგაზრდის აღზრდა, ისე და ისე მრავალწახნაგიანი კონცეფციის არსებობისა და მისი განხორციელების შედეგად ხდება, რომელიც ეროვნულ მსოფლმხედველობას უნდა ეყრდნობოდეს.

სულ ახლო წარსულში, 2000-2003 წწ. ჩემი საავტორო მოდელით მუშაობდა 51-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, რომლის ძირითადი ამოცანა იყო სწავლების ხარისხის რეალური ამაღლება. რა თქმა უნდა, ამ

წერილში შეუძლებელია მოცემული მოდელის შინაარსსა და სტრუქტურაზე საუბარი, მაგრამ ერთი ცხადია: ჩვენი ყველა კურსდამთავრებული ირიცხებოდა უმაღლეს სასწავლებელში და ჩვენი მასწავლებლის ხელფასი ყველაზე მაღალი იყო მთელ ქვეყანაში.

და ეს ყველაფერი ზორციელდებოდა არა საბიუჯეტო თანხებით, არამედ პირიქით, დამატებითი განათლების ფონდის დაფინანსებით, რომლის შექმნა თვით საავტორო მოდელით იყო გათვალისწინებული. დამატებითი განათლების ინტეგრაცია ძირითად სწავლებასთან ერთ-ერთი ბერკეტია ხარისხიანი და მაღალი დონის განათლების მიცემისა, რა თქმა უნდა, ინდივიდის ინტერესების, მიღრეკილებებისა და პოტენციის შესაბამისად. ამის საშუალებას იძლეოდა მაშინდელი განათლების კანონი, რომელშიც ერთი მუხლი ეთმობოდა არატიპური სკოლის არსებობას სახელმწიფო სექტორში, რაც ხელს უწყობდა პედაგოგიური კოლექტივების შემოქმედებითობას, სწავლა/სწავლების სწორი ორიენტირების მიგნებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას. ამასთან, ამ მოდელის განხორციელება სახელმწიფო დაფინანსებას არ მოითხოვდა.

არსებობს ფაქტობრივი მასალები იმის თაობაზე, რომ, სწავლების ხარისხის მიხედვით, დღეს ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზეა (შემოწმებას აწარმოებდნენ მსოფლიო ასოციაციები PISA, PRIS, Timssi და ა. შ.).

არადა, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოში საზოგადოების მოლოდინი განათლების განვითარებაზე სულ სხვაგვარი იყო.

განათლების ხარისხის დაცემის მიზეზი არის არა განათლების სისტემა, პედაგოგიური კოლექტივები და ხელმძღვანელი რგოლები, არამედ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, რომლითაც სრულიად უგულველყოფილია არატიპური სკოლები. დამატებითი განათლების ქსელების შექმნა და დამატებითი განათლების მიცემა იკრძალება, და თანაც არა ერთი მუხლით. გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, კანონში შესატანია ცვლილებები. არის საკითხები, რომლებიც დახვეწასა და სრულყოფას მოითხოვს, რათა უმოკლეს ვადაში კანონით შეიქმნას ის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ ხარისხიან განათლებას ყველა მოსწავლისათვის, მათი ადაპტაციის მიზნით სწრაფად ცვალებად სამყაროში.

სამყაროსთან კავშირის ერთ-ერთი საიმედო დოკუმენტად ფიზიკოს გია დვალის მიერ ახლადმოწოდებული განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კონცეფცია მიმაჩნია. იგი შეიმუშავა კომისიამ, რომელიც დამოუკიდებელი სტრუქტურაა სახელმწიფოსაგან, მაგრამ შეასრულებს სახელმწიფო დაკვეთას განათლებაზე. „შეუძლებელია, — წერს გია დვალი, — ერთი მხრივ, სისტემა მოერგოს იმ სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, რაც საქართველოში იყო და მეორე მხრივ, დემოკრატიული სტანდარტების

შესაბამისი განათლების სისტემა გქონდეს». რთულად განსახორციელებელი იქნება გარდამავალი პერიოდი, მაგრამ სხვაგვარად ვერა და ვერ მოიაზრება ქვეყნის მომავალი მსოფლიოს სტანდარტების დონეზე, რაც ხელს შეუშლის ქვეყნის განვითარებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ურთულესი პრობლემაა შექმნა ცოდნის ეკონომიკისა, მას ქმნიან განათლებული ადამიანები, რომლებიც საწყის განათლებას სკოლებში იღებენ. დასუსტება ნიშნავს ინტელექტუალური ძალების დასუსტებას, რაც მოყვარეს არ უნდა ახარებდეს, რადგან ამ დროს მოქალაქეების ადვილად გაბრიყვება, პროპაგანდით ტვინის გამორეცხვა, თავისუფალი აზროვნების დაკნინება სწორედ იმის საწინააღმდეგო შედეგს მოიტანს, რასაც უნდა ემსახურებოდეს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმა, ანუ არა განათლების პრიორიტეტს საქართველოში, არამედ მის დაცემა-განადგურებას. ამიტომ გია დვალის შემოთავაზებული პროექტები უკვე ინფორმაციულად არის სასარგებლო, ისინი უნდა გაითვალისწინონ და მსჯელობის ობიექტად აქციონ სამომავლოდ.

იციან კი დღეს განათლების სისტემის ხელმძღვანელმა პირებმა, რას უნდა ემსახურებოდეს განათლება, კონკრეტულად — სკოლა? — ამ კითხვას უცვლელად სვამდა კაცობრიობა დასაბამიდან დღემდე, მაგრამ დროსთან მიმართებაში პასუხები სრულიად მრავალფეროვანი იყო.

XXI საუკუნის პრობლემა ის არის, რომ მან საფუძველი გამოაცალა ტრადიციულ სკოლას; უდავოა ისიც, რომ ცვლილებების გათვალისწინებასთან ერთად პროცესი უნდა დაეფუძნოს ქართულ ეროვნულ ფასეულობებს, მაგრამ იგი ვერ ჩარჩება მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში — მან უნდა გაითვალისწინოს მსოფლიო პროცესები, გლობალიზაცია, დემოკრატიზაცია, ერთაშორის ურთიერთობები და ისე გაიაროს ბეწვის ხილზე, რომ ერის მომავალს არ უბიძგოს მამულის, ენისა და სარწმუნოების დათმობისაკენ და უკიდურესი ლიბერალიზმის იდეოლოგიას არ დაუქვემდებაროს (ერთი მსოფლიო, ერთი ენა, ერთი ხალხი). არადა შუალედური ზღვარი არც ისე იოლი დასადგენია. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ერთმანეთისაგან რთული გასამიჯნია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო დინამიკა. ამის გამოცდილება არათუ ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს განათლების სისტემებსაც არ გააჩნია, არადა დრო არ ითმენს — პროცესები თანამედროვე და აქტიური სკოლის ჩამოყალიბებისკენ გვიბიძგებს, იმ პრობლემატიკითა და ამოცანების გადაწყვეტის გზების ძიებით, რაც ახალი მაღალშედეგიანი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას გულისხმობს და სწორედ ამიტომაც არის ძალიან საიმედო იმ კომისიის მუშაობა განათლების სისტემის განახლების გზაზე, რომელსაც ქართველი ფიზიკოსი გია დვალი ხელმძღვანელობს.

არადა ჯერჯერობით, თუ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გაჟანალობებთ, დავინახავთ, რომ ეს გართულებული პოლიტიკური კონფლიქტის ეპოქაა.

ამას ვერც დღევანდელი ხელისუფლება უარყოფს, მაგრამ განსხვავებით ძველისაგან დღევანდელნი არ უგულვებელყოფენ იმას, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვასა და, კონკრეტულად, განათლების სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხის გადაწყვეტაში.

ზემოაღნიშნულ საკითხებში ჩართვისას აუცილებელია, სწორად განვსაზღვროთ განათლების რაობა, რომელშიც ბევრად მეტი იგულისხმება, ვიდრე ცოდნის ფლობაა. ცოდნა საფუძველია, მაგრამ ცოდნაზე დაფუძნებული შემოქმედებითობა, ახალი უნარებისა და ჩვევების გამომუშავება, ზედნაშენია ცოდნისა და ნაყოფია ანალიტიკური აზროვნებისა, რომელიც ინფორმაციას სწრაფად გადამუშავების მიზნით მოიძიებს. ვისაც სჯერა, რომ მხოლოდ წარჩინებული სწავლა, სკოლის ატესტატი ან დიპლომი არის საიმედო მომავლის გარანტია, მწარედ ცდება. მართალია, რომ ჩვენ შემოქმედებითობის ბერკეტად სასწავლო დისციპლინების გაღრმავებული სწავლა მიგვაჩნია, მაგრამ არა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მივაწოდოთ ინფორმაცია ცოდნის შესახებ, რაც ბევრად ადვილია, ვიდრე ვასწავლოთ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. ამიტომ აუცილებელია პროცესებში ჩავრთოთ მოსწავლეები და მათთან ერთად შევქმნათ დროის შესაბამისი განათლების სისტემა, რომელიც ინდივიდუალურ შემოქმედებითობას დაეფუძნება და მოსწავლეთა ინტერესებით იქნება ნაკარნახევი.

მოსწავლემ საკუთარი განათლების პროფილი თვით უნდა განსაზღვროს.

გვაქვს ჩვენ ასეთი სკოლა?! ნამდვილად არა, არადა აუცილებელია ადრეული ასაკიდან დაწყება ფინანსებისა და ბიზნესის სწავლებისა. ფაქტია, რომ აუცილებლობის გამო, ასეთი სკოლები დღევანდელ მსოფლიოში არსებობს. სწავლება და აღზრდა მოითხოვს ფიქრს, შემოქმედებითობას და კეთილშობილურ დამოკიდებულებას, ახალგაზრდების მხარდაჭერას პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში. ისევ ისმება კითხვა, ვახერხებთ ჩვენ დღეს ამას? სამწუხაროდ, ვერა! ამიტომ სკოლას, რა თქმა უნდა, სჭირდება დემოკრატია თავისუფალი მოქალაქის აღზრდის მიზნით, ზნეობისა და ეთიკის ნორმების დაცვის ფარგლებში და არა ავტორიტარიზმი, მაგრამ ყველაზე მეტად მას მართვისას არისტოკრატიზმი სჭირდება.

გამომდინარე აქედან, სკოლის მართვაში იმ პირების გამოყენება, რომელთაც დებულება უფლებას აძლევთ, მათი ქმედება გასცდეს ყოველგვარ ავტორიტარიზმს, იყოს ძალადობის და ზეწოლის, შიშისა და სტრესის შემქმნელი სასწავლო პროცესების მართვისას, არის დაგმობა პედაგოგიური მეთოდებისა და, საერთოდ, პედაგოგიური მეცნიერებებისა, რომელთა ისტორია კაცობრიობის ისტორიის დასასრულამდე იარსებებს, როგორც ქვეყნის მომავლის აღზრდის მსახური. მართალია, სკოლაში არსებობს აგრესიული მუხტი, რომელიც საშიშია, მაგრამ უფრო საშიშია მისი არასწორად მართვა.

მსოფლიო დონის პედაგოგ-მეცნიერთა აზრით, „სახელმწიფო თავის ხალხს უცხადებს ომს, როცა არ ზრუნავს განათლებაზე«. არ შეიძლება, შევეგუოთ უხარისხობას განათლებაში, მაგრამ არც იმ ხარისხით უნდა დავეკმაყოფილდეთ, რომელიც ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს, უხარისხობა განათლებაში იწვევს მენტალობის ჩაზნობას, ჩაკვლას, რაც მოუთმენელია და რაც ვერა და ვერ იქნება დამშვიდების საფუძველი. ვერანაირად ვერ შევეგუებით ერთ კოსმოპოლიტურ მსოფლიოს, ერთი ენით, ერთი ხალხით — ნაცვლად ტრადიციული მამულის, ენისა და სარწმუნოებისა. პირიქით, ამ სამებაზე აღზრდილმა საზოგადოებამ, მოსულმა გუშინდელი დღიდან, გადაარჩინა ქვეყანა 2012 წლის 1 ოქტომბერს, საქმე ისევ გასაგრძელებელია. ბრძოლამ შედეგად უნდა მოიტანოს განათლების იმგვარი სისტემა, რომელსაც ზნეობრივი ტრადიციების მცოდნე, პატრიოტი მომავალი თაობების აღზრდა შეეძლება და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდება განათლებას ეროვნული და სულიერი ფუნქციები.

კითხვა „კაცია ადამიანი?!« დღეს თითქმის უპასუხოდ რჩება. ვინ არ იცის, რომ გააადამიანურება რთული პროცესია, მხოლოდ უფლის მიერ ბოძებული ნიჭითა და შეწევნით შეიძლება მიაღწიო მიზანს აღზრდაში. არც ისაა ახალი, რომ საუკუნეების განმავლობაში აღზრდის კონცეფციები ყვრდნობოდა რელიგიურ იდეოლოგიებს, თანამედროვე ქაოსში მხოლოდ ეკლესიურ ცხოვრებას შეუძლია საზოგადოების სრულყოფა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სკოლებში არ არსებობს აღზრდის არანაირი სისტემა. მოსწავლეები უსისტემო სივრცეში არიან და ორგანიზაციული ერთიანობის პრინციპებიდან შორს დგანან. გამაერთიანებელია რწმენა, ამიტომ ადამიანმა ადრეული ასაკიდან უნდა იცოდეს, რომ ღმრთის რწმენა უდიდესი ძალაა, რომელიც საწინდარია იმ გამარჯვებისა, რომელიც ადამიანმა სიკეთისა და სიმათლისათვის ბრძოლაში უნდა მოიპოვოს, ასევე იგი გამორიცხავს სახელმწიფოს აგებას სიცრუეზე. უღირსობა ვერ დაიჭერს ადგილს ყოფაში. გვექნება მხოლოდ და მხოლოდ სულიერი და ზნეობრივი პოლიტიკა, რომელსაც, ფაქტობრივად, საფუძველი სკოლაშივე ჩაეყრება, რომლის დედაბოძი მასწავლებელია. სწორედ მას უნდა შევუქმნათ პირობები იმისა, რომ რუდუნებით, რწმენით შეასწავლოს აღსაზრდელს ქვეყნისა და ერის სიყვარული, მშვენიერებისა და სიკეთის, სიბრძნისა და ზნეობის მაგალითებზე დაყრდნობით.

თანამედროვე სკოლა იქითკენაა მიმართული, რომ ე. წ. მსოფლიო მოქალაქე აღზარდოს. პიროვნება, რომელიც მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე იზრდება, არ იცნობს საკუთარ ისტორიულ, რელიგიურ ტრადიციებს და საკუთარ ფესვებს სწყდება, ეროვნული ქართული სახელმწიფოს მშენებლად ვერ გამოდგება.


თუ, გარკვეული მოსაზრებებით, უცხო პირების ჩართვას სკოლის

მართვაში შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება, სისტემად მისი ქცევა მხოლოდ დააზარალებს სკოლას. უფრო კონკრეტულად: პოლიციელი — ეს სტრესია ბავშვის ფსიქიკაზე, სტრესულ ზეგავლენას ახდენ: უჩნდება რა მუდმივი მეთვალყურის შეგონება, მასში შიში ისადგურებს, რის ფონზეც იგი თავიდან იხსნის თვითკონტროლს, რაც ფაქტობრივად დამლუპველია მისი, როგორც მოზარდის, ფორმირებისათვის; ჩვენს დროში მასწავლებლის ისედაც დაცემულ ავტორიტეტს დაბლა სცემს, არარაობამდე დაჰყავს იგი. ზედმეტი ხდება მისი, როგორც აღმზრდელის ფუნქცია, ფუნქცია მასწავლებლისა, რომელიც დედაბოძია სკოლის, ის იგებს ყველა ბრძოლას პიროვნების აღზრდის ურთულეს გზაზე, ასე რომ, ჩვენ სულ მალე შეიძლება ეს ომი წაგაგოთ, რადგან დაბალი დონე განათლებაში ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაა, რასაც წინდაუხედაობას და შეცდომას ვერ დაფარქმევთ, რადგან იგი პირდაპირპროპორციულად ებრძვის ქვეყნის მომავალს, მის ბედს და ადგილს მსოფლიოში. სანამ ჩვენ ჯერ კიდევ ვარსებობთ, აუცილებელია ზრუნვა ქართული გენის გადასარჩენად, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქართულ სკოლას შეუძლია, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ — სახელმწიფოს დაკვეთით, ხელისშეწყობით, რათა აღვზარდოთ პატრიოტი, ზნეობისა და ტრადიციების მცოდნე მამულიშვილი.

კარგია, მოვისმინოთ და შევისმინოთ ჩვენი პატრიარქის სიტყვები, რომელიც სულ რამდენიმე წინადადებით წყვეტს იმ გლობალურ პრობლემებს, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ და რაც აუცილებლად მოსაგვარებელია, რადგან სხვანაირად დრო არ ითმენს, გაჩერებული ქვეყანა ვერაფერს დაქნება.

„საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს და, ბუნებრივია, განიცდის მათ გავლენას, მაგრამ ჩვენი ღირსება სწორედ ის იქნება, თუ ჭეშმარიტ რწმენას და ეროვნულ ღირებულებებს შევინარჩუნებთ, სხვათა საუკეთესო გამოცდილებას გამოვიყენებთ და ამ ყოველივეს დროის მოთხოვნილებებს შევუსაბამებთ!“

სწორედ, იმარჯვებს ის, ვინც კარგად დაუფლებია დროს — ეს ღიდი სიბრძნეა და ამასთან ღიდი გამარჯვების საწინდარიც!



ანზორ თოთაძე

შავი ლაქა საქართველოს ისტორიაში

„ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ მთლიანად იცვლება „ნაციონალური მოძრაობის“ სისტემის არსებობის საფუძველი. მყარდება სამართალი, იბადება ახალი სასამართლო და ამით ხდება მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული ნიჰილიზმის დაძლევა. ახალ პოლიტიკურ ძალას იმ სისტემასთან აქვს საქმე, რომელსაც თითქმის მთლიანად უარი უთხრა ამომრჩეველმა.

ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ერთ-ერთი ახალგაზრდის მოსაზრება: „უკეთესის მოლოდინში ვარ... იმედი მაქვს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვლება. ადამიანი საზოგადოებაში თავის სიმაღლეზე იდგება, ხალხი იქნება ნებისმიერი გადაწყვეტილების ამოსავალი წერტილი. მედია გათავისუფლდება მარწუხებისგან, შეიქმნება სამუშაო ადგილები, დაიკლებს სიღარიბის დონე, შეიქმნება საშუალო ფენა, რომელიც არ არსებობს. ამჟამად არიან მარტო მდიდრები და ღარიბები. უკვე შეიცვალა რაღაც! მე საკუთარ აზრს ღიად ვაფიქსირებ! ხელს ვაწერ, არ მეშინია! ეს უკვე შედეგია, რომელიც, ვიმედოვნებ, დროებითი არაა!“

ასეთი მოსაზრება გამოთქვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ჟურნალისტიკის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა გ. ნაცვალაძემ სოციოლოგიური გამოკვლევის დროს. მის მიერ შევსებული ანკეტიდან ეს ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს, თუ ნაციონალური მოძრაობის პარპაშის დროს რაოდენ დაშინებული იყო მოსახლეობა, სტუდენტი ახალგაზრდობა. ამ გარეწრებმა საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ზმამალა, საჯაროდ „ნაცების“ კრიტიკას ყველა ერიდებოდა, რადგან მთელ ქვეყანაში შექმნეს ჩაშვებებისა და მოსმენის ინსტიტუტები, ხოლო შემდეგ, ვინც მათ აზრს არ იზიარებდა, იწყებდნენ მათზე და მათ ნათესაუბზე ნადირობას — ითხოვდნენ სამსახურიდან, ართმევდნენ სხვადასხვა

მაქინაციებით ქონებას, იჭერდნენ, ულახავდნენ ადამიანურ ღირსებას. საშინელი სისასტიკით არბევდნენ მიტინგებს. ასე იყო 2007 წლის 7 ნოემბერს, ასე იყო 2011 წლის 26 მაისს, როდესაც დაუნდობლად სცემდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს. ხელისუფლების მხრიდან ამ ღარბეებს ადამიანთა დაღუპვა და მასობრივი დასახინჩრებები მოჰყვა. და ეს კეთდებოდა იმისთვის, რომ მთელ ქვეყანაში შიშის სინდრომი დაეთესათ, ადამიანები დაემუწვებინათ და დაემონებინათ. სამწუხაროდ, მათ თუმცა დროებით, მაგრამ თითქმის მიაღწიეს საწადელს, განსაკუთრებით რეგიონებში. მათ მიერ ადამიანების წამების მეთოდებთან შედარებით ფაშისტების მეთოდებიც კი გაუფერულდა, რომლებიც თავიანთ მოქალაქეებს მაინც, ასე თუ ისე, ინდობდნენ.

„ნაციონალებს“ ეჯავრებოდათ განათლებული, მცოდნე ადამიანები. მეტიც შეიძლება ითქვას: ადამიანი მათთვის არაფერს წარმოადგენდა და როგორც უბრალო ნივთს, ისე ეპყრობოდნენ. თავად აბსოლუტურად გაუნათლებლები, რომლებმაც „თვლაც არ იცოდნენ ოცამდე კარგად“, ცოდნის ტაძრიდან ერეკბოდნენ ცნობილ მეცნიერებს, განათლებულ ადამიანებს, მათ „ხულიგნებად“ მოიხსენიებდნენ. წარსულის გადმონაშთებსა და ჩარეცხილებს უწოდებდნენ ერის ყველაზე ღირსეულ ნაწილს. ასე იქცეოდა მაღალ ტრიბუნას ხელჩაჭიდებული პრეზიდენტი და მისი ბანდა. უფრო მეტიც, პრეზიდენტი, შინ თუ გარეთ, უადრესად სერიოზულ თავფრილობებზეც კი ცრუობდა. არც ერთი ვიზიტის დროს, არც ერთ საერთაშორისო შეხვედრაზე მას სიმართლე არ უთქვამს. იგი ყოველთვის გამრუდებულ სარკეში, ფასადურ სიბრტყეში წარმოადგენდა ქვეყანაში დემოკრატიის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, დასავლეთის ღირებულებებისადმი პატივისცემის პრობლემებს. პრეზიდენტს დასავლეთიც გამიზნულად შეცდომაში შეჰყავდა. სინამდვილეში ქვეყანა განვითარების ყველა პარამეტრის მიხედვით ჭაობში ეშვებოდა. დასავლეთში კიდევ ასეთი ცრუპენტელობა წამოუდგენლად მიაჩნდათ და მათაც ზოგი რამ სჯეროდათ.

აუცილებელია ერთიც ითქვას: ნაციონალები გაცილებით მეტ სიბინძურეს ჩაიდნდნენ, გაცილებით მეტ სისხლის მდინარეებს დააყენებდნენ, რომ არა პასუხისმგებლობა დასავლეთის ქვეყნებისადმი, რომლებმაც არანახულად შეუწყვეს ხელი „ვარდების რევოლუციას“, ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლას, რომლებიც შხამიან ყვავილებად გადაიქცნენ, თუმცა, სამწუხაროდ, დასავლეთის ქვეყნები თვალვინებამდე დასაწყობი და ყურებდაგმანული, თუ შეიძლება ითქვას, შესცქეროდნენ მათ ავკაცობას, ქართული ეროვნული სულიერების განადგურებას და ეს, ალბათ, მათ არც აინტერესებდათ. სტატიის მოცულობა არ იძლევა საშუალებას უფრო ვრცლად გავეშალოთ ჩვენი მსჯელობა, მაგრამ აშშ-ის ჩვენთან მეგობრობაში საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობაც ასრულებს მთავარ როლს

და კასპის ზღვის ფსკერის სიმდიდრის ჩვენს ტერიტორიაზე გატარების შესაძლებლობა. აბრეშუმის გზაც ახლო და მით უმეტეს შორეულ პერსპექტივაში დასავლეთთან ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ხდება. ამიტომ დასავლეთი, სახელდობრ, აშშ, დიდი ძალისხმევის დახარჯვის საფასურად ქვეყნის ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობისა და მისთვის სასურველი პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ ახალი თავსატეხის გაჩენის მაგივრად ამჯობინებდა პოტიომკინის სოფლების მსგავსი ფასადური ცვლილებებითაც დაკმაყოფილებულიყო, რაც შესანიშნავად ეხერხებოდა საქართველოს პრეზიდენტს.

თუ პირველ სათქმელს დაუბრუნდებით, „ნაციონალებმა“ შიშის ზარი დათესეს ქვეყანაში. მართალია, უზნეობა ზეიმობდა, მაგრამ საზოგადოების ნაწილი მაინც ხმამაღლა გამოთქვამდა პროტესტს. „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოება საბოლოოდ გამოაღვიძა. მძიმე განსაცდელის ჟამს ქვეყანას მოეწვინა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც დადგა ხალხის გვერდით და აბსოლუტურად უშეცდომოდ მოქმედებით „მზიანი ღამის“ მოწმენი გაეხდით. ნაციონალების სიცრუეზე, მოტყუებაზე, ძალადობაზე, თვალთმაქცობაზე, ყელყელაობაზე აშენებული ხუხულა „ფაჩიკოს გარმონივით“ დაიშალა და ხალხმა არჩევნების მეორე დღესვე შევებით ამოისუნთქა. იმდენად მძიმე და ტრაგიკული ვითარება იყო, რომ არჩევნებიდან 10 დღის შემდეგ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის ანკეტაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუდენტმა ჩაწერა: „უკვე შეიცვალა რაღაც! მე საკუთარ აზრს ღიად ვაფიქსირებ! ხელს ვაწერ, არ მეშინია! ეს უკვე შედეგია“. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც აშკარად ამხელს „ნაციონალების“ — ნაციისტების მზაკვრობით ღირსებაყრილი და დამცირებული ადამიანების გულისხნადებს. ცნობილი მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე არჩევნების წინა დღეებში აღნიშნავდა: „რად მინდა გზები ან შენობები? დაგრეხილ გზებზე მირჩვენია სიარული, ოღონდ ადამიანად ვიგრძნო თავი. ჩემთვის აღარაფერია ახლა ღირებული, არც გზა, არც შუქი და არც შენობები! ვიცი, „ნაციონალებში“ ჩემნაირად მოაზროვნეებზე ამბობენ, ერთი არჩევნები მოგვაგებინა და ნახავთ, თქვენ რას გიზამათო, მაგრამ მე არ მეშინია! ასეთი ცხოვრება და ასეთი სიცოცხლე ასეთ ქვეყანაში აღარ მინდა!“

საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი აქტის — არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შესახებ ახალგაზრდობის განწყობილებების შესწავლის მიზნით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული კვლევის ცენტრის მიერ სტუდენტთა შორის ჩატარდა ანკეტური გამოკითხვა. სტუდენტთა ძირითადი მასივი გამოიკითხა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, აგრეთვე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ვერო-კავკასიურ უნივერსიტეტში — სულ 302 სტუდენტი. ანკეტაზე ხელმოწერა სავალდებულო არ

იყო, მიუხედავად ამის სტუდენტთა დიდმა უმრავლესობამ თავისი მოსაზრება ხელის მოწერით დაადასტურა.

საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას დადებითად აფასებს 78,8 პროცენტი, უარყოფითად — მხოლოდ 5,3 პროცენტი, ხოლო პასუხის გაცემა გაუჭირდა 15,9 პროცენტს (ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ მხოლოდ პასუხების პირველი და მეორე ვარიანტების მონაცემებს პროცენტებით). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას სტუდენტები ერთხმად დადებითად აფასებენ. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი თეონა გუგუშვიტი ამ ფაქტს ჩვენი ხალხის დიდ მიღწევად თვლის და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების თავის მოსაზრებებსაც აფიქსირებს: „პირველ რიგში ვულოცავთ მთელ საქართველოს არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის პრეცედენტს. ეს დიდი მიღწევაა მთელი საქართველოსთვის. აუცილებელი იყო ქვეყანაში შეცვლილიყო ხელისუფლება. ვიმედოვნებ, საქართველოში გაიზრდება დემოკრატიული ინსტიტუტები და გააქტიურდება სამოქალაქო საზოგადოება. მხარს ვუჭერ თავისუფალ სიტყვას, პრესისა და კომუნიკაციის სამუქალებში ჩაურთველობას. ჩემი აზრით, აუცილებელია კონსტიტუციის გადახედვა, რომელიც „ჯიბის წიგნაკად“ არის ქცეული. ასევე საჭიროა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნა“. ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის სტუდენტის ირაკლი ბატკაშვილის აზრით, „თუ არ შეიცვლებოდა ხელისუფლება, საქართველო სახელმწიფოებრიობას მაქსიმუმ 20 წელიწადში შეწყვეტდა. საქართველოს მოქალაქეები სხვადასხვა ქვეყანაში დასაქმდებოდა და მისი მოსახლეობა შემცირდებოდა. პირადად მე, საქართველოს მოქალაქე, სტუდენტი, არსებული რეჟიმის შენარჩუნების შემთხვევაში გავიდოდი ქვეყნიდან და აღარ დავბრუნდებოდი რეჟიმის შეცვლამდე“.

გამოკითხულ სტუდენტთა დიდ უმრავლესობას იმედი აქვს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება. კერძოდ, ასე ფიქრობს გამოკითხულ სტუდენტთა 80,8 პროცენტი. მხოლოდ 5,6 პროცენტი გამოთქვამს ამ მხრივ უიმედობას. სტუდენტებს დიდი იმედი აქვთ, რომ „საქართველოში ნამდვილი დემოკრატია დაისადგურებს“ და იმედი არ გაუცრუვდება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერიის ფაკულტეტის ერთ-ერთი სტუდენტი აღნიშნავს: „ვიმედოვნებ, „ქართული ოცნება“, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილი იმედს არ გაგვიცრუებს და უახლოეს ისტორიაში შევა, როგორც საქართველოს ღირსეული ლიდერი და არა შემარცხენელი, როგორც იყო მიხეილ სააკაშვილი“.

რესპონდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ შეძლებს მოსახლეობისათვის მიცემული დაპირების შესრულებას. ასეთი აზ-

რისაა სტუდენტთა 60,3 პროცენტი, ხოლო საწინააღმდეგო მოსაზრებას სტუდენტების მხოლოდ 4,0 პროცენტი გამოთქვამს. ამასთან გამოკითხულ სტუდენტთა ნახევარზე მეტი (50,7 პროცენტი) ფიქრობს, რომ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალებმა“ გააყალბეს არჩევნები, ხოლო 26,8 პროცენტის აზრით, არ გაუყალბებიათ. მთელმა საქართველომ დაინახა, მმართველი პარტია როგორი წარმოუდგენელი არაკეთილსინდისიერი გზით ებრძოდა „ქართულ ოცნებას“. თუ მარკუს ავრელიუსის ნაშრომიდან ციტირებულ სიტყვებს პერიფრაზით მოვიშველიებთ, უკვე „არ არსებობდა ძალადობა, რომელსაც შეეძლო არჩევანის თავისუფლების წართმევა ჩვენთვის“ [1.172]. სტუდენტთა უმრავლესობას (60,0 პროცენტი) აგრეთვე მიაჩნია, რომ „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბდა ავტორიტარული რეჟიმი, სტუდენტთა 9,9 პროცენტის აზრით კი, ასეთი რეჟიმი არ ჩამოყალიბებულა.

მნელია, არ დაეთანხმო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტს დათა ცაცუას, რომელიც პირდაპირ აღნიშნავს: „კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში იყო საქართველოსათვის უდიდესი მოვლენა ქართულ ისტორიაში. დაემზო სააკაშვილის დიქტატურა და გაიმარჯვა დემოკრატია, სიბრძნემ, სიმართლემ და საქართველოს მომავალმა. საქართველოში ავტორიტარული რეჟიმის ნაცვლად დამკვიდრდა ხალხის ხელისუფლება“. სწორედ ავტორიტარული რეჟიმის დამკვიდრების შედეგად მოსახლეობას ეშინოდა ხმამაღლა გამოეთქვა თავისი აზრი ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მას არ მოსწონდა. ასე ფიქრობს გამოკითხულ სტუდენტთა 76,8 პროცენტი, ხოლო სტუდენტთა მხოლოდ 13,6 პროცენტს არ ეშინოდა გამოეთქვა თავისი აზრი.

ავტორიტარული რეჟიმის დამყარება განაპირობა უშუალოდ პრეზიდენტის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების ერთპიროვნულად გადაწყვეტის დამკვიდრების მახინჯმა პრაქტიკამ. ხშირად, თუ ყოველთვის არა, პრეზიდენტის მიერ მიღებულ არასწორ გადაწყვეტილებას მისი გუნდის წევრები ყოველგვარი განსჯის გარეშე ერთ ხმაში აპიარებდნენ. დაუფიქრებლად, ყოველგვარი საზოგადოებრივი განხილვის გარეშე, პრეზიდენტმა სამეგრელოდან განაცხადა, რომ ანაკლიასთან ახლოს ააშენებენ ნახევარმილიონიან ქალაქ ლაზიკას. ამ დროს კი ლაზიკას აშენებასთან დაკავშირებული არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ იყო განხილული, მათ შესახებ მსჯელობა არ ყოფილა მთავრობის სხდომაზე. არადა, ანაკლიასა და ყულევს შორის დაჭაობებული ნიადაგია და იმ ადგილებში ქალაქის აშენება დაუშვებლად მიაჩნიათ სპეციალისტებს. ამასთან, იქ დაირღვევა ეკოლოგიური ბალანსი, რაც კატასტროფას გამოიწვევს. ლაზიკაში, ნაციონალების განმარტებით, საბოლოოდ ერთი

მილიონი ადამიანი იცხოვრებდა და ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების გამო, ლაზიკის მოსახლეობის შევსება მხოლოდ საზღვარგარეთიდან შემოსული მოქალაქეების ხარჯზე იყო შესაძლებელი. პრეზიდენტის ამ აზიერებულ წინადადებას განსაკუთრებით მხარს უჭერდა კახა ბენდუქიძე და, თუ ოპონენტების მიმართ მის საყვარელ გამოთქმებს ვიხმართ, მან ათასი სისულელე დაახვავა, მაგრამ რას იზამ, იმას კი აღარ უკვირდება, რომ ნამეტანი დიდია ვაზელინის წასასმელად. ისე კი მას და თავგადაკლულ ნაციონალებს, აპრაკუნე ჭიმჭიმელისა არ იყოს, შეაფურთხე, თორემ ვერ მოიწმენდენ.

ასევე ერთპიროვნულად წყვეტდა პრეზიდენტი სხვა მეტად მნიშვნელოვან საკითხებს. ერთხელ, ტელევიზიით გამოსვლისას, მან აღნიშნა: დაღვლარტნილი შენობები მიყვარსო, მაგრამ იმას კი არ უწევდა ანგარიშს — დაღვლარტნილი შენობები სხვას უყვარს თუ არა. ამის შედეგად აივსო საქართველო დაღვლარტნილი შენობებითა და უფუნქციო ხიდებით. გმირთა მოედანზე აღმართული სვეტი პრეზიდენტისა და მისი არქიტექტორის სრულ უგემოვნებასა და უცოდინარობაზე ლაპარაკობს. ჯერ ერთი, ამ სვეტთან მისვლა და მასზე ოცდაათი-ორმოცი მეტრის სიმაღლეზე წარწერილი დაღუპულ გმირთა გვარების წაკითხვა შეუძლებელია; მეორეც, სვეტი მოედანის ერთიან ანსამბლში არ ჯდება. ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება, როგორც პოლიტიკის, ისე სოციალური თუ კულტურული სფეროებიდან. ამიტომ სტუდენტთა 63,6 პროცენტის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა ერთპიროვნულად, უშუალოდ პრეზიდენტის მიერ, ხოლო 13,6 პროცენტის აზრით — არ წყდებოდა.

სტუდენტები განიცდიან ქვეყანაში დამკვიდრებულ უკანონობას, რომელიც ფაქტობრივად ერთი კაცის დამყარებული ავტორიტარული რეჟიმის შედეგია, რომელიც თავის ბანდასთან ერთად „სპობდა თავისუფალ აზრს“. ვერო-კავკასიური უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი პატაშური სამართლიანად აცხადებს: „რაც საქართველოში ხდებოდა, ეს დემოკრატია მოკლებული, მხოლოდ სააკაშვილის სიტყვაზე დაფუძნებული უკანონობები იყო. ივანიშვილი ლიდერი ადამიანია, მჯერა მისი და ვიმედოვნებ, რომ ქვეყანას წარმატებას, ეკონომიკურ წინსვლას მოუტანს. უნდა დამთავრდეს ნაციონალების „ხეტიალი“ საქართველოში“.

საინფორმაციო საშუალებებით უამრავი ცნობა გავრცელდა იმის შესახებ, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება წინასწარგანზრახულად იჭერდა უდანაშაულო ადამიანებს. ბევრმა ოჯახმა თავის თავზე იწვნია ეს საშინელი ტრაგედია. გამოკითხულ სტუდენტთა 68,9 პროცენტმა მიუთითა, რომ ხელისუფლება წინასწარგანზრახულად იჭერდა უდანაშაულო ადამიანებს და მხოლოდ 6,6 პროცენტმა მიუთითა ამ პა-

სუხზე უარყოფითად. სტუდენტების აზრით, უდანაშაულო ადამიანებს ხელისუფლება იჭერდა ხალხის მორჩილებაში ყოფნის, დაშინების მიზნით (67,9 პროცენტი); ქონების ჩამორთმევისა და მითვისების მიზნით (53,3 პროცენტი); ხელისუფლებისადმი მკვეთრად დაპირისპირების გამო (54,3 პროცენტი). რესპოდენტებმა უდანაშაულო ადამიანების დაჭერის მიზეზად დაასახელეს, აგრეთვე, მიშას ხუმტური; განსხვავებული აზრის, განათლებული ადამიანებისადმი შიში; პირადი ინტერესები; პოლიტიკური მიზანი; პირადი ანგარიშსწორება; ბიუჯეტის გაზრდის მიზანი და სხვ. (ამ კითხვაზე რესპოდენტს შეეძლო შემოეხაზა პასუხის რამდენიმე ვარიანტი. ამიტომ პასუხების ჯამი 100 პროცენტზე მეტია).

ქართველმა საზოგადოებამ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ციხეებში პატიმართა წამების შემადრწუნებელი ფაქტები იხილა. ბუნებრივად ისმება კითხვა: პატიმართა წამების ასეთ ფაქტებს სასჯელადსრულების ყველა მაღალჩინოსანი მალაგს და მით უმეტეს არ გადაიღებს, თუ შესაბამისი ვიდეო მასალა განკუთვნილი არ არის მაღალი თანამდებობის პირისთვის დაჯალბების შესრულების დასადასტურებლად. ჩვენ ისიც ვიცით, რომ პრეზიდენტი ქურდული მენტალიტეტის მატარებელი ყველა ადამიანის სასტიკად დასჯას მოითხოვდა, სახელდობრ, თუნდაც იმისას, ვინც იტყოდა, რომ ქურდი იყო. პატიმართა წამების კადრებში არის ამ ფაქტების ამსახველი სცენები. კერძოდ, როდესაც პატიმარს უმოწყალოდ სცემენ და ეუბნებიან: აბა, ახლაც თქვი ქურდი ვარო, და ახალგაზრდაც, სანამდე შეეძლო წამებისათვის გაძლება, იმახდა: ქურდი ვარ, ქურდი ვარო.

საზოგადოებას მიაჩნია, რომ ამ კადრებს იღებდნენ ბაჩო ახალაიას დაჯალბებით, რომელიც შემდეგ პრეზიდენტს აჩვენებდა, თუ როგორ ზემოწმებით სრულდებოდა მისი დაჯალბება. სტუდენტთა გამოკითხვამაც ეს ვარაუდი დაადასტურა. გამოკითხულ სტუდენტთა 64,2 პროცენტს მიაჩნია, რომ პატიმრების წამება ორგანიზებული იყო ხელისუფლების მიერ, ხოლო 10,3 პროცენტს ასე არ მიაჩნია. ამასთან, სტუდენტთა 56,3 თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტს ნანახი ჰქონდა პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალა, სტუდენტთა მხოლოდ 15,2 პროცენტია საწინააღმდეგო მოსაზრების. სტუდენტთა აღმფოთება და გულისტკივილი პატიმართა წამების გამო კარგად გამოხატა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა თამარ მიქაეამ: „ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა აღგვაშფოთა როგორც სტუდენტები, ასევე საზოგადოების დიდი ნაწილი. კერძოდ, პატიმრებზე განხორციელებულმა შეურაცხყოფელმა ფაქტებმა შეგვიძრა სულითხორცამდე და ყოველგვარი შიშის ბარიერები დაირღვა საზოგადოებაში. ყველაზე ამორალური რამ ვიხილეთ და ღირსებააყრილ ადამიანებად ვიგრძენით თავი. არც ერთ მტერს, თუნდაც ყველაზე საშინელს, ჩვენს ისტორიაში, — მონღოლებს არ შეურაცხუყვიათ მამაკაცის

ღირსება საქართველოში, როგორც ეს ამ ხელისუფლებამ გააკეთა. ქართველ კაცს თავს სჭრიდნენ და არ აუპატიურებდნენ და დღეს მრცხვენია, რომ ქართველებმა დაეუშვიტ, აქამდე მიგვეყვანა საქმე“. იმავე აზრისაა სტუდენტი მამია ქასოშვილი: „ჩემი აზრით, წინა ხელისუფლების დროს იყო სიტყვის თაისუფლების 100 პროცენტით შეზღუდვა, იყო უსამართლობა და განუკითხაობა მთელ საქართველოში. ყოფილმა მთავრობამ მოახდინა სასამართლო სისტემის დაკნინება, რამაც გამოიწვია უამრავი უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრება. ქვეყანას მართავდა რამდენიმე ადამიანი“. ძნელია სტუდენტების ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო.

ნაციონალურმა მოძრაობამ მრავალი უმსგავსო საქმის ჩადენა მოასწრო ამ ცხრა წლის განმავლობაში. ერთ-ერთი მათ შორის იყო ახალგაზრდობის დაპირისპირება უფროს თაობასთან. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე „ნაციონალებმა“ სამინისტროებსა და უწყებებში, უკლებრივ ყველას დააწერინეს განცხადება სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ. თანამდებობებზე დანიშნეს სრულიად გამოუცდელი, არც ისე იშვიათად უცოდინარი ახალგაზრდები. უფროსი თაობა მეტად მტკივნეულად განიცდიდა იმას, რომ არ მისცეს საშუალება მთლიანად დაეხარჯა თავისი შესაძლებლობები ქვეყნისა და ოჯახის სასარგებლოდ — შუა გზაზე გააჩერეს. ვერ გამოვიყენეთ ასეულ ათასობით ადამიანის ნიჭი, უნარი, შუახანს მიღწეულთა და ხანშიშესულთა გამოცდილება, სიღინჯე, მოკლედ ის, რასაც ჩვენი წინაპრები „კეთილსა მოხუცებულობისა გონებისასა“ უწოდებდნენ. ძველი ბერძენი მოაზროვნის პითაგორას კლასიფიკაციის მიხედვით, 60 წლის ასაკში დგება ადამიანის ძალებისა და შესაძლებლობების აყვავების ხანა. მაგრამ ვინ დააცალა ადამიანებს აყვავების ხანის ნაყოფიც ეხილათ? ძველი რომაელი მოაზროვნე და ორატორი ციცერონიც აღნიშნავდა, რომ მაღალ ასაკში იწყება ნაყოფის შეგროვების ხანა [4.49].

ცხოვრება ისე წარიმართა, რომ თითქმის მთელ მოსახლეობას და განსაკუთრებით უფროს თაობას, არსებობისთვის უხდება ბრძოლა, მოკლებულია მთავარს — სულიერ ცხოვრებას მას ამისთვის აღარ სცალია, არც საშუალება აქვს და ცხრა წელია წინასწარგანზრახულად ხელსაც უშლიდნენ. მაგრამ რას იზამ, პოლიკარზე კაკაბაძის არ იყოს, ზოგის ტანი იზრდება და ზოგის კიდევ — ჭკუა. ახლაც, არჩვენებამდე ორი თვით ადრე, ვიღაც ზურაბ არსოშვილმა პოლიტიკური მოტივებით, კერძოდ, „ქართული ოცნებისადმი“ თანაგრძნობის გამო, სამუშაოდან დაითხოვა „თელასში“ მომუშავე უამრავი ადამიანი. ამ უმუშევრობის დროს ზეწოლით თანამშრომლებს დააწერინეს სამსახურიდან განთავისუფლების განცხადებები. ამის გამო ზ. არსოშვილს არა მარტო სამუშაო უნდა დაატოვებინონ, არამედ იგი პასუხისმგებამი უნდა მისცენ სამსახურებრივი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის, რათა ასეთი უმსგავსობა არც ერთ მანიაკს

თავში აღარ მოუვიდეს. სწორედ აღნიშნული ფაქტების გამო სტუდენტთა 57,3 პროცენტმა აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ერთმანეთს დაუპირისპირა ახალგაზრდობა და უფროსი თაობა, ხოლო 23,2 პროცენტის აზრით არ დაუპირისპირებია.

სტუდენტებს არც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი მოსწონთ — 53,6 პროცენტი, მხოლოდ 28,5 პროცენტი იყო ამ კითხვაზე დადებითი აზრის. ნიშანდობლივია, რომ სტუდენტთა დიდ უმრავლესობას, კერძოდ, 79,5 პროცენტს მიაჩნია, რომ არ უნდა გაგრძელდეს ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების გაგზავნა, სტუდენტთა მხოლოდ 8,6 პროცენტი უჭერს მხარს ამ ღონისძიებას.

ამრიგად, სტუდენტებმა მეტად კრიტიკულად შეაფასეს „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრა წლის საქმიანობის ზოგიერთი მხარე. ცხრა წელი ამ მოძრაობამ ფაქტობრივად ამოაგდო ჩვენი ცხოვრებიდან. სტუდენტების 39,1 პროცენტის აზრით, ნაციონალურმა მოძრაობამ აუცილებლად უნდა დატოვოს პოლიტიკური ასპარეზი, 25,8 პროცენტის აზრით — უნდა დატოვოს, ხოლო 23,2 პროცენტის აზრით — არ უნდა დატოვოს. ვაჟაფშაველამ, ჩვენმა გენიოსმა პოეტმა, შესანიშნავად თქვა: „პრეზიდენტობა საქვეწო საქმეა და საქვეწო საქმის მმართველად ვინ გინდა არ გამოდგება. იმას ქვეყანა სთხოვს თანხას გონებრივს და ზნეობრივს. თუ ერთი ამათგანი აკლია, მაშინ უნდა თავისთვის იჯდეს საკუთარს კერაზე და არ ეჩხირებოდეს საქვეწო საქმეში“. დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი კარგა ხანია, საკუთარ კერაზე უნდა იჯდეს და ქვეყნის საქმეში ჩხირკედელაობას უნდა მოეშვას. მაგრამ ამასაც ზომ „თანხა გონებრივი“ უნდა. ჩვენი მხრიდან უნდა დავამატოთ, რომ „ნაციონალებმა“ არა თუ აუცილებლად უნდა დატოვონ პოლიტიკური სივრცე, არამედ მათი პარტია, როგორც ფაშისტური პარტია, აუცილებლად უნდა აიკრძალოს, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები უნდა გასამართლდნენ. სტუდენტებიც აღნიშნავენ, რომ ცხრა წელი ჩვენ ვცხოვრობდით ტერორსა და უსამართლობაში. ახლაც ნაციონალები საქვეწონოდ გაყვირიან, თითქოს „ქართული ოცნება“ ებრძვის დემოკრატიის პრინციპებს და თანამედებობის პირებს იჭერენ პოლიტიკური ანგარიშსწორების გამო. ყოველივე ეს გვაგონებს ერთ შემთხვევას: ოპერა „რიგოლეტოში“ ჯილდას პარტიას უნიჭო მომღერალი ასრულებდა. მაყურებელმა დაუსტვინა. როგორი უხეში და უკულტურო ხალხია, — აღმოფოთდა მომღერალი, — წარმოგიდგინიათ, დიდ ვერდს უსტვენენ!

„ქართული ოცნება“ ებრძვის არა ქვეყნის განვითარების დემოკრატიულ პრინციპებს, არამედ იგი ებრძვის ნაციონალების მიერ ერთი კაცის ხუმტურზე დაფუძნებულ მმართველობის უადრესად მახინჯ სისტემას, რომელმაც ქვეყანა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი

უფსკრულის პირამდე მიიყვანა. როგორც ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნე, დემოკრიტე ამბობს, მსგავსი მსგავსს შეიცნობს და პრეზიდენტმაც შემოიკრიბა სიმართლესთან დაქვერიებული ადამიანები: გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი, კოტე კუბლაშვილი, ნუგზარ წიკლაური, გიგი უგულავა, დავით დარჩიაშვილი, აკაკი მინაშვილი, მამა-შვილები როლანდ, ბაჩანა და დათა ახალაიები, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ზაზა გოროზია, თეა თუთბერიძე, ეკა ხერხეულიძე, ხათუნა ოჩიაური, აკაკი ბობოხიძე და ბევრი სხვაც პატარა თუ დიდი ჩინოვნიკი და შეუდგნენ „სოფლის შენებას“.


მოკლედ, როგორც რუსთაველიც ამბობს: „მსგავსი ყველა მსგავსსა შობს“ და დაიწყეს საქმის მაგოვრად ენის ტრიალი. მათ, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, „სიტყუად დამპალი“ და „უქმსიტყვაობად“ უყვარდათ და ლაპარაკად იყვნენ სათავისოდ გადაქცეულნი. მე მათ დავარქმევდი „ენამანქანა“ ადამიანებს, რომლებიც, როგორც ეს აღნიშნულია მე-11 საუკუნის ერთ-ერთ ლიტერატურულ ძეგლში, არაფრად ფასობდნენ. სამწუხაროდ, ეს „ენამანქანა“ ადამიანები, მართალია, თავისთავად არაფრად ფასობდნენ, მაგრამ მათი „სიტყუად დამპალი“ საშინელ ჭირად შეეყარა ქვეყანას, რომლისგან განთავისუფლებას ცხრა წელი მოანდომა ქართველმა ხალხმა.

ყოველივე აღნიშნულის გამო, აუცილებელია დეტალურად გაანალიზდეს ნაციონალების მთელი საქმიანობის ცხრა წელი და გამოიცეს ცალკე წიგნად, რათა უფრო ნათლად დავინახოთ ვარდებით მოსული ბოროტი ყვაილების ნამდვილი სახე.

დასასრულ, მინდა მადლობა მოვახსენო ცნობილ მოღვაწეს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და დირექტორს ბატონ ვახტანგ წიგწივაძეს, რომელმაც სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარებაში დიდი დახმარება აღმოგვიჩინა.

ლიტერატურა

1. მარკუს აგრელიუსი, ფიქრები. თბ., 1972;
2. გაჭა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V თბ., 1961;
3. ნ. შცედრინი, ზღაპრები. თბ., 1950;
4. Марк Тулий Цицерон, О старости... М., 1999.



თეიმურაზ მირიანაშვილი

სიამართლე საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე უკანასკნელი ხუთი საუკუნის განმავლობაში

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში მიმდინარეობს მწვავე პოლემიკა ორიენტაციის საკითხზე — დასავლეთი თუ რუსეთი? ვესტერნისტები ანუ დასავლური ორიენტაციის მომხრენი გეთაყვინებენ ლოზუნგს: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“. სტატის ავტორმა აღნიშნულ პრობლემას უძღვნა რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებშიც საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო მტკიცებას იმისა, რომ თეორია ქართველთა ევროპელობის თაობაზე მცდარია. თვით დასავლელმა მეცნიერებმა დიდი ხანია ეჭვიმუტანლად დაასაბუთეს, რომ გენეტიკურად ქართველები არ ენათესავენ იან არც ერთ ევროპელ ერს. დასავლელ მეცნიერთა შორის დღეს არც იმაზე დაობს ვინმე, რომ ქართული ეთნოკულტურა არამცთუ არ ენათესავენ ევროპელ ეთნოკულტურებს, არამედ მისგან არსებითად განსხვავებული ხასიათისაა. ვესტერნისტებმა ამას ვერავითარი კონტრარგუმენტები ვერ დაუპირისპირეს, ამიტომ თავიანთ ძირითად კონზიდაციაში აქციეს ორიენტაციის საკითხი, მტკიცება იმისა, რომ თურმე ქართველებს ერად გაჩენის დღიდან ევროპისკენ მიუწვევდათ გული. წინამდებარე სტატიაში, რომელიც ძველი სტატისების შეჯამებას წარმოადგენს, ნაჩვენებია — თუ რაოდენ ვალბია ეს თეორია.

I. საით იმზირებოდნენ დიდი წინაპრები

მას შემდეგ, რაც დაემხო ერთმორწმუნე ბიზანტიის იმპერია (1453 წ.) და უდროოდ გარდაიცვალა დიდი მეფე გიორგი ბრწყინვალე (1446 წ.), თითქმის ყველა ჩვენს თვალსაჩინო წინაპარს, სამას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რუსეთთან მიერთებამდე, პროჩრდილოური ორიენტაცია ჰქონდა. ჯერ კიდევ კახთა მეფე ალექსანდრე პირველმა გაგზავნა ელჩობა მოსკოვში (1491 წ.); საუკუნის შემდეგ (1587 წ.) ალექსანდრე მეორემ ერთგულების ფიცი დაუდო რუსთ ხელმწიფე ფიოდორ ივანოვიჩს. აქედან მო-

ყოლებული განსაკუთრებით გაცხოველდა ქართულ-რუსული კონტაქტები. სისხლის წვიმების ჟამს (XVII-XVIII სს.) არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი მეფე თუ საზოგადო მოღვაწე, რომელსაც იმედის თვალით არ შეეხებოდა რუსეთისთვის. ერთადერთი გამონაკლისი იყო ერეკლე მეორის მდივანბეგი სოლომონ ლიონიძე.

ჩვენი წინაპრების დასავლეთისკენ „მუდმივი ლტოლვის“ მქადაგებელთა ერთადერთი არგუმენტია სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა დასავლეთ ევროპაში. თუმცა, „ავიწყდებათ“, რომ საბა, ამ სრულიად წარუმატებელი მოგზაურობის შემდეგ, მოსკოვში გაემგზავრა, იქ გარდაიცვალა და დღესაც ვსესვიატკოვში განისვენებს. „ავიწყდებათ“ აგრეთვე, რომ ვახტანგ VI, ისტორიაში ყველაზე პრორუსულად განწყობილი მეფის სახელით შესული, სწორედ საბას ჰყავდა გაზრდილი შვილივით და შემდეგაც მისი მოძღვარი იყო.

ძველმა პუბლიკაციებმა საკმაოდ ცხოველი გამოხმაურებები გამოიწვიეს, მაგრამ ოპონენტები, ძირითადად, ჩემი ლანძღვით და იარლიყების მოწებებით შემოიფარგლნენ. მათ არც კი უცდიათ გაბათილება ჩემი არგუმენტებისა, რომ ქართველები არც გენეტიკურად და არც ეთნოკულტურულად არ ვართ ევროპელები. ჩვენმა ოპონენტებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ვერც იმ ფაქტებს, არგუმენტებს, რომელნიც ღაღადებენ, რომ XV საუკუნიდან ქართველებს პრორუსული ორიენტაცია გვქონდა. ამიტომ ეს საკითხიც საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ოპონენტებმა შეიძლება მითხრან (უფრო სწორედ, ამბობენ), რომ შეცდნენ ჩვენი მეფეები და, რომ რუსეთზე ორიენტირებამ აბსოლუტურად არავითარი სიკეთე არ მოგვიტანა.

სიმართლე რუსეთის როლზე ჩვენს ისტორიაში უკვე დიდი ხნის ნათქვამია XIX საუკუნის ყველაზე დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეთა და მოაზროვნეთა მიერ, სწორედ მათს მოსაზრებებს შევახსენებ ქვემოთ საზოგადოებრიობას.

მაგრამ თავდაპირველად იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოაზროვნეებად. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ილია — უპირველესი ქართველი. აგრეთვე, იაკობ გოგებაშვილი — ვინც ილიასთან ყველაზე ახლოსაა დაკრძალული, რადგან მისი ყველაზე ერთგული და თანამიმდევრული თანამებრძოლი იყო. გავიხსენებთ დიმიტრი ყიფიანის ნააზრევსაც. იგი ხომ ქართველთა აღიარებული ლიდერი იყო საუკუნის შუა ხანს, ანუ ილიას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამდე, ხოლო XIX საუკუნის პირველი ნახევრის პოლიტიკური აზროვნების (და, ცხადია, არა მხოლოდ პოლიტიკურის) მწვერვალია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია. ჩვენ მის ნააზრევსაც გავიხსენებთ.

ეს შეხსენება დიდ წინაპართა ნააზრევისა და ნამოქმედარისა იმასაც თვალსაჩინოდ დაგვანახებს, თუ რატომ სძულთ ისინი დღევანდელ კარიერისტებს. ცივილიზაციის, ვითომცდა უმაღლეს მიღწევათა ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის ლოზუნგებით რომ სურთ ალგავონ პირისაგან მიწისა ყოველივე ტრადიციული, ყოველივე ქართული.

დიადი წინაპრები ხმალამოწვილინი ებრძოდნენ რუსეთის ველიკოდერ-ჯაუულ ძალებს, მაგრამ, საქართველოს რუსეთთან მიერთების აკარგის აწონვით, ასკვნიდნენ, რომ ერეკლე მეორის ნაბიჯებმა განუზომლად მეტი სიკეთე მოჰგვარა ქვეყანას, ვიდრე ბოროტება. დიდი წინაპრები, თუმცა საქართველოს დამოკიდებლობას ნატრულობდნენ, მაგრამ რუსეთთან ყოველმხრივი და უმჭიდროესი კავშირის აუცილებლობას ხშირად და საგანგებოდ უსვამდნენ ხაზს. ასევე ხშირად, საგანგებოდ აფრთხილებდნენ ერს ჩრდილოელ გიგანტთან დაპირისპირების დამღუპველობის თაობაზე.

II. „რომ ქრისტაიანთ ხმა მარად ისმოდეს“!

რუსეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხს ნ. ბარათაშვილმა უძღვნა თავისი ერთადერთი პოემა „ბედი ქართლისა“ და სამი ლექსი: „სუმბული და მწირი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „ძრწოდე, კავკასო“. „ბედი ქართლისაში“ პოეტი ცდილობს, ჩასწვდეს ერეკლე მეორის ფიქრებს, მისთვის და მთელი ერისთვის საბედისწერო ნაბიჯის წინ. აქვე მოაქვს არგუმენტები სოლომონ ლიონიძისა, ერეკლეს ერთადერთი და, როგორც ვთქვით, საერთოდ, ერთადერთი ანტირუსულად განწყობილი მოღვაწისა XV-XVIII საუკუნეების მანძილზე. მაგრამ, ვიდრე შევეხებოდეთ უშუალოდ მეფისა და მისი მსაჯულის პაექრობას, უსათუოდ უნდა აღინიშნოს ერთი უადრესად საყურადღებო გარემოება. გენიალურ პოეტს თავის ძალიან მცირე ზომის, ათიოდ გვერდიან პოემაზე ათ წელიწადზე მეტ ხანს უმუშავია. თავად არაერთგზის უთქვამს მეგობრებისთვის, ამ პოემის იდეა გიმნაზიაში სწავლისას დამებადაო; დოკუმენტურად დასაბუთებულია, რომ პოემის ვარიანტები 1839-1844 წლებში, ანუ ხუთი წლის მანძილზე იქმნებოდა.

გენიალურ ტატოს თავისი ხანმოკლე სიცოცხლის თითქმის ნახევარი მიუძღვნია რუსეთთან შეერთების საკითხის გააზრებისთვის. მეგობრებთან ისიც უთქვამს, პოემას „არ ვაჩენდი, ვიდრე გვარიანად არ შევიმუშავო“.¹ აი, რაოდენი სიფრთხილით უდგებოდა საჯაროდ აზრის გამოთქმას რუსეთთან ურთიერთობის თემაზე!

... ბოდიშს ვიხდი ამგვარი შედარებისთვის. მაგრამ აქ გავიხსენოთ ეროვნულ-დამანგრეველი ძალები და მათ სულიერ მემკვიდრეთა გუნდი ზ.

¹ იხ. ზაქარია ჭიჭინაძე, „ნ. ბარათაშვილი“, 1885, გვ. 18.

გამსახურების დროინდელ პარლამენტში. ესენი დიდხანს კი არა, საერთოდ არ ფიქრობდნენ, რა უნდა ეთქვათ რუსეთზე (თუმცა არც სხვა თემებზე ფიქრით იტკივებდნენ თავს), ამბობდნენ ყველაფერს, რაც პირზე მოადგებოდათ და არც მერე ფიქრობდნენ. ამგვარი განიასითა და ლანძღვა-გინებით უკანასკნელ ზღვრამდე მიიყვანეს დაძაბულობა საქართველო-რუსეთს შორის. პრაქტიკულად საომარი მდგომარეობა შექმნეს.

ამ ხალხს მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა: მაშინ, როცა აბსოლუტურად არ იყო საშიში კრემლისა და რუსების ლანძღვა, რუსული იმპერიის წინააღმდეგ გმირ მებრძოლებად წარმოედგინათ თავი ყველაზე დაბალი კატეგორიის ბრბოსთვის. მკითხველს მ. სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკასთან პარალელის გავლება არ გაუჭირდება.

... დაეუბრუნდეთ **„ბედი ქართლისას“**. თავიდან პოეტი მოგვითხრობს კრწანისის ომისთვის სამზადისზე (1795 წ.). თვით ომზე ჩვენ მიერ რიცხოვნობად ბევრჯერ აღმატებული მტრის ძლევაზე და ბოლოს მაინც მარცხზე, რადგან „იუდა ჟამს ეძიებდა“. შემდეგ გახიზნული ერეკლე ხმამაღლა ფიქრობს თავის მსაჯულთან, სოლომონ ლიონიძესთან.

მის მონოლოგში იხატება ქვეყნის უმძიმესი ვითარება. დაბოლოს, მეფე მიმართავს მსაჯულს: **„აჲ განთქმულია რუსთა სახელი, ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი, დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა, მტკიცე კავშირი, სარწმუნოება, მას, მსურს, რომ მივცე შემევიდროება, და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა“**.

სოლომონი გაგონილმა შეადრწუნა: **„რასა მიბრძანებ“, ჰკადრა მან მეფეს, „ბატონო, დმერთი ვადღერძებლებდეს, ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა, ეზღენ შენზედა მსასოებელთა!“** ამას მოსდევს სოლომონის ვრცელი მონოლოგი, რომლის არსი იმაშია, რომ არც საქართველოს უჭირს ესოდენ და არც რუსია სანდო. **„ნუ ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ!“** — ეხვეწება იგი ერეკლეს.

„ჩემო სოლომონ“, მეფემ უბრძანა... მე არა ვფიქრობ ვითარცა მეფე, თვის დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე, არამედ ვითა მამა კეთილი, რომელსა ჰსურს, რომ თავისი შვილი თვის სიცოცხლეშივე დაასახლკაროს“.

და, აი, პოემის კულმინაცია: **„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა მშვიდობა ნახოს საქართველოში. მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის ამოივაროს ჯაგრი სპარსეთის; და მხოლოდ მაშინ უეჭოდ გერწამდეს, რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს საფლაგთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა, და განისვენოს აწრდილთა მათთა!“**

აქ სოლომონი აღშფოთების უფლებასაც კი აძლევს თავს: **„ვედარ გაუძლო მსაჯულსა გულმან და ჰკადრა მეფეს აღშფოთებულმან: „განზრახვა შენი, მეფე, მაკვირებს! ირაკლიმ იცის, რომე, ქართველებს არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ თვის ჭერთ ქვეშ თავისუფლება“**

„სულ მართალია, ჩემო სოლომონ, მაგრამ, აბა, თქვი, ქართველთა რა ჰქონ, ამ უბედობის და დარღვევის დროს?“

მსაჯულის პასუხი კვლავ ემოციურია: **„მაგრამ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება სხვას განუბობო შენთ ვმათ ცხოვრება, მისდევდ შენსა გულისკეთებას და უთრგუნადე თავისუფლებას?“**

პაექრობა გაგრძელდა, პოემა კი პოეტის ამ სტრიქონებით მთავრდება: **„მაგრამ ამო იყო ყოველი: დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის გადაიწვევია გულმან ირაკლის“**.

„ბედი ქართლისა“, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიყრმის ასაკში ჩაიფიქრა ბარათაშვილმა, ჯერ კიდევ არ შეიცავს ერეკლეს ნაბიჯის სრულ გამართლებასა და მხარდაჭერას. აქ უფრო ამ ნაბიჯის ახსნაა ქართველთა მაშინდელი საშინელის ყოფისა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მიწურულში განსაკუთრებით ბევრს და ღრმად ფიქრობდა რუსეთთან კავშირის აკარგვზე. 1842 წელს მან დაწერა **„სუმბული და მწირო“**. აქ ძალიან გამჭვირვალე ალეგორიაში გამოსჭვივის განსჯა კვლავ ერეკლეს საბედისწერო გადაწყვეტილებისა: ღარიბ, უპოვარ, მაგრამ თავისუფალ მწირს აკვირებს მოვლა-ზრუნვით გარემოცული, მაგრამ ბუნებაში თავისუფლად ყოფას მოკლებული სუმბულის დარდიანობა.

ღიან, იცოდა გენიალურმა პოეტმა თავისუფლების ყადრი და ფასი, მაგრამ მომდევნო 1843 წელს იგი წერს ლექსს **„საფლავი მეფის ირაკლისა“**, სადაც უკვე ყოველმხრივ ამართლებს პატარა კახს.

„მოვიდრეკ მუხლსა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო“, — ამ სტრიქონით იწყებს ლექსს პოეტი და შემდეგ მიმართავს გმირ მეფეს: **„ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმიდას აწრდილსა, რომ გარდმოჰხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშო შეილსა“**.

ამას მოსდევს ერეკლეს ნაანდერძევის სრულიად ცალსახა შეფასება: **„თავყანს ვცემ შენსა ნაანდერძეს!“** შემდეგ ტონი კიდევ უფრო აღტაცებული ხდება: **„აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აჲ პაზრი შენი და ვსტამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აჲ შენნი ძენი!“** შემდეგ „ტკბილ ნაყოფთაც“ ჩამოთვლის: **ჩრდილოეთიდან დაბრუნებული ჩვენი ახალგაზრდები „ჰშიდვენ თესლთ ძვირფასთ მშობელს ქვეყნად“. გარდა ამისა: „სადა აქამდინ ხრმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აჲ ხელი! აჲ აღარ ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა...“**

განათლებისა და კულტურის აღორძინება, მშვიდობის დამყარება ქართველთა ფლეტის შეწყვეტა, ქართველთა გამრავლების დაწყება პირველად მრავალი საუკუნის შემდეგ, ქართველთა გაერთიანება, ერის სხვადასხვა ტომად დაშლის შეჩერება, სრულიად ქართული ცნობიერების განმტკიცება... აი, რა მისცა საქართველოს ერეკლეს ნაბიჯმა. ლექსის უკანასკნელი

ორი სტრიქონი უთუოდ ყველაზე საგულისხმოა: „აწ მიჰხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამავსა და თავიანთსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნავსა!“

„აწ მიჰხვდა“-ო, წერს პოეტი და ესაა ყველაზე საგულისხმო. ქართველობას და თვით ბარათაშვილს გაუჭირდათ პირველ ხანებში ერეკლეს ჩანაფიქრის შეფასება, უფრო ზუსტად, მის შედეგთან შეეუბნა გაუჭირდათ.

ამის შემდეგ შეუძლებელია არ დაწერილიყო „ძრწოდუ, კავკასო!“ ამ ლექსის ნამდვილი სახელწოდებაა: „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირის-პირ დაღისტნისა და ჩენწელთა, წელსა 1844-სა, მძღვან-ვლობისა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“. აქ ბარათაშვილი ეხმაურება ქართველთა ათასშვიდასკაციანი ლაშქრის გამგზავრებას შამილთან საომრად და, შესაბამისად, რუსთათვის მხარის დასაჭერად.

„ძრწოდუ კავკასო, ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!“ ასე იწყება ლექსი... ჩვენი ვესტერნისტები აშკარად, თითქმის სრულიად შეუნიღბავად უჭერდნენ მხარს რუსთა წინააღმდეგ მებრძოლ ჩენებს. თუმცა არა, ჩეჩენ ხალხს კი არა, რომელსაც მშვიდი, ადამიანური ცხოვრება სურს ნორმალურ ქვეყანაში, არამედ ბასავეს და მის ბანდას უჭერდნენ მხარს, რომელთაც ჩვენი ბიჭების მოჭრილი თავებით ფეხბურთი ითამაშეს გაგრის სტადიონზე და ჩვენი ორსული ქალები ფატრეს. მითხარით ახლა, არ არის ეს ხალხი მოღალატე? თუ იქნებ მათ თვითონ დაუძახონ მოღალატე ნიკოლოზ ბარათაშვილს?! ეს რომ ჰქნან, რა გასაკვირია! გაულანძღავი ხომ არც რუსთაველი გადაურჩათ, არც ილია, არც აკაკი, არც გალაკტიონი!

„ჰძრწოდუ, კავკასო!“ ერთი აღფრთოვანებული ამოსუნთქვითაა დაწერილი: „ქართლთაგან მოვალს მარადის მამულის მონა ლაშქარი!“ ლაშქარში არიან მკვიდრნი სომხითის, ანუ ქვემო ქართლის, კახეთის, თუშეთის... სათაურშიც იმიტომ ჩაწერა ავტორმა „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, რომ ხაზი გაესვა: ეს არ იყო უბრალო ლაშქრობა. ეს იყო, შეიძლება ითქვას, სამამულო ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც თავისი განუწყვეტელი ყაჩაღური თავდასხმებით ჯვარს აცვა საქართველო საუკუნეთა მანძილზე. „ძრწოდუ კავკასო! შეირყა ჩენწეთიც დასამზობელი! ვის არა აღეტაცების სული, ამ ამბის მცნობელი!“ შემდეგ მოლაშქრეებს მიმართავს: „მძანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა! მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლანთ ეცით წარმართთა!“

„მეფესა თავი შესწირეთ!“ — წერს, როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი, ანუ რუს მეფესო, რადგან ქართველი მეფე იმხანად აღარ არსებობდა. თუმცა, ლექსის საბოლოო ვარიანტში ავტორს ცოტა სხვანაირად უწერია: „იმპერატორსა ემსხვერპლეთ!“ რაკი ბოლო ვარიანტში ასეა, წიგნშიც ასე უნდა იყოს, მაგრამ თავის დროზე იმპერატორი მეფით შეცვალეს, — შეარბილეს.

მაშ ასე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, ერეკლეს გადაწყვეტილების ავ-კარზე ბარათაშვილმა სიყრმიდან, გიმნაზიის მერხიდან დაიწყო ფიქრი, როგორც ყველა ქართველს, მით უფრო ახალგაზრდას, გულს წყვეტდა სამშობლოს თავისუფლების დაკარგვა. მაგრამ ასაკის მატებისა და იმ სიკეთათა გააზრების კვალობაზე, რაც რუსეთთან კავშირმა მოუტანა საქართველოს, თანდათან სულ უფრო დადებითად აფასებდა პატარა კახს და სიცოცხლის ბოლოსწინა წელს ქართულ, „მარადის მამულის მონა ლაშქარს“ ესეც კი მოუწოდა: „მეფესა თავი შესწირეთ!“ „იმპერატორს ემსხვერპლეთ!“

III. ღმერთკაცთა ანდერძი

ბარათაშვილი, როგორც ვნახეთ, „სუკის აგენტი“ და „კრემლის ჯაშუში“ ყოფილა. ახლა მოვუსმინოთ მის „თანამზრახველებს“ ...დიმიტრი ყიფიანს, იაკობ გოგებაშვილს, ილია ჭავჭავაძეს.

დიმიტრი ყიფიანი სიცოცხლეშივე დიდად აღიარებული და დაფასებული იყო, მას ოფიციალურად ჰქონდა მინისტრული ქართველი თავად-აზნაურობის მარშლის ტიტული, მაგრამ მთავარი იყო ის უდიდესი სიყვარული და მოწიწება, რასაც ხალხი გამოხატავდა მისდამი. დ. ყიფიანმა მთელი სიცოცხლე ერის მსახურებას შესწირა. მან პირველმა აღიმაღლა ხმა ქართული ენის დასაცავად.

ქართველი თავად-აზნაურობის მარშალი მეცნიერულად ასაბუთებდა ეთნიკური მრავალეროვნების აუცილებლობას, ანუ ყველა ერისთვის არსებობისა და განვითარების უფლების მინიჭებას. დ. ყიფიანი პირველი დაუპირისპირდა მოსკოველ რეაქციონერ ჟურნალისტ მ. ნ. კოტკოვს, რომელიც შემდეგ ილიამ ამხილა და უწოდა „გაცვეთილი კაცი“.

80-იან წლებში შეიქმნა ტრაგიკულ მოვლენათა ჯაჭვი, რომლის საბოლოო რეალი იყო დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა: თბილისის გიმნაზიის მოსწავლე იოსებ ლალიაშვილმა ხანჯლით მოკლა გიმნაზიის რექტორი ჩუდეციკი მისი ცოლის თვალწინ. ამისთვის ეგზარქოსმა პავლემ დაწყევლა ქართველი ერი. დ. ყიფიანმა წერილი მისწერა პავლეს, მოსთხოვა განმარტება და მონანიება. ყოველივე ამას მოჰყვა მხცოვანი მოღვაწის სტავროპოლში გადასახლება და იქ მისი იდუმალებით მოცული მკვლელობა 1887 წელს. ნეშტი თბილისში ჩამოასვენეს და მთაწმინდის სასაფლაოზე დაკრძალეს. ამ ტრაგიკულ ფაქტს გამოეხმაურა აკაკი თავისი ღვთაებრივი „განთიადით“, რომელშიც დიმიტრის მოიხსენიებს, როგორც „რანდსა, ურჩსა მტრისასა“. დ. ყიფიანის დაკრძალვის შემდეგ გაჩნდა იდეა მთაწმინდის ჩვეულებრივი სასაფლაოს გადაქცევისა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად.

ახლა ვნახოთ, რას წერდა დ. ყიფიანი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე. *„ქართველები იარაღით ხელში თხუთმეტ საუკუნეს იცავდნენ თავიანთ მართლმადიდებლობას. მაგრამ რა დაინახეს, ასეთს ზეწოლას ფიზიკურად ვერ გაუძლებდნენ, ძმური გრძობითა და ქრისტიანული მინდობით შეაფარეს თავი რუსეთს“*. ამ აზრს, ანუ აზრს იმის შესახებ, რომ ქართველები ნებაყოფლობით შევიდნენ რუსეთის მფარველობაში (დაუთმეს რუსეთს თავიანთი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილი), დ. ყიფიანი მრავალგზის იმეორებს. ასევე დაუდასტურებდა იმეორებს ამ აზრსაც: *„როგორც სამათემატიკო ჭეშმარიტება ისეთი არის ეს ჭეშმარიტებაცა, რომ საქართველოს ხალხზედ უფრო ერთგული ტახტისა მრთულს რუსეთის სხვა ხალხი არ ასხია“*. დ. ყიფიანი სრულ სიმართლეს დადასტურებს. ქართველები იყვნენ იმპერიის ერთგული ქვეშევრდომნი და უდიდესი ნდობითაც სარგებლობდნენ.

ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხზე პირველად თვრამეტი წლის წინათ გამოვსახვეყნე.² ეს შეხედულებები შემდეგაც არაერთგზის გამოქვეყნდა როგორც ჩემ, ასევე სხვა პუბლიკატორთა მიერ. რუსოფობთა მხრიდან ამ პუბლიკაციებს მოჰყვა სრული დუმილი, ან რა აქვთ სათქმელი! ბოლოს და ბოლოს, ილიას და იაკობს სუკის აგენტებად ხომ არ გამოაცხადებენ! XIX საუკუნის ამ ორი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწის პოზიცია კი, მართლაც და, „მოღალატურია“. ერეკლეს ნაბიჯში ისინი დადებითს გაცილებით მეტს ხედავდნენ, ვიდრე უარყოფითს. აქ შემდეგ ორივეს ნაწერებიდან მომეჩნო მრავალი სათანადო ციტატა. მაგრამ რაკი ეს სტატია მეტისმეტად იზრდება და ამასთან, აღნიშნული ციტატები ბევრჯერ არის გამოქვეყნებული (განსხვავებით ნ. ბარათაშვილის და დ. ყიფიანის აზრებისა რუსეთის თემაზე, რომელთათვისაც დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება), ალბათ, შეიძლება შემოვიფარგლო შემდეგი განცხადებით: **ილიას და იაკობის თხზულებათაგან ვერაფერს მოიტანს ციტატებს, რომელნიც ამ აბზაცში გატარებულ აზრს ეწინააღმდეგებოდეს. თუ ვინმესთვის არადამარწმუნებელია ეს განცხადება, მზად ვარ მასთან მომავალში ფაქტებით, კონკრეტული ციტირებით საპოლემიკოდ.**

როგორც ვნახეთ, ნააზრევში XIX საუკუნის ოთხი ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკური მოაზროვნისა, რომელნიც ერმა დმერთკაცებად შერაცხა და მთაწმინდის მიწას მიაბარა, არავითარი ანალოგი არ ეძებნება ვესტერნისტთა დღევანდელ პროოგნატორულ, ანტიქართულ საქმიანობას, გამიზნულს საქართველოს შესატაკებლად რუსეთთან. თუმცა არა მხოლოდ რუსეთთან! ზემოთ დაგასაბუთო, რომ ეს გუნდი გვამტერებს ყველა სხვა მეზობელ ხალხს. ჩემს ამ ბრალდებაზე პროოგნატორთა ბანაკიდან კრინტი

² იხ. „ვეჩერნი ტბილისი“, 2 თებერვალი, 1994.

არავის დაუძრავს, წაუყრუეს. ან რა აქვთ სათქმელი?

სამაგიეროდ, ამ ხალხს გაჩაღებული ჰქონდათ სასტიკი მორალური ტერორი, ხალხი სიმართლის თქმას ვეღარ ბედავდა. მასმედიის ძირითადი საშუალებები ამავე გუნდის მიერ იყო უზურპირებული.

გასაგებია, რომ ხალხის ამგვარი იდეოლოგიური დამუშავებისა და დაშინების პირობებში, ბევრისთვის მოულოდნელი და უცნობი აღმოჩნდებოდა ზემოთ ნათქვამი სიმართლე იმის თაობაზე, თუ რაოდენ დადებითად აფასებდნენ XIX საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოაზროვნენი — ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — ერეკლე მეორის გადაწყვეტილებას, რუსეთისთვის შეეერთებინა საქართველო. თავისუფლების ფასი ოთხივემ კარგად იცოდა. მაშ, რატომ ეთავყვანებოდნენ ერეკლეს? რით აჯსნათ, რომ ილიას კაბინეტში მრავალ სურათს შორის ყველაზე საპატიო ადგილას ერეკლეს სურათი ეკიდა, თანაც ეს იყო ყველაზე დიდი სურათი? დასმულ კითხვას ამგვარად შეიძლება გაეცეს პასუხი.

გიორგი ბრწყინვალის გარდაცვალებისა და ერთმორწმუნე ბიზანტიის დამხობის შემდეგ, XV საუკუნის შუა ხანებში, საქართველომ ფეხზე წამოდგომა ვეღარ შეძლო, დაიწყო სისხლის წვიმების ეპოქა... გარეშე და შინაურ მტერთა თარეში, ერი დაღუპვის მიჯნასთან მივიდა, მოაზროვნე ქართველთათვის ერთადერთ იმედად გამოჩნდა რუსეთის ერთმორწმუნე და სულ უფრო აღმავალი იმპერია. ამიტომ სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ბატონ ელუარდ შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, «*Просили, на коленях стояли, чтобы войти в империю покровительства Русского Царя*».³

ერეკლე მეორემ ეს ლტოლვა დაავგვირგვინა. ვისაც წაუკითხავს ილიას სტატია „ასი წლის შემდეგ“ (მისი ფრაგმენტები მე გამოვსახვეყნე პრესაში, ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ კი მთელი ტექსტი დაბეჭდა), მან იცის, როგორ აღწერს უპირველესი ქართველი თბილისელთა სინარულს, აღფრთოვანებას, სასოებას რუსის ჯარის პირველი შემოსვლის გამო თბილისში 1799 წლის 26 ნოემბერს.

მაგრამ რუსეთის იმპერიაში გატარებულმა პირველმა ათწლეულებმა ჩააცხრო სინარული და აღფრთოვანება, რუსებმა გატყეს სიტყვა და არ მისცეს საქართველოს შეპირებული ავტონომია, დაიწყეს ქართული ენის დევნა, ავტოკეფალია ჩამოართვეს ჩვენს ეკლესიას, ხალხს თავს დაატყდა მისთვის მანამდე უცნობი ჩინოვნიკური განუკითხაობა... და იფეთქეს საქართველოში ამბოხებებმა. მათი სისხლში ჩახშობის შემდეგ დაიწყო მზადება შეთქმულებისთვის, მაგრამ ისიც გაცემულ იქნა 1832 წელს. ბუნებრივია, ერს ჰქონდა საფუძველი სასოწარკვეთისთვის. მაგრამ ოციანი და,

³ „ნეზავისიმია გაზეტა“, 21 ნოემბერი, 1991.

განსაკუთრებით ოცდაათიანი წლებიდან ერეკლეს ნაბიჯის დადებითმა შედეგებმაც ნელ-ნელა იჩინეს თავი. ქვეყანაში თანდათან დამყარდა მრავალი საუკუნის მანძილზე ნანატრი მშვიდობა. ერი ფიზიკურად გადარჩა, გაერთიანდა, გამრავლება დაიწყო პირველად თამარის ეპოქის შემდეგ, ოცდაათიანი წლებიდან მომრავლდნენ თურგდალეულები; გაჩნდა პერსპექტივა განათლების და კულტურის აღორძინებისა. თანდათან იწყო ამადლება ცხოვრების მატერიალურმა დონემაც... თუმცა „რა ხელ-ჰყრის პატევს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული!“ — წერს ამ პროცესთა მაცქერალი ბარათაშვილი. მაგრამ მანაც, სხვა მოაზროვნეებმაც, დროის სვლის კვალობაზე, გააცნობიერეს, რომ რუსული იმპერიალიზმი შედარებით მსუბუქი იყო, ვიდრე ინგლისური, ესპანური, ოსმალური და ა.შ.

ზოგიერთები გაჰკვირვებდნენ ნაციონალურ ტირადებს, რომ რუსებს ახასიათებთ თანდაყოლილი აგრესიულობა, დამპყრობლობა, ჯალათობა. რაც შეეხება რუსთა „გენეტიკურ, რასობრივ ნაკლოვანებებს“, ისტორიული ფაქტები იმას მეტყველებს, რომ სწორედ რუსეთის იმპერიაში „ნაცმენებს“ ჰქონდათ არსებობის გაცილებით უკეთესი პირობები, ვიდრე იმ დროის სხვა იმპერიების დაპყრობილ ხალხებს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ რუსეთში პრაქტიკულად არ არსებობდა მოქალაქეთა ინდივიდუალური დიფერენციაცია ეთნიკურ საფუძველზე, ქართველი თავადი რუს თავადს იყო გათანაბრებული, ქართველი გლეხი — რუს გლეხს. გარდა ამისა, თუმცა რუსეთში, როგორც საერთოდ ყველა იმპერიაში, ცდილობდნენ სხვა ენათა შევიწროებას, მაგრამ ამასაც არ მიუღია ისეთი მასშტაბები, როგორც სხვა იმპერიებში მიიღო. ნუ დაგვაიწყდება, რომ ინგლისელთა წყალობით, შოტლანდიელებმა, ირლანდიელებმა, უელსელებმა პირწმინდად დაივიწყეს თავიანთი დედაენები.

მოაზროვნე ქართველები იმასაც ხედავდნენ, რომ, თუმცა რუსეთის რეაქციულ ძალებს ქართველები, ალბათ, სხვა „ნაცმენებზე“ მეტად ჰყავდათ ათვალისწინებული (რისი მიზეზიც ქართველთა შეუფარავი პატრიოტობა იყო), მაგრამ ლიბერალი რუსები ქართველებისადმი განსაკუთრებულ სიმპათიებს ამჟღავნებდნენ. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ რუს პოეტებს არცერთი ქვეყნისადმი არ მიუძღვნიათ იმდენი მშვენიერი ლექსი, რამდენიც საქართველოსადმი. დღეს კი მხოლოდ ცუდს გვახსენებენ ჩვენი პოლიტიკანები. ყოველდღიურად გაისმის მრავალხეობის — იანოვსკის, ვოსტორგოვის, კატკოვის — სახელები. სამაგიეროდ, ცდილობენ დაგვაიწყონ, მაგალითად, ის, რასაც დ. ვიფიანი წერდა გორის სემინარიის რექტორის სემინოვისა და ქუთაისის მასწავლებელთა კრების თავმჯდომარის მარსოვის შესახებ. ისინი, მიუხედავად იანოვსკის მუქარისა, სამსახურს დაგატოვებინებთო, არ კრძალავდნენ ქართულის სწავლებას თავიანთ სასწავლებლებში. ამგვარი მოღვაწენი სხვებიც იყვნენ რუსთა შორის და, ჩვენი

მხრიდან, უმადურობა იქნება მათი დავიწყება.

განსაკუთრებით გულსატკენია ის, რაც დღეს ხდება გრაფ მინაილ სემიონოვი ვორონცოვის სახელის ირგვლივ. რაც ამ კაცმა საქართველოსთვის მოიმოქმედა თბილისში მეფისნაცვლად ათწლიანი ვოფნის მანძილზე, საერთოდ არ ეძებნება ანალოგი მსოფლიო კოლონიალიზმის ისტორიაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მისმა მოღვაწეობამ შექმნა ნიადაგი ილიასა და მისი თაობის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად. ჩვენში კი მოდად იქცა ამ დიდებული პიროვნების ლანძღვა.

მ. ვორონცოვმა დააარსა თბილისში რუსული თეატრი (1845 წ.), იტალიური ოპერა (1851 წ.) და აღადგინა ქართული თეატრი (1852 წ.), დააარსა საჯარო ბიბლიოთეკა (1846 წ.), წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი (1847 წ.), მუზეუმი (1859 წ.), ბოტანიკური ბაღი (1845 წ.), მისი ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „კავკაზი“ (1846 წ.) და ქართული ჟურნალი „ცისკარი“ (1852 წ.), ყოველმხრივ უწყობდა ხელს ქართველი ახალგაზრდების გამგზავრებას რუსეთის უნივერსიტეტებში, ვორონცოვის წყალობით, კეთილშობილური წარმომავლობა (თავად-აზნაურობა) საბუთების წარმოუდგენლად დაუმტკიცდა მრავალ პირს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა გამო სათანადო საბუთი არ გააჩნდათ (მათ შორის იყო ილიას მამა გრიგოლ ჭავჭავაძე). ამის შედეგად, იმპერიის არცერთ ერს არ ჰყავდა თავად-აზნაურთა ისეთი მაღალი პროცენტი, როგორც ქართველებს, იმპერიაში არსებული ორას ორმოცი კეთილშობილური წარმომავლობის გვარიდან ქართული იყო ოთხმოცდათვრამეტი!.. ქართველი ერის წინაშე დამსახურება სხვაც კიდევ ბევრი აქვს ამ დიდ ლიბერალს (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) და ჰუმანისტს — დეკაბრისტებისა და ტურგენევის მეგობარს, პეტერბურგის აკადემიის საპატიო წევრს, კაცს, რომელმაც ჯერ კიდევ 1820 წელს შექმნა ყმათა განმათავისუფლებელი ორგანიზაცია.

ამიტომ ნუ ვიქნებით უმადურნი. მით უმეტეს, რომ თვითონ ხალხს, ქართველ ხალხს არ ავიწყდება გრაფი ვორონცოვი. მის მიერ აგებული, მისივე სახელობის ხიდის ადგილას აგებულ ახალ ხიდსაც „ვორონცოვს“ ეძახიან, თუმცა ოფიციალურად ახალი ხიდი სხვისი სახელობისაა (რაც, ვფიქრობ, უნდა გასწორდეს და აღდგეს ძველი სახელწოდება).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, თვალსაჩინოა, რატომ აფასებდნენ დადებითად ერეკლეს ნაბიჯს დიდი ქართველები: საქართველოს მამინ სუვერენულად არსებობის ძალა არ გააჩნდა, რუსეთის მფარველობის ქვეშ ერმა ჭრილობები მოიშუშა, გაერთიანდა, გამრავლდა, აღორძინა კულტურა... ქართველები ცუდსაც ხედავდნენ: ავტონომიაზე უარის თქმას, ენის გამუდმებულ შევიწროებას, ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის წართმევას. მაგრამ ესმოდან, რომ ამ თვალსაზრისით, სხვა იმპერიებში კიდევ უფრო უარესი ვითარება იყო. ამასთან, ისიც ესმოდან, რომ XIX

საუკუნისთვის აბსოლუტურად უცხო იყო პოლიტიკური ალტრუიზმი — ძლიერის მიერ სუსტის სრულიად უანგაროდ გადარჩენა.

ყოველივე ამის გაცნობიერებამ გაუერთგულა ქართველები რუსთ ხელმწიფეს. ამიტომ ღვრიდნენ სისხლს იმპერიისთვის. ამიტომ ოცნებობდა ნ. ბარათაშვილიც სამხედრო კარიერაზე, მიუხედავად თავისი ინვალიდობისა.

ხოლო თავისუფალ, დამოუკიდებელ, სუვერენულ საქართველოზე ოცნება, ორიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის აღდგენა გულში ჰქონდათ დამარხული. ამ ოცნების ახდენის გეგმა ილიამ შეიმუშავა: ჯერ ერის გამოფხიზლება, განათლება, გამდიდრება, რეალური კულტურული ავტონომიის მიღწევა. შემდეგ პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა და ბოლოს სრული სუვერენიტეტი. ოღონდ ამ შემთხვევაშიც, ილიას გეგმით, საქართველო უმჭიდროვესად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული რუსეთთან, ყოველმხრივ უნდა გაეთვალისწინებინა ამ შესახებ ყოველი ინტერესები.

IV ვინ დაგვიპყრო?

ზემოთ უკვე დავასაბუთეთ, რომ ვესტერნიზმები ყირამალა აყენებდნენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პირველი ოთხი საუკუნის ისტორიულ ფაქტებსაც და ამ ფაქტთა ლოგიკასაც. ამჯერად კი დავრწმუნდებით, რომ ზუსტად ასეთივეა მათი მიდგომა XX საუკუნის ისტორიული სინამდვილისადმიც: რუსეთმა 1921 წელს დაგვიპყრო, როგორც ოდესღაც გვიპყრობდნენ სპარსნი, არაბნი, თურქნი, მონღოლნი, მაგრამ რუსთა უღელი ყველაზე მძიმე იყო ...მათ პირწმინდად გაანადგურეს ჩვენი მატერიალური და სულიერი ყოფა, გათელეს კულტურა... ამგვარია უმოკლესად ვესტერნიზმების ხედვა საქართველო-რუსეთის ურთიერთობისა XX საუკუნეში, მე კი, ჩემი მხრივ, ფაქტებს შემოვთავაზებთ.

1918 წელს, ამიერკავკასიიდან რუსის ჯარის გასვლისა და საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად დე-ფაქტო გახდომის შემდეგ, ჩატარდა ჩვენს ისტორიაში პირველი საყოვეთაო დემოკრატიული არჩევნები. გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიულმა (მენშევიკთა) პარტიამ. მან მოიპოვა ხმათა დაახლოებით 92 პროცენტი. მენშევიკთა ლიდერი ნოე ჟორდანიას გახდა მთავრობის თავმჯდომარე, ანუ ქვეყნის მეთაური. ასეთი ტრიუმფით მოვიდა ხელისუფლების სათავეში პარტია, რომელიც მანამდე (1918 წლამდე) თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გააფთრებით ებრძოდა აბსოლუტურად ყოველგვარ გამოვლინებას საქართველოს თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა, სუვერენიტეტისა. ჟორდანიას წლების მანძილზე ეპაექრებოდა სოციალ-ფედერალისტთა მთავარ იდეოლოგ არ-

ჩილ ჯორჯაძეს, რომელიც ილიას შემდგომი თაობის ერთ-ერთ ყველაზე პატრიოტ პოლიტიკურ მოაზროვნედ მიიჩნევა და რომელიც მოითხოვდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის სახით შესვლას რუსეთის განახლებულ სახელმწიფოში. ნ. ჟორდანიას კი კატეგორიულად უარყოფდა არა მხოლოდ პოლიტიკურ ავტონომიას, არამედ თვით კულტურული ავტონომიის საჭიროებასაც — საქართველო უნდა ყოფილიყო რუსეთის ჩვეულებრივი გუბერნია!

არ. ჯორჯაძისა და ნ. ჟორდანიას პოლემიკა შეეხო საქართველოს საზღვრების საკითხსაც, ანუ არკვევდნენ, რა ტერიტორიებით უნდა შესულიყო საქართველოს ავტონომია ან ქართველებით დასახლებული გუბერნია რუსეთის შემადგენლობაში. ნ. ჟორდანიას აცხადებდა, რომ მხოლოდ იმ ტერიტორიებით, რომელთა მოსახლეობაც იყო პირწმინდად ქართული, ხოლო ის ძველთაძველი ქართული მიწები, რომლებზეც სხვა ერთა წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ, ან მით უმეტეს, უმრავლესობას შეადგენდნენ, უნდა გადასცემოდა მეზობელ ქვეყნებს. არ. ჯორჯაძის აზრით კი, საქართველოს უნდა ჩამოსცილებოდა მხოლოდ ის ქართული მიწები, სადაც ქართველები უმცირესობას წარმოადგენდნენ.

XIX საუკუნის დამდეგს ნ. ჟორდანიას ვაჟა-ფშაველასაც დაუპირისპირდა. გენიალური პოეტი ქართველ მთიელთა ინტერესებისთვის იბრძოდა. იგი ახსენებდა თანამედროვეებს, რომ ისტორიულად მთის ნამატი მოსახლეობა ჩამოდიოდა ბარად და იკავებდა მტერთა გამუდმებული შემოტევებისაგან ამოწყვეტილ ბარის მკვიდრთა ნასახლარებს. ეს იყო საქართველოს არსებობის ელექსირი. მაგრამ XIX საუკუნეში ბარად ხალხის ჟლეტა შეწყდა, მთაში კი იმდენად გამრავლდა მოსახლეობა, რომ შიმშილობამ იფეთქა. ვაჟამ თავად მოიპოვა თავისუფალი საფარგულები აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ მას წინ გადაეღობა ნ. ჟორდანიას თავისი პარტიით, — ამ მიწებზე მთიელთა ჩამოსახლებას არ დაუშვებთ, რადგან აქ რუსები უნდა ჩამოვასახლოთ ქართველ გლეხთა რევოლუციური სულისკვეთების ასამაღლებლად და ხალხთა შერწყმის მარქსისტული (სინამდვილეში, ფსევდო-მარქსისტული) იდეალის განსახორციელებლად.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სუვერენიტეტის დეკლარირების დღეს, ნ. ჟორდანიას და მისი მარჯვენა ხელი, განთქმული ორატორი და დემაგოგი ირაკლი (კაკი) წერეთელიც, აგრეთვე სხვა მენშევიკებიც გულამოსკვნილნი ტიროდნენ, — იძულებულნი ვართ, საქართველო რუსეთს მოვწყვიტოთ, რადგან იქ საზინდარმა ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ძალაუფლება ხელთ. მაგრამ არაუშავსო, დაემხობიან ბოლშევიკები და ჩვენი ქვეყანა კიდევ იქნება რუსეთის გუბერნიაო.


აი, ამ პარტიას მისცა ხმა ამომრჩეველმა, თანაც 92 პროცენტმა!

ახლა ვნახოთ, რასა იქმნა იმავე პარტიის მეორე ფრთა ...ბოლშევი-

კური. მათ არასოდეს დაუმალავთ, რომ საქართველოს მომავალს მხოლოდ რუსეთთან კავშირში ხედავდნენ. ერთმა ქართველმა კრემლიდან მეორე ქართველს გამოუგზავნა რუსული ასოებით დაწერილი ქართული ორი სიტყვა: „აიგე კალაკი!“ იმ მეორემაც იმწამს დაძრა თბილისისკენ მეურთმეტე არმია, რომლის პირადი შემადგენლობის ნახევარი (მეტი თუ არა!) ქართველებით იყო დაკომპლექტებული.

მაშ ასე, თავისუფალ არჩევნებში ხალხის 92 პროცენტი ხმას აძლევს პარტიას, რომელიც საქართველოს რუსეთის გუბერნიად გახდომისთვის იბრძვის, რომელიც ითხოვს ტერიტორიათა ნახევარზე მეტის გასხვისებას, ხოლო დანარჩენ ტერიტორიებზე რუსთა ჩამოსახლებას ქართველების სრული ასიმილირებისთვის. იმავე პარტიის მეორე ფრთის ლიდერი იძლევა განკარგულებას თბილისის აღებისა და სანახევროდ ქართველთაგან შემდგარი არმია ქართველის სარდლობით ასრულებს ბრძანებას (სხვათა შორის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისთვის მებრძოლმა ერთადერთმა პარტიამ, ეროვნულ-დემოკრატიულმა, პარლამენტში ერთადერთი დეპუტატის გაყვანა შეძლო).

მკითხველმა თავად განსაჯოს, რამდენად შეიძლება ასეთ ვითარებაში საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობაზე ლაპარაკი. მე კი ერთს განვაცხადებ კატეგორიულად. ეს დაპყრობა ნამდვილად არ იყო სპარსული, არაბული, თურქული, მონღოლური და ამერიკული დაპყრობის დარი!



ნოდარ ლომოური

მოკრაკლავული მოგონებები

დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა პოლიტიკურ დაპირისპირებათა ასპარეზადაა ქცეული და მისი ძირძველი მხარეები ოკუპირებულია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის სულიერების აღორძინებას. ამჟამად ჩვენ ამ მხრივ ამკარა წარმატებების მოწმენი ვართ: გამოფხიზლდა ახალგაზრდა თაობა, ერის სადავები საიმედო ადამიანის ხელში აღმოჩნდა. შემდგომი მოსალოდნელი სიმწელების დაძლევის, ერის ცხოვრების რეალური გაუმჯობესებისთვის ბრძოლაში უდიდესი როლი ენიჭება ჩვენი ერის საიმედო მოძღვარს, **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II.**

მე ღმერთმა უდიდესი პატივი და ბედნიერება მარჯუნა, რომ მისი უწმიდესობა ძალზე დიდი ხნის წინ გამეცნო და მასთან საკმაოდ ახლო ურთიერთობაც მქონოდა. ამის შესახებ ადრეც დამიწერია, მაგრამ დღეს კვლავ მინდა გავიხსენო ის უბედნიერესი და საამაყო წუთები, საათები და დღეები. ვფიქრობ, ჩვენი ახალგაზრდა თაობებისთვის არ იქნება ზედმეტი ამის გაცნობა. მე კი კიდევ ერთხელ ქელს მოვიხრი მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის წინაშე.

* * *

1966 წელი იყო. იმ ზაფხულს კლასურის ტურბაზაში ვისვენებდი; წავედი ბიჭვინთაში, სადაც კოლეგები და მეგობრები არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ; გაგრიდან სოხუმში საგარეუბნო მატარებლით ვბრუნდებოდი; ვაგონში ავედი, ხალვათობა იყო, ფანჯარასთან ერთ-ერთ სკამზე მოვთავსდი, რაღაც ბროშურას თუ გაზეთს ვკითხულობდი; ვიგრძენი, რომ ჩემ წინ სკამზე ვიღაც დაჯდა; თავი ავწიე და განვცვიფრდი; ჩემ წინ იჯდა სასულიერო პირი, სრულიად ახალგაზრდა, მეტად სანდომიანი სახისა. ასეთი ახალგაზრდები მაშინდელ სამღვდელთაგანში დიდ იშვიათობას წარმოადგენდნენ, მით უფრო ასეთი დახვეწილი, ინტელიგენტური იერისა. აღარ მახსოვს როგორ, მაგრამ ჩვენ შორის საუბარი გაიბა და კიდევ ერთხელ განვცვიფრდი...

მკრეხელობად ნუ ჩამითვლით, მაგრამ ჩვენ არ ვიყავით შეჩვეულნი სამღვდელთაგანის წარმომადგენელთა განათლებულობას (მცირე გამონაკლისის გარდა), ჩემი თანამგზავრი კი გათვითცნობიერებული მელაპარაკებოდა ბიჭვინთის გათხრებზე, იქ აღმოჩენილ ძეგლებზე... მერე, როცა გაიგო, რომ

ისტორიკოსი ვიყავი და თანაც ბიზანტინოლოგიის დარგში ვმუშაობდი, აუარებელი კითხვა დამისვა და ამითაც კვლავ გამოჩნდა მისი საფუძვლიანი განათლება. ვერ მოვითმინე და ვკითხე: „ასეთი ახალგაზრდა და განათლებული, სასულიერო პირი რატომ გახდით?“ ღიმილით მიპასუხა: „განათლება მოსკოვის სასულიერო აკადემიაში მივიღე, ამასთან, ბავშვობიდანვე ოჯახში ვკითხულობდი ივანე ჯავახიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს, კალისტრატე ცინცაძეს, მოსკოვში გავეცანი უსპენსკის შრომებს, შინ მაქვს სიმონ ყაუხჩიშვილის „გეორგია“... რაც შეეხება ჩემ მიერ არჩეულ გზას, მე მწამს, რომ ერს უნდა ჰყავდეს ახალგაზრდა, განათლებული სამღვდელეობა, რომელიც მის სულიერ ცხოვრებას საძირკველს აუშენებს“.

ცხადია, ჩვენი საუბარი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ საშუალოდ ჩამრჩა გონებაში ეს სიტყვები — „საძირკველის აშენება“.¹ ამასობაში მე უკვე ვიცოდი, რომ ჩემ წინ იჯდა მეუფე ილია, ერისკაცობაში **ირაკლი შიოლაშვილი**, წარმოშობით ყაზბეგის რაიონიდან, იმჟამად ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმთავარი.

აი, ასე, სრულიად მოულოდნელად გავიცანი საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. იმხანად მე ვამბობდი ხოლმე — ღმერთი არ მწამს მეთქი და გონს რომ მოვსულიყავი, უფალმა ამ დიდებულ პიროვნებას შემახვედრა.

როდესაც თბილისში დაბრუნდი და მამას მოვუყევი ამ შეხვედრის შესახებ, ორივეს თითქმის ერთდროულად აღმოგვხდა: „მოგვევლინა მეორე კალისტრატე ცინცაძე!“ შემდეგ კარგა დიდხანს არ მქონია შემთხვევა მასთან შეხვედრისა.

საჭიროდ ვთვლი, გადავუხვიო მთავარ თემას და საგანგებოდ აღვნიშნო: აუცილებელია მოხდეს 1927-1952 წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის **კალისტრატე ცინცაძის** მოღვაწეობის გაშუქება, როგორც მასმედიაში, ისე სპეციალურ გამოკვლევაში. მე მქონდა პატვი, ბავშვობიდან შეხვედროდი მის უწმინდესობას, რადგან იგი ბრძანდებოდა ჩემი ოჯახის ახლობელი და ხშირად მობრძანდებოდა კიდევ ჩვენთან; მაქვს ზოგი რამ მოსაგონარიც. კალისტრატე ცინცაძე იყო ღირსეული წინამძღვარი ჩვენი ამჟამინდელი ერის სულიერი მამისა, მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ცხოვრების მრავალ დარგში და ახალმა თაობამ ამის შესახებ უნდა იცოდეს.²

დავუბრუნდეთ იმ თემას, რომლითაც ჩემი მოგონებები დავიწყე. რო-

¹ კელასურში რომ ჩავედი, მამიწვე ჩავიწერე ეს შეხვედრაც და ჩვენი საუბარიც.

² კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებობს ცნობილი მეცნიერის მიხეილ ქუთარაის მოკლე მიმოხილვა, რომელიც „ბოლოსიტყვის“ სახით აქვს დართული 1994 წ. გამოქვეყნებულ კალისტრატე ცინცაძის შრომას — „ქვაშეთის წმინდა გიორგის ეკლესია ტფილისში“, გვ. 263-271; მიუხედავად იმისა, რომ აქ სათანადო და სრულიად დამაჯერებელი შეფასება მისი ღვაწლისა, ეს არ კმარა, გასათვალისწინებელია 2008 წელს გამოსული ბაბო დადიანის „მოგონებათა დღიური“ (გვ. 48-50), სადაც მისი უწმიდესობის ღვაწლის სხვა მხარეცაა გაშუქებული.

გორც აღვნიშნე, ილია შიოლაშვილს დიდხანს აღარ შეხვედრივარ და ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის საშინელი ზეწოლა კომუნისტური რეჟიმისა, რომელიც ეკლესიასთან ყოველგვარ კონტაქტს გვიკრძალავდა. 60-იან წლების ბოლოს ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, პარტიულ-კომკავშირული ხელმძღვანელობის შემადგენლობა ამკარად გაუმჯობესდა და ამან გარკვეული გავლენა რელიგიისადმი დამოკიდებულებაზედაც მოახდინა. მართალია, ანტირელიგიური პროპაგანდა არ შემწყდარა, მაგრამ იგი უფრო ზერელე, ფორმალურ ხასიათს ატარებდა; აღარ ხდებოდა მორწმუნეთა რელიგიური განწყობების შებღალვა, ეკლესიის ცხოვრებაში რეპრესიული ჩარევა; ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მონაწილეობა დაიწყო საერთაშორისო ფორუმებში, საქართველოში ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის საეკლესიო დელეგაციები; მათთან შეხვედრებში ჩვენც — პარტიის წევრი მეცნიერებიც კი ვმონაწილეობდით. მახსოვს, 1973 წ. პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი და მისი თანამშრომლები (ბიზანტინისტი) დავესწარი „გოლიქსის“ შენობაში³ საგანგებო ბანკეტზე ბერძენი სამღვდელოების მიღებას. სწორედ ამ მიღებაზე მე კვლავ შევხვდი ილია შიოლაშვილს. იგი თვითონ მოვიდა ჩემთან და მომიკითხა. გავისხენეთ ჩვენი პირველი შეხვედრა მატარებელში, მეუფე ძალიან კმაყოფილი ჩანდა იმ დროის საქართველოში რელიგიის მიმართ პოლიტიკის შერბილებით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენზე — პარტიის წევრებზე ერთგვარ ზეწოლას მაინც ჰქონდა ადგილი, კერძოდ, რელიგიის საქმეთა საკავშირო კომიტეტის საქართველოს განყოფილების და ცალკეულ პარტიულ კომიტეტთა მხრიდან. მახსოვს, მე კინალამ პარტიიდან გამრიცხეს იმის გამო, რომ ერთ-ერთ სუფრაზე თამალობისას „ყოვლადწმინდას“ სადღეგრძელო შევსვი. მაგრამ 1974 წლიდან ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდა, როდესაც ზემოაღნიშნული საკავშირო კომიტეტის საქართველოს განყოფილების თავმჯდომარედ დაინიშნა ჩემი ბავშვობის მეგობარი **თენგიზ ონოფრიშვილი**.⁴ თ. ონოფრიშვილმა დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი, 60-იანი წლების დასაწყისში დაბრუნდა საქართველოში, მსახურობდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ორგანოებში („გოლიქსში“, გაზეთების „ზარია ვოსტოკას“, „კომუნისტის“ რედაქციაში), ხოლო 1974 წ. მას ჩვენთან რელიგიის საქმეთა კოორდინირება ჩააბარეს. მახსოვს, მან მთხოვა მასთან მისვლა და მითხრა: მე რელიგიის საქმეებში ნაკლებად ვერკვევიო და შენ, როგორც ბიზანტინისტი, უნდა დამეხმარო. ამით აიხსნება, რომ ამ დროიდან საკმაოდ აქტიურად აღმოვჩნდი ჩართული საქართველოში რელიგიის პრობლემების მოგვარების პოცესებში,

³ „გოლიქსი“ — „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საზოგადოება“; რუსული სახელწოდების შემოკლება — ГОКС, ГОДИКС.

⁴ თენგიზ ონოფრიშვილი ჩემი ტოლი იყო (1926 წ. დაბადებული), მას მამა (დავითი) ძალიან ადრე გარდაეცვალა, ხოლო დედამისი, ნატალია ზენკო დედაჩემის ძალიან ახლო მეგობარი იყო.

და აი, ამ სარბიელზე კვლავ მომიხდა მეუფე ილიასთან შეხვედრა და ერთგვარი თანამშრომლობაც. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ თვალს ვადევნებდით და ერთგვარად ხელს ვუწყობდით არა მარტო მართლმადიდებლური ეკლესიის მოღვაწეობას, არამედ სხვა კონფესიის (კათოლიკეების, ბაპტიისტების, ევანგელისტების) მიმდევრებთან თანამშრომლობასთან და ილია შიოლაშვილი ჩვენს ამ საქმიანობას გაგებითა და მხარდაჭერით ხვდებოდა. არ შეიძლება არ აღვნიშნოს, რომ თენგიზის გადმოცემას დიდად უწყობდა ხელს იმ დროს უკვე საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი ედ. შვეარდნაძე.

1977 წლის მიწურულს, კათოლიკოს დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ თვით ეკლესიაშიაც მას სერიოზული კონკურენტები ჰყავდა და ოფიციალური ორგანოების ზოგიერთი წარმომადგენელი და დისიდენტური მოძრაობის ზოგიერთი ლიდერიც მისი კათოლიკოსად არჩევის წინააღმდეგი იყო, წმ. სინოდმა მაინც საქართველოს ეკლესიის ახალ საჭეთმპყრობელად ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი აირჩია.⁵ ამ პროცესშიაც თ. ონოფრიშვილის წვლილი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

1977 წლის 23 დეკემბერს თენგიზმა მომიტანა საგანგებო მოსაწვევი, 25 დეკემბერს, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ილია II-ის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების ცერემონიაზე დასასწრებად, ჩემზე ბედნიერი იმ დროს არავინ მეგონა! ტაძარში მყოფს ყველაფერი დამაფიქვდა — ისიც, რომ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება სუფევდა და ისიც, რომ პარტიის წევრი ვიყავი; რაღაც საოცარი ძალით ამიტაცა სიამაყემ, სიხარულმა... სვეტიცხოვლიდან თბილისში დავბრუნდით. საგანგებო ბანკეტი დღევანდელი რესპუბლიკის მოედნის ქვეშ არსებულ რესტორანში იყო. საერთაგან სხვა არავინ მახსოვს (ონოფრიშვილი არ წამოვიდა), გარდა ჩემი ძველი მეგობრისა, ცნობილი ეთნოგრაფის კოტე ჩოლოყაშვილისა... მთავარი, რამაც განსაკუთრებით ამაღელვა, იყო ის, რომ აქ პირველად გავიგონეთ ასეთი გამოთქმა: „სრულიად საქართველო“ — „სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესია“, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“. საბჭოთა წყობილების პირობებში ეს ტერმინი, ცხადია არ იხმარებოდა თანამედროვე საქართველოს მიმართ. გადავხედეთ ერთმანეთს მე და კოტემ. მივხვდი, რომ ამ გამოთქმამ ისიც ააღელვა. „სრულიად საქართველო“ თითქმის ისე ჟღერდა, როგორც „თავისუფალი საქართველო!“

დამთავრდა საზეიმო სუფრა, მოწიწებით გამოვეთხოვეთ მის უწმიდესობას და გამოვედით. დღევანდელი სასტუმრო „ივერიის“ წინ მაშინ ოვალური ფორმის კაფე იყო („მეტრო“)... თითქოს წინასწარ ვიყავით შეთანხმებული, მე და კოტე პირდაპირ იქ შევედით... მოგვიტანეს ღვინო და რაღაც

⁵ ილია შიოლაშვილის არჩევის წინააღმდეგ საკმაოდ აქტიურად გამოდიოდა ე. წ. „პელსინკის კავშირის“ მეთაური ზვიად გამსახურდია. ჩვენამდე ისეთი ხმაც მოვიდა, რომ იგი თვითონ აცხადებდა სურვილს, ეკლესიის კათოლიკოსი გამხდარიყო.

მისატანებელი. ფეხზე ავდექით და ორივემ საკმაოდ ხმამაღლა ვთქვი: „სრულიად საქართველოს გაუმარჯოს!“ მეორე ჭიქაზე — „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს გაუმარჯოს!“, მესამე ჭიქაზე — „სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიას გაუმარჯოს!“ და წამოვედით; სხვა სადღვერძელს წარმოთქმა არც ერთს არ შეგვეძლო!

ჩემდა საბედნიეროდ, მის უწმიდესობასა და უნეტარესობასთან ჩემი ურთიერთობის შესახებ ბევრი რამ მაქვს მოსაგონებელი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მათვალა მისი მაღალი განათლება, დიდი ინტელექტი, ნებისმიერი რანგის ადამიანებთან ურთიერთობის უნარი. მაგრამ მთავარი, რაც ჩემთვის გამორჩეულად გასახსენებელია, ესაა ჩემი მონაწილეობა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლაში.

როგორც ცნობილია, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ქართულ ეკლესიას მართავდა რუსი ეპარქოსი. მართალია, 1917 წ. ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია აღადგინა, ხოლო 1943 წ., მისი უწმიდესობის კალისტრატე ცინცაძის მრავალწლიანი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, რუსეთის ეკლესიამ ცნო საქართველოს ეკლესიის თავისთავადობა,⁶ მაგრამ 70-იანი წლების ბოლოს ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კონსტანტინოპოლის ანუ მსოფლიო საპატრიარქო არ სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ილია II, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად არჩევის შემდეგ, აქტიურად იბრძვის ქართული ეკლესიის ისტორიულად დადასტურებული სტატუსის აღდგენისათვის.

1984 წ. მე თენგიზ ონოფრიშვილმა მთხოვა სათანადო მეცნიერული დასაბუთება ჩამომეყალიბებინა ამ პრობლემაზე. მე იმ დროს ამ საკითხზე ვმუშაობდი, უკვე მქონდა საკუთარი მეცნიერული კონცეფცია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის შესახებ.⁷ ამიტომ სულ ორ დღეში ჩემი კვლევის შედეგები მივაწოდე თენგიზს და მან მალე მაცნობა, რომ იგი გადასცა მის უწმიდესობას. შემდეგ ჩვენ მოგვიდიოდა ცნობები, რომ მისი უწმიდესობა განაგრძობდა ბრძოლას ქართული ეკლესიის კუთვნილი სტატუსის აღდგენისათვის.

სამწუხაროდ, 1987 წ. თენგიზ ონოფრიშვილი გარდაიცვალა და მე ცოტა ხნით გამოვეთიე ეკლესიის პრობლემებს, მაგრამ 1988 წლის თებერვალში შემატყობინეს, რომ მისი უწმიდესობა მთხოვს, მივიღე საპატრიარქოში კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ გამოგზავნილ დელეგაციასთან შესახვედრად. დათქმულ დროს ვეახელი მის უწმიდესობას საპატრიარქოში; იქ დამხვდა პროფ. **ზაზა ალექსიძე**, ხოლო მთარგმნელის მოვალეობას

⁶ იხ. მიხ. ქავთარიას „ბოლოსიტყვა“ კალ. ცინცაძის ზემოდასახელებულ გამოცემაში, გვ. 263-271.

⁷ 1989 წ. ეს პრობლემა და მასზე ჩემი შეხედულება გამოაქვეყნე ნაშრომში: „საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში“, გვ. 48-60.

ასრულებდა ჩემი თანამშრომელი ბიზანტინოლოგიის განყოფილებიდან, ახალი ბერძნული ენის მცოდნე **თამარ მესხი**.

კონსტანტინოპოლიდან ჩამოსული დელეგაცია შედგებოდა ხუთი მღვდელმთავრისაგან, რომელთაც ხელმძღვანელობდა მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი. აღსანიშნავია, რომ დელეგაციის ხუთივე წევრს, გარდა მაღალი საეკლესიო წოდებისა, ღმრთისმეტყველების მეცნიერებათა დოქტორის ხარისხიც ჰქონდა. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ დელეგაციას ჩამოტანილი ჰქონდა უკვე ხელმოწერილი სიგელები, რომლითაც ჩვენ ეკლესიისთვის ავტოკეფალიის, ხოლო მისი მესაჭისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭება დასტურდებოდა. ამ სიგელების ჩამოტანა ნიშნავდა, რომ მსოფლიო პატრიარქი და უწმიდესი სინოდი ბოლოს და ბოლოს დათანხმდნენ, ეცნოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო ჩვენი კათოლიკოსისთვის — პატრიარქის ტიტული, ოღონდ იმ დღიდან, როცა მათ ხელი მოწერიებოდა. ერთი შეხედვით, რისთვისაც ვიბრძოდით, თითქოს მიღწეული ჩანდა, მაგრამ ეს სიგელები ჩვენთვის სრულიად მიუღებელი იყო, რადგან ისინი ჩვენი ეკლესიის ისტორიას აყალბებდნენ. საქმე ისაა, რომ თუ ჩვენ დავთანხმდებით შემოთავაზებულ ვარიანტს, საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის უკანასკნელ, მე-15 ადგილზე აღმოჩნდებოდა და არა ისტორიულად მისთვის კუთვნილ მეექვსე ადგილზე.⁸ ამიტომ აუცილებელი იყო, რომ მსოფლიო პატრიარქს და შესაბამისად მართლმადიდებლურ ეკლესიებსაც ეცნოთ საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი, V ს-ში აღიარებული ავტოკეფალიის აღდგენა და არა მისთვის ამ სტატუსის ამჟამად მინიჭება. მისმა უწმიდესობამ კამათის დაწყებამდე ზაზა ალექსიძე და მე ცალკე გაგვიყვანა და დაგვმოძღვრა, რომ რაც შეიძლება შეურიგებლად შევხვედროდით მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსის შემოთავაზებულ წინადადებას.

დაიწყო კამათი და იგი მეტად დაძაბულად და ზოგჯერ მკაცრად მიმდინარეობდა. აღვნიშნავ ორ მომენტს: 1) როდესაც მე ოპონენტებს ცნობები მოუყვანე „მოქცევა ქართლისაჲ“-დან, ერთ-ერთმა ერთგვარი ირონიით მითხრა: „ეს ხომ ჰაგიოგრაფიული თხზულებაა და არგუმენტად ვერ გამოდგება“. მე იქვე მიუხედავად: „განცვიფრებული ვარ, რომ მე საბჭოთა მეცნიერი, კომუნისტი, ჰაგიოგრაფიის ცნობებზე დაყრდნობას შესაძლებლად ვთვლი, ხოლო თქვენ, მაღალი რანგის საეკლესიო პირი, ჰაგიოგრაფიის მონაცემებს არასანდოდ მიიჩნევთ, ასე ხომ სახარებაც შეიძლება უარვეყოთ!“ ჩემი მოკამათე დაიბნა, საკმაოდ ნირშეცვლილმა დახარა თავი. გავხედე მის უწმიდესობას, მას სახეზე კმაყოფილება ეჩატა. 2) როცა აშკა-

⁸ წესით ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა მე-5 ადგილი, მაგრამ კალისტრატე ცინცაძის მეცადინეობით მიღწეული შედეგი, რუსეთის ეკლესიის მიერ ცნობა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა, გაფორმდა იმ პირობით, რომ აღიარებულ იქნა მოსკოვის საპატრიარქოს უპირატესობა. იმ დროს ამაზე არდათანხმება შეუძლებელი იყო.


რა გახდა, რომ დისკუსია შედეგს ვერ მოიტანდა, ავდექი, მივუბრუნდი მის უწმიდესობას და საკმაოდ მკვეთრად განვაცხადე: „ბატონო კათოლიკოსო, თქვენ თუ ამ საკითხს დათმობთ და უკან დაიხვეთ, იცოდეთ, რომ მთელი საზოგადოება, ქართველი ერი ამას არ გაპატიებთ!“ თვითვე ვიგრძენი, რომ ზედმეტი მომივიდა, ზაზასაც უკმაყოფილება შევატყვე... მაგრამ აი, საკვირველება! როცა სტუმრებმა დატოვეს ოთახი, მისი უწმიდესობა მომიბრუნდა, გადამეხვია, მაკოცა და აღელვებულმა მადლობა გადამიხადა: „თქვენ მომეცით დამატებითი საფუძველი, რათა მართო ეკლესიის სახელით კი არ ვილაპარაკო, არამედ ხალხის, ერის სახელით!“

დისკუსია ამ პრობლემაზე შემდგომაც გაგრძელდა. მისი უწმიდესობა მეტად შემართებული მონაწილეობდა დისკუსიებში, არც ერთხელ არ დაუხვევია უკან, არავითარ დათმობაზე არ წასულა. თითქმის სამწლიან ბრძოლაში მას ყოველთვის მხარში ედგნენ ქართველი მეცნიერები, ისეთი მაღალი რანგის სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ ელენე მეტრეველი, ბაბილინა ლომინაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ზაზა ალექსიძე და სხვები.

1990 წლის მარტში ჩვენი ეკლესიის მოთხოვნები ბოლოს და ბოლოს დაკმაყოფილდა, რის შესახებაც მართლმადიდებელ ეკლესიებს ოფიციალურად ეცნობათ სტამბულის (კონსტანტინოპოლის) მსოფლიოს სამიტზე. ქართული ეკლესიის, მე ვიტყვოდი, საერთოდ საქართველოს ამ გამარჯვებას ერი უდავოდ და უპირობოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს უნდა უმადლოდეს. მადლობა ღმერთს იმისთვის, რომ წილად მარგუნა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის გამართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე მეც ვყოფილიყავი. ამ მონაწილეობის შედეგი იყო მის უწმიდესობასთან ჩემი კიდევ უფრო დაახლოვება, ჩემი ჩაბმა რიგ საეკლესიო ღონისძიებებში, ჩემი შრომების გამოქვეყნება საპატრიარქოს ბეჭდვით ორგანოებში.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მე თავი მომაქვს. რა თქმა უნდა, არც უმაგისობაა. რა არის გასაკვირი იმაში, რომ კაცმა თავი მოიწონოს იმგვარ დიდებულ კათოლიკოს-პატრიარქთან უშუალო ნაცნობობით, როგორიც მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II ბრძანდება, რომლისგანაც მე ყოველთვის ვგრძნობდი თბილ დამოკიდებულებას, სულიერ შემწეობას და ყოველმხრივ მხარდაჭერას.

შევთხოვ უფალს, დიდხანს ამყოფოს ჩვენი ერის ნუგეშად და ქომაგად მისი უწმიდესობა და უნეტარესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. დღეს ერთ-ერთ ყველაზე რთულ ვითარებაში მყოფ ერს განსაკუთრებით სჭირდება ასეთი სულიერი მოძღვარი!



გულგაბათი რცხილად

სერბეთის ტრაგედია და საპარტიველო

დღეს საკმაოდ ხშირად გამოითქმის (მართებული) აზრი იმის შესახებ, რომ დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტი (2008 წლის თებერვალი) საქართველოსთვის, მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვეულობის გამო, მეტად ნეგატიური პრეცედენტია. რომ არ ელიარებინა კოსოვო დასავლეთის სახელმწიფოებს, რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არ აღიარებდა. თუმცა თავდაპირველად გასათვალისწინებელია ფაქტი, თუ რატომ იყო დასავლეთი, პირველ ყოვლისა კი, ამერიკის შეერთებული შტატები, ასე მოწადინებული, სერბეთისგან კოსოვო ჩამოეშორებინა. ამის ასახსნელი ფაქტორი საკმაოდ ბევრია, ყველას ვერ განვიხილავთ. ერთი ფაქტორია ბალკანური ნავთობსადენის მარშრუტის გაკონტროლება ბონდსტილის სამხედრო ბაზის საშუალებით.¹ მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია, რომ ამერიკაში საკმაოდ ძლიერი ალბანური ლობი მოღვაწეობს, და აშშ-ის მიერ კოსოვოელი ალბანელების უპირობო მხარდაჭერა ამ მომენტიდან მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმისგან დამოუკიდებლად, რომ სერბულ-ალბანურ კონფლიქტში სიმართლე სულაც არ დგას კოსოვოელი ალბანელების მხარეს.

„ი.წ.“ დიდი ალბანეთის“ აგიტაციას აშშ-ში ფაშისტური ხასიათის საწყისები აქვს. ნაციისტებთან თანამშრომლობაში მყოფმა კოლაბორაციონისტებმა 1949 წლიდან დაცვა და მხარდაჭერა შეერთებულ შტატებში ჰპოვეს. მათ შორის იყვნენ: ქსაფერ დევა (Xafer Deva) — კოსოვოში SS-ის მიერ მხარდაჭერილი ფაშისტური ჯარების ბოლო მეთაური, ჰასან დოსტი (Hasan Dosti), — ქუიზლინგის ალბანური მთავრობის იუსტიციის მინისტრი, ასევე მიდჰატ ფრასჩერი (Midhat Frascheri) — ნაციონალისტური ორგანიზაცია Balli Kombetar-ის ხელმძღვანელი, რომელიც ნაციისტებთან მჭიდროდ თანამშრომლობდა. ამ ადამიანებმა ამერიკაში ჩამოსვლისთანავე დააარსეს „ეროვნული კომიტეტი თავისუფალი ალბანეთისთვის“, რომელიც უხვად ფინანსდებოდა სი-აი-ვის მიერ. 1986 წელს ალბანურმა ლობიმ

¹ იხ. Chalmers Johnson, *The Sorrows of The Empire. Militarism, Secrecy and the End of Republic*. N.Y., 2003.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, როდესაც დიო გუარდისა (Dio Guardi) და შემდგომში საპრეზიდენტო კანდიდატ ბობ დოულის (Bob Dole)² მეცადინეობით კონგრესმა რეზოლუცია მიიღო იუგოსლავიაში მცხოვრებ ალბანელთა სასარგებლოდ. 1987 წელს დიო გუარდომ ახალი ძლიერი ლობისტური გაერთიანება Albanian-American Civic League (AACL) დააარსა, რომელმაც აშშ-ში კოსოვოს თემის მონოპოლიზება მოახდინა. სერბული ანალოგი ამ გაერთიანებას ამერიკაში არ ჰქონია“.³

1990-იან წლებში ამ ჯგუფის მიერ გაშლილი ანტი-სერბული კამპანია საკმაოდ მნიშვნელოვანი (თუნდაც არა ერთადერთი) ფაქტორი იყო აშშ-ის პოლიტიკის განსასაზღვრად კოსოვოს საკითხში. ალბანური ლობი ფულს არ იშურებდა გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსების მოსახყვიად. ჯერ კიდევ 1987 წელს ბობ დოულს საარჩევნო კამპანიაში ალბანელმა ლობისტებმა 1,2 მილიონი დოლარი გადაურიცხეს. ალბანელებმა ასევე დააფინანსეს რენომირებული პიარ-ფირმა Ruder Finn, რომელსაც საუკეთესო ურთიერთობები ჰქონდა აშშ ადმინისტრაციასთან და აგრეთვე მასმედია-სთან. ამ ფირმამ დიდი რეკლამა გაუწია „კოსოვას რესპუბლიკის“ (ალბანელები კოსოვოს უწოდებენ „კოსოვა“-ს) იდეას. უკვე 1992 წლისთვის აშშ მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოურენს იგლბერგერმა (Lawrence Eagleburger) შეუთვალა იუგოსლავიის ლიდერ მილოშევიჩს: „სერბების მიერ კოსოვოში გამოწვეული კონფლიქტის შემთხვევაში აშშ მზადყოფნას აცხადებს კოსოვოსა და სერბეთის ძირითად ნაწილში ძალის გამოსაყენებლად“.⁴ აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი მართლაც ზედმეტია.

ასე და ამგვარად იქცა სერბეთის ძირძველი ნაწილი — კოსოვო — ამერიკული იმპერიალიზმის საექსპერიმენტო ადგილად. სულ რამდენიმე წლის წინ ცნობილმა იტალიურმა გამომცემლობა Fratellini-მ გამოსცა შვეიცარიელი კარლა დელ პონტეს (Carla del Ponte), რომელიც 2007 წლის ბოლომდე ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალის ბრალმძებლის ფუნქციებს ასრულებდა, შემდეგ კი არგენტინაში შვეიცარიის ელჩად დაინიშნა, 412-გვერდიანი წიგნი სათაურით „ნადირობა: მე და სამხედრო დამნაშავენი“.⁵ ამის შესახებ გვატყობინებს „ნეზავისიმიანა გაზეტა — დიპკურიერი“.⁶ თავის დროზე დელ პონტე ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო სერბეთის დაბომბვისა (ნატომ საჰაერო ომი სერბეთის წინააღმდეგ გააჩაღა 1999 წლის

² 1996 წელს ბობ დოული უკვე პრეზიდენტი კლინტონის წინააღმდეგ წარდგა საპრეზიდენტო კანდიდატად რესპუბლიკური პარტიიდან, მაგრამ კლინტონმა მას დამაჯერებლად მოუგო. დოული, მას შემდეგ, რაც მას უმკურნალა ეროვნებით სომეხმა ექიმმა, განიმსჯვალა არმენოფილური განწყობებით, რასაც ღიად ადასტურებდა (გ.რ.).

³ შესაბამის სქოლიოებთან ერთად ეს ინფორმაციები იხ.: Matthias Küntzel, *Der Weg in den Krieg. Deutschland, die NATO und das Kosovo*. Berlin 2000, S.141-142.

⁴ იხ. იქვე, გვ.142.

⁵ Всеволод Гнетий, «Охота» Карлы дель Понте за военными преступниками. «НГ-Дипкурьер», 19 мая 2008г.

22 მარტს, რომელიც იმავე წლის მაისის ბოლომდე გრძელდებოდა) და დიდი წვლილი შეიტანა სლობოდან მილოშევიჩის ტრიბუნალისთვის გადაცემის საქმეში (2001 წლის ზაფხული), ისევე, როგორც სხვა, უპირატესად სერბი სამხედროების ექსტრადიციში. მაგრამ თავის წიგნში დელ პონტე ცდილობს, ობიექტურად გააანალიზოს წარსული და თვალნათლად წარმოუდგენს მკითხველს, თუ რაოდენ ტენდენციური იყო დასავლეთის მიდგომა საკითხისადმი — თუკი სერბულ მხარეს ტრიბუნალის მიერ დანდობის არანაირი იმედი არ დაუტოვებს, ნატოს, აშშ-ის თუ სხვა დასავლური სახელმწიფოების მხრიდან ჩადენილი ამკარა სამხედრო დანაშაულებები არა თუ დასჯილი, არამედ გამოუძიებელიც დარჩა. მეტიც, თვით ალბანელი ტერორისტები, „კოსოვას გათავისუფლების არმიის“ (UCK) გაერთიანებულნი, დელ პონტეს მიერ მრავალრიცხოვან მოწმეთა ჩვენებებისა, და ნაწილობრივ ნივთმტკიცებების საფუძველზეც, მხილებულ იქნენ ათულობით ადამიანის გატაცებაში, მათთვის ჯანსაღი ორგანოების (მაგ., თირკმელები და სხვ.) ამოკვეთაში, ამ ორგანოების ალბანეთის გავლით ევროპაში გაყიდვის მიზნით, მაგრამ გამოძიებას სერიოზული მსვლელობა არ მისცემია. ამერიკის მიერ ხელდაფარებული ალბანელი ტერორისტები, შემდგომში დასავლეთის მიერ ფავორიტებად აღიარებულნი, კოსოვოს პრემიერ-მინისტრის ჰაშიმ ტაჩის (Hashim Thaci) ჩათვლით, ხელშეუხებელნი აღმოჩნდნენ.

რასაკვირველია, ალბანელების მიერ ჩადენილ არაადამიანურ ქმედებათა ფონზე გასაკვირი აღარ არის, რომ ამერიკელი პილოტი, რომელმაც ბრძანება მიიღო სარკინიგზო ხიდის განადგურებაზე მაშინ, როდესაც იცოდა, რომ მანვე დააზიანა ხიდზე გამაფალი სამგზავრო მატარებელი, დაუსჯელი დარჩა. კიდევ ბევრ ასეთ ფაქტს ამხეურებს დელ პონტე, მათ შორის ისხეებს იმასაც, რომ მის მიერ ინიცირებული გამოძიებები ნატო-ს მიერ ჩადენილ დანაშაულებებთან დაკავშირებით მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა ამ ორგანიზაციაში, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ვაშინგტონში. ამერიკის კონგრესმა დელ პონტე მსგავსი მცდელობებისთვის გააკრიტიკა, ხოლო პენტაგონმა თავის მხრივ, დელ პონტესავე მოგონებების მიხედვით, იგი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. ასევე საინტერესოა — როდესაც ტრიბუნალის წინაშე სლობოდან მილოშევიჩმა ნატოს მაშინდელი მთავარსარდალი უესლი კლარკი (Wesley Clark) გამოიძახა მოწმედ და იგი თავისი შეკითხვებით რთულ ვითარებაში ჩააგდო, სასამართლოს თავმჯდომარემ, მოსამართლე რიჩარდ მეიმ (Richard May) მილოშევიჩს აუკრძალა ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვაზე დეტალური საუბარი. „ეს მთელი პროცესის განმავლობაში ერთადერთი მომენტი იყო, როდესაც მე მილოშევიჩის მხარეს ვიყავი“, აღიარებს დელ პონტე. მე კი დავძენ: ერთადერთი მომენტი იყო, მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანი მომენტი!

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მილოშევიჩმა ნატოს საკმაოდ ბევრ დანაშაულს ახადა ფარდა მის წინააღმდეგე გამართულ სასამართლო პროცესზე,

ჰააგაში. თავად მილოშევიჩს, რომელიც პროცესზე საკუთარ თავს თვითონვე იცავდა, იურიდიულად თითქმის არც ერთი ბრალდება არ დაუმტკიცდა პროცესზე.⁶ სერბეთის ყოფილი პრეზიდენტი ბრალდებულიდან ბრალმდებლად გადაიქცა. სწორედ ამ ეტაპზე, 2006 წლის 11 მარტს, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა ჰააგის საპატიმროში. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მილოშევიჩის პროცესის შესახებ ინფორმაციები პრესასა და ტელევიზიაში საკმაოდ მწირად გადიოდა (თუმცა სხდომის სტენოგრამები და ოქმები ინტერნეტში ქვეყნდებოდა, მაგრამ დროში გაწეილი პროცესის მუდმივად თვალყურის დევნება, მოსახლეობას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია და იგი დამოკიდებულია ჟურნალისტების მიერ მიწოდებულ ინფორმაციებზე), საზოგადოების ყურადღების გამაზვილება ხდებოდა ძირითადად ბრალდების მხარის პოზიციებზე. თუმცა მილოშევიჩმა მოასწრო თავისი დაცვითი გამოსვლების შეგროვება და გადაცემა წიგნად გამოშვების მიზნით. ინგლისურად ეს წიგნი 2006 წელსვე გამოვიდა: *Defense Speaks, For History and the Future*, by Slobodan Milosevic. ასევე გერმანულენოვანი ვარიანტი: *Slobodan Milosevic, Die Zerstörung Jugoslawiens. Slobodan Milosevic antwortet seinen Anklägern*.

სერბეთის ტრაგედია — უზარმაზარი სამხედრო ალიანსის მიერ მისი დაბომბვა, ინფრასტრუქტურის მოსპობა, მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვა, ძირძველი მიწის ოკუპაცია და ბოლოს, ამ ტერიტორიის „დამოუკიდებლად“ ცნობა — ამერიკული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და პირდაპირ ახდენს გავლენას საქართველოზე. მაგრამ საინტერესოა, რომ მაშინ, როდესაც სერბეთის მშვიდობიანი ქალაქები უმოწყალოდ იბომბებოდა ნატოს თვითმფრინავების მიერ, საქართველოში სხვაგვარი განწყობა სუფევდა (ჩვენდა სამარცხვინოდ). პოლიტიკოსების და პოლიტოლოგების ზეგავლენით, „უბრალო ადამიანების“ უმრავლესობა ეიფორიით იყო მოცული, აქაოდა, ნატომ კოსოვოში „რუსეთს დაარტყა“ და ამით მისი გავლენა შეამცირა, ხოლო აფხაზეთის და ცხინვალის დაბრუნების შანსები ჩვენთვის ახლა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ნატო და ამერიკა დაგვეხმარებიანო. მოვლენების რეალისტური შეფასება მხოლოდ კანტი-კუნტად ისმოდა:


„რუსული გავლენის შევიწროება მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე კოსოვოთი არ დაწყებულა. მაგრამ ამ ვითარებისგან აუცილებლად უნდა განვასხვავოთ რუსეთი, როგორც რეგიონული სახელმწიფო. გასათვალისწინებელია, რომ უშუალოდ თავის საზღვრებთან (მათ შორის, აფხაზეთში) მიმდინარე მოვლენებზე ამ სახელმწიფოს შეუდარებლად უფრო მწვავე რეაქცია ექნება, ვიდრე მან გამოამჟღავნა მისგან მინიმუმ ათას კილომეტრზე მოწყვეტილსა და იზოლირებულ, თუნდაც „ძმურ“ სლავურ იუგოსლავიასთან მიმართებით.

⁶ შედარებისთვის იხ. გერმანულ ჩივილის წიგნი: მილოშევიჩის პროცესი. დამკვირვებლის მოხსენება/Germinal Civikov, Der Milosevic-Prozess. Bericht eines Beobachters. „ProMedia“, 2006.

რუსეთი თავის მილიონორასათსიანი არმიით და ატომური შეიარაღებით ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევ ძალად რჩება. ეს, რა თქმა უნდა, მშვენიერად ესმის დასავლეთს. ახლა ჩვენ ვიკითხოთ: რამდენად მოწადინებული შეიძლება იყოს ამერიკა და ნატო რუსეთთან აფხაზეთის გამო ურთიერთობის გამწვავებით, როდესაც საკუთარი ძირითადი სტრატეგიული მიზანი — ნავთობით მდიდარ კასპიის ზღვასთან პირდაპირი კავშირის დამყარება — პრაქტიკულად უკვე განახორციელეს (არძინბა მილოშევიჩი არ არის და მათ ხელს ნამდვილად არაფერში უშლის). ამასთან დაკავშირებით, მგონი, არ ღირს ამერიკის სახელმწიფო მდინის თანაშემწის სესტანოვიჩის პასუხის დაეწევა ცქართველი ჟურნალისტის შეკითხვაზე, როდესაც მან კატეგორიულ ტონში მიუღებლად მიიჩნია კოსოვო და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის პარალელის გაღება — ერთადერთი მსგავსება ამ ორ კონფლიქტს შორის არის ის, რომ ორივეგან ლტოლვილთა რიცხვი დიდია... აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდესო. [...] როგორც ვხედავთ, ვითარება არც ისე მარტოვია და სახარბიელო“.⁷

მორალურ მხარეს რომ თავი დაგანებოთ, რომელიც გვაკლდებულებდა, ჯერ ერთი, ჩვენი ერთმორწმუნე ერისათვის — სერბეთისთვის დაგვეჭირა მხარი, რომელსაც ზუსტად იგივე პრობლემა (სეპარატიზმი) ჰქონდა, საქართველომ პოლიტიკური სიბეცე და ამერიკისადმი დაუფარავი სერვილიზმი გამოამჟღავნა (მართალია, საქართველოს მაინც არაფერი ეკითხებოდა ბალკანეთის ბედს, მაგრამ მით უმეტეს გაუგებარი იყო ქვეყანაში ატეხილი აჟიოტაჟი). დღეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კამათის საგანს აღარ წარმოადგენს ის მოსაზრება, რომ იუგოსლავიისთვის (შემდგომში — სერბეთისთვის) კოსოვოზე უფლების ჩამორთმევამ დასავლეთის მიერ, საკმარის უარყოფითად იმოქმედა ტერიტორიული პრობლემის დადებითად გადაწყვეტაზე საქართველოსათვის. თუმცა პრობლემის არსს მხოლოდ ტერიტორიული საკითხი არ წარმოადგენს. კოსოვოში განთავსებული ნატოს სამშვიდობო (იგივე საოკუპაციო) ჯარების ქმედებები, როდესაც ალბანელ ტერორისტებს საშუალება მიეცათ, მეთოდურად გაენადგურებინათ და შეებღალათ კოსოვოში მიმოფანტული მრავალი მართლმადიდებლური ტაძარი და მონასტერი, ნაწილობრივ ხსნის დასავლეთის მოტივებს, თუ რატომ აღმოუჩინეს იგი მხარდაჭერას ანტიმართლმადიდებლური მიმართულების ნებისმიერ ძალას სერბეთში, რუსეთში თუ საქართველოში. დასავლეთს ნაკლებად აღელვებს ცალკე აღებული საქართველო, ცალკე აღებული სერბეთი და თვით ცალკე აღებული რუსეთიც კი. დასავლეთს აღელვებს მართლმადიდებლობა, როგორც რწმენა და როგორც ევრაზიული იდენტობის საფუძველი.

⁷ გულგაბათი რცხილაძე, ბალკანეთის ომი და მისი შედეგები. „დილის გაზეთი“, 1999 წლის 1 ივლისი.



გოდნო არველაძე

სომეხი იმპერატორი მცხეთის სასაზღვროზე

ახლანან ბაქოში გამოვიდა ენციკლოპედიური ხასიათის საცნობარო კრებული „ფალსიფიკაციის დამანგრეველი“ (ტ. I, რუს. ენაზე), შემდგენელი და შესავლის ავტორია ფუად ახუნდოვი. შინაარსს რომ გავეცანი, ისევე ერთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ნათქვამი გამახსენდა, „სომეხებს ავადმყოფური ისტორიზმი სჭირთო“. ეს კრებული ამ აზრის კიდევ ერთი რეალური ნათელყოფაა. მასში თავმოყრილია საკმარის ვრცელი ამონარიდები იმ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომებიდან, რომლებშიც მხილებულია სომეხ მეცნიერთა მიერ ჩადენილი ფალსიფიკაცია და მეცნიერული თაღლითობანი. ეს კი მოიცავს ვრცელ პერიოდს, დაწყებული უძველესი ხანიდან — დღემდე.

ვიდრე სტატიის წერას შეუუღებოდი, ვიფიქრე, საინტერესოა, საიდან ან ვინ დაულო სათავე „სომეხურ ავადმყოფურ ისტორიზმს“-მეთქი. მივყვე და აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ მოგსეს ხორენაცის „სომეხეთის ისტორიაში“ (V) ეს სენი სრული სახით არის წარმოდგენილი. ეს კარგად შეუნიშნავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს გიორგი ჭეიშვილს: „სომეხთა პეროდოტემ (იგულისხმება მოგსეს ხორენაცი — ბ. ა.) ირანის ისტორია მოხერხებულად მთარგო მშობლიური სომეხეთის წარსულს და აქემენიდთა და სასანიდთა სამხედრო გამარჯვებები ჰაიკებსა და არშაკუნებს მიაწერა. თხრობა ირანულ სამყაროში გავრცელებული პოლიტიკური თეორიების მიხედვით გააწყო და მწყობრი კონცეფცია შექმნა, რომელიც აზიური სამყაროს ფრიად მნიშვნელოვან ნაწილზე — „სამყაროს მბრძანებელი“ პაოსიანების უფლებებს ასაბუთებს. რომაელთა შემოსვლამ მახლობელ აღმოსავლეთში, კოსმოკრატი „მეფეთა-მეფის“ ტიგრან II-ის სამეფოს ძალიან ძალე დაუსვა წერტილი. აგრეთვე, არტაშესიდებმა უარი თქვეს „მეფეთა-მეფეების“ ხმაურიან ტიტულზე, დაკარგეს ტერიტორიები და გავლენაც, დათმეს პოზიციები კავკასიაში, სადაც მათ ახალი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ იბერთა „მეფეთა-მეფეების“ სახით.“

როგორც ვხედავთ, სხვისი გამარჯვებების და მიწების მიტაცების სენი

¹ „საზღვრები, საზღვრების გარეშე“/ კრებ. „სამეცნიერო პარადიგმები“, თბ., 2009, გვ. 282-283.

სომეხ ისტორიკოსებს მოესეს ხორენაცმა შეყარა. ამ დაჯადების სიმპტომებია — ავადმყოფური ისტორიზმი, ეროვნული თვითგანდიდების მანია და „ველიკაია არმენიის“ აღდგენის მანიაკური ოცნება. საგალალოა, თანამედროვე სომეხ მეცნიერთა უმეტესი ნაწილი ამ სამარცხვინო სენისაგან ჯერ კიდევ ვერ განიკურნა და საქართველოს, და არა მარტო საქართველოს, ისტორიის და მიწების სომხურად გამოცხადების „მეცნიერულ“ პროპაგანდას უსირცხვილოდ ქევა.

ჰაერზე ნათქვამი რომ არ გამოვიდეს, მივმართოთ კრებულს, რომელშიც ევროპელ, ამერიკელ, რუს, ქართველ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ-ორ სომეხ მეცნიერსაც კი ხმა აუმაღლებია თანამემამულეთა მიერ ჩადენილი ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. დავიწყოთ მიტროპოლიტ ბართლომედან, რომელიც ელინური სიტყვიერების დოქტორს, პორფირე უსპენსკის წერდა: „მამა პორფირე, არ დაუჯეროთ სომეხთა საბუთებს, ისინი თაღლითები არიან, და ამზადებენ რაღაც ყალბ საბუთებს, დადებენ მიყრუებულ ან ნესტიან ადგილზე, რათა გაყვითლდნენ და ძველ საბუთებს დაემგვანონ“ (გვ. 71).

აკად. ი. ორბელმა, რომელიც მცხეთის ჯვარს გვედავებოდა, 1919 წელს პეტროგრადში გამოსცა წიგნი „განძასარაის წარწერები“ (ყარაბადი). შესავალში მკითხველს შეპირდა, „განძასარაის წარწერების“ რუსულ თარგმანს მეორე ტომში გამოაქვეყნებო. მან ეს წარწერები აღარ გამოსცა და ერმიტაჟში ჩაკეტა. კიდევ მეტი, ი. ორბელს გამოსული წიგნის მთელი ტირაჟი შეუძენია და გადაუმაღავს (გვ. 14). ეს ფაქტი თავისთავად მოწმობს, რომ სომეხი მეცნიერები ყველანაირი ხერხით ცდილობენ ალბანური კვალის წაშლას. აღარას ვამბობ იმაზე, რომ სომხურმა ეკლესიამ ალბანური მწერლობა ჯერ სომხურად თარგმნა, ხოლო შემდეგ მათი ორიგინალები მოსპო. ამიტომ, რომ მხოლოდ სომხურ ენაზე შემორჩენილი ალბანური წერილობითი ძეგლები. მაგ., მოესეს კალანკატუეცის „ალბანეთის ისტორია“ და სხვ.

ალბანური მწერლობის ხელქმნის ფაქტს რუსი სასულიერო პირებიც აღნიშნავენ: „სომეხი სასულიერო პირები ძველ სომხურ ენაზე თარგმნიდნენ ალბანური ლიტერატურის ძეგლებს და მათში შექპონდათ ცვლილებები, თვითნებურად ხელყოფდნენ“ (გვ. 24), — წერს ბერი ალექსი.

სომეხ მეზღაპრე მეცნიერთა ფანტაზიას რომ საზღვარი არ აქვს, ამის ერთ-ერთი ნიმუშია მესროპ-მამტოცის მიერ ვითომ ქართული ანბანის შექმნა. რა თქმა უნდა, ეს სერიოზულ მეცნიერებში ირონიულ ღიმილს იწვევს, რადგან „მესროპ-მამტოცმა ქართული ენა არ იცოდა, ამიტომ სრულიად გამორიცხულია მის მიერ ქართული ანბანის შექმნა“ (გვ. 40), — წერს აკად. თ. გამყრელიძე.

მცხეთის ჯვარის ტაძარზე სომეხ მეზღაპრე მეცნიერთა პრეტენზია ხომ ყოველგვარ ადამიანური და მეცნიერული ეთიკის ფარგლებს სცილდება: „შეიძლება წარმოიდგინო ქართულ-სომხური საეკლესიო საბოლოო განხ-

ეთიკების (608-609) შემდეგ, როცა სომხური ეკლესია მონოფიზიტური გახდა, ხოლო ქართული ეკლესია დიოფიზიტური მიმართულების, ქართლის ცენტრში აშენდა მცხეთის ჯვარის მონასტერი, რომლის პოსტამენტის ერთ მხარეს არის სომხური წარწერა და თანაც კუდმოჭრილი ტექსტით“ (გვ. 40), — წერს პროფ. ილია აბულაძე.

ეს სომხური წარწერა ნაკაწრია და მას ნაკლები მეცნიერული ღირებულება აქვს. ესეც რომ არ იყოს, მცხეთის ჯვარის ოდიტგან ქართულობა, ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა ეჭვმიუტანლად დაამტკიცეს, მაგრამ სომეხი მეზღაპრე მეცნიერები მაინც თავისას მიერეკებიან.

გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ფერნან ბროდელი მკითხველს საზოგადოებას აფრთხილებდა: „ნუ ენდობით სომეხების ზღაპრებს მიურატების შესახებ, თითქოს მათი ნამდვილი გვარია მურადიანი და იყვნენ — ყარაბაღიდან“, კავკასია (გვ. 52).

დღემდე მეგონა, სომეხებს პრეტენზია მიწების შესახებ მხოლოდ საქართველოსთან ჰქონდათ, მაგრამ აღმოჩნდა, ანალოგიური პრეტენზია რუსეთისთვისაც წაუყენებიათ. მათ ჩრდილოეთ კავკასია უძველეს სომხურ მიწად მიაჩნიათ და „ველიკაია არმენიის“ აღდგენას ელოდებიან.

აბა, მოუესმინოთ პროფ. ედ. ვოლოდინს: „ჩემ წინ მაგიდაზე დევს „ისტორიული ცნობარი“, გამოცემული „არცახის“ მიერ, სტეპანაკურტში 1992 წ. დაწერილია საკმაოდ ცნობილ ფ. ბელოვ-კოვედიაევის მიერ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მის გაგზავნამდე ცოტა ხნით ადრე. სამსახურეობრივი მოვალეობის გამო ვალდებული ვარ ფ. ბელოვ-კოვედიაევის ძირითადი პოლიტიკური დასკვნები წარმოვადგინო: „ჩრდილოეთ კავკასია, როსტოვის და არმაჯირის ჩათვლით არის უძველესი სომხური მიწები... ჩრდილოეთ კავკასიის როსტოვის და არმაჯირის მიწების ჭეშმარიტი, სრულყოფილებიანი პატრონები არიან სომეხები“, „რუსები და სხვა ეროვნების ხალხები, რომელნიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, არიან მოსულები, ლტოლვილები“. მათი მოთხოვნა კი ასეთია: „რუსებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩრდილო-კავკასია, როსტოვისა და არმაჯირის მიწები მის უძველეს მკვიდრებს, ან დათანხმდნენ იცხოვრონ იმ ტერიტორიაზე, რომელიც აუცილებლად შევა „ველიკაია არმენიას“ შემადგენლობაში“ (გვ. 65).

ამ შემთხვევაში სომეხმა შოვინისტ-ნაციონალისტებმა მათთვის ჩვეულ ხერხს მიმართეს და ჩრდილოეთ კავკასიაზე, როსტოვისა და არმაჯირის ტერიტორიებზე პრეტენზია გამოაცხადებინეს რუს ბელოვ-კოვედიაევს. თითქოს-და ჩვენ არაფერ შუაში ვართო. ისე, როგორც ეს გააკეთეს XIX ს-ში, როცა ფრანგ კუტუსლს დააწერინეს ფრანგულ პრესაში — კავკასიის ხალხებს შორის მომავალი მხოლოდ სომეხებს აქვთო. ქართველები, თათრები და სხვები უუნარონი არიან და გადაშენების გზაზე დგანანო. XX ს-ში კი რუს მეცნიერს, პროფ. ვ. ტოკარსკის დააწერინეს წიგნი „ძველი

სომხური არქიტექტურა“ (1946), რომელშიც მან ტაო-კლარჯეთის ქართული არქიტექტურული ძეგლები სომხურად გამოაცხადა.

ილია ჭავჭავაძემ თავის დროზე მომავლინებული პასუხი გასცა სომეხ მეზღაპრე მეცნიერებს ვრცელი ნარკვევით „ქვათა ღაღადი“ (1899). აკად. ს. ჯანაშიამ კი საქვეყნოდ სააშკარაოზე გამოიტანა პროფ. ტოკარსკის სუბიექტივიზმი, ტენდენციურობა და მეცნიერული ოიბაზობა წიგნში „ერთი ისტორიული სიმართლის დამახინჯების გამო“ (1947).

ისევ პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ. როგორც ჩანს, სომეხები როსტოვის და არმავირის „სომხური მიწების“ დაბრუნებას არ სჯერდებიან და პრეტენზიას აცხადებენ „პაიასტანის უძველესი მიწების“ — კრასნოდარის და სტავროპოლის ტერიტორიებზეც.

აბა, მოუხსინოთ ი. პომპეევს: „ყველაზე მეტად შემაშფოთა იმან, რომ ტიგრანმა მითხრა — სომეხებს ისტორია უსამართლოდ მოექცა, და დაუმატა — „ახლა მოგვეცა შანსი დაუბრუნოთ ჩვენი ისტორიული მიწები — ყარაბაღი და ნახჩევანი (ორივე აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა), ახალქალაქი და ახალციხე (საქართველო). მერე გადმომხედა და მითხრა — „შემდეგ შევუდგებით როსტოვის, კრასნოდარის და სტავროპოლის მიწების დაბრუნებას“. — როგორ, — გამიკვირდა, — რა, ისინი სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ?

— შენ როგორ გგონია, — სერიოზულად მიპასუხა ტიგრანმა, — ტიგრან II-ის მეფობის დროს ეს მიწები სომეხი მელიქების საკუთრება იყო. ამის შესახებ საბუთები საჭიროზე მეტია, აიღე ისტორიული და გეოგრაფიული სახელწოდებები, მაგ., ახალი ნახჩევანი როსტოვთან და სომხური თემის კომპაქტური დასახლება ამ რეგიონში. მრავალი ცნობილი სომეხი მხატვარი და მეზღაპრე, როგორებიც არიან აივანოვსკი, აღმირალი ისაკოვი. ისინი დაიბადნენ და აღიზარდნენ ფეოდალიზმში და შავი ზღვის რაიონებში. აივანოვსკის ზღვა — ეს ყველაფერი მოწმობს იმას, რომ ისინი მათი წინაპრების, უძველესი სომეხი მელიქების სამშობლოში დაიბადნენ. ასე რომ, ჩვენ ყოველგვარი ისტორიული, მორალური და იურიდიული უფლება გვაქვს, დავაყენოთ ჩვენი ისტორიული მიწების დაბრუნების საკითხი... მართალი რომ ვთქვა, ტიგრანის სიტყვებმა შემძრა. ჩემ არასაკმარის ცოდნას ისტორიაში ვაღიარებ, მაგრამ ვგრძნობდი, ტიგრანი სიმართლეს არ ამბობდა, ცრუობდა“ (გვ. 139).

დღეს სომეხი მეზღაპრეების პრეტენზიები ყველა მეზობლის, მათ შორის რუსეთის, მიმართ გასაკვირი არ არის. ჯერ კიდევ 1919 წელს დაშნაკებმა გამოუშვეს სომხეთის ისტორიული და პოლიტიკური რუკები, რომელზეც „ველიკაია არმენია“ გადაჭიმული იყო კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კიდევ უფრო შორს, ჩრდილოეთ კავკასიის ჩათვლით. ი. ჯავახიშვილმა ამ რუკებს „ფანტასტიკური რუკები“ უწოდა. დაშნაკებმა ეს ფანტასტი-

კური რუკები წარადგინეს სტამბოლის კონფერენციაზე და მისი მიხედვით მოითხოვეს „ძველი სომხური მიწები“. გამოვიდა თურქეთის წარმომადგენელი და იოლად დაამტკიცა, რომ ამ რუკებს ისტორიულ სინამდვილესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ეს იმდენად აშკარა ფალსიფიკაცია იყო, რომ დაშნაკური სომხეთის მომხრე ამერიკის და ინგლისის წარმომადგენლებმაც კი მათ დასაცავად ხმა ვერ ამოიღეს.²

პროფ. ვ. სიროტკინი ს. აივანოვის ერთ-ერთ „აღმოჩენას“ ძალიან გაუცხარებია. იგი შენიშნავს: „ს. აივანოვის წიგნში „რუსეთის ისტორია — სომხური კვალი“ წერია: „რუსეთის აკვნად არარატის მთა ითვლება, ხოლო კიევი სომეხმა თავადებმა — კუარმა, ბეკმა და ხორეანმა დააარსესო“ (გვ. 69).

ფრანგი სწავლული ჟორჟ მელვილი სომეხი მეზღაპრე ისტორიკოსების მიერ ტიგრან II-ის განდიდების და მის შესახებ ბაქა-ბუქის გამო წერს: „იმის მცდელობა, რომ ტიგრან II-გან შექმნან სომეხი მონარქი, ისეთივე მითია, როგორც ვერსინჟეტორიკსა წარმოადგინონ „ფრანგ გენერალად“ (გვ. 362).

დაშნაკების მიერ ჩადენილი ფალსიფიკაციის სანიშნო მთავალითი მოაქვს ე. ფიგელს: „დაშნაკები არც იმაზე იხვეწენ უკან, რომ ფიზიკურად მოსპონ მათთვის არასასურველი ადამიანები. 1905 წელს მთელი მსოფლიოს გახეთქმა გამოაქვეყნეს საშინელი ფოტო, სამი თურქი ოფიცერი დგას მაგიდასთან, რომელზეც ორი უცნობის მოჭრილი თავი დევს. მაგრამ ეს ფოტო სომეხებისთვის ჩვეული სიყალბე აღმოჩნდა“ (გვ. 159).

ძველი ქართული ეკლესიების მისაკუთრებაში რომ დახელოვნებულები არიან სომეხი მეზღაპრე ისტორიკოსები და სასულიერო პირები, ეს ახალი ამბავი არ არის. მათი ეს ჩვეულება თუ უზნეობა ისტორიკოს ი. კანდევესაც დაუფიქსირებია: „როგორც ოფიციალურად არის ცნობილი, სომეხებმა არაერთი მართლმადიდებლური ეკლესია გადააქციეს სომხურ-გრიგორიანულად. მათზე არსებული ქართული წარწერები გადაფხიკეს და მათ მაგიერ სომხური ამოტვიფრეს. აგრეთვე, მდიდარი სომეხები ყიდულობენ ქართულ მიწებს და მათზე სომეხ-ემიგრანტებს ასახლებენ, რათა ეს ქვეყანა გაასომხონ“ (გვ. 197).

დღემდე ვფიქრობდი, სომეხებმა მართლ ქართული ხალხური სიმღერები — „მრავალჟამიერი, „ჩაკრულო“ და სხვ. მოიპარეს-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, ვცდებოდი — ქურთებისთვისაც კარგა ბლომად მოუპარაუთ. აი, რას წერს კრასნოდარის მხარის ქურთთა ეროვნულ-კულტურული ავტონომიის „მედიას“ თავმჯდომარე, ქურთისტანის ნაციონალური კონგრესის წევრი იშხან ანკოსი: „სომეხები ადრე თუ მაღულად თარგმნიდნენ ქურთულ ხალხურ სიმღერებს და ასრულებდნენ როგორც სომხურს, ახლა აშკარად, ღიად არამართო სომხეთის რესპუბლიკაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც — CHG-ს ქვეყნებში, ევროპასა და ამერიკაში ქურთულ

² „ი. ჯავახიშვილის არქივიდან“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №43, 1988.

ხალხურ სიმღერებს სომხურად წარმოადგენენ. ისინი იმდენად გათავხედნენ, რომ ქურთულ სიმღერას, ქურთულ ენაზე, ქურთი მომღერლის შესრულებით სომხურად ასაღებენ. მუსიკალურ კლიპებს იღებენ და ყოფიან როგორც სომხურ ფოლკლორულ ნიმუშებს“ (გვ. 62).

ლ. ბრუკი შენიშნავს: „2009 წლის 12 ივლისს ტელეარხზე TV გადმოცემდნენ კონკურსს ხალხურ ცეკვებში. ყველაფერი დიდებულად მიმდინარეობდა... მაგრამ სომხებმა ქურთული ფერხული ცეკვა „ბატალო“ სომხურ ცეკვად წარმოადგინეს“ (გვ. 63).

საბედნიეროდ, აღმოჩნდა სომეხი მეცნიერი, რომელმაც ხმა აღიმადლა უცხოელი გამოჩენილი ადამიანების სომხად გასაღების წინააღმდეგ. ეს გახლავთ პროფ. ე. დოლბეკიანი: „ამ რამდენიმე ხნის წინ წავიკითხე სტატია „სუვოროვი და სომხები“ (სომხური მოამბე №14(85), 1995). მასში შავით თეთრზე წერია: „სუვოროვი არ მალავდა თავის სიმპათიას სომხებისადმი... სუვოროვმა უშუალოდ მიიღო მონაწილეობა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა სომხური ინსტიტუტის დაარსებაში... სუვოროვმა იცოდა რუსულის გარდა გერმანული, ფრანგული, იტალიური, პოლონური, თურქული, არაბული, სპარსული, ფინური ენები... იგი უეჭველად ფლობდა სომხურ ენას, დედის და ბაბუის მეშვეობით... ლაზარევის ინსტიტუტის სხდომებზე სომხურ ენაზე გამოდიოდაო“... საიდან იცის ჟურნალისტმა, რომ სუვოროვმა „უეჭველად იცოდა სომხური ენა... რეალურ ფაქტსა და ვარაუდს შორის დიდი მანძილია... უფრო ძნელია წარმოიდგინო სუვოროვის გამოსვლა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის სხდომებზე სომხურ ენაზე, როცა დიდი სარდალი 1800 წელს გარდაიცვალა, ხოლო ლაზარევის ინსტიტუტი დაარსდა 1815 წელს“ (გვ. 469-470).

ახლა უპრიანი იქნება გავეცნოთ ერევნელი მეცნიერებისა და საზოგადოების დამოკიდებულებას უცხოეთში მცხოვრები თანამომემ სომეხი მეცნიერებისადმი. ეს საინტერესოა იმიტომ, რომ ერევნის სამეცნიერო საზოგადოება არც უცხოელ სომეხ მეცნიერებს ინდობენ, თუ მათ სიმართლე თქვენს.

სომხური წარმომავლობის ამერიკელმა ისტორიკოსმა, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორმა, ცნობილი კომპოზიტორის გრიგორ მირზიანის შვილიშვილმა რონალდ სიუნმა 1993 წელს გამოცა წიგნი „მოსაზრებები არარატზე — სომხეთის ახალი ისტორია“. ამ წიგნმა ერევნელი მეცნიერების და საზოგადოების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. განსაკუთრებული მღელვარების მიზეზი გახდა რ. სიუნის მიერ გამოთქმული შემდეგი აზრები. იგი „არმენიის“ ნაცვლად ხმარობს „ანატოლიას“, „აღმოსავლეთ სომხეთს“, „თანამედროვე სომხებს არავითარი გენეტიკური კავშირი არ აქვს უძველეს დროის სომხებთან“, „რუსეთის მიერ სომხეთის ანექსიამდე კავკასიის სომხებს არ ჰქონდათ სკოლა. ჯერ კიდევ XVIII ს-

მდე სომხური ენა გაუგებარ დიალექტების კონგლომერატი იყო“ (გვ. 454).

შემდეგ განაგრძობს რ. სიუნი: „ე. წ. „ისტორიულ სომხეთში“ სომხები 2600 წლის წინ მოვიდნენ. ისინი „მოსულები“, „კოლონისტები“ არიან, რომლებმაც აქ არსებული ძველი ურარტუს სამეფო გაანადგურეს. V ს-ის სომეხი ისტორიკოსები ფაგსტოს ბუზანდეცი, მოსე ხორენაცი, ეპლიმე ისტორიის ფალსიფიკატორები არიან“ (გვ. 455).

რ. სიუნი 1997 წელს ერევანში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა. გამოსვლაში განაცხადა, ისტორიის გარკვეულ პერიოდში ერევანში უმთავრესად მუსულმანური მოსახლეობა დომინირებდაო. „ჩემი ეს ნათქვამი, — წერს რ. სიუნი, — ბომბივით გავარდა დარბაზში. მეორე დღესვე კონფერენციის მონაწილეებს დემონსტრაციულად დაურიგეს ფურცლები. მასში ეწერა — ერევანში ოდესღაც ვითომ მუსულმანი მოსახლეობა რიცხობრივად მეტი იყო სომხურზე და ა. შ. რადიო-ტელევიზია ჩემ წინააღმდეგ შეტევაზე გადმოვიდა. კონფერენციის სხდომების დროს მაძლევდნენ მტრულ შეკითხვებს და მიყენებდნენ ბრალდებას, რომ მე ვარ „ნავთობის კომპანიის აგენტი“. დარბაზში რომ გამოვედი, შემომერტყა გაბოროტებული ბრბო და მიყვიროდა — „მოლა-ლატი“. ამაზე ვუპასუხე: „მე მეცნიერი ვარ და სომეხი“. „შენ არც მეცნიერი ხარ და არც სომეხი“, — მიპასუხეს მათ. სიტუაციის შემდგომი გართულების თავიდან ასაცილებლად მცველების დახმარებით გამომიყვანეს დარბაზიდან“ (გვ. 455).

ბარემ აქვე ვიტყვი, ამ დროს სამეცნიერო მივლინებით ვიყავი ერევანში და დავესწარი სიუნის გამოსვლას. ვხედავდი, აღშფოთების ტალღამ როგორ მოიცვა ერევნის საზოგადოების ყველა ფენა, დაწყებული აკადემიის პრეზიდენტით და დამთავრებული ტაქსის მძღოლით თუ ფეხსაცმლის მწმენდავით. ისინი ერთხმად გმობდნენ სიუნის ამ განცხადებას, კიცხავდნენ და ლანძღავდნენ. ხალხის ასეთი ერთსულოვანი პროტესტი პირველად ენაზე და არასდროს დამავიწყდება.


თეზისებად თუ ჩამოვყალიბებთ ერევნელი მეცნიერების და, შესაბამისად, საზოგადოების მწვავე რეაქციას, გაღიზიანებას იწვევს ამერიკელი არმენისტების შემდეგი დებულებანი: ა) ერევანში მუსლიმი მოსახლეობა რიცხობრივად უფრო მეტი იყო, ვიდრე სომხური (XVI-XVIII სს.). ბ) სომხები არ არიან ავტოქტონური ხალხი კავკასიაში. ისინი მოსულები არიან. გ) თანამედროვე სომხებს არავითარი გენეტიკური კავშირი არ აქვთ ძველ სომხებთან. დ) ძველი სომეხი ისტორიკოსების თხზულებანი სანდონი არ არიან. მოვსეს ხორენაცი იყო „თავხელი და ფალსიფიკატორი“ (გვ. 442).

მეზღაპრე ისტორიკოსების გარდა ერევანში ყოფილა ჯანსაღად და რეალურად მოაზროვნე სომეხი მეცნიერები. ერთ-ერთია არტემ ხაჩატრიანი, პოლიტიკური მეცნიერების კვლევის ცენტრის დირექტორი. იგი წერს: „დღეს

სომხეთში ყველა პოლიტიკური პარტია ცდილობს ისტორიის გაყალბებას, რათა ეს სიყალბე საფუძვლად დაუდონ თავიანთ პარტიულ იდეოლოგიებს. მაგალითად, ისინი დამახინჯებულად წარმოადგენენ სომხეთის პირველი რესპუბლიკის ისტორიას და მის მოღვაწეებს დიდ სახელმწიფო მოღვაწეებად წარმოაჩენენ. ისინი სინამდვილეში ჩვეულებრივი ჟულიკები და ავაზაკები იყვნენ. ტრაგედია ის არის, რომ ხალხს თავს ახვევენ ცრუ გმირებს და ცრუ ფასეულობებს. მათგან ქმნიან კერპებს. ამას კი კატასტროფული შედეგები მოჰყვა: პირველი, ავტომატურად ქინაალმდევებიან ახალი, ჯანსაღი ღირებულების დამკვიდრებას. მეორე, თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკაში ლეგალიზებას ქვეყიან და გამართლებას უძებნიან „გმირების“ თვითნებობას, ხოტბას ასხამენ ძალადობას და ა. შ.“ (გვ. 490).

ამ კრებულში „ფალსიფიკაციის დამანგრეველნი“, რომელიც 569 გვერდს მოიცავს, კიდევ არის არაერთი ანალოგიური შინაარსის ამონარიდი, მაგრამ სანიმუშოდ მხოლოდ აღნიშნული ვიკმაროთ, რადგან მათშიც კარგად მოჩანს სომეხი მეზღაპრე მეცნიერების მიერ შექმნილი სომხეთის ყალბი ისტორია. რა თქმა უნდა, სომეხი მეზღაპრე მეცნიერების გარდა, როგორც ვნახეთ, ერევანსა და უცხოეთში არიან სომეხი სწავლულები, რომელნიც კეთილსინდისიერად აფასებენ სომეხი ხალხის წარმომავლობასა და ისტორიას, მაგრამ ფალსიფიკატორთა გნიასში მათი მართალი ხმა, სამწუხაროდ, ნაკლებად ისმის და ყალბისმქმნელების მხრიდან წამოსულ ნიაღვარს რეალურ წინააღმდეგობას ვერ უწევენ.

ჩვენ მაინც ოპტიმისტურად ვუყურებთ მომავალს. მჯერა, ჭეშმარიტი, ობიექტური მეცნიერული აზრი გაიმჯვებს სომხეთში.



ბონდო არველაძე

კუმურდო

სოფელი კუმურდო მდებარეობს ჯავახეთში, ახალქალაქიდან 14 კმ. დაშორებით აქ არის საეპისკოპოსო კათედრალი — კუმურდოს ტაძარი. იგი აიგო იოანე ეპისკოპოსის (კუმურდოელის) ინიციატივით 964 წ. მასზე არსებული ქართული წარწერების მიხედვით ხუროთმოძღვარი იყო საკოცარი. კუმურდოს ტაძარი მისი არქიტექტურული მხატვრული სტილით და ხუროთმოძღვრული აღნაგობით არის ქართული კლასიკური არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლი. კუმურდოს საეპისკოპოსო ეპარქია ერთ-ერთი უძველესია ქართულ ეპარქიათა შორის. 506 წლის დვინის ქართულ-სომხურ-ალბანური ეკლესიების დადგენილებაზე ხელისმომწერთა შორის არის კუმურდოელი ეპისკოპოსის იოსების ხელმოწერა. აკად. ნ. ბერძენიშვილი თვლიდა, რომ იოანე ეპისკოპოსს, ჩვენამდე მოღწეული მხოლოდ ტაძრის აგება ეკუთვნის და არა საეპისკოპოსო კათედრის დაარსება: „ძნელი დასაჯერებელია, წუნდის და წყაროსთავის, როგორც საეპისკოპოსო კათედრათა არსებობის პირობებში (და ეს კი ასეც იყო) კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრა ყოფილიყო. ამიტომ უნდა დავუშვათ ან წუნდის საეპისკოპოსო კათედრაში იგივე კუმურდოს საეპისკოპოსოს კათედრა იგულისხმებოდა, ან კიდევ წუნდასთან გარკვეული ურთიერთობის პირობებში, მის დამცრობდაცემასთან დაკავშირებით და მის ნაცვლად წარმოიშვა კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრა. ძნელი დასაშვებია, რომ კუმურდოში X ს-მდის რაიმე სამლოცველო არ არსებულებო... ამის უტყუარი მოწმეა კუმურდოს „ჯვარი“ ტაძრის შესასვლელთან რომ არის აღმართული“.¹

აქვე უნდა ითქვას, რომ არემის სვეტის წარწერის მიხედვით (881-891 წწ.) სოფელი კუმურდო უფრო ადრე იხსენიება ვიდრე ტაძარი. ეს ტაძარი, რომელსაც ორ ათეულზე მეტი ქართული სააღმშენებლო წარწერა ამკობს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სომეხმა მეცნიერმა სამველ კარაპეტციანმა სომხურ ტაძრად გამოაცხადა; მისი აშენების ინიციატორი ქართველი ეპისკოპოსი იოანე — სომეხ ჰოვჰანეს ეპისკოპოსად აქცია, ქართული არქიტექტურის ეს შვეწენება სურბ-ჰამბარძუმის სახელობის სომხურ ტაძრად

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 136.

მონათლა.² რბილად რომ ვთქვათ, ამ მეცნიერულად დაუსაბუთებელ მოსაზრებას სათანადო პასუხი გავეცით.³

ჩვენი მეცნიერული ინტერესის სფეროში, ამჯერად მოექცა ტოპონიმი — კუმურდო. მას ქართველ მეცნიერთაგან არავინ შეხებია და კვლევის საგნად არავის უქცევია. ამიტომ, შესაბამისად არც სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში მის შესახებ არის რამდენიმე სტატია. სომხურ ტოპონიმთა ხუთტომიან ლექსიკონში აღნიშნულია: „კუმურდო — უძველესი სომხეთის — ურარტუს და ასურასტანის საზღვრის თავთან, მანას ქვეყანაში მდებარე მხარე, მოხსენიებულია ასურულ ებრაულ-გლიფურ წარწერაში, როგორც მანას ქვეყნის ცენტრალური მხარე“.⁴

პროფ. ნ. პარუთიანის ურარტულ ტოპონიმთა ლექსიკონში კუმურდო ასეა განმარტებული: «...что на горе Харси и началом область и кумурдаицев, внутри страны Манеев».⁵ ამავე ლექსიკონში კიდევ გვხვდება კუმურდოს ადგილმდებარეობის ლოკალიზაცია: «...область города Армийниш города Аи(а) Канани (Азаканани) на горе Харси область Кумурдаицев внутри стран Манеев».⁶ მიუხედავად სომხურ ტოპონიმთა ლექსიკონის კუმურდოს კომენტარის. ამ კომენტარის მიხედვით იგი წარმოადგენილია, როგორც „უძველესი სომხეთის — ურარტუს და ასურეთის საზღვრის თავთან, მანას ქვეყანაში მდებარე მხარე“ (გვ. 271). აქ არასწორად არის ნახმარი „უძველესი სომხეთი“, რადგან სომხეთი ურარტუს თანამედროვე არასდროს ყოფილა, არც სომხურ-ურარტული სახელმწიფო არსებობდა, როგორც ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსი ფიქრობს.

ცნობილია, VI ს-ში ჩვ. წ-მდე წინა აზიაში ადგილი ჰქონდა ხალხთა დიდ გადაადგილებას. ამ პერიოდში დაიშალა ძველი სამეფოები და ჩამოყალიბდა ხალხთა ახალი კავშირები და ეთნიკური ჯგუფები, რომლებთანაც დაკავშირებულია თანამედროვე ამიერკავკასიის ხალხები. ამ ეპოქაში მოხდა ახალი ეთნიკური გადაჯგუფება წინა აზიაში. აკად. ბ. პიოტროვსკი ამის შესახებ აღნიშნავდა: «В середине VI в (ჩვ. წ-მდე) на Армянском нагорье появляются армяны, по видимости племен, получивший наименование по одному из племен в него входивших. Армяны возможно входившие ранее в состав Ванское царства, пришли ему на смену. Армяны (т. е. союзплемен) под этими именами постепенно захватили основную часть бывшей территории Урартского государства, и именно этим надо

² ს. კარაპეტიანი, „ჯავახქ“, 2006, გვ. 319-337, ერევანი, (სომხ. ენაზე).

³ იხ. კრებული „გულანი“, 2009, გვ. 1-15; ახალციხის უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციაზე წავიკითხე მოხსენება: „კუმურდო“ 2009, 27-28, VIII.

⁴ „სომხეთის და მისი მდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ლექსიკონი“, ავტორები — თ. ჰაკობიანი, სტ. მელიქ-ბაზნიანი, პ. ბარსეღიანი; ტ. III, 1991, გვ. 271 ერევანი (სომხ. ენაზე).

⁵ Н. Арутюнян, «Топонимика Урарту», Ереван, 1985, стр. 40.

⁶ იქვე, გვ. 134.

объяснимо по разнозначность терминов Урашту и Армин в вавилонских и персидского текстах Накширустемской и Бисутунской надписи Дария...»⁷

აკად. ბ. პიოტროვსკი აქვე გარკვევით ამბობს — «Но было бы совершенно неверно отождествлять армянов с урартами, или же считать их прямыми потомками урартов хотя несомненно, при образовании армянского народа в него влились остатка Урартов живущих на территории занятой армянами»⁸ (ხაზგასმა ჩვენია — ბ. ა.).

ამ ტომებს თავიდან მეთაურობდნენ არმენები, რომელნიც ცხოვრობდნენ ვანის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ეს მეთაურობა შემდეგ გადავიდა ჰაიების ტომის ხელში. მაგრამ მეზობელი ტომები მათ ძველებურად მაინც არმენებად იხსენიებენ და არა ჰაიებად ან ჰაიასტანად, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებდნენ.⁹

აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, ურარტუს სამეფოს დაცემის (VI ს. ჩ. წ-მდე) შემდეგ ურარტელები მალე გაითქვიფნენ მათ ტერიტორიაზე მოსულ სომხურ ეთნოსში, აგრეთვე, ქართველურ ტომებში, რამდენადაც შეიძლება ვიმსჯელოთ ძველი ქართული სიმღერების მისამღერებში შემოსული ცალკეული ურარტული სიტყვებისა და გამოთქმების მიხედვით.¹⁰

ამდენად, „უძველესი სომხეთის“ ურარტუს თანამედროვედ გამოცხადება, როგორც აღნიშნულ სომხურ ტოპონიმთა ლექსიკონშია, ანაქრონიზმია, რადგან ურარტუს სამეფოს დაშლის შემდეგ (VI ს. ჩ. წ-მდე) გამოჩნდნენ სომეხთა წინაპრები ურარტუს ტერიტორიაზე. მანამდე სომხეთის სამეფო, როგორც ასეთი, არ არსებობდა და შესაბამისად არც სომეხი ერი იყო ჩამოყალიბებული.

მანას სამეფოს რაც შეეხება, I ათასწლეულის დასაწყისში ურმიის ტბის მიდამოებში არსებობდა სახელმწიფოს ტიპის რამდენიმე გაერთიანება, რომელთა შორის ერთ-ერთი მანას სამეფო იყო. ძვ. წ-ის IX ს-ში მანა გაძლიერდა (პირველად იხსენიება ძვ. წ-ის 843 წ.). და უკვე სამეფოდ ჩამოყალიბდა. აი, რას მოგვითხრობს მანას შესახებ ასურეთის მეფე სარგონი, რომელმაც იგი 714 წ. (ჩ. წ-მდე) დალაშქრა და პირწმინდად გაძარცვა. ამ დალაშქრობას სარგონი თვითონ ხელმძღვანელობდა. იგი გოაცებულია მანას ხალხის სიმდიდრით და მაღალი კულტურით. მოსახლეობა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ციხე-ქალაქები ურიცხვი, როგორც ვარსკვლავნი ცისანიო, — ამბობს მეფე სარგონი.


შენობები ხელოვნებითა და მტკიცედ ყოფილა ნაგები, ქვისა და აგურის კედლებით და დიდი კვიპაროსების კოჭებით შეკრული. ქალაქებს გარს ერტყა მეტად განიერი, მტკიცე კედლები ბურჯებით და ღრმა თხრილები. „ასურის ჯარებით მე კალიასავით დაფარე მათი ქალაქები... მე დაეწვი მათი მშვე-

⁷ Б. Б. Пиотровский, «История и культура Урарту», 1944, Ереван, с. 334.

⁸ იქვე.

⁹ იქვე, გვ. 338.

¹⁰ ქსე, ტ. 10, 1986, გვ. 68.



ნიერი სადგომები... ქერის და ხორბლის უშველებელი ზეგები, რომელსაც ისინი მრავალი დღის განმავლობაში აწყობდნენ თავიანთ ბეღლებში ქვეყნისა და ხალხის შესანახად, მე დაფატირთვინე ჩემს ჯარებს ცხენებსა, ჯორებსა, აქლემებსა და ვირებზე და მივიტანე და დააწყობინე ჩემს ბანაკში, როგორც მთები. ჩემს კაცებს უხვად ვაჭამე საჭმელი, რამდენიც შეეძლოთ, მათ შეაგროვეს სანოკის უხვი მარაგი უკან ასურეთში წასაღებად. მე აგრეხე დიდებული ხეხილის ბაღები და მათი ურიცხვი ვენახები, მე ბოლო მოუღე მათ მთელ სასმელს. მე აგრეხე მათი დიდი ტყეები, რომელიც ლელიანთით წმირი იყო, უდაბნოდ ვაქციე ეს ქვეყანა და დაეწვი მოჭრილი ხეები... 146 ქალაქი მათ მიდამოში მე დაეწვი, როგორც ბუჩქნარი და როგორც გრიგალმა კვამლით დაუფარე პირი ზეცისა“¹¹ — ტრაბახობს ეს ბარბაროსი.

ასურელები ცეცხლით და მახვილით შეიჭრნენ მანას სამეფოში, მაგრამ ხალხი ყოველი მტკაველის მიწისთვის მამაცურად იბრძოდა. მტრის მოახლოებას მანაელები მთის მწვერვალებზე აღმართულ ბოძებზე ცეცხლის ანთებით ატყობინებდნენ ერთმანეთს. სამხედრო სიგნალიზაციის ეს წესი ძველ საქართველოშიც გამოიყენებოდა. სპეციალურ კოშკებს აშენებდნენ და მტრის მოახლოებისას მათზე ცეცხლის ანთებით ნიშანს აძლევდნენ — „ფრთხილად იყავით, მტერი შემოგვესიაო“. სამხედრო სიგნალიზაციის ეს წესი აღწერილი აქვს რუსთაველს, როცა ამბობს: „კვამლსა შეიქმენ ლაშქარნი“-ო. მართალია, მანაელებმა შეუპოვარი ბრძოლა გაუმართეს ასურელებს, მაგრამ მტერი ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იყო და გამარჯვებაც მას დარჩა: „მანას სამეფო აოხრდა, ხალხი კი ზოგიერთი თემიდან მთლიანად აიყარა და ჩრდილოეთისკენ გადაიხვეწა. ასე ხდებოდა ხოლმე მოსახლეობის გადასვლა ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში“¹² (ხაზგასმა ჩვენია — ბ. ა.).

აკად. გ. მელიქიშვილი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მანას სამეფოს გაუღენა, მისი ძლიერების ხანაში (IX-VIII ს. ძვ. წ-ით), ვრცელდებოდა ამიერკავკასიამდე.

მანა VII-VI სს. მიჯნაზე საბოლოოდ დაიმორჩილა მიდიამ და შეიერთა.¹³ აკად. გ. მელიქიშვილის ვარაუდით, მანას მოსახლეობა ხურიტული უნდა ყოფილიყო. ასურეთის იმპერიის დაცემის (VII ს.) შემდეგ მისი ტერიტორია გაიყვეს მიდიამ და ბაბილონმა. მანა მოხვდა მიდიის საზღვრებში. როცა სპარსეთმა საბოლოოდ ბოლო მოუღო მიდიის სამეფოს, მანა აქემენიდების იმპერიის ფარგლებში მოხვდა. ამ მოვლენამ მანას ქვეყნის მოსახლეობის ირანიზაცია დააჩქარა, მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი

¹¹ აკად. გ. ჯაფანიშვილი, პროფ. ნ. ბერძენიშვილი, აკად. ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1943, გვ. 33.

¹² იქვე.

¹³ Г. Меликишвили, «Некоторые вопросы истории манейского царства» / Вестник древней истории, 1949, №1. ст. 59-60.

ნაწილის თანდათანობით სრული ასიმილაცია მოხდა ირანულ ტომთან.¹⁴

ვიდრე ჯაფახეთის კუმურდოს შესახებ ვიტყვოდე, უპირაწია მოკლედ გადავხედოთ ჯაფახეთისა და მისი სახელწოდების ისტორიას. ჯაფახეთი ერთ-ერთ ურარტულ წარწერაშია მოხსენიებული „ზაბახ“ ფორმით, როგორც დაპყრობილი ქვეყანა. აკად. ს. ერემიანის აზრით, რადგან ურარტუს მეფე არგიშტ I-ის წარწერაში ზაბახა დაპყრობილ ქვეყნად არის ნახსენები, ეს ნიშნავს, რომ თითქოს ამ დროს — 785 წ. ჩვ. წ-მდე, სომეხი ხალხი ეთნიკურად უკვე ჩამოყალიბებული იყო და სომხური სამეფოც არსებობდა.¹⁵ ამას კი წერს, მაგრამ რაიმე წყარო ან არგუმენტი არ მოაქვს გარდა იმისა, რომ ამ დროს ზაბახა დაპყრობილი ქვეყანა ყოფილა. საინტერესოა, რატომ არ შეიძლებოდა ზაბახას მოსახლეობა, როგორც ტომი, თუმი ისე დაეპყრო ურარტუს მეფეს არგიშტ I-ს. ეს არგუმენტი არ გამოადგება აკად. ს. ერემიანს იმის დასამტკიცებლად, თითქოს VIII ს-ში ძვ. წ-ით სომხეთი სამეფო იყო, ან სომეხი ეთნოსი უკვე იყო ჩამოყალიბებული. ეს არის ანაქრონიზმი, რადგან სომეხთა წინაპრები ურარტუს სამეფოს დაცემის (VI ს. ძვ. წ-ით) შემდეგ ჩნდებიან ურარტუს ტერიტორიაზე. მანამდე სომეხებს არც სამეფო ჰქონდათ და ეთნოსის ჩამოყალიბებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ესეც არ იყოს, ვინ დაამტკიცა ზაბახას მკვიდრნი რომ სომეხი იყვნენ? ზაბახას სახელწოდების მიხედვით თუ ვისმჯელებთ, ზაბახაში ქართველთა წინაპარი ტომი ცხოვრობდა და არა სხვა, მით უმეტეს სომეხი ტომი.

მცხეთაში, არმაზისხევის ერთ-ერთ გათხრილ სამარხში აღმოჩნდა ქართლის ერისთავის (II ს. 30-50-იანი წლები) მეფე ფარსმანის დროინდელი წარწერა — ზევახ. იგი II ს-ის 30-50 წლებში პიტიასში ყოფილა. არმაზის ამ ნაპოვნ ბილინგვაში ზევახი მოხსენიებულია, როგორც უდროოდ გარდაცვლილი სერაფიტის მამა. არმაზისხევი აღმოჩენილია მდიდრული სამარხი, რომელიც თვით ზევახს ეკუთვნოდა. უამრავ მკვრივ ნივთს შორის ერთ-ერთ ბალთის თვალზე ამოკვეთილია ქალ-ვაჟის გამოსახულება გარსშემოვლებული ინტიმური წარწერით: „ზევახ, სიცოცხლე ჩემო — კარპაკი“.

ზევახი იხსენიება, აგრეთვე, არმაზისხევის კიდევ ერთ მდიდრულ, როგორც ჩანს, ქალის სამარხში ნაპოვნი ბეჭდის თვლის წარწერაში.¹⁶ ზაბახა-ჯაფახ-ის იდენტობაზე მეცნიერები არ დავობენ.¹⁷

ზაბახა-ჯაფახეთი ოდითგან იყო ქართველი მეფის მცხეთოსის შვილის, ჯაფახოსის საუფლისწულო მამული, თავისი მკვიდრი ქართველთა წინაპრებით.¹⁸

ქართულ მეცნიერებაში დადგენილია, რომ მეფე არგიშტ I-ის წარწ-

¹⁴ იქვე, გვ. 68.

¹⁵ ურარტუს სამეფო, რუკები, სომეხი ხალხის ისტორია, ტ. I, წიგნი I, ერევანი, 1998, გვ. 94, 132, 195, 203-204 (სომხ. ენაზე).

¹⁶ ქ. ს. ე. ტ. IV, 1979, გვ. 501 (აკად. გ. მელიქიშვილია სტატიის ავტორი).

¹⁷ იქვე.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, ს. ვაუხნიშვილის რედაქციით, თბილისი, ტ. I, გვ. 75.

ერაში მოხსენიებული მხარეებიდან — დიაოხი გაიგვიებულია ტაოსთან, ზაბახა — ჯავახეთთან, ვიძროხი — ოძრხესთან, ქართუა — გოდერძის სახელწოდებასთან. „ფიქრობენ, რომ ამ სახელწოდებით აღნიშნული ქვეყნები იქვე იგულისხმებიან, სადაც ფეოდალურ ხანაში. ზაბახა ჩილდირის ტბის ჩ-ით ყოფილა ურარტუს ქვეყანაში, ე. ი. დაახლოებით კოლა-არტაანის ტერიტორიაზე... ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ ნიშანდობლივია წყაროთა ჩვენებანი, რომ კოლა-არტაანი მის უძველეს შემადგენლობაში იყო და შემდეგ ჩამოყალიბდნენ ცალკე ოლქებად“.¹⁹

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯავახეთი უძველესი დროიდან მოქცეული იყო აღმოსავლური და დასავლური ქართული კულტურის არეალში. ამას მოწმობს, როგორც არქეოლოგიური, ისე ენობრივი მასალა.²⁰

ამ ფაქტორებს ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ სომეხი მეცნიერი სამეველ კარაპეტიანი (არამარტო ის) ცდილობს ჯავახეთი ისე წარმოადგინოს, თითქოს იგი სომხეთის ორგანული ნაწილი იყო და თურმე სომხური კულტურა უძველეს დროიდან აქ უწყვეტად ვითარდებოდა.²¹

ჯავახეთში სომეხები გვიან არიან მოსულები. მათი რიცხოვრები უპირატესობა ადგილობრივ, მკვიდრ ქართველებთან შედარებით გაიზარდა მას შემდეგ, როცა გენერალმა პასკევიჩმა 1830 წელს ერზერუმელი სომეხები შემოასახლა — 20.000 სული. 1830 წლამდე ჯავახეთის მოსახლეობის 95% ქართველები იყვნენ. დანარჩენი 5% შეადგენდა — სომეხები, ქურთები, თარაქამები და ებრაელები.²²

ასე რომ, ჯავახეთში რაიმე ერთიან სომხურ კულტურაზე ლაპარაკი ტენდენციურობაა, უფრო სწორედ — ისტორიის ფალსიფიცირება.

ეს მოკლე წილსვლა მანასა და ჯავახეთის ისტორიაში დამჭირდა იმიტომ, რომ დამედგინა შესაძლო ურთიერთკავშირი ამ ორ ტოპონიმს — მანას კუმურდოსა და ჯავახეთის კუმურდოს შორის.

ჩემ ხელთ არსებული მასალების მიხედვით დავძებნე კუმურდოს ანალოგიური წარმოების ტოპონიმი ქართულ გეოგრაფიულ გარემოში, ასეთი აღმოჩნდა ორი ტოპონიმი: ახალქალაქის რაიონში სოფელი **შურდო** და ახალციხის რაიონში სოფელი **ხანდო**. ისიც იმ შემთხვევაში, თუ **დო-**ს ფუძისეულად არ განვიხილავთ.

ცნობილია, პირველი ქრისტიანული ეკლესიები შენდებოდა წარმართული სალოცავების ადგილზე. ამდენად, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, ტაძარი კუმურდო ასეთ ადგილას არის აშენებული. ნ. ბერძენიშვილს ეჭვმიუტანლად მიაჩნია, მცირე ეკლესიის არსებობა ამ ადგილას კუმურდოს ტაძრის აშენებამდე.

¹⁹ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 75.

²⁰ მერაბ ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, თბ., 2008.

²¹ „ჯავახიქ“, 2006, ერევანი (სომხ. ენაზე).

²² ივ. ჯავახიშვილის არქივიდან / ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, №43.

ახლა, რაც შეეხება მანას კუმურდოს და იქ მცხოვრებ კუმურდოელებს. ისინი, როგორც ჩანს, ზურიტები იყვნენ (მათი ირანიზაცია გვიან მოხდა) და ამ მხარის (ოლქის) სახელწოდების მიხედვით კუმურდოელებად იწოდებოდნენ. ისე როგორც მცხოვრებნი ქართლისა — ქართლელებად, იმერეთისა — იმერლებად, გურიისა — გურულებად და ა. შ.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: საიდან გაჩნდა ტოპონიმი კუმურდო ჯავახეთში სოფლის სახელად? ტაძარი შემდეგ აშენდა. გავიხსენოთ ასურეთის მეფის სარგონის წარწერა: მანაელები რომ დაამარცხა, მისი ზოგიერთი თემი მთლიანად აიყარა და ჩრდილოეთისკენ გადაიხვეწა. ასე ხდებოდა ხოლმე მოსახლეობის გადასვლა ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, — აღნიშნულია აკად. ივ. ჯავახიშვილის, პროფ. ნ. ბერძენიშვილის, აკად. ს. ჯანაშიას ავტორობით გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოში.²³


მართალია, განსხვავებული ისტორიული მიზეზის გამო მოხდა, მაგრამ ანალოგიური ვითარება იყო ტოპონიმის მიგრაციის თვალსაზრისით, როცა VIII ს-ის მეორე ნახევარში სამხრეთ რუსეთის ველებიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან რამდენჯერმე შემოიჭრნენ სკვითები და კიმერიელები ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში. ისინი, როგორც სხვა ქვეყნებში, ამიერკავკასიაშიც დასახლდნენ. ამიტომ ზოგიერთ ოლქს შემორჩა მათი სახელები. მაგ.: **თრიალეთი დაკავშირებულია კიმერიელთა ტომის თურის სახელთან, გოგაშენი — გოგების, ხოლო მის მეზობლად მდებარე საკაშენი — საკების სახელთან**²⁴ (ხაზგასმა ჩვენია).

ვიფიქრობთ, ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ტოპონიმ კუმურდოსთან დაკავშირებით. სირიის მეფე სარგონის მიერ მანას სამეფოს ბარბაროსულად განადგურების გამო კუმურდოს თემის გარკვეული ნაწილი თუ მთლიანად არა, აიყარა და გადმოიხვეწა ჯავახეთში. ისინი დასახლდნენ აბორიგენ ქართული ტომის გვერდით და ახალ სამკვიდროს მშობლიური კუთხის, კუმურდოს სახელი უწოდეს.

კუმურდოს ეტიმოლოგიას რაც შეეხება, ამ ბოლო წლებში იყო მცდელობა **კუმურდო — ფუმურდო**თი შეეცვალათ, მაგრამ დასაბუთება სჭირდება. სასურველია, თუ გაკეთდება. არის კიდევ მოსაზრება — კუმურდოს ეგვიპტური წარმომავლობის ტოპონიმად მიჩნევის შესახებ. ეს ისტორიულ კონტექსტში არ ჯდება და ამიტომ გაჭირდება მისი გაზიარება. ერთი პირობა მისი ახსნა ქართული ენის საფუძველზე ვცადე, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიე. ტოპონიმი **კუმურდო** ალბათ უფრო აიხსნება ზურიტული ენობრივი მონაცემების საფუძველზე, რამდენადაც, როგორც ვნახეთ, მანას სამეფოს კუმურდოელთა მიგრაცია ჯავახეთში რეალური ჩანს.

²³ „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1943, გვ. 33.

²⁴ Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1969, გვ. 212.



თინა იველაშვილი

თეთრი გენოციდის განხორციელების მცდელობა საქართველოში

გენოციდი ორი სიტყვის (ბერძნ. *γενος* – გვარი, ტომი და ლათ. *caedo* – ვკლავ, ვხოცავ) კომბინაციას წარმოადგენს. იგი გამოიყენება მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების რასობრივი, ეროვნული და რელიგიური მოტივებით ერთიანი გაჟლეტის აღსანიშნავად. გენოციდი კაცობრიობის წინაშე ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლება [3, გვ. 79].

გენოციდი ორი ფორმით ხორციელდება: სისხლისღვრით და უსისხლოდ. ეს უკანასკნელი თეთრი გენოციდის სახელითაა ცნობილი. თეთრი გენოციდის რამდენიმე სახე არსებობს: ენობრივი, რელიგიური, იდეოლოგიური, ზნეობრივ-მორალური, ეკონომიკური და ა. შ. ანტიეროვნულ-ანტი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მხრიდან იგი შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ სხვა ეთნოსებისა და განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანთა ჯგუფების, არამედ საკუთარი ხალხის მიმართაც. მისი განხორციელების მცდელობას ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოში არაერთხელ ჰქონდა ადგილი.

საქართველოს ყოფილი ანტიეროვნულ-ანტიხალხური, ე. წ. დემოკრატიული ხელისუფლება ქვეყნის სათავეში მოვიდა თუ არა, მისმა ბოსებმა არაერთხელ მიმართეს სავალუტო ფონდის სათანადო სტრუქტურებს და ქართველი ხალხის ადვილად სამართავად კონკრეტულ ღირებულებებს ყელგამოწეულები სთხოვდნენ. მათ ამ ხვეწნა-აჯახე ლაკონიური და ადვილად გასაგები პასუხი მიიღეს: „გლობალიზაციის განხორციელების პირობებში ჩვენი მიზნის მისაღწევად საჭიროა, საქართველოში რეალურად არსებული მოსახლეობა მილიონნახევრამდე შემცირდეს, რომელშიაც ქართველები მხოლოდ ორმოც პროცენტს უნდა შეადგენდნენ; საქართველო კი სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეთნოსის მშვიდობიანი თანაარსებობის ოაზისად უნდა დარჩეს“. ამ ღირებულებებით „შეიარაღებულმა“ ვარდოსანმა ხელისუფლებამ მიზანმიმართულად დაიწყო ქვეყანაში აღნიშნული მითითების გატარება თეთრი გენოციდის სახით და იერში მიიტანა მთელ

რიგ ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებზე. თვალსაჩინოებისათვის შევხებით რამდენიმეს.

თეთრი გენოციდის ერთ-ერთი ძლიერი ფორმაა ეროვნულ-მშობლიური ენის თანდათანობით უცხო ენით ჩანაცვლება. ყველა მოძალადე, ერისა და ეროვნული იდენტურობის უსისხლოდ განადგურების მიზნით, პირველ ყოვლისა, მისი მშობლიური ენის იგნორირებითა და დაკნინება-გადაგვარებით იწყებს. მათ კარგად იციან, რომ მშობლიური ენა ყოველი (მით უმეტეს მდიდარი ისტორიული წარსულის, კულტურისა და მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე) ერის არსებობის ისეთივე აუცილებელი და სასიცოცხლო შემადგენელი ნაწილია, როგორც ერთიანი მამული, სარწმუნოება, ადათ-წესები თუ ტრადიციები. ენა სახელმწიფოს თვითიდენტიფიკაციის ღერძია. ილუზიაა იმის მტკიცება, რომ თითქოს მრავალენოვანობა (შესაბამისად მრავალენოვანება) სახელმწიფოს ღირსება და სიმდიდრე იყოს. ეს მისი ღირსება კი არა, მისი ეროვნული მენტალობა-იდენტურობის თანდათანობით დაკნინება-დაქვეითება-გაქრობის შესანიშნავი საშუალებაა.

ენა ცოცხალი ორგანიზმია და ამავე დროს ცვალებადიც. როდესაც კონკრეტულ ქვეყანას თავისთავადობის დაკარგვის მრავალი საშიშროება ერთდროულად ემუქრება, მისი მკვიდრნი, პირველ ყოვლისა, ენის სიწმინდეს უნდა მოუფრთხილდნენ, რადგან იგი ერის სულია და როდესაც სული კვდება, მაშინ სხეულის ფიზიკურად დარჩენას აზრი ეკარგება.

ქართული ენა იყო და არის ჩვენი საერთო ეროვნული, კულტურული და სალიტერატურო ენა. „ამ ენით ვლოცულობდით, ამ ენით ვსთარგმნეთ საეკლესიო წიგნები, ამ ენით სწერდნენ და მღეროდნენ ჩვენი მგოსნები; მითი ვმსჯელობდით დიდ საქვეყნო საქმეებზედ, ვსწერდით ისტორიას; – ეს იყო და არის ჩვენი სამშობლო ენა, უძვირფასესი განძი, დამცველი ეროვნული სულისა“ [4, 228].

შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო ათწლეულში საქართველოში მიზანმიმართულად მიმდინარეობდა ერის სულის – ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, არა მხოლოდ დაკნინება-დამცრობა, არამედ ანგლოფიცირება, ამერიკანიზმს ამოფარებული უცხო სიტყვებით გაჯერება-დანაგვიანებაც. ეს კი საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს ქმნის მოქალაქეთა აზროვნებაში, რადგან ენა, წერა და აზროვნება – ეს ერთიანი პროცესია, რომელიც ეფუძნება ლოგიკას. აქედან გამომდინარე, ერთის დანაგვიანება-დაკნინება ავტომატურად უარყოფით გავლენას ახდენს დანარჩენ ორზეც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენა ადამიანშია კოდირებული და მისი ეროვნულობის გამომხატველია. ეს კარგად იციან ჩვენს ქვეყანაში „ახილი წესრიგის“ დამკვიდრების ინიციატორებმა და ამიტომ თავიანთი ყურმოჭრილი, ოცდაათ ვერცხლზე გაყიდული ვარდოსანი, ე.წ. ქართველი პოლიტიკოსების ხელით ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მომავალ თაობებში ქარ-

თული ეროვნული კოდი, გენი და სული გაანადგურონ და ჩაკლან, რათა თავიანთთვის სასურველი – მართვადი საზოგადოება შექმნან[2, 15]. **დღეს რეალობაა, საქართველოში ყველაზე დაჩაგრული, შეურაცხყოფილი და უფლებააყრილი, ყველაზე ნაკლებ პოპულარული (თვით ქართველებშიც კი) „სახელმწიფო“ ქართული ენაა. ენის ფაქტორის უარყოფა დამოუკიდებელი ქვეყნის აღმშენებლობას კი არა, მის ნგრევას გამოიწვევს, რადგან სახელმწიფო ენა ის ხერხემალია (ვანო მერაბიშვილში არ აკერიოთ), რომლის გარშემოც ეროვნული სახელმწიფო შენობა შენდება.**

თეთრი გენოციდი იწყება მაშინ, როდესაც გარსმობხვეული უცხო ძალები მშობლიურ ენასთან ერთად გარკვეული ეთნოსის მრავალსაუკუნოვანი და ტრადიციული რელიგიის დაკნინება-დამცრობას იწყებენ. დღეს ამის ნათელი მაგალითი სახეზე გვაქვს საქართველოში. ცნობილი და აღიარებული ფაქტია, რომ მართლმადიდებლობა საქართველოში საუკუნეების მიღმა თავისი ტოლერანტობით, ზნეობრივ-მორალური ღირებულებებით ეროვნულობას, ქართველობას გაუთანაბრდა და მას ეს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. სწორედ ამიტომ უტყვენ მას მიზანმიმართულად. ამის ნათელი დასტურია 2011 წელს მიღებული კანონი რელიგიების შესახებ, რომლის ძალითაც ჩვენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა კონფესია და სექტა უფლებებრედ მართლმადიდებლობას გაუთანაბრეს, იმ მართლმადიდებლობას, რომელიც ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის არსებობის ერთ-ერთ ძირითად საყრდენ ქვაკუთხედს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს. რეალობაა და მას ვერსად გავექცევით, ქართულ მართლმადიდებლობას ფესვები მხოლოდ და მხოლოდ ქართულ მიწაში აქვს გადგებული, ისევე როგორც რუსულ მართლმადიდებლობას – რუსულ მიწაში, ბერძნულს – ბერძნულ მიწაში და ა. შ.

სწორედ ამიტომ გარედან (გლობალისტებისა და მასონებისაგან) მართული ჩვენი ყოფილი, მუცლის ამოყორავზე დახარბებული, არაეროვნული ხელისუფლება მართლმადიდებლობის დაკნინება-განადგურების მიზნით ყოველნაირად ცდილობდა და ხელს უწყობდა ფსევდოქრისტიანული, ნაირნაირი უცხო რელიგიური სექტების ჩანერგვას. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის 21-ე საუკუნის უმძიმესი მასირებული ჯვაროსნული ლაშქრობა ქართული სულის, ქართული რელიგიური რწმენის, ქართული მადლმადიდებლობის წინააღმდეგ. მათ ავიწყდებოდათ, ან არ უნდოდათ დაენახათ ის რეალური გარემოება, რომ დავით აღმაშენებლის ოქროს ხანის საწინდარი სწორედაც რომ მართლმადიდებლობის სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში აყვანა იყო. ქრისტიანობის მიღებისა და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, საქართველოში უმძიმესი განსაცდელის ჟამსაც კი, ეკლესია ყოველთვის მოწოდების სიმალლეზე იდგა, რადგან იგი არა მხოლოდ სარწმუნოება, არამედ ქვეყნის იდეოლოგიაც იყო.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დღეს ყველაზე დაუცველია, რადგან მას არ გააჩნია უცხოეთში ისეთი ძლიერი ლობისტი-დამცველები, როგორც ეს ისლამს, იუდაიზმს და კათოლიციზმს ჰყავთ (სხვათა შორის, ვატიკანის ხელშია მსოფლიოს უმსხვილესი ბანკი „რელიგიურ საქმეთა ინსტიტუტის“ სახელწოდებით. მის გარეშე დღეს მსოფლიოს ვერც ერთი ბანკი ფიზიკურად და ფინანსურად ვერ იარსებებს). სწორედ ამიტომ თვალს ხუჭავენ მათზე და საერთაშორისო დონეზე მხოლოდ მართლმადიდებლობას (ძირითადად ქართულ და რუსულ მართლმადიდებლობას) უტყვენ, რადგან ქრისტიანული ეკლესიებიდან მხოლოდ მართლმადიდებლობა უკლესიები ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ მონღოლისტურ მოძალებას.

საქართველოში ქართული მენტალობის ერთ-ერთი ძლიერი საყრდენი ბურჯი ყოველთვის იყო განათლების მოწესრიგებული სისტემა. სააკაშვილის ხელისუფლებას კი ქვეყანაში სჭირდებოდა გაუნათლებელი და გონებაჩლუნგი ადამიანები, რომლებსაც რეაქცია მხოლოდ პურსა და სანახაობაზე ექნებოდათ. სწორედ ამ მიზნით შეეცადა ერის აზროვნების ცენტრების (მეცნიერებათა აკადემია თავისი კვლევითი ინსტიტუტებით, უნივერსიტეტები, აკადემიური თეატრები, ქართული კინო, ხელოვნების დარგები, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა და ა. შ.) განადგურებას.

გონებრივი გენოციდი მაშინ დაიწყო, როდესაც ვარდოსნების რევოლუციურმა პარლამენტმა „განათლებისა და მეცნიერების შესახებ“ ყბადღებული კანონი მიიღო. წლების წინ „მსოფლიო ახალი წესრიგის“ მესვეურთა მიერ საქართველოში ჩანერგილ და ფუფუნებაში მყოფ არასამთავრობო, მაგრამ პოლიტიკურად აქტიურ თავისუფლების ინსტიტუტში გამოჩენილ და დაფრთხილებულ ვარდოსნებს გრანტის სახით საკმაოდ სოლიდური თანხები გამოუყვეს საქართველოს განათლების სისტემის, ე. წ. რეფორმებისათვის (ფაქტობრივად, დანგრევისათვის). ფულს დახარბებულმა ყოფილმა ხელისუფლებამ უკვე თვით ამერიკაში არარსებული განათლების ვითომდა ამერიკული სისტემა უკრიტიკოდ, ბრმად გადმოიტანა და წარმატებულ რეფორმად მოგვასადა. ამისათვის მიიღეს ე. წ. „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“. შედეგმა არ დააყოვნა და კატასტროფული ფაქტის წინაშე დავდექით. ზოგადი სასკოლო განათლების სისტემა არათუ გაუმჯობესდა, არამედ მთლიანად დაინგრა, რომლის ფუნდამენტიც საშუალო სკოლა იყო. 2011 წლის მონაცემებით დაწყებითი განათლების ხარისხით საქართველო მსოფლიოში 120-ე ადგილზეა, მაშინ როცა რამდენიმე ათეული წლის წინ ამ კუთხით მსოფლიო ლიდერთა რიცხვში იყო.

ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს სკოლებში დაიწყო მენტალური პროცესი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ განათლების რეფორმების ნიღბით მიმდინარეობდა ქართველი ხალხის მომავალი თაობის „დემოკრატიულად“ გახრწნა-გადაგვარების პროცესი, რომლის მიზანი ახალი ჯიშის

ქართველის გამოყვანა იყო. რომლისთვისაც უცხო იქნებოდა საკუთარი ეთნიკურობით სიამაყე, ეროვნული თვითშეგნება, ზნეობრივი ნორმები, ეროვნული სარწმუნოება, სახელმწიფო ინტერესები და ღირსების დაცვა. ამ კანონის იდეოლოგიებმა კარგად იცოდნენ, რომ ერი, როცა თავის ისტორიას იფიქრებს, იკარგება და ქრება არა მხოლოდ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც. თავის დროზე დიდი ილია წერდა: ერის დაცემა და გათახსირება იწყება მაშინ, როცა ერი თავის ისტორიას იფიქრებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა, რომელსაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისე ერად სახსენებელი არ არის ისიც, რომელსაც თავისი ისტორია არ ახსოვს. „ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, არ იცის ვინ არის და რისთვის არის“ [1, 604].

ქართველი ერის და საერთოდ საქართველოში მაცხოვრებელი ხალხის თითქოსდა ზოგადი განათლების დონის ამაღლების (ფაქტობრივად, იდეოლოგიური გენოციდის) მიზნით ჩვენი ოკეანესგაღმელი მფარველები და „მარჩენალები“ მათ მიერვე დაარსებულ, ე. წ. არასამთავრობო ინსტიტუტებს ათეული წლების მანძილზე ყოველწლიურად, გრანტების სახით, საკმაოდ სოლიდური თანხებით ასაჩუქრებდნენ. მაგალითად, 2012 წელს ამგვარი პროექტისათვის კონკრეტულად საქართველოზე 2,7 მილიონი დოლარი გამოიყო.

მასწავლებელთა, ე. წ. „სასერტიფიკაციო გამოცდებით“ ფაქტობრივად უმაღლესი სასწავლებლების დიპლომები გააუქმეს. მსგავსი რამ არცერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ ხდება. ამ მომაკვდინებელი რეფორმების მიზანი ერთია: მოსახლეობას ნელ-ნელა წაართვან განათლების უფლება, ინტერესი და უკარგონ განათლებისადმი, წიგნიერებისადმი და ადვილად სამართავ მასად აქციონ. რეალობა ისაა, რომ უწიგნურ ადამიანს ეკარგება ცოდნის გაღრმავების სურვილი, სულიერად ცარიელდება, იკეტება თავისთავში და სხვისი მონა-მორჩილი მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობს. ეს ფსევდოლიბერალური ექსპერიმენტი სრულიად შეგნებულად, ფულს დახარბებული ჩვენი ყოფილი ვარდოსანი ხელისუფლების წყალობით, უძველესი და უდიდესი წარსულისა და კულტურის მქონე, მაგრამ რაოდენობრივად მცირერიცხოვან ქართველ ხალხზე ტარდებოდა. ახალი ხელისუფლების მიერ დროულად თუ არ იქნა სათანადო ღონისძიებანი გატარებული, საჯალალო შედეგებს მივიღებთ და სახეზე გვექნება სრული სახის იდეოლოგიური გენოციდი, რომლის გამოსწორებასაც სულ ცოტა რამდენიმე ათეული წელი მაინც დასჭირდება.

იდეოლოგიური გენოციდის ერთ-ერთი სახეა ქართულ სოფლებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ადგილობრივი ბიბლიოთეკების (სადაც „საზიზღარ საბჭოთა“ პერიოდში დედაქალაქიდან რუსუბლიკაში ქართულ ენაზე გამოცემული ყველა სახის წიგნები, პერიოდული გამოცემები, ჟურნალები და ყოველდღიური გაზეთები იგზავნებოდა) გაუქმება. მაგალი-

თად, გურიაში 2003 წელს 99 სასოფლო ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა, 2008 წლისათვის კი – მხოლოდ 14. უფრო მძიმე მდგომარეობაა მაღალმთიან რეგიონებში. ამ ბოლო დროს ცდილობენ ზოგიერთ სოფელში ბიბლიოთეკებს ჩაანაცვლონ, ე. წ. კომპიუტერული სწავლების ცენტრები. მაგრამ მის ინიციატორებს ავიწყდებათ, რომ ვერანაირი კომპიუტერი წიგნსა თუ გაზეთს ვერ შეცვლის. აღნიშნული ბიბლიოთეკები საჯარო სამკითხველოებს წარმოადგენდა, სადაც მოსახლეობა ყოველდღიურად ეცნობოდა ახალ ამბებსა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. ყოველფე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლება შეგნებულად ანგრევდა მოსახლეობის ელემენტარული განათლების კერებს და მოსახლეობა იდეოლოგიური დეგრადაციისაკენ მიჰყავდა.

ერი, როგორც სოციალური ერთეული, ტრადიციულ ეროვნულ ღირებულებებზე, მისთვის დამახასიათებელ მორალურ ნორმებზე, გაცნობიერებულ წარსულზე დგას. ზნეობრივი გენოციდი ზორციელდება ძირითადად ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, რაც რეალურად დღეს საქართველოში ხდება. უცხოეთიდან უხვად დაფინანსებული ყოფილი არაეროვნული ხელისუფლება „ახალი ქართველის“, ლიბერტიანული ქართველის გამოყვანისათვის მიზანმიმართულად ქწეოდა საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ზნეობრივ დეგრადირებას. ეს პროცესი, არც მეტი, არც ნაკლები მოსახლეობის, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, ერის სულიერი გენოციდის ტოლფასია, რაც მის ფიზიკურ გადაშენებას უწყობს ხელს. სულიერად გახრწნილ საზოგადოებას მომავალი რომ არ აქვს, ეს კარგად იციან „ახალი მსოფლიოს“ მოწყობის მესვეურებმა, ამიტომ საქართველოს ყოფილ ხელისუფლებაში მოკალათებული მათი ხელის ბიჭები ქართულ მენტალიტეტსა და ზნეობრივ ღირებულებებს ყოველგვარ უხამსობას (გეიბარები, გეიადლუმები, ერთსქესიანთა ქორწინება, სატანიზმი და სხვ.) უპირისპირებდნენ.

კოსმოპოლიტურ-ლიბერალური მიმართულების ლიდერები საკუთარ შვილებს მოძღვრავენ: თქვენ დაიბადეთ და გაჩნდით ამ ქვეყანაზე, რომ იყოთ თავისუფალნი და ბედნიერნი და ყველა საკითხთან დაკავშირებით გააკეთოთ თავისუფალი არჩევანი. თუ თქვენი არჩევანი იქნება, გინდ სამშობლოს შეწირვებით, გინდ – თქვენ პროფესიას, რასაც გინდა. მომავალი თაობის ამგვარი დამოძღვრა იმას ნიშნავს, რომ ახალი თაობა უნდა იყოს თავისთავზე შეყვარებული, ეგოისტი, სხვა დანარჩენზე უპასუხისმგებლო და მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე უნდა ფიქრობდეს დევნილი: „მხოლოდ მე ვიყო კარგად და ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა“. თავისუფლების ამგვარი აღქმა ნიშნავს იმას, რომ ფსიქიკური გადახრების მქონე პიროვნებამ ან ნარკომანმა არა მკურნალობა და გაჯანსაღება, არამედ ამ გადახრების საჯაროდ დაფიქსირება და დაცვა უნდა მოითხოვოს. ეს, არც მეტი არც ნაკლები, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიბერალ-

კოსმოპოლიტთა დევიზია XXI საუკუნეში გადმოტანილი. ამ იდეის ლიბერტიანულ მებოტბეთა „ღრმა ფოლოსოფიური“ გააზრებით, ქართველებს არც კულტურის, არც მეცნიერების, არც ხელოვნების ხაზით საერთოდ არაფერი არ გაგვიკეთებია. მსოფლიოს მატარებელმა ჩვენს მიღმა გაიარა. რა დონით უნდა გპულდეს საკუთარი ერი, რომ მსოფლიო კულტურის ისტორიაში შენი ერის, ქართველი ხალხის შეტანილი წვლილი ვერ დაინახო. უნდა ითქვას, რომ ამ XIX საუკუნის ლიბერალ-კოსმოპოლიტის აზროვნებაში ჩარჩენილი პერსონისათვის სრულიად უცხო ხილია და არ ესმის ქართული კულტურა, მისი ისტორია. ხალხური ბრძნული ნათქვამია: „წარსული რომ გაიგო, ის შესისხორცებული უნდა გქონდეს და გტკიოდეს, რომ გტკიოდეს – უნდა გიყვარდეს, რომ გიყვარდეს – გულით ქართველი უნდა იყო“ და არა ლიბერტიანელი.

ამგვარი ლიდერები ვერ აცნობიერებენ იმას, რომ თავისუფლება ესაა – უდიდესი პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის, ერისა და შემოქმედის წინაშე. ქართველ ლიბერალ-კოსმოპოლიტთა ეს მსოფლმხედველობა, არც მეტი, არც ნაკლები, ერის სულიერ-იდეოლოგიური გენოციდის ამკარა მხარდაჭერა და ხელშეწყობაა, რაც მცირერიცხოვან ერებს გადაშენებას უქადის. ჩვენს წინაპრებს ამ ფილოსოფიით რომ ეცხოვრათ, საქართველოში დღემდე მართლაც რომ ქვა ქვაზე არ დარჩებოდა. „საყოველთაო ჭეშმარიტება ადარ არსებობს, არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური ჭეშმარიტება: ფენს იკიდებს ვულგარული აზროვნება, რომელიც ადამიანში მხოლოდ ცხოველური ინსტიქტების წინ წამოწევას ემსახურება. ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლების სრული ანტიპოდი“ (ილია მეორე).

არსებული ტელევიზია და სხვა სახის სამთავრობო პროპაგანდის საშუალებები ყოველნაირად ცდილობდნენ უდიდესი ქართული კულტურული მემკვიდრეობის პროპაგანდის ნაცვლად მოსახლეობისათვის თავს მოეხვიათ ამერიკული მასკულტურა. ეს მღვრიე ტალღა ჩვენს ტრადიციებს, მრავალსაუკუნოვან ოჯახურ მორალურ-ზნეობრივ წესებს არღვევს. ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემა ასე მწვავედ არასოდეს მდგარა, როგორც დღეს დგას. ახალგაზრდები ურთიერთპატივისცემის, მხარში დგომის, დახმარების განცდას კარგავენ და გათითოკაცებულნი მხოლოდ საკუთარი ეგო-ს კეთილდღეობისათვის იბრძვიან. საკუთარი თავის მიმართ ეგოისტური შემწყნარებლობა, ჩადენილი ცოდვების გამო სირცხვილის, თავმოყვარეობისა და სიამაყის გრძნობის არარსებობა მათი ცხოვრების წესის სიმბოლოებად იქცევა. ყველაფერი ეს კი უცხოური მასკულტურის მასობრივი პროპაგანდის გავლენის შედეგად ხდება.

საერთოდ, ეკონომიკური მონობა აუტანელია, მაგრამ უარესია ეროვნული მონობა, რადგან თუ ეკონომიკური მონობა მარტო კუჭის, ეროვნული – მთელი სულიერ-ხორციელი ორგანიზმის ტკივილია. პიროვნება იყოს ეროვნული,

ეს ნიშნავს იმას, რომ იგი არსობრივად შეზრდილია ეროვნულ ინტერესებთან, მისთვის უცხოა კარჩაკეტილობა, საზოგადოებისათვის ზურგის შექცევა და ე.წ. კოსმოპოლიტურ-გლობალისტური ძალებით არ იმართება.

აშშ-ის ელჩის ჯონ ბასის აზრით, „ქართველები ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების სიმწირეს განიცდიან. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის ოცწლიანი პროცესი, როდესაც ქართველები წყვეტენ – ვინ არიან ისინი, რას ნიშნავს იყო ქართველი თანამედროვე მსოფლიოში. ამ პროცესში ზოგიერთმა ქართველმა აირჩია გზა, რომლის მიხედვითაც ქართველობა ნიშნავს იმას, რომ ეთნიკურად ქართველი და მართლმადიდებელი იყო. ეს მიდგომა არ ტოვებს ადგილს საქართველოს ბევრი მოქალაქისათვის, რომელთაც განსხვავებული რწმენა და ეთნიკურობა გააჩნიათ“ [5]. მას ავიწყდება ან შეგნებულად არ უნდა ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ჩვენს თავზე არაერთხელ დატყბილი უმძიმესი ქარიშხლებისას სწორედ ეროვნულობამ და მართლმადიდებლობამ გადაგვარჩინა და დღევანდლამდე მოგვიყვანა. აქედან გამომდინარე, არავის აქვს უფლება გეკივიტოს, რომ ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობის არსებობის ძირითადი საყრდენი ქვაკუთხედი – მართლმადიდებლობა და ეროვნულობა – თითქოს ქვეყნის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდეს.

ეროვნული ისაა, ვისაც გადამწყვეტ მომენტში შეუძლია ქვეყნის კეთილდღეობას მსხვერპლად შესწიროს საკუთარი ინტერესები. ეროვნულობა ქართულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან, ენასა და მამულთან ერთად ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩვენი ქვეყნის გადარჩენისა და დამოუკიდებლობის ქვაკუთხედი. ქართული ეროვნულობის, ეროვნული მეობისა და ღირსების შენარჩუნების წინააღმდეგ არის მიმართული საქართველოში ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებული, ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების დიდი უმრავლესობა, ასევე რელიგიური უმცირესობები თუ სექტები, რომლებიც ისეთი მცირერიცხოვანი ქართველი ერისათვის, როგორც ქართველი ერია, დამოკლეს მახვილივით სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს.

თავისუფლების ინსტიტუტში „დაფაჟკაცებულმა“ (დაპროგრამებულმა) ვარდოსნებმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მიზანდასახულად ბრძოლა გამოუცხადეს ეროვნულობას, როდესაც არა მარტო პირადობის მოწმობიდან და პასპორტიდან, არამედ ყოველგვარი პირადი საბუთიდან მამის სახელი და ეროვნულობა ამოგვიშალეს. ეს მზაკვრული ჩანაფიქრი და გლობალური შეთქმულება ყოველგვარი წინააღმდეგობისა და გართულების გარეშე თავს მოახვიეს ქართველ ხალხს სახელმწიფოებრივი და ეროვნული დამოუკიდებლობის ჩასაწიხლად და წარმატებითაც განახორციელეს. ისინი ხომ საერთაშორისო მასონურ ორგანიზაციებსა და ლოჟებში არიან გაწევრიანებულნი და ვალდებულება აქვთ აღებული, რაც

შეიძლება მალე მოახდინონ საზოგადოებაში ქართული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების ჩაქრობა, მათი მესიერებიდან ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული მეობის ამოშლა და ეროვნული გენის გენეტიკური გადაგვარება.

საქართველო უნიკალური კლიმატური პირობებითა და ნიადაგების (განსაკუთრებით ბარში და ზეგანზე) ნაყოფიერებით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, იგი ოდითგანვე მიწათმოქმედების ქვეყანა იყო. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად ესეც იყო ერთ-ერთი ძირეული საფუძველი, რამაც გადაარჩინა ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობა და დღემდე მოგვიტანა. მიუხედავად ამისა, ყოფილი ხელისუფლების წყალობით, 21-ე საუკუნის დასაწყისში (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ბუმის პერიოდში) საქართველოს სოფლის მეურნეობა გაპარტახებულ-განადგურებულია. კარგად იციან ჩვენმა უცხოელმა „კეთილის მსურველებმა“, რომ მიწას მოწყვეტილი მოხეტილ და უსახლკარო, თავმოყვარეობადაკარგული და ღირსებააყრილი მეურნე, რომელიც მხოლოდ თავის გატანაზე ფიქრობს, ადვილი სამართავია. ამიტომ თავიანთი ადგილობრივი სატელიტების ხელით ყველანაირად ცდილობდნენ, ქართველი მიწათმოქმედი მეურნე მოქვეყნა იმ მიწიდან, რომელზეც ათეული საუკუნეების განმავლობაში ჭიპლარით იყო მიმაგრებული. ამის ნათელი დასტურია უკანასკნელ პერიოდში მთელი რიგი სახნავ-სათიბებისა და საძოვრების უცხოტომელებზე გასხვისება (ჩინელები, თურქები, არაბები, ბურები და ა. შ.).

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით განგაშის ზარები იღია ჭავჭავაძემ დაარისხა. იგი გვაფრთხილებდა: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევინარჩუნეთ, საქოლაგი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული-კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშ მიწას გამოგვაცლის, სახსენებელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“ [1; 680].

ვაჟა ფშაველაც გულისტკივილით აღნიშნავდა: „საოცარი ამბები გვატყდება თავს. ქვეყანაში გააჩინეს დაწესებულებები, რომელსაც დააუღეს ყური უგდე და უპატრონე რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მოსულ უმაჟოლო გლეხობასო, აუარებელ ფულსა ჰხარჯავს ეს დაწესებულება მართო მოხელეებზე. თავისუფალი ადგილ-მამული რომ აღარაა ამ უბედურ საქართველოში, ტყეებს აჩენებენ ლეკებს.... წარსულ საუკუნეში რაც თავისუფალი სახნავი იყო, აზია-ევროპიდან მოსულებს უფემქამეს და დღეს, რაკი ეს სიმდიდრე გამოიღია, ტყეებს მიჰყვებს ხელი.... ნახევარი ტფილი-

სის გუბერნიისა უცხოეთიდან მოსულებს გაუბოძეს სახმარად და სამკვიდროდ და კიდევ ვერ დასცხრნენ, არ ისვენებენ, რაღაცას ჩხირიკედელაობენ და ცივ სამარეს უმზადებენ მკვიდრს, იმ მკვიდრსა, რომელიც ათას წლობით იდგა აქა და სწორედ რომ სისხლითა და ოფლით აქვს მორწყული ეს პატარა ქვეყანა“ [5. 700–701]. იგი შემოფოთებით წერდა: „თუ ამ გზით ვიარეთ, უეჭველია, ჩვენი ტერიტორია მალე დაიფუყება და საქართველოს ნიადაგზე ისე აჭრელდება სხვადასხვა ტომთა და ერთა სოფელ-დაბანი, რომ თვით დახელოვნებული, განსვენებული ლ. ზაგურსკი რომ წამოდგეს საფლავიდან, ვეღარ იცნობს აქაურობას და დაიკვილებს: ეს რა ქვეყანაა – საქართველოა, თუ ეთნოგრაფიული გამოფენაო“ [5.709].

ვარდოსანთა ყოფილი ხელისუფლება ეკონომიკური სიდუხჭირის შემქნით, შეგნებულად და ორგანიზებულად ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ქართველი (ძირითადად მომავალი თაობების მომცემი რეპროდუქციული ახალგაზრდობა) ლუკმა-პურის მოსაპოვებლად უცხოეთში გადახვეწილიყო და ქვეყანაში ადვილად სამართავი მოზაიკური საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად უცხო მოსახლეობის შემოყვანა-დამკვიდრება დაისახა მიზნად. ფაქტია, ასეთი საზოგადოება სრულიად გულგრილი იქნება საქართველოს ეროვნული ინტერესებისადმი, მრავალსაუკუნოვანი კულტურისადმი, ქართული ენისადმი, ტრადიციებისა და ყოველგვარი ეროვნული ღირებულებისადმი.

1971 წელს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე სამწყსოს მიმართავდა: „თითოეულ ერს უჭირავს ხმელეთის განსაზღვრული ტერიტორია, მიწა-წყალი. ბინადარს უყვარს თავისი სამშობლო კუთხე ისე, როგორც ბავშვს – თავისი დედა. ერს ახსოვს ის ტკიბილი რძე, რომელსაც სწოვდა დედის მკერდის საღმრთო ჭურჭლიდან. და თუ საჭირო გახდა, თავს დასდებს მისთვის, არ დაიშურებს თვით სიცოცხლეს. ქართველი ერი არასდროს ბოგანო არ ყოფილა და ის არის პატარა მონაკვეთი, თვალ-მარგალიტით მოჭედული ძვირფასი ხატით ორ გაუყრელ ძმათა, შავი და კასპიის ზღვებს შორის. ბევრს სურდა და სურს ხელში ჩაიგდოს ეს ნამდვილად „ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტი“ მხარე და ვერა და ვერ მოახერხეს დაპყრობა მისი, მხოლოდ კალთები ჩამოაჭრეს. ქართველს უყვარდა და უყვარს თავისი ერი, თავისი მამული, პატვისა სცემდა და სცემს მეზობელთ, პატვის სცემს პატიოსან მშრომელთ, კეთილად აღზრდილ ადამიანს და უწინარეს – კარის მეზობელს. ასე მსჯელობდა და მსჯელობს თითოეული პატიოსანი მშრომელი. ეს უნდა იცოდნენ მათ, ვინც კატასტროფას უმზადებს მსოფლიოს, ვინც ლამობს სხვისი უბედურების ხარჯზე ოქროს ოქრო დაუმატოს ნაყროვანმა“.

სპეციალისტთა გამოთვლით, განვითარებული სოფლის მეურნეობით საქართველოს შეუძლია ათეული მილიონი ადამიანის გამოკვება. გამოდის, რომ თუ სოფლის მეურნეობას ავადორძინებთ, მიღებული პროდუქტის 20–25% ადგილობრივი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად საკმარისი

იქნება, დანარჩენი კი თავისუფლად შეიძლება ექსპორტზე წავიდეს, რაც რამდენიმე წელიწადში ქვეყანას წელში გამართავს. საერთოდ, სურსათით თვითურუნველყოფა ქვეყნის უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიცაა. ამიტომ იგი სახელმწიფოს სტრატეგიულ გათვლაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს უნდა იკავებდეს. მოსახლეობის ტრადიციული მეურნეობით დაკავება ქვეყნის რეკრეაციული პირობების და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს.

მიწა ქართველი მეურნისათვის არამარტო წარმოების საშუალება, არამედ მისი სოციალური, ეკონომიკური და ეროვნული მეობის არსის გამომხატველიცაა. ამიტომ მისი მიწისაგან მოწყვეტა, რაც მიზანმიმართულად ხდებოდა, მისი, არა მარტო როგორც მეწარმე ინდივიდის მოსპობას, არამედ სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლასაც ნიშნავს. ამასთან ერთად, იმიგრაციული ნაკადის შემოდინების უკონტროლობა და საქართველოს მოსახლეობის უკიდურესი გაღარიბება ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილის სხვა ქვეყნების მოქალაქეთა საკუთრებაში გადასვლის რეალურ საფრთხეს ქმნის. შეიძლება ითქვას, რომ აქამდე ეს პროცესი ყოველგვარი გახმაურების გარეშე მიმდინარეობდა. ამის ნათელი დასტურია ბოლო პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული კანონის მიღება, რომლის ძალითაც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკურ პირებს ქართული მიწების ყიდვა-გაყიდვის უფლება დაუკანონდა. უნდა ითქვას, რომ ასეთი, ე.წ. ლიბერალური კანონი არც ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობას და არც ამერიკის შეერთებულ შტატებს არ აქვთ მიღებული. ამ ქვეყნებში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებზე და არა რეზიდენტ იურდიულ პირებზე არა თუ მიწის მიყიდვა, არამედ დროებით სარგებლობაში, ე.წ. გრძელვადიანი იჯარით, გადაცემაც კი იკრძალება.

საქართველოს ყოფილი ვარდოსანთა ხელისუფლება ერის დემოგრაფიული შემცირების (გენოციდის) მიზნით მიზანდასახულად და შეგნებულად არა მხოლოდ უცხოელებზე ასხვისებდა ქართულ მიწებს, არამედ მეზობელ „მეგობარ“ სახელმწიფოებთან სადემარკაციო საზღვრებიც კი არ ჰქონდა დადგენილი, რითაც დღესაც კარგად სარგებლობენ ჩვენი „კეთილი მეზობლები“ და მცოცავი გრაფიკით თანდათან წყნარად და მშვიდად გვაჭრიან ტერიტორიებს.

ქართველი კაცისათვის მიწა მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობის საგანი არ არის, იგი სამშობლოს სინონიმია. ამიტომ მშობლიურ მიწას მოწყვეტილი, უმიწოდ დარჩენილი ქართველი ქართველობას ვეღარ ინარჩუნებს. „ტერიტორიის მნიშვნელობა უბრალო სიტყვა არ არის. იგი დიალია და უპირველესი. არც ისტორიულ ტერიტორიას აქვს უაზრო მნიშ-

ვნელობა. ის ნაწილია ტერიტორიისა, რომელიც ოდნავ შეიძლება სხვა ელემენტით იყოს დასახლებული, მაინც თავის კანონიერ პატრონს ეკუთვნის.... თუ რასაკვირველია იქ ეროვნული ელემენტი სავსებით არ არის აღმოფხვრილი. თუ იგი ერის ტერიტორიის ორგანული ნაწილია, დარჩენილი არის ოდნავ მაინც მისი კულტურა და ისტორიული ნაშთი, თუ ერის გულში მქნსიერება ამ ახლო წარსულისა კიდევ დავიგის – ერს სრული უფლება აქვს მისი დაბრუნებისა და კულტურის აყვავებისა“ [4.112].

დემოგრაფიული ფაქტორი ქვეყნის ბალანსით ბალანსია და თუ ის მოიშალა (კატასტროფულად შემცირდა ან განადგურდა) ქვეყნის არსებობაც წარსულს ჩაბარდება. განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში, ე.წ. პროამერიკული, პროდასავლური, ყოფილი ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ყბადაღებული დასავლური დემოკრატიის ნიღბით, ერის დემოგრაფიული გენოციდი აშკარად მიმდინარეობდა. ამ ვაიდემოკრატიებმა აამუშავეს ჯერ ერის გახლეჩვის, შემდეგ კი მისი განადგურების მთელი რიგი ტექნოლოგიებისა.

საგანგაშოა ის, რომ ბოლო ათწლეულში შეგნებულად მიმდინარეობს გენოფონდის მიზანმიმართული განადგურება. ამის ნათელი დასტურია ქვეყნისათვის არაფრისმომცემ ომებში (ავღანეთი, ერაყი) ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის ფიზიკური განადგურება, მოსახლეობის თითქმის მესამედის (ძირითადად რეპროდუქციული ახალგაზრდობის) ლუკმა-პურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწა (გაეროს ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 700 ათასი შიდამიგრანტია, ხოლო ქვეყნიდან უცხოეთში სამუშაოდ გასულია 1,2 მილიონი ადამიანი, რომლებიც ყოველწლიურად საქართველოში 1,352 მილიარდ დოლარს აგზავნიან, რათა ახლობლები შიმშილით არ დაქოცოთ), ციხეებში პატიმართა ფიზიკური განადგურების საგანგებო რეჟიმი და მრავალი სხვ.

ვარდოსნების ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, რომ ისინი უკან აღარ დაბრუნებულიყვნენ და ვაილიბერალ-კოსმოპოლიტ მმართველთა მფარველობით მათ მიერ მიტოვებულ ბუდეებში უცხოტომელებს დაესადგურათ. იმ დროს, როდესაც ქვეყანაში 1,5 მილიონი ადამიანი უმუშევარია, ჩვენი ყოფილი „ვარდებით მოსული“ ხელისუფლება ხელგაშლილი ეპატიჟებოდა ბურებს, ირანელებს, თურქებს, ინდოელებს, ჩინელებს, არაბებს და ჩალის ფასად როგორც ქვეყნის სიმდიდრეს, ისე თბილისის ზღვაზე, კახეთისა და დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში კომპაქტურად დასახლებას სთავაზობდა. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ერის არა მხოლოდ დემოგრაფიული, არამედ ეკონომიკური და ფიზიკური გენოციდია. ფაქტების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია სარიოზულად დაფიქრებისათვის.


დასკვნა ერთია: დღეს ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების, ეროვნულ-სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების სრულ დევალაციამდე ვართ

მისული. კატასტროფული სოციალური და პოლიტიკური გარემო, დაკარგული და დასაკარგად გამზადებული ტერიტორიები, მოუგვარებელი შიდა და გარე კონფლიქტები, მეზობელ ქვეყნებთან დაუდგენელი საზღვრები, საგანგაშო დემოგრაფიული მდგომარეობა, უცხოეთში გადახვეწილი ერთი მესამედი მოსახლეობისა, დანგრეული და მითვისებულ-გადაკეთებული ისტორიული ძეგლები თუ ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური სალოცავები, სექტანტა და უცხო რელიგიურ კონფესიათა მომრავლება, მოშლილი განათლების სისტემა, განადგურებული სოფლის მეურნეობა, ტოტალური უმუშევრობა, მრავალი ათასი უცხოტომელის მიზანმიმართულად და კომპაქტურად დასახლება და ა. შ., ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერი, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენი, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მამებმა და მათ მიერ მართულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ბოლო ათწლეულში გატარებული უსისხლო, ანუ თეთრი გენოციდის მეშვეობით დეგრადაცია-გადაშენების ზღვრამდე მიიყვანეს.

უნდა ითქვას, რომ თეთრი გენოციდი მიმართული იყო არა მხოლოდ ქართველი ხალხის, არამედ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეთნიკური დიასპორების წინააღმდეგაც. მაგრამ ამ უკანასკნელთ ქართველებსაგან განსხვავებით, საბედნიეროდ, რეზერვში საკუთარი სამშობლო აქვთ და თუ ეთნიკური გადაგვარების საფრთხე დაემუქრებათ, შეუძლიათ თავიანთი მენტალობის დასაცავად საკუთარ ქვეყანას მოსთხოვონ ზომების მიღება ან, უკიდურეს შემთხვევაში, მას თავი შეაფარონ. მხოლოდ ქართველ ხალხს სხვა, სამარქაფო სამშობლო არ გააჩნია, ამიტომ თეთრი გენოციდის საფრთხე მისთვის უფრო მძიმე შედეგების მომტანი იქნება, ვიდრე აქ მაცხოვრებელი სხვა ეთნიკური უმცირესობებისათვის. საქართველო მაშინ შეძლებს მის თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებული თეთრი გენოციდის თავიდან აცილებასა და დღევანდელ მსოფლიოში თვითდამკვიდრებას, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, თუ ის ქართულ ეროვნულ ღირებულებებზე, ქართულ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებზე და ქრისტიანულ კულტურაზე იქნება ორიენტირებული.

ლიტერატურა

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1985.
2. კრ. „სამი საუნჯე“, 1, 2012.
3. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973.
4. მ. წერეთელი, ერი და საზოგადოება, თბ., 1995.
5. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1986.
6. ჟურ. „ქვაკუთხედი“, 2, 2011.



მამუკა ცუხიშვილი

„მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე“

საქართველოს ისტორიის ცოდნა რომ თითოეული ჩვენგანის უპირველესი მოვალეობაა, ეს კამათს არ უნდა იწვევდეს, მეტადრე, ეს ეხება საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში მოღვაწე და დამკვიდრებულ სასულიერო და საერო საზოგადოებას.

წინამდებარე წერილის მიზანი არის ერთი უმნიშვნელოვნესი საკითხის შესწავლა და ამ საკითხის ირგვლივ არსებული ბურუსით მოცული ისტორიის განხილვა. საქმე ეხება ზარზმის (მონასტრის) ტაძარში, საკურთხევლის გვერდით, ერთ პატარა კელიაში დასვენებული მიცვალებულის, ნემტის თუ „მუმიის“ ამოუცნობ და დაუსაბუთებელ წარმომავლობას, მისადმი სასულიერო პირებისა და მრევლის არაადეკვატურ დამოკიდებულებასა და გაუმართლებელ საქციელს.

ამ წერილში გამოქვეყნებული მასალები და დოკუმენტები არის საფუძველი და ნათელი გამოვლინება იმისა, რომ საკითხი მოითხოვს დაუყოვნებლოვ შესწავლასა და პრობლემის გადაწყვეტას.

* * *

დიდი ქართველი გეოგრაფი, კარტოგრაფი, ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი სამცხის აღწერისას ბრძანებს: „(აბანოს) ჳევს ზეით, წნი სს, ერთვის მტკუარს წნისის ჳვეი, გამომდინარე ფერსათის მთისა. ეს მოდის პირველ ჩრდილო-დასავლეთიდან აღმოსავლეთ-სამკრეთს შუა, მერმე ჩრდილოდამ სამკრით. ამ ჳვეზედ არს, წნისს ზეით, მონასტერი მაღალს კლდესა ზედა, კეთილშენი, გუმბათიანი და აწ უქმი. ამ ჳვეის სათავეს, მთასა შინა, არს ჳვინტის დასავლეთად ჯ უ ა რ ი ს ც ი ხ ე, მაგარი და დიდშენი. ჳვინტას არს მონასტერი კეთილი, შუენიერშენი და აწ უქმი. წნისს არს მტკუარზედ კიდი კარგი. ამ კიდს ზეით მომდორდების მტკუარი და მოდრკების სამკრიდამ აღმოსავლეთად“.¹

¹ ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ / ქართლის ცხოვრება, თ. IV, თბ., 1973. გვ. 663.

გარდა ამ მონათხრობისა, თუ ისტორიული ამონარიდისა, სოფელ წნისის შესახებ ქართულ საისტორიო ლიტერატურაში კეთილსაიმედო ვერაფერი ვნახეთ.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ სოფელ წნისში, ჯერ კიდევ ვახუშტის დროს, 1730-40-იან წლებში მდგარა „მონასტერი მაღალს კლდესა ზედა, კეთილშენი, გუმბათიანი და აწ უქმი“, რომლისთვისაც შემდგომ წლებში ყურადღება არავის აღარ დაუთმია.

იმისათვის, რომ დაგვედგინა ზოგიერთი ფაქტი ზარზმის მონასტერში (დასვენებული) მუმიფიცირებული ნეშტის შესახებ, გადავწყვიტეთ, ვწვეოდით თავად ზარზმას და იქ გაგვერკვია რეალობა (ზარზმის მონასტერზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ).

ეზოში ერთი სასულიერო პირი შემომეგება, რომელსაც რამდენიმე წუთში ვეღარსად მივაგენი. შევედი ტაძარში, მოვილოცე და ერთ საერო პირს ვთხოვე, დავეკავშირებინე ვინმესთან, ვისაც კურთხევის მოცემა შეეძლო, რათა შევსულიყავი იმ „ოთახში“ თუ „კელიაში“, სადაც წნისში აღმოჩენილი მუმიფიცირებული ნეშტის ნახვა იქნებოდა შესაძლებელი.

სამწუხაროდ, სასულიერო პირთაგან არავინ გამოვიდა და ნეშტის სანახავად ახალგაზრდა მამაკაცი შემიძღვა (სინათლე არ იყო). მოვიმარჯვე ფოტოაპარატი. წელს ზემოთ ფოტოს გადაღების ნებართვა არ მომცა, თუმცა სახეზე დაფარნა და წელს ზემოთ ძვირფასი ქსოვილი ჰქონდა გადაფარებული, ხოლო მუხლებს ქვემოთ შიშველი იყო და ფოტოც გადავიღე...

ტაძრიდან გამოვედი და ახალციხისაკენ გავეშურე. უკვე 16 საათისთვის ვეწვიე ახალციხის ციხეს, ე, წ. რაბათს, სადაც ამჟამად მდებარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ადმინისტრაცია. კართან შემომეგება ბატონი ჯუმბერ ჩოხელი, რომელიც შემიძღვა ადმინისტრაციულ მენეჯერთან, ქალბატონ ციური ლაფაჩთან.

მივესალმე, მოვიკითხე და ჩემი გულისნადები გავანდე. მეტად სანდომიანი და სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა ქალბატონი ციური, რომელმაც მომითხრო (ტექსტს გთავაზობთ უცვლელად): „1941 წელს, როდესაც ბორჯომ-ახალციხის რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობა მიმდინარეობდა, სოფელ წნისთან საჭირო გამხდარა კლდის ჩამონგრევა, სადაც მდგარა პატარა ტაძარი. კლდის ნგრევისას მუშებს შეუნიშნავთ აკლდამა, სადაც დასვენებული ყოფილა მიცვალებული.“

ადგილზე მისულან პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებსაც უნახავთ მიცვალებული. როგორც გადმოცემით ვიცით, ნეშტი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ახალგაზრდაცვალებულს ჰგავდა, მაგრამ როგორც კი მზე და ჰაერი მოხვედრია, მაშინვე ჩაფერფლიდა. გულზე ეკეთა ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ჯვარი, ხოლო ტანზე ემოსა ასევე ძვირფასი შალის შესამოსელი.

ოქროს ჯვარი, ადგილობრივი უმიშროების უფროსს თბილისში წაუ-

ღია(!), ხოლო ნეშტი შემდგომი გამოკვლევის მიზნით გადაუსვენებიათ თბილისში, რომელსაც გამოკვლევა ჩაუტარა ვინმე ექიმმა ფირფალაშვილმა. იმავე თვეებში ნეშტი გადმოსვენეს ახალციხის მუზეუმში, სადაც იგი იყო 1989 წლამდე (თვალეში ცრემლი ჩაუდგა ქალბატონ ციურის — მ.ც.).

1989 წელს მუზეუმში მობრძანდა ზარზმის მონასტრის წინამძღვარი მამა გიორგი² (გვარს ვერ იხსენებს), რომელმაც გადაჭრით მოითხოვა ნეშტის გადასვენება თავისთან, ზარზმის მონასტერში. ჩვენ წინააღმდეგობა გაუწიეთ.

— რატომ შეწინააღმდეგეთ? — ვკითხე მე.

— იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მიცვალებული უნდა დაკრძალულიყო, რაც 1989 წლამდე ვერ მოხერხდა,³ და მეორეც, თუ მაინცდამაინც შენახვას გადაწყვეტდნენ, აქვე წმ. მარინეს სახელობის ახალციხის საკათედრო ტაძარში ან კიდევ საფარის მონასტერში უნდა გადაესვენებინათ ზარზმამი რა უნდოდა?

იმავე წლის შემოდგომაზე, როდესაც მუზეუმს სტუმრობდნენ დამთვალიერებლები და ექსპონატებს ვაცნობდით, შენობას მოადგა ავტომანქანა, იქედან გადმოვიდა მამა გიორგი, რომელსაც ახლდა რამდენიმე ადამიანი და წარმოგვიდგინა იმდროინდელი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ო. ჩერქეზიას, რელიგიის საქმეთა რწმუნებულის ხელმოწერილი თანხმობანი გვამის გადაცემის შესახებ. ძალიან გამიჭირდა, გაგნერვიულდი და ვიტირე კიდევ, მაგრამ რა აზრი ჰქონდა? თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ამ ნეშტისა დასრულდა და მან ახალი ნათესაყუდელი ჰპოვა ზარზმის მონასტრის საფანეში. იმ დღის მერე ის აღარ მინახავს“ (ისევ აუცრემლდა თვალები).

მადლობის მეტი რა მეთქმოდა. დავემშვიდობე მუზეუმის თანამშრომლებს და გეზი თბილისისაკენ ავიღე. თან ვფიქრობდი: რა დააშავა ამ კაცმა ისეთი, რომ მის ნესტს მიწა არ აღირსეს-მეთქი.

1972 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბეში“ აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის წარდგინებით გამოქვეყნდა პავლე ფირფალაშვილის წერილი „მუმიფიცირებული ადამიანის სხეულის შესწავლისათვის“. გთავაზობთ ტექსტს უცვლელად: „1940 წელს ბორჯომ-ახალციხის რკინიგზის მშენებლობის დროს სოფელ წნისთან, „პატარაგორის“ მახლობლად, დანგრეული ეკლესიის მახლობლად მდებარე დანგრეული ეკლესიის კლდისპირა კედლების აღების დროს გამოჩენილა ნაწილი კლდისა, რომელიც (50-50 სმ) ქვითკირით ყოფილა გამოშენებული. რკინიგზის მშენებლები დაინტერესებულან აღნიშნულით და გამოუნგრევიათ იგი, შიგნით აღმოუჩინიათ გამოქვაბული, რომელშიც ესვენა ადამიანის მუმიფიცირებული სხეული. „მუმიისათვის“ გაუკეთებიათ „სარკოფაგი“ და ახალციხის ი. ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდ-

² ეს ის მამა გიორგი ხაბეიშვილია, რომელიც, როგორც გადმოცემით ვიცით, გარკვეულ დაპირისპირებაში იყო საქართველოს საპატრიარქოსთან.

³ ქალბატონი ციური ლაფაჩი აბსოლუტურად მართებულად შენიშნავს, რომ ნეშტი უნდა დაკრძალულიყო და დღემდე ამ პოზიციაზე რჩება, ასევე — მართებულად!

ნეობის მუზეუმში გადაუტანიათ (ცნობა მოგვაწოდა ვასო ლომსაძემ).

მუზეუმის დირექტორის ს. ორჯონიკიძის გადმოცემით, თავის დროზე „მუ-
მია“ უნახავს გ. ნიორაძეს, რომელსაც იგი XVI-XVII სს. დაუთარილებია.
რა მონაცემებს ვერდობოდა მკვლევარი დათარილებისას, სამწუხაროდ,
ამის შესახებ ცნობები არ შემონახულა. „მუმი“ დღემდე შეუსწავლელია.

ჩვენ დაინტერესდით ამ საყურადღებო ექსპონატით და 1970 წლის ივ-
ლისსა და ნოემბერში ჩავატარეთ მისი რენტგენოლოგიური გამოკვლევა,
ახალციხის საავადმყოფოს რენტგენოლოგიურ განყოფილებაში. ამასთან,
შემდგომი ლაბორატორიული შესწავლის მიზნით თან წამოვიღეთ თავსა-
ბურისა და სხეულის სხვადასხვა მიდამოდან აღებული სამოსის ნაწილები,
ხოლო პათომორფოლოგიური გამოკვლევისათვის — კანის, კანქვეშა ქსო-
ვილებისა და აქილევსის მყესის ნაწილი.

ჩვენი თხოვნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიო-
ნახშირბადით (C^{14}) აბსოლუტური ასაკის განსაზღვრის ლაბორატორიამ
აღნიშნული მუმიის ასაკი (ტანისამოსის ნაწილების მიხედვით) განსაზ-
ღვრა და დაათარიდა 990 ± 90 წლით.

„მუმიას“, ყაბალახის მსგავსად, თავზე ახურავს და ყელზე შემოხვეული
აქვს მაღალხარისხოვანი წვრილბეწვა ბამბისაგან დაშნადებული მომწვა-
ნო-ყავისფერი ქსოვილი. ტანზე იმავე ქსოვილის „კაბა“ და პერანგი. პერ-
ანგის გულისპირს შემოვლებული აქვს ნატურალური აბრეშუმის ზონარი,
ხოლო კაბა შუაზე უხეშადაა გაკერილი. პერანგი და კაბა ჩალისფერია.

ტანსაცმლის ქსოვილი ჩვენი თხოვნით ლაბორატორიულად შესწავლილ
იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის
საქონელმცოდნეობის კათედრის ლაბორატორიის მიერ (ხელმძღვანელი კ.
მგერელიძე). ლაბორატორიის დასკვნით, ქსოვილი ფიზიკურად კარგადაა
შენახული. მიკროსკოპული შესწავლით დადგინდა, რომ ნიმუშის ყველა
ქსოვილი ოთხკუთხედი ხლართითაა მოქსოვილი, თავზე და ყელზე შემოხ-
ვეული ქსოვილი დაჩითულია, ხოლო სხეულის საფარი სამოსი შეუღებავია.

„მუმი“ მამაკაცისაა, იგი 40-45 წლის ასაკში გარდაიცვალა. „მუმი“
გულხელდაკრეფილია. სხეულის საფარი კანი გასქელებულია, ელასტი-
კურობა თითქმის დაკარგული აქვს და ირგვლივ მჭიდროდ ეკვრის მთელ
სხეულს. იგი ალაგ-ალაგ დაჩრეტილია (ალბათ ჭიის მიერ — პ. ფ.).
სათესლე პარკი და ასო მკვეთრად შეჭმუნული და დაპატარავებულია.
ასოს ჩუჩა მთელია.

„მუმიის“ სიმაღლე 172 სმ-ია. მარჯვენა ქვედა კიდური მარცხენასთან
შედარებით, მთელ სიგრძეზე „ატროფიულია“. მათ გარშემოწერილობებს
შორის სხვაობა 1-3 სმ-ია.


სახის ქალას რენტგენოგრამაზე აღმოჩნდა, რომ მარჯვენა ზედა ყბაზე
პრემოლარების არეში ალვეოლარული მორჩი ატროფიულია. ქვედა ყბაზე

მარჯვნივ არ არსებობს IV-V პრემოლარი. მარცხნივ სიბრძნის კბილი მთ-
ლანად არ არის ამოჭრილი, იქვე ქვედა ყბის კუთხის არეში აღინიშნება
სკლეროზული არშით შემოფარგლული მრგვალი ფორმის ჩრდილი, რაც
გვაფიქრებინებს კისტაზე. რენტგენოგრამაზე: მენჯის მარჯვენა ნახევარი დე-
ფორმირებულია. ამასთან აღინიშნება ტაბუხის ფოსოს ფუძისა და ბოქვენის
ძვლის ასწვრივი ტოტის ძველი მოტეხილობის კვალი. იმავე მხარეს, დახუ-
რული ზვრელი დაპატარავებულია. ასევე, მარჯვენა ტერფი მაღალთალოვანია
(ექსკავატური), ხოლო მარცხენა ვარუსულ დეფორმაციას განიცდის.

ამგვარად, „მუმიის“ შესწავლით ირკვევა, რომ გარდაცვალებამდე ბევ-
რად ადრე, მას ქვედა ყბაზე ჰქონია კისტა, ხოლო მენჯზე მარჯვნივ, ბო-
ქვენისა და საჯდომი ძვლის განუვითარებლობა. ცვლილებანი: კიდურის
ატროფია, ტერფებისა თალოვანი და ვარუსული დეფორმაცია მიგვანიშნებს
გადატანილ ავადმყოფობაზე — პოლიომიელიტზე. თუმცა ტაბუხის ფო-
სოს ფუძისა და ბოქვენის ძვლის ასწვრივ ტოტზე არსებული მონაცემები
იმასაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია საქმე გვაქვს ამ ძვლების
ძველ მოტეხილობასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე უნდა
ვიფარაუდოთ, რომ, მიუხედავად ძვლების შეზორცებისა, პიროვნება კოჭლი
ყოფილა. როგორც ცნობილია, მწვავე პოლიომიელიტი პირველად აღწერა
ანდერეუდომ 1789 წელს, მაგრამ ამ დაავადების სიძველის კვალი სალიბის
და რიდას მიხედვით, დადგენილია ძვ. წ. XV-IV სს. მასალების მიხედვით.

რაც შეეხება მუმიის ჩაცმულობის საკითხს, მისმა ლაბორატორიულმა შესწავ-
ლამ ცხადყო, რომ მიცვალებული ტანსაცმლიანად დაუსაფლავებიათ. თუ მხედვ-
ელობაში მივიღებთ დასაფლავების ადგილმდებარეობას (ეკლესიის სიახლოვეს)
საფიქრებელია ისიც, რომ „მუმი“ იყო სასულიერო პირი. ამგვარი ვარაუდის
სასარგებლოდ მიუთითებს ქართულ წერლობით წყაროებში დაცული ზოგიერ-





თი ავტორის ცნობაც. ასე, მაგალითად, ვახუშტის მიხედვით, საბაწმიდის მონასტრის ზევით — ცხინვალის მიმართულებით უდაბნოში არსებულ კლდეში გამოკვეთილ ერთ-ერთ ქვაბში „ძეს მოწესე მკუდარი, დღემდე დაუშლელი, კუბოსა შინა კლდისასა, ანაფორითა“ და სხვა.

მარჯვენა წვივის უკანა ზედაპირიდან პისტომორფოლოგიური შესწავლის მიზნით აღებული მასალა მაკროსკოპულად შემდეგი მონაცემებით ხასიათდება: კანი რუხი ნაცრისფერია, ელასტიკურობა დაკარგული აქვს. მის ქვეშ მდებარე ქსოვილები (ფასცია, აპონევროზი და

სხვა, რომელთა გარჩევა მაკროსკოპულად ვერ ხერხდება) ღრუბლისებური შენებით ხასიათდებიან. აქილევსის მყესის ნაწილი ცვილის ფერია. მართალია, იგი მკვრივია, მაგრამ ადვილად იყოფა ცალკეულ ბოჭკოებად, რომლებსაც ელასტიკურობა შენარჩუნებული აქვთ.

მიკროსკოპულ პრეპარატში კანის ვერც ერთი შრე ვერ ვნახეთ. მხოლოდ სამ პრეპარატში (გადიდება X200) აღმოჩნდა შერჩენილი თმის ბოლქვისმაგვარი კონტურები და თმის ღეროს მცირე ნაწილი. პრეპარატში ვიწრო ზოლის სახით ჩანს პარალელურად განლაგებული ბოჭკოები, რომლებშიც აღინიშნება დიფუზურად გაბნეული ყავისფერი მომრგვალო ფორმის სხვადასხვა ოდენობის ბელტები —მიწის სახით.

ამგვარად, „მუმის“ შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგი X ს. მცხოვრები სასულიერო პირია და დააფადებული ყოფილა ქვედა ყბის კისტით. ამასთან, გადაუტანია პოლიომიელიტი, მარჯვენა ტაბუხის ფოსოს ფუძისა და ბოქვენის ძვლის ასწვრივი ტოტის მოტეხილობა, რის გამოც დაკოჭლებულა. აღნიშნული პირი რომელიდაც ხანგრძლივად მიმდინარე მძიმე ინფექციური ავადმყოფობით ან შიმშილით გარდაცვლილა. როგორც ჩანს, მისი დაუსუსტებული სხეულის მუმიფიცირებას შესაძლოა ერთგვარად ხელი შეუწყო გამოქვაბულში არსებულმა გარემო პირობებმა (ნიადაგქვეშა კალციუმის შემცველმა წყალმა, მუდმივმა ტემპერატურამ და სხვა), თუმცა გამორიცხული როდია გვამის დაბალზამება.

საკითხი საინტერესოა როგორც პალეოპათოლოგიის, ისე მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით. ამიტომ საჭიროა „მუმის“ სხეულის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური შესწავლაც.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტი (შემოვიდა 10. 09. 1971)“⁴

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ჟურნალიდან მოხმობილი წერილის სრული ტექსტი 40 წლის შემდეგ (1972-2012) პირველად ქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდურ სამეცნიერო კრებულში და მისი ხელმოწერა დაბეჭდვის მიზანია:

1. საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ წნისში აღმოჩენილი „მუმის“, ე. წ. ისტორიულ-მეცნიერული მნიშვნელობა.

2. ამ წერილის კვალდაკვალ ეტაპობრივად განვიხილოთ რეალობა და გამოვიტანოთ ლოგიკური დასკვნები, რათა საცნაური გახდეს რასთან ან ვისთან გვაქვს საქმე.

* * *

მოკლედ აღვწერთ ჯერ წნისის მიდამოებს და შემდეგ ზარზმის ისტორიულ ტაძარს.

წნისი არის სოფელი ახალციხის რაიონში, რომელიც შედის კლდის თემის შემადგენლობაში. მდებარეობს ახალციხის ქვაბულში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 935 მეტრზე.⁵ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში აქ შემონახული იყო შუა საუკუნეების ციხე და XIII საუკუნის დარბაზული ეკლესია.

ტაძარი, რომელიც კლდეზე იდგა, სადაც მშენებლებმა მიაგნეს აკლდამას, არსად არ არის მოხსენიებული, თუმცა, ვარაუდით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ის დარბაზული ეკლესიაა, რომელიც წნისის აღწერისას შემოაქვს ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო კოლეგიას XI ტომში.

ვახუშტი ბრძანებს: „ახალციხის წყლის სამკრეთით, ვიდრე მტკვრადმდე, და ერუშეთისა, და არსიანის მთამდე, წრწუმს ზეით, ჯაყის წყალზედ, არს ყ უ ე ლ ი ს ც ი ხ ე, მრავალჯერ შემუსვრილი და აწოკერი. ყუელის ზეით მთაში არს ზარზმას მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, შუენიერს ადგილს და აწუქში“.⁶

„ზარზმაში რამდენიმე ძველი ნაგებობაა: დიდი ტაძარი და მასზე აღმოსავლეთით მიშენებული სამლოცველო, სამრეკლო და მის ჩრდილოეთის კედელს მიბჯენილი სამლოცველო; ასეთივე მცირე, ერთნავიანი სამლოცველო ტაძრის ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან, ორი მცირე ეკლესიის ნან-

⁴ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, თბილისი, 1972 წ. აპრილი, ტომი 66, №1, გვ. 249-251.

⁵ ქსე, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 341.

⁶ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოს / ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 665.

გრევი დიდი ეკლესიის სამხერთით“⁷

ზარზმის მონასტერს საფუძველი ჩაუყარა ადრინდელი ფეოდალური ხანის ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ სერაპიონ ზარზმელმა, რომლის მოღვაწეობის შესახებ ჩვენთვის ცნობილია ბასილი ზარზმელის თხზულებიდან „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“.

ამ შრომიდან კარგად ჩანს, რომ სერაპიონი წარმოშობით იყო კლარჯი. მიქელ პარხელის მოწაფე. იგი თავის ძმასთან ერთად მაშინ წამოვიდა „ქვეყნად სამცხისად“, როცა მიქელს გამოეცხადა „ვინმე, ვითარცა მღვდელ-შუენიერად შემოსილი“ და აუწყა, შენი მოწაფეები უნდა წავიდნენ და დააარსონ მონასტერი იქ, სადაც მათ ღმერთი ანიშნებსო. სერაპიონმა და მისმა ძმამ თან წაიღეს ფერისცვალების ხატი და დიდი ძებნის შემდეგ, სხვადასხვა სასწაულისა და ჩვენების მიხედვით, ნახეს სამონასტრო ადგილი.

იქაურმა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა, რომლის სასახლეები ზანავისა და ჩორჩანის მახლობლად იდგა, დიდი დახმარება გაუწია სერაპიონს.

ასევე, ბასილი განმარტავს, თუ რატომ ეწოდა ამ ადგილს ზარზმა: „რამეთუ ეწოდა ზარზმა, რომელი ზარითა და შიშითა მიუთხრობელთა შეპყრობილ იყვნეს“.⁸

ცნობილია ისიც, რომ ზარზმის უძველეს, სერაპიონის დროინდელ ტაძარებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, ხოლო შემდგომი წლების ზარზმის უძველესი სამკაულია სამლოცველოს შესასვლელის თავზე არსებული ჯვარი და წარწერა, რომელიც მოგვითხრობს დავით კურაპალატის დროინდელ ამბავს — ქართველთა ლაშქრობას აჯანყებულ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ, ბიზანტიის მეფეთა დასახმარებლად (978-1002): „მე, ივანე ძემან სულაისმან, აღვაშენე წმიდად ეგუტერი“ (სამლოცველო), წერს ლაშქრობის მონაწილე, „მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადავა სკლიაროსი, დავით კურაპალატი აღიდენ ღმერთმან, უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი წარგავლინა“...

ბევრი რომ არ გაგვიგრძობდეს, ზარზმის მონასტერი თავისი დიდებულებით აოცებს ნებისმიერ მნახველს. მრავალფეროვანი ჩუქურთმები, ფრესკები განსაკუთრებულ იერს ანიჭებენ დღემდე უვნებლად მოღწეულ ტაძარს. ათბავები, ჩორჩანელები, მთავრები, სასულიერო და საერო პირები ამშვენებენ ტაძრის მხატვრობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ზარზმა ოდითგანვე იყო „შემკრებელი მრავალითა და წმიდათა“.

იყო დრო (XVI ს.), როდესაც სხვა მრავალ სავანესთან ერთად ზარზმაშიც შეწყდა სიცოცხლე, დაცარიელდა და აოხრდა ტაძარი. იქ დავანებულმა სიწმინდეებმა თავშესაფარი ჰპოვა შემოქმედში (გურია), სადაც გადარჩა და კვლავ დაუბრუნდა ისტორიულ ადგილს.

XIX საუკუნის მიწურულს აბასთუმანში სამკურნალოდ დასახლებ-

⁷ ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, „ნაკადული“, თბ., 1970. გვ. 60.

⁸ ბასილი ზარზმელი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, გამოც. რ. თავაძის მიერ, თბ., 1975, გვ. 36.

ულმა რუსეთის ტახტის მემკვიდრემ, გიორგიმ ზარზმის ტაძრის შეკეთება გადაწყვიტა, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა შეუშალა ხელი. 1900-იანი წლების დასაწყისში უფლისწულის სურვილი რეალობად აქცია ხუროთმოძღვარმა სკინინმა და მხატვარმა სლავცევმა.

ღღეს კი ტაძარი ფუნქციონირებს, იქვეა მამათა მონასტერი და წნისში აღმოჩენილი დაუკრძალავი „მუმი“.

* * *

ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევადმდე შენდა მიწად, რომლისგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე“ (დაბ. 3,19). იმავეს ამბობს ეკლესიასტე: „მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა“ (ეკლ. 12,7); ანუ ადამიანი უნდა დასაფლავდეს გარდაცვალების შემდეგ. თვისება მოკვდაობისა ადამიანმა შეიძინა საღმრთო ცნების დარღვევით, რის შემდეგაც იგი ღმერთმა სამოთხიდან გააძევა და ზემოთნახსენები სიტყვებით მიმართა. პეტრეს კითხვაზე — „მიცვალებულის სულისთვის სარგებლობის მომტანია თუ არა სხეულის ტაძარში დაკრძალვა? — წმ. გრიგოლ დიოდოლოსი პასუხობს: „ტაძარში დაკრძალვა იმ მიცვალებულებისთვის არის სასარგებლო, რომლებიც დიდი ცოდვებით დამძიმებული არ არიან. მათი ახლობლები ამ წმიდა ადგილებში (ტაძარებში) იკრიბებიან და გარდაცვლილთა საფლავების ხილვისას იხსენებენ მათ, მათთვის ღმერთს ვედრებიან. პირიქით, თუკი ტაძარში ისეთ ადამიანს დაკრძალვენ, რომელსაც სული მომაკვდინებელი ცოდვებით აქვს დამძიმებული, მას არათუ ცოდვები შეენდობა, არამედ უმეტესად დაისჯება“.⁹

წნისში აღმოჩენილი და ზარზმის წმიდა ტაძარში დაბრძანებული „მუმიის“ შესახებ აკადემიკოსმა კონსტანტინე ერისთავმა მოგვარა იმ მასალა, რაც მისი სამედიცინო-სოციალური (ანატომია, ქსოვილების შესწავლა...) წარსულისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ რატომ ან რა მიზეზით ჰპოვა „მუმიამ“ განსასვენებლად სარკოფაგი ზარზმის მონასტერში, ჩვენთვის უცნობია.

1983-1992 წლებში ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქიას განაგებდა მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, თუმცა ჩვენთვის ასევე უცნობია, მაღალყოვლადუსამღვდელოესი ანანია ამ საკითხის ირგვლივ იყო თუ არა ჩაყენებული საქმის კურსში. ფაქტი ჯიუტია, ზარზმის მონასტრის მაშინდელი წინამძღვრის, არქიმ. გიორგის ინიციატივით წნისში აღმოჩენილმა „მუმიამ“ მიწის ზემოთ განსასვენებელი ჰპოვა ზარზმის ისტორიული ტაძრის სავანეში.

⁹ წმ. გრიგოლ დიოდოლოსი, „სიკვდილის შესახებ“ (ნაწ. III), თბ., 1998, გვ. 46.

აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავს, რომელიც იყო თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი (1938-41), თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი (1941-50), სისხლის გადასხმის ინსტიტუტის დირექტორი (1948-50), ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი (1950-1974), მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების ხელმძღვანელი (1951-55), ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (1957-72) და რომლის სახელს უკავშირდება საქართველოში გულის, სისხლძარღვების, ფილტვებისა და თავის ტვინის პირველი ოპერაციების ჩატარება, რომელიც იყო XX საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთი უძლიერესი ექიმი-კლინიციისტი, არა მგონია, ხელშეწყობა არ ჰქონოდა ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევებისა, რათა გადაჭრით დაედგინა „წინსული მუმიის“ წარმოშობისა და მდგომარეობის, ასევე სასულიერო ხარისხში ყოფნის უმნიშვნელოვანესი დეტალები; მაშინ, როდესაც სასულიერო პირს უნდა ჰქონოდა ჩატარებული ხელის ჯვარი, დაფარვა, შემოსილი უნდა ყოფილიყო სამღვდლო სამოსით და ა. შ. რისი კვალიც არსად ჩანს!

ის, რომ „მუმი“ მამაკაცისაა, რომ იყო დაავადებული ან ეცვა ძვირფასი „მაღალხარისხოვანი წვრილბეჭვა ბამბისაგან დამზადებული მომწვანო ყავისფერი ქსოვილი“ და დაკრძალული იყო ეკლესიის ტაძრის სიახლოვეს თუ გალაგანში, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ის იყო სასულიერო პირი და მით უმეტეს **წმინდანი**.

ჩვენთვის ცნობილია წმინდანთა განდიდების საფუძვლები და შესაბამისად მათი კანონიზაცია ეკლესიური ცნობიერებით ყოველთვის მოაზრებული იყო, როგორც ფაქტი ეკლესიაში ღმრთის სიწმინდის გამოვლინებისა, რომელიც აქ მაღლითშემოსილ მოღვაწეთა საშუალებით მოქმედებს. ამიტომ ადამიანთა წმინდანებად შერაცხვა-განდიდებას ჰქონდა თავისი უმთავრესი წინაპირობა, რომელიც ყველა დროში (და დღესაც) უცვალვალე და განსაზღვრულია. მოღვაწის კანონიზაციას ან ტაძარში დაკრძალვის უფლებას შემდეგი ნიშნები განაპირობებს:

„1. ეკლესიის რწმენა შესარაცხი მოღვაწის, როგორც ღმრთის სათნო-მყოფელი ადამიანის, ამქვეყნად მოვლენილი ღმრთის ძის მსახურისა და წმიდა სახარების მქადაგებლის სიწმინდეზე (ასეთი რწმენის საფუძველზე განდიდდნენ ძველი აღთქმის მამები, მამათმთავრები, წინასწარმეტყველნი, მოციქულნი).

2. ქრისტესთვის მოწამეობრივი სიკვდილი ან ტანჯვა ქრისტეს სარწმუნოებისათვის (ეკლესიაში ამგვარად განდიდდნენ მოწამენი და აღმსარებელნი).

3. სასწაულთქმედებანი, რომლებიც აღსრულებოდნენ წმინდანთა ლოცვის მეშვეობით ან მათი წმიდა ნაწილების მიერ (ღირსნი, მღუმარენი, მესვეტენი, მოწამენი, სალოსნი და სხვ.).

4. უმაღლესი საეკლესიო პირები (სვიმეონ თესალონიკელის მოწმობით,

კონსტანტინეპოლში, მოციქულთა დიდ ტაძარში ძველი დროიდან მოყოლებული, წმინდანთა ნაწილების მსგავსად, საღმრთო ღმრთისმსახურების მაღლისათვის მღვდელმთავარნიც საკურთხეველში იკრძალებოდნენ).

5. ეკლესიისა და მართლმორწმუნე ერის წინაშე დიდი დამსახურება (მეფენი, მთავარნი, მოციქულთა სწორნი, დედოფალნი).

6. კეთილზნობითი, წმიდა და მართალი ცხოვრება, რომელიც ყოველთვის არ იყო დამოწმებული სასწაულთქმედებებით.

7. პატრიარქ ნექტარის მოწმობით, XVII საუკუნეში სამი რამ მიიჩნეოდა მოღვაწეთა ჭეშმარიტი სიწმინდის მიზეზად:

ა) შეუორგულებელი მართლმადიდებლობა, ბ) ყველა სათნოების აღსრულება, რასაც მოსდევდა სარწმუნოების გამო ბოროტის მხრიდან წინააღმდეგობა, წმინდანის სისხლის დათხევამდეც კი, და გ) ღმრთის მიერ ზებუნებრივი ნიშნებისა და სასწაულების გამოვლინება.

8. არაიშვიათად, მოღვაწის წმინდანობის დამადასტურებელი იყო ხალხის თავგანისცემა, ზოგჯერ სიცოცხლეშივე გამოვლენილი. მოღვაწის სიკვდილის შემდგომ მისი თავგანისცემელი ქრისტიანები ადგენდნენ მსახურებას, ტროპარ-კონდაკს, ქმნიდნენ ხატს, აღწერდნენ მის ცხოვრებას, მოღვაწის საფლაგზე აგებდნენ სამღვდლო ეკვდერს. ასეთ თავგანისცემას საფუძვლად ედო ერთგვარი ზებუნებრივი შეწევნა განსვენებული მოღვაწის მხრიდან, თუმცა სასწაულთა ჩანაწერების არარსებობის შემთხვევაშიც კი ეკლესიას შეეძლო (იშვიათად) მოღვაწის წმინდანად შერაცხვა ხალხისაგან დიდი თავგანისცემის საფუძველზე“.

წმინდანად კანონიზაციის საკითხისთვის ზოგადი მნიშვნელობა ენიჭებოდა წმინდა ნაწილებს. „მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლების თანახმად, სიწმინდეს წარმოადგენდნენ ღმრთისგან განდიდებული მოღვაწის როგორც მთელი უზრუნველი სხეული, ისე მისი ცალკეული ნაწილები.“¹⁰

მოღვაწეთა წმინდანად კანონიზებისათვის ყველა დროში აუცილებელ და უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა:

ა) შესარაცხად წარდგენილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა (ეს აუცილებელია როგორც ცალკეული, ისე ჯგუფური შერაცხვის დროს).

ბ) მაცხოვრებელი ღვაწლი, განცხადება ღმრთის სიწმინდისა და თავდადება რწმენისადმი.

ამდენად, მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ ფუნქციას მოღვაწეთა წმინდანებად კანონიზაცია შეადგენს მათი ცხოვრების, ღვაწლისა და აღსასრულის გათვალისწინებით: „და მათთვის წმიდაყოფ თავსა ჩემსა, რათა ივინიცა იყვნენ წმიდა ჭეშმარიტებით“ (ინ. 17,19), „უკუეთუ დასაბამი იგი წმიდა არს, და თბეცა; და უკუეთუ ძირი იგი წმიდა

¹⁰ „წმინდანთა კანონიზაცია მართლმადიდებელ ეკლესიაში“, მოსკოვი, 1988 (რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული), გვ. 93.

არს, და რტონიცა მისნი“ (რომ. 11,16), „წმიდა სინდისით ღმრთის მიმართ სიყვარულისა“ (I პეტ. 3,21) და სხვ.


ჩვენს საექსპორტო დასკვნას დაეუბრუნდეთ, რომელშიც „მუმიის“ გაუხრწნელობისა და „მუმიფიცირების“ შესახებ აღნიშნულია: „როგორც ჩანს, მისი დასუსტებული სხეულის მუმიფიცირებას შესაძლოა ერთგვარად ხელი შეუწყოს გამოქვაბულში არსებულმა გარემო პირობებმა (ნიადაგქვეშა კალციუმის შემცველმა წყალმა, მუდმივმა ტემპერატურამ და სხვ.), თუცა გამორიცხული როდია გვამის დაბალზამებაც“.

ამდენად, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ის, რომ „მუმი“ დღემდე მიწის ზემოთ განისვენებს ზარზმის ტაძარში და მტკიცება იმისა, რომ ეს არის „წმინდანის უხრწნელი“ გვამი. მითუმეტეს მაშინ, როდესაც არსებობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის განჩინება „მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად“, სადაც წერია: „7. მიცვალებული უნდა დაიკრძალოს გარდაცვალებიდან 3-5 დღის განმავლობაში. 18. ქრისტიანის საფლავი არ უნდა იყოს მდიდრული. მიცვალებულის სულისათვის უკეთესია, თუ თანხა გაჭირვებულებს დაურიგდებთ“,¹¹ სადაც გარკვევით და ხაზგასმით არის მითითებული, მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად რა როგორ ჯობია. ასევე ვიცით, რომ „არ შეიძლება ტაძარში მიცვალებულის ერთ დღეზე, მეტად გაჩერება“.¹²

ის, რომ მიცვალებული უნდა დაიკრძალოს, ამაზე ყველა ნორმალურად და სარწმუნოებრივად მოაზროვნე ადამიანი ვთანხმდებით; ის, რომ „პალეოპათოლოგიური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური შესწავლის“ თუ ექსპერტიზისათვის მიცვალებული თუ „მუმი“ ფიზიოლოგიის და ანატომიის ინსტიტუტებში, ან ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში უნდა „მკვიდრობდეს“ თუ „ბინადრობდეს“, ამაზეც ვთანხმდებით, მაგრამ რჩება ერთი მნიშვნელოვანი პასუხგაუცემელი კითხვა: რა დააშავა X საუკუნის წნისელმა მიცვალებულმა („მუმიამ“), რომელსაც დღემდე არ ღირსებია მიწა? რატომ ვარდევთ ღმრთის მცნებებს და რატომ ვამკვიდრებთ რეალობაში ჩვენთვის სასურველ აბსურდულ კანონებს?

დასკვნის სახით ვიტყვით, მოვიდა დრო ზარზმის მონასტრის ტაძარში, „სარკოფაგში“ დასვენებული „მუმი“ დაიკრძალოს ქრისტიანულად და ამ გაურკვევლობას ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი; მით უმეტეს ვერავინ და ვერანაირი დოკუმენტი, კვლევა, ექსპერტიზა, ვერ და არ აღემატება საღმრთო სიტყვებს: „მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე“ (შესქ. 3,19).

იმედს ვიტოვებთ, ამ წერილით დაინტერესდება საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი და გამოსცემს განჩინებას აღნიშნული საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად ისე, როგორც ამას ეკლესიის სწავლება მოითხოვს.



ბრანი ძავთარია

თეოდორ მომზენი

ვეროპული ჰუმანიტარული მეცნიერების გიგანტი თეოდორ მომზენი ითვლება დიდებულ ისტორიკოსად, ფილოლოგად და იურისტად, რომაულ სიძველეთა შეუდარებელ მკვლევრად. მისი სიმაღლის დამაგვირგვინებელ რეალობას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ იგი თანამედროვეებმა აღიარეს უდიდეს მწერლად. 1902 წელს ნობელის პრემიის მოსაპოვებლად დასახელებული იყვნენ მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსები: ლევ ტოლსტოი, ემილ ზოლა, მარკ ტვენი, ანატოლ ფრანსი, ჰენრიკ იბსენი, ავგუსტ სტრინდბერგი და რომაული სამყაროს უნივერსალური სკრიპტორი თეოდორ მომზენი. შვედეთის მეცნიერებათა აკადემიამ ლაურეატის გვირგვინის ღირსად სცნო თეოდორ მომზენის თხზულება „რომის ისტორია“, რომელიც განიხილეს, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები. პრემირებული სამეცნიერო-პოპულარული თხზულება სისრულით ავლენს ავტორის ლიტერატურულ სიმაღლეს და საკვლევი ეპოქის სიღრმეს.

თ. მომზენი გამოირჩეოდა ზეადამიანური შრომისუნარიანობით და ნაყოფიერებით. რომის ისტორიის არც ერთი საკითხი მისი ყურდლების გარეშე არ დარჩენილა. სამოცწლიანი მეცნიერული მოღვაწეობის პერიოდში შექმნა 1513 ნაშრომი (ერცვლ სიაში ერთ ნაშრომად არის დასახელებული ოთხტომიანი „რომის ისტორია“ და სამტომიანი „რომის სახელმწიფო სამართალი“). მთლიანობაში მისი კალმის ნაყოფი მოიცავს 40 ათას გვერდს. აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის ბოლომდე აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ქწეოდა.

თ. მომზენს, როგორც მწერალს, სახელი მოუხვეჭა „რომის ისტორიამ“, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ითარგმნა ყველა ვეროპულ ენაზე (ავტორის სიცოცხლეში გერმანულად ცხრაჯერ გამოიცა).

თ. მომზენი დაიბადა 1817 წლის 30 ნოემბერს შლესვიგში, პროტესტანტი პასტორის ოჯახში. მისი ცოდნის ტაძარი გახდა კილის უნივერსიტეტი, სადაც 1838-1843 წლებში სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე.¹ განსაკუთრებული

¹¹ გაზეთი „მადლი“ №16(58), 1992.

¹² Православный обряд погребения, Благовесть, 2004. გვ. 161.

¹ საყურადღებოა, რომ 1840 წლიდან კილის უნივერსიტეტის პროფესორი იყო ახალგაზრდა იოჰან გუსტავ დროიზენი (1808-1884), დიდი გერმანელი ისტორიკოსი, ელინიზმის, როგორც საისტორიო მეცნიერების ფუძემდებელი.

გულმოდგინებით სწავლობდა რომაულ სამართალს, რომელიც დროთა განმავლობაში გახდა მისი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის განმსაზღვრელი. უნივერსიტეტი დაამთავრა 1843 წელს. იმავე წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „რომაული კოლევებისა და კავშირების შესახებ“. 1844 წელს გამოაქვეყნა „რომის ტრიბები ადმინისტრაციულ ურთიერთობაში“. ახალგაზრდა მეცნიერის ნაშრომებმა საგანმანათლებლო წრეების მესვეურთა ყურადღება მიიპყრო და შემდგომი მუშაობის გასაგრძელებლად სტიპენდია გამოუყვეს. ფინანსურმა უზრუნველყოფამ შეუქმნა პირობები გამგზავრებულიყო იტალიაში. ოცნების ქვეყანაში გატარებულმა ორმა წელმა (1846-1847) მოახდინა მისი მეცნიერული ინტერესების ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება. მანამდე სერიოზული განაცხადი ჰქონდა გაკეთებული. დასახელებული ნაშრომების გარდა 1845 წელს გამოაქვეყნა „ოსკური შტუდიები“, ხოლო 1846 წელს „სამხრეთ იტალიური დიალექტები“.

იტალიის მდიდარი არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლების გაცნობამ გაუფართოვა კვლევითი თვალსაწიერი. ახალგაზრდა მეცნიერზე დიდი გავლენა მოახდინა ცნობილმა იტალიელმა ნუმიზმატმა და ეპიგრაფისტმა ბართოლომეო ბორგენიმ. მისი რჩევით შეუდგა თ. მომზენი ლათინურ ეპიგრაფიკაში მუშაობას და ამ პრობლემამ იმდენად გაიტაცა, რომ მთელი სიცოცხლე ლათინურ წარწერებთან კავშირი არ გაუწყვეტია და ამ ურთულესი საკითხის კვლევა არნახულ დონეზე აიყვანა.

შთაბეჭდილებებით და ახალი იდეებით დატვირთული თ. მომზენი დაბრუნდა სამშობლოში და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რომლის პროფესორიც იგი გახდა, იყო ლაიფციგის უნივერსიტეტი, სადაც 1848-1850 წლებში კითხულობდა რომაული სამართლის კურსს. რომის სამართალი მიჰყავდა ციურისში (1852-1854) და ბრესლაველში (1854-1858). 1858 წელს მიიწვიეს ბერლინის აკადემიაში. სახელოვან მეცნიერს დაევა ლათინური წარწერების კვლევის ხელმძღვანელობა. თითქოს დრო ელოდებოდა მომზენის გამოჩენას, რომ აკადემიის იდეა ტრიუმფით დამთავრებულიყო. ჩამოყალიბდა კვალიფიციურებულ ეპიგრაფისტთა დიდი ჯგუფი მომზენის მეთაურობით, რომელიც შეუდგა წარწერების შეგროვება-მოწესრიგებას. თ. მომზენის დიდი ნიჭისა და ტიტანური შრომის შედეგად მსოფლიო მეცნიერებამ მიიღო „ლათინური წარწერების კორპუსის“ მრავალტომეული. კომისიამ შეკრიბა, შეადარა და დღის სინათლეზე გამოიტანა ათეულ ათასობით წარწერა. კორპუსის პირველი ტომი გამოიცა 1863 წელს. თავად მომზენის უშუალო მონაწილეობითა და რედაქტორობით 20 ტომი გამოვიდა.

1861 წელს, თ. მომზენი, „რომის ისტორიის“ სახელმონხეჭილი ავტორი, სათავეში ჩაუდგა ბერლინის უნივერსიტეტის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრას და წლების მანძილზე კითხულობდა რომის ისტორიის კურსს.

თ. მომზენი დაძაბული მეცნიერული მუშაობის პარალელურად მთელი ცხოვრება ჩართული იყო იმდროინდელ პოლიტიკურ პროცესებში. 1848 წელს, როგორც ჟურნალისტი რედაქტორობდა შლეზვიგ-ჰოლშტაინის დროებითი მთავრობის გაზეთს, რომელიც იბრძოდა შლეზვიგ-ჰოლშტაინის დანიისაგან ჩამოსაშორებლად და პრუსიასთან მისაერთებლად (ანალოგიური პოზიცია ეკავა დროიზენსაც).

1863-1866 და 1873-1879 წლებში სახელოვანი მეცნიერი პრუსიის პარლამენტის დეპუტატი, ხოლო 1881-1884 წლებში გერმანიის რაიხსტაგის დეპუტატი იყო. თ. მომზენი შეუპოვრობით გამოირჩეოდა და მთელ რიგ საკითხებში მოურიდებლად აკრიტიკებდა რაიხსკანცლერის, ოტო ფონ ბისმარკის პოლიტიკას. რაიხსტაგში მისი არგუმენტირებული გამოსვლები შექებოდა კულტურისა და განათლების საკითხებს; მოითხოვდა არქეოლოგიურ ინსტიტუტში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში მეცნიერული კვლევის დონის ამაღლებას.

თ. მომზენი დიდ როლს ასრულებდა მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობაშიც. იყო ფილოსოფია-ისტორიის განყოფილების მდივანი. გარკვეული დროის განმავლობაში ეკავა ბერლინის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა.

თ. მომზენის ნაშრომები გამოქვეყნებისთანავე ექცეოდა მსოფლიო მეცნიერების ყურადღების ცენტრში. ამ მხრივ ძალიან ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობის ბერლინური პერიოდი. 1860 წელს გამოაქვეყნა „რომაული სამონეტო საქმის ისტორია“, მომდევნო წელს — გვიანდელი რომის ისტორიკოსისა და მწერლის კასიოდორეს ქრონიკა. ღრმა მეცნიერული კომენტარებით გამოაქვეყნა ოქტავიანე ავგუსტუსის „საქმენი“ (Res Lestae), რომელიც ანკირის მონუმენტის (Monumentum Anciranum) სახელწოდებითაა ცნობილი. 1868 წელს გამოაქვეყნა იუსტინიანეს დიგესტები; აღნიშნულ გამოცემებს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული მნიშვნელობა.

რომის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ახალ საფეხურს წარმოადგენდა თ. მომზენის „რომაული ნარკვევების“ ორი ტომი (ტ. I, 1864; ტ. II, 1879). „ნარკვევებში“ შესული ნაშრომები ცალკეულ საკითხთა მონოგრაფიული დამუშავების იუშვიათესი ნიმუშია და მეტყველებს მათი ავტორის ისტორიული, ფილოლოგიური, ენათმეცნიერული თუ ეპიგრაფიკული პირველწყაროების გაანალიზების სიღრმეზე. „რომაულ ნარკვევებში“ დასმული საკითხები განხილულია ეპოქის შესაბამისი მიღწევების შუქზე და თითქმის საუკუნენახევრის შემდეგაც ასაზრდოებს ანტიკური სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებებს.

თ. მომზენმა პირველმა გამოაქვეყნა სერიოზული გამოკვლევა ლათინური საკუთარი სახელების შესახებ. მის მიერ დასმულ პრობლემებს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება, თუმცა მომდევნო ხანებში რამდენ-

იმე ფუნდამენტური ნაშრომი გამოქვეყნდა.

თ. მომზენი იყო არა უბრალოდ წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, არამედ შემოქმედი, რომელიც განსახილველ პრობლემას თავისი გონების არეალში აქცევდა და საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევდა, რაც ახალ სიტყვას წარმოადგენდა საისტორიო მეცნიერებაში.

თ. მომზენი პერიოდული გამოცემების აქტიური თანამშრომელი იყო. მისი სტატიები იბეჭდებოდა იურიდიულ ჟურნალებში, მაგრამ მისი კვლევა-ძიებანი განსაკუთრებით ნაყოფიერი ისტორიულ-ფილოლოგიური მიმართულებით იყო. პერიოდიკაში თ. მომზენის თანამშრომლობას ფართო ასპარეზი 1866 წლიდან გადაეშალა, როდესაც მისივე რედაქტორობით დაარსდა ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი „ჰერმესი“. ჟურნალმა უდიდესი როლი შეასრულა ძველი მსოფლიოს ისტორიის კვლევაში. „ჰერმესში“ მომზენთან ერთად მრავალი ცნობილი მეცნიერის ნაშრომი გამოქვეყნდა.

საუნივერსიტეტო განათლებით და დოქტორის დიპლომით თ. მომზენი იურისტი იყო; პედაგოგიური მოღვაწეობაც, როგორც რომაული სამართლის პროფესორმა დაიწყო; გამოირჩეოდა საოცარი მრავალმხრივობით, რა საკითხსაც არ უნდა შეეხოდა, ბრწყინვალე შედეგს აღწევდა, მაგრამ უპირველესად იყო იურისტი, რომელმაც XIX საუკუნეში აღმოაჩინა ის საგანძური, რომელსაც რომაული სამართალი ერქვა და რომლის შესახებაც ბევრი რამ ბურუსით იყო მოცული.

თ. მომზენის მეცნიერულ მემკვიდრეობაში მთავარ ნაშრომად ითვლება „რომის სახელმწიფოს სამართალი“, მონუმენტური თხზულება სამ ტომად (ტ. I-III, 1871-1888). იმავე დონის ნაშრომად მიიჩნევენ „რომის სისხლის სამართალს“ (1899). რომის სამართლის სპეციალისტები თვლიან, რომ რომაული სახელმწიფოს სამართლის თეორია მომზენამდე არ არსებობდა, მისი კვლევის სისტემა მან შექმნა და, რაც მთავარია, ამ სისტემას ემყარება თანამედროვე ევროპის სახელმწიფო მოწყობის მოდელი. ცივილიზებული სამყაროს გონივრული მოწესრიგების საფუძველთა საფუძველი თ. მომზენის გენიამ მისაწვდომი და გასაგები გახადა. ისიც აღსანიშნავია, რომ რომის სახელმწიფოს სამართლის თეორიის სახელწოდება მომზენამდე არ არსებობდა. „რომის სახელმწიფო სამართლის“ და „რომის სისხლის სამართლის“ დიდი მეცნიერული ღირსებების მიუხედავად, დასახელებული ნაშრომები სწავლულთა ვიწრო წრისათვის არის საინტერესო და გასაგები. არ არის გამორიცხული ისიც, რომ იურიდიული შინაარსის წიგნები განათლებული ადამიანების თვალსაწიერის მიღმა დარჩეს (იურისტი და ისტორიკოსი არ მყავს მხედველობაში). ნებისმიერი პროფესიის მკითხველს ვერ მოუთხოვთ დაინტერესდეს რომაული სამართლის საკითხებით. მაგრამ სულ სხვა ვითარებაა ლიტერატურულ თხზულებად მიჩნეულ თ. მომზენის „რომის ისტორიასთან“ დაკავშირებით.

მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერს XIX საუკუნემ გენიოსი უწოდა და ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ამ ეპითეტით მოიხსენიებენ დღესაც. დიდი მეცნიერი დიდი მწერალიც იყო და ეს ღვთაებრივი ნიჭი ღირსეულად შეაფასა შვედეთის მეცნიერებათა აკადემიამ, როდესაც იგი ნობელის პრემიის ლაურეატის კვარცხლბეკზე აიყვანა. იმის გამო, რომ „რომის ისტორიას“ მიენიჭა ლიტერატურული პრემია და ეს თხზულება საოცრად პოპულარულია მთელ მსოფლიოში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შედარებით ვრცლად შევხვით მასში მხატვრულად ასახულ სინამდვილეს.

„რომის ისტორიის“ შექმნას ცოტა უცნაური ფაქტი უკავშირდება. მისი დაწერა მომზენს აიძულა ეკონომიკურმა მდგომარეობამ. მოხდა უსიამოვნო ფაქტი, 1850 წელს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ახალგაზრდა პროფესორი ლაიფციგის უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს. ერთი წელი უმუშევარი იყო. სამეცნიერო წრეებში მომზენის ნაშრომებს უკვე იცნობდნენ. დაინტერესება იმდენად დიდი იყო, რომ წინდახედულმა გამომცემლებმა შესთავაზეს დაეწერა რომის ისტორია. თ. მომზენმა წინადადება სიხარულით მიიღო და შეუდგა მუშაობას. დროის მოკლე მონაკვეთში საოცრება მოახდინა და გამოაქვეყნა რომის ისტორიის სამი ტომი (ტ. I, 1854, ტ. II, 1855, ტ. III, 1856). ტომებში შესულია I-V წიგნები. თხზულება ქრონოლოგიურად იწყება უძველესი პერიოდიდან და მთავრდება ტაპსის ბრძოლით (ძვ. წ. 46 წელი). IV ტომი, VI-VII წიგნები, რომის იმპერია, მომზენს არ დაუწერია. 1885 წელს გამოაქვეყნა V ტომი (VIII წიგნი), „პროვინციები ცეზარიდან დიოკლეტიანემდე“.

თ. მომზენის ნაშრომები შესრულებულია დახვეწილი სტილით, მაგრამ ბუნებრივია, რომ ახლავს გარკვეული მეცნიერული სიმძიმეც. „რომის ისტორიაში“ ეს სიმძიმე განელებულია მხატვრული ფერებით და იმ დონემდეა აყვანილი, რომ ლიტერატურული პრემიის მინიჭების საფუძველი გახდა.

თ. მომზენი, როგორც სიტყვის ოსტატი და მეცნიერული სიზუსტის დაცვის აპოლოგეტი, ისტორიას და ლიტერატურას ერთ სივრცეში ათავსებდა. იგი საინტერესოდ წარმოგვიდგენს ისტორიკოსის დანიშნულებას და მოვალეობას. მომზენის შეხედულებების შესახებ ვრცელი ლიტერატურა არსებობს, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერნესტ კასირერის მსჯელობა. ე. კასირერი წერს, „თუ გავიანზრებთ კანტის შეხედულებას, რომ ნამდვილი „მეცნიერება“ მხოლოდ ის არის, რომლის „სიცხადეც აპოდიქტიკურია“, მაშინ ისტორია უთუოდ ვერ იქნება მეცნიერება. მაგრამ მნიშვნელობა სრულიად არ აქვს იმას, თუ რას დაგარქმევთ ისტორიას, თუკი ვიცით მისი ზოგადი ხასიათი. თუცა ისტორია არ არის ზუსტი მეცნიერება, მეცნიერებათა ერთობლიობაში მას უჭირავს თავისი ბუნების შესაფერისი სისტემატური ადგილი. ისტორიაში საქმე არ ეჭება გარეგანი საგნების შემეცნებას და არც თვითშემეცნებას. ისეთ გენიალურ ისტორიკოსს, როგორიცაა იაკობ

ბურკპარტი, არ ჰქონია პრეტენზია აღწერა კონსტანტინე დიდის ეპოქა ან იტალიური კულტურის რენესანსი. ბურკპარტი მზად იყო ისტორიისათვის ეწოდებინა „ყველა მეცნიერებათა შორის უარამეცნიერესი. „რასაც ისტორიულად ვაგებ, ეს არის კრიტიკისა და სპეკულაციის შედეგი“, წერდა ბურკპარტი, „ეს უფრო ფანტაზიის ნაყოფია...“ ისტორია, გახაზავს იგი, „არის პოეზია დიდი მასშტაბით... ის მე წარმომიდგენია უმშვენიერეს მხატვრულ კომპოზიციას წყებად“. ამასვე წერს მომზენი, არა მარტო გენიალური მეცნიერი, არამედ სამეცნიერო-კვლევითი საქმის დიდი ორგანიზატორიც... როცა მომზენი ბერლინის უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს, მან ასე განმარტა თავისი მრწამსი: „ისტორიკოსი, ალბათ, უფრო ხელოვანია, ვინემ მეცნიერი“. თუმცა მომზენი უდიდესი ისტორიკოსია, მას მტკიცედ სჯერა, რომ ისტორია არის ხელოვნება და არა ხელოსნობა, რასაც სხვებს გადაუცემთ, ან თავად შევისწავლით. „ადამიანთა და ხალხთა ინდივიდუალობის წვდომა გენიოსის ნიჭია და არა სწავლა-სწავლების ნაყოფი“. ისტორიის მასწავლებელი საბედისწეროდ ცდება, თუ იგი ფიქრობს, რომ სტუდენტისაგან ისევე გამოიყვანს ისტორიკოსს, როგორც გამოჰყავთ ხოლმე კლასიკური ფილოლოგიის ან მათემატიკის სპეციალისტი. ისტორიკოსად იბადებიან და ვერაფერს ვაქცევს ისტორიკოსად, თუ არა ჩვენ თვითონ, ჩვენვე თავის აღზრდით“.²

ე. კასირერი აგრძელებს მომზენის იდეას, „თუმცა ყოველი დიდი ისტორიული ნაშრომი მხატვრულ ელემენტებს შეიცავს და მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის ზღვარი ხშირად წაშლილია, ეს არ გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, თითქოს ისტორიული თხზულება გამოგონილი ან მეცნიერული ობიექტურობისაგან დაცლილი იყოს. ჭეშმარიტების აგებისას ისტორიკოსის საბოლოო და გადამწყვეტი დამსახურება მანაც მუდამ მისი შემოქმედებითი წარმოსახვის ძალას მიეწერება. ეკერმანთან საუბარში გოეთე ჩიოდა, ცოტაა ისეთი ადამიანი, „ვისაც ექნება ფანტაზია სინამდვილის ჭეშმარიტების წვდომისა. უფრო მეტად ადამიანები დაეხეტებიან უცნაურ ქვეყნებში, რომლის შესახებაც წარმოდგენა არა აქვთ და სადაც ფრთებს შლის მათი აზრებული ფანტაზია. მეორე მხრივ, არიან ისეთები, რომლებიც მხოლოდ სინამდვილეს ჩასჭიდებიან და ვინაიდან სრულიად მოკლებულნი არიან პოეტურობას, მას მეტისმეტად ვიწრო მოთხოვნებს უყენებენ“.³

თ. მომზენი იმ რანგის მწერალი და ისტორიკოსი იყო, როგორსაც მოითხოვდა გოეთე. სინამდვილისა და ფანტაზიის გაერთიანებით მიადწია მან მეცნიერებისა და მწერლობის ოლიმპოს. მასში თანაბარი დოზით იყო ისტორიის მკაცრი მკვლევარისა და პოეტური ფანტაზიის მქონე პიროვნების საუკეთესო თვისებები. ღმრთებრივ წყალობას იგი ზოგადი მსჯელობით არ ეკეკლუცებოდა, ახორციელებდა პრაქტიკულად. ამის საუკეთესო დადასტურებაა „რო-

² ერნესტ კასირერი, რა არის ადამიანი? გერმანულიდან თარგმნა ლ. რამიშვილმა, თბ., 1983, გვ. 315-316.

³ ე. კასირერი, იქვე, გვ. 317.

მის ისტორია“, რომელმაც დიდი ხანია საისტორიო მეცნიერებისა და ლიტერატურის შედეგების სიაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

თ. მომზენის ისტორიულ-ლიტერატურულ ღირსებებს ქება-დიდებათ მოიხსენიებს მსოფლიოში ცნობილი რუსი ისტორიკოსი მ. როსტოვცევი. მისი სიტყვებით, „რომის ისტორია“ არის არა მარტო დიდი მეცნიერული თხზულება, არამედ უფრო დიდი ლიტერატურული ნაწარმოები. არ არსებობს მსგავსი ნაშრომი, რომელშიც ასე ჰარმონიულად იყოს გაერთიანებული მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატის თხრობა მეცნიერული სინთეზისა და ანალიზის კოლოსალურ ნიჭთან. საეჭვოა მოიძებნოს მსგავსი ისტორიული ნაწარმოები, რომელშიც სრულ მეცნიერულ აღნაგობასთან ამდენი მხატვრული ინდივიდუალობა იქნება შერწყმული.⁴ საერთო აღტაცების გვერდით, ადგილი ჰქონდა გამონაკლისებსაც. რომის ისტორიისა და სამართლის ცნობილმა მკვლევარმა იაკობ ბახოფენმა თ. მომზენის „რომის ისტორიას“ XIX საუკუნის სირცხვილი უწოდა (სინამდვილეში მოხდა პირიქით, დრომ „რომის ისტორია“ XIX საუკუნის სიამაყედ აქცია).

„რომის ისტორია“, როგორც მსოფლიო ლიტერატურის თვალსაჩინო თხზულება დღესაც ინარჩუნებს თავდაპირველ ბრწყინვალეობას. მაგრამ დრომ გააღწია მოახდინა მის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან მხარეზე. მხატვრულად გამოქანდაკებული კოლოსის პირველი წიგნი, მეცნიერული თვალსაზრისით, უკანასკნელი გამოკვლევების შუქზე საკმაოდ გაფერმკრთალდა. მხედველობაში გვაქვს იტალიის უძველესი ისტორიის არქეოლოგიური შესწავლის თანამედროვე დონე. მომზენის თხრობა ემყარებოდა ანტიკურ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებს. ამის გამო XIX საუკუნის შუა ხანებში დაწერილ „რომის ისტორიაში“ ვერ აისახებოდა მომდევნო წლების არქეოლოგიური აღმოჩენებით მოწოდებული ინფორმაციები. მომზენის დროს არქეოლოგიის მწირი მონაცემები, წყაროებში არსებულ შეუსაბამობათა გაკონტროლების საშუალებას არ იძლეოდა და ბუნდოვანი ცნობების მეცნიერულ გაგებას სერიოზულ ბარიერს უქმნიდა. ეს უზუსტობა საკმაოდ ზღუდავს შესაფერისი შეფასების შესაძლებლობას და თხრობის მიმზიდველობა მხოლოდ დიდი მწერლის სიტყვის ძალაზე დამოკიდებული. ამიტომაც თვლიან, რომ ადრეული პერიოდის შესახებ წარმოდგენილი მსჯელობანი და დასკვნები ვერ პასუხობენ ისტორიული მეცნიერების თანამედროვე დონეს. უარყოფილია, აგრეთვე, ეტრუსკების ენისა და წარმომავლობის მომზენისეული ვერსია. თუმცა ეტრუსკების ენისა და წარმომავლობის საკითხი დღესაც დაუდგენელია და მეცნიერებისათვის კვლავ ამოცანად რჩება. ამდენად მომზენი არქაული პერიოდის რომაული სიძველეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევას წინასწარ ვერ განსაზღვრავდა და იმ მონაცემებით დაკმაყოფილდა, რაც მეცნიერებას გააჩნდა XIX საუკუ-

⁴ М. Ростовцев, Теодор Моммзен. ВДИ. №1, 2004. გვ. 233.

ნის შუა ხანებში. რომის ისტორია მეფეთა ხანაში დღესაც მრავალი პასუხგაუცემელი კითხვის შემცველია და ვერც გენიალურმა მომზენმა შეძლო ამ ლაბირინთიდან თავდასაღწევად არიადნეს ძაფის პონა.

თ. მომზენის შემოქმედებითი აღმაფრენა იწყება მეორე წიგნიდან — „მეფეთა ხელისუფლების დამხობიდან იტალიის გაერთიანებამდე“. წიგნში მხატვრული და მეცნიერული კვლევა დალაგებულია რესპუბლიკური წყობილების დამყარების ეპოქიდან. ხაზგასმულია, რომ აღნიშნულ პერიოდში ჩაყარა საფუძველი რომაული ადმინისტრაციული სისტემის ფუნდამენტს, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მომდევნო საუკუნეების ხმელთაშუა ზღვის ისტორიაში.

თ. მომზენმა, რომის სამართლის სწორუპოვარმა მკვლევარმა, გაანალიზა და ახალი სიცოცხლე შთაბერა გარდასული ეპოქის სახელმწიფო წყობის უნივერსალურ ხასიათს, მაგისტრატურების უფლება-მოხილების განსაზღვრულ ფუნქციებს, როგორც რესპუბლიკური მმართველობის აუცილებელ პირობას. ამომწურავად არის განხილული პატრიციებისა და პლებეების ბრძოლის ეპიზოდები, რაც საბოლოოდ წოდებრივი გათანაბრებით დასრულდა და ჩამოყალიბდა ახალი არისტოკრატია. მეორე წიგნში დასმული საკითხებიდან საყურადღებოა ლაციუმის დაპყრობა და ეტრუსკების ძლიერების დაცემის მიზეზები.

ძვ.წ. IV-III საუკუნეებში მოხდა, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი იტალიელი ტომებისა და ელინური ქალაქების დაპყრობა. რომი აპენინის ნახევარკუნძულის ერთპიროვნული მპყრობელი გახდა.

თ. მომზენი საოცარი სიღალღით გადმოგვცემს ანტიკური წყაროების კომენტარებს ავტორების მიუთითებლად. გაბმული თხრობა მოვლენების უწყვეტი მდინარების შთაბეჭდილებას ტოვებს. მკითხველის თვალწინ პატარა იტალიური ქალაქიდან გრანდიოზული რომი ამოიზრდება.

მოვლენები „იტალიის გაერთიანებიდან კართაგენისა და ბერძნული სახელმწიფოების დაპყრობამდე“ მოთხრობილია „რომის ისტორიის“ მესამე წიგნში. ამ პერიოდიდან დაიწყო რომის გასვლა საერთაშორისო ასპარეზზე და ძლევამოსილი ომების წარმოება აფრიკაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და აზიაში. წიგნი ძირითადად მიძღვნილია პუნიკური ომებისადმი. რომისა და კართაგენის დაპირისპირებამ ხმელთაშუა ზღვის საომარ ოპერაციებში ესპანეთი ჩართო, რომელსაც, კართაგენელი პოლიტიკოსების აზრით, გადამწყვეტი როლი უნდა დაკისრებოდა. კართაგენ-რომის დაპირისპირებამ გამოავლინა მხედართმთავართა საკმაოდ დიდი გუნდი. თ. მომზენი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეორე პუნიკური ომის გმირს ჰანიბალს, მიჩნეული ჰყავს იგი ძველი სამყაროს უდიდეს პიროვნებად. აღნიშნავს იმასაც, რომ რომაელებთან ერთად ჰანიბალი დაამარცხა კართაგენის ოლიგარქიამ. კართაგენისა და მისი მთავარსარდლის შეუთანხმე-

ბლობამ განაპირობა ის ტრაგედია, რომელიც განიცადა ხმელთაშუა ზღვის უძლიერესმა სახელმწიფომ. კართაგენში განვითარებულმა მოვლენებმა თ. მომზენს ათქმევინა, რომ ჰანიბალი არშემდგარი ცეზარი იყო.

რომაული ტრიუმფის დაგვირგვინება იყო სელევკიდების აზიური იმპერიის დაჩოქება, მაკედონიის დამარცხება და ელადის „გათავისუფლება“.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმ უზარზამარ როლს, რომელიც ელინურმა სამყარომ მოახდინა გამარჯვებული რომის კულტურულ ცხოვრებაზე. ბერძნული ენა, ლიტერატურა, ფილოსოფია, ხელოვნება ფართოდ შეიჭრა ბარბაროსულ რომში და პოლიტიკური ძლიერების პარალელურად, ხელი შეუწყო კულტურული ცხოვრების აღმავლობას. „რომის ისტორიის“ მეოთხე წიგნი (II ტომი) დასათაურებულია „პიდნას ბრძოლიდან სულას სიკვდილამდე“ და მსოფლიო სახელმწიფოს წინაშე დასმული პრობლემების განხილვას ეძღვნება (წიგნს ავტორი რევოლუციის სახელწოდებითაც ასათაურებს).

მეხუთე წიგნში ნაჩვენებია მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის უარყოფითი გავლენა რესპუბლიკური მმართველობის ფორმებზე. თ. მომზენი ჩვეულებრივ სიღრმით განმარტავს, რომ უზარზამარ ტერიტორიაზე გადაჭიმულ სახელმწიფოს ვეღარ აკმაყოფილებდა პატარა იტალიურ ქალაქში შექმნილი მმართველობის სისტემა. ნათელი გახდა რესპუბლიკური მაგისტრატურების უკმარისობა. რომი გახდა ხმელთაშუა ზღვის აუზის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ცენტრიც. ძლევამოსილმა ომებმა აპენინის ნახევარკუნძულზე თავი მოუყარა მონათა უზარმაზარ მასას. მათმა დასაქმებამ სოფლის მეურნეობაში საფუძველი გამოაცალა იტალიის წვრილ გლეხურ მეურნეობას, რამაც განადგურების პირას მიიყვანა თავისუფალი მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამ ფაქტმა სერიოზული დარტყმა მიაყენა რომის არმიის ბრძოლისუნარიანობას, რადგან არმიის შემავსებელი თავისუფალი გლეხობა ცენზორული სიებიდან ამოიღეს. დღის წესრიგში დადგა ახალი გზების ძიება. ეს იყო ეპოქა, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ძმები გრაკუსები და ქვეყნის ძლიერების განსამტკიცებლად ფართო მასშტაბის რეფორმისტული პროგრამა წარმოადგინეს. რომში დაიწყო სისხლიანი დაპირისპირების საუკუნოვანი პერიოდი, რომელსაც ანტიკურმა ავტორებმა სამოქალაქო ომების ეპოქა უწოდეს.

თხზულების ამ მონაკვეთში განხილული და შეფასებულია რომაელი პოლიტიკოსები, რომლებმაც არსებითი როლი შეასრულეს რესპუბლიკური მმართველობიდან იმპერიულ სისტემაზე გადასვლაში. მომზენი უახლოვდება რომის ისტორიის იდეალურ ფიგურას — იულიუს ცეზარს და გაბედულად ასახელებს მის წინამორბედებს სამოქალაქო ომების ადრეული პერიოდიდან. განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას გრაკუსებსა და კვინტუს სერტორიუსზე. მაგრამ სრულიად მოულოდნელად უარყოფითად წარმოადგენს კო-

რნელიუს სულას პიროვნებას, რომლის დიქტატურაც მისთვის მიუღებელია, მის საპირისპიროდ დითირამებს უძღვნის ცეზარის დიქტატურას.

„რომის ისტორიის“ მეხუთე წიგნი (III ტომი) „სულას სიკვდილიდან ტაპსის ბრძოლამდე“ მიძღვნილია გაიუს იულიუს ცეზარის მოღვაწეობისადმი. თ. მომზენის მტკიცებით, ცეზარის დონის პიროვნება, არა მარტო რომის, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც არ მოიძებნება. სახელოვან სარდალ პომპეუსთან დაკავშირებით წერს, რომ ცეზარის გენიასთან შედარებით, გნეუს პომპეუსიც კი რიგით ოფიცრად გამიყურება.

„რომის ისტორიის“ ვრცელ ეპოქაში თ. მომზენის მხატვრული სამკაულები ყველაზე უხვად იულიუს ცეზარის, როგორც მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის, ზეადამიანურ ღირსებათა წარმოსაჩენად გადმოიდგარა. ცეზარის პიროვნების იდეალიზაციას ბერძნულ-რომაული მწერლობაც დიდ ყურადღებას უთმობდა, მაგრამ მომზენის გენიამ იგი სხვა სიმაღლის კვარცხლბეკზე აიყვანა და ძველი სამყაროს პოლიტიკური ცხოვრების სათავეში დააყენა. მკითხველის წინაშე დგას ეპოქის მთავარი ფიგურა და მის წინააღმდეგ ამხედრებული არისტოკრატის წარმომადგენლები რესპუბლიკის დამცველების ამბიციებით. მომზენი მოდერნიზაციის მაგალითებსაც ხშირად მიუთითებდა, იგი ბევრ მსგავსებას ხედავდა რომაულ და ახალი პერიოდის პოლიტიკურ მოღვაწეთა ქმედებებსა და ისტორიულ მოვლენებს შორის. თ. მომზენს ისტორიული პროცესის წარმმართველად მიჩნეული ჰყავდა ისტორიული პიროვნება. მისი აზრით, რესპუბლიკური წყობილების კანონზომიერი განვითარება მდგომარეობდა მმართველობის ფორმების სრულყოფაში. მას მმართველობის იდეალურ ფორმად წარმოდგენილი ჰქონდა დემოკრატიული მონარქია, რის დამყარებასაც ცდილობდა ცეზარი, მაგრამ ოლიგარქიამ ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება არ მისცა.

ცეზარის მიერ, რომელიც იყო მხედართმთავარი, რეფორმატორი, უამრავ სიახლეთა დამნერგავი, — დროის მოკლე მონაკვეთში გატარებულ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა სიმრავლე, მომზენის თანახმად, მეტყველებს ამ გენიალური პიროვნების ღირსებებზე. „რომის ისტორიის“ მესამე ტომი მთავრდება ტაპსის ბრძოლით (ძვ. წ. 46 წელი). მეოთხე ტომი (VI-VII წიგნები), რომის იმპერიის ისტორია თ. მომზენს არ დაუწერია. იმის თაობაზე, თუ რატომ არ დაწერა, მეხუთე ტომის წინასიტყვაობაში განმარტება თვითონვე გააკეთა: „რესპუბლიკელების ბრძოლა ცეზარის დამყარებული მონარქიის წინააღმდეგ... ისე კარგად არის აღწერილი ანტიკურ წყაროებში, რომ ამ პროცესის ყოველგვარი ახალი გადმოცემა, ძირითადად მისი განმეორებითი თხრობა იქნებოდა“. თუცა იქვე აღნიშნავს, რომ ბევრი საკითხი რომის იმპერიის ცალკეულ ეტაპებზე საკმაოდ ბურუსითაა მოცული და გაშუქებას საჭიროებს.

„რომის ისტორიის“ მესამე ტომის გამოცემიდან ოცდაათი წლის შემ-

დევ თ. მომზენმა (1885 წელს) მეხუთე ტომი (VIII წიგნი) „პროვინციები ცეზარიდან დიოკლეტიანემდე“ გამოაქვეყნა.

ცეზარიდან დიოკლეტიანემდე რომის იმპერია მოიცავდა ცივილიზებული მსოფლიოს უმეტეს ნაწილს. ამ რეალობის გათვალისწინებით მეხუთე ტომი მსოფლიო ისტორიას წარმოადგენს. „პროვინციები“ წინა ტომებისაგან განსხვავდება. I-V წიგნებს არ ახლავს გამოყენებული წყაროების განხილვა და სამეცნიერო ლიტერატურის მითითება. VIII წიგნი მკაცრი სამეცნიერო წესების დაცვითაა შესრულებული, დიდი ადგილიც აქვს დათმობილი ანტიკური ავტორების თხზულებათა კრიტიკულ განხილვას, მითითებულია XIX საუკუნის მკვლევართა ყველა მნიშვნელოვანი ნაშრომი. რომის იმპერიის პროვინციები ორ კატეგორიად არის განხილული. ცალკე დგას საბერძნეთი და ელინისტური აღმოსავლეთი, რომლის კულტურული დონე დამპყრობელზე მაღალი იყო. არ არსებობდა სახელმწიფოებრიობა და იმპერიული ხელისუფლების გაძლიერებამ, აღმოსავლეთის არაბერძნულ პროვინციებში გააძლიერა ელინიზაციის პროცესი. სულ სხვა სიტუაციას ჰქონდა ადგილი დასავლეთ ევროპაში. თ. მომზენი გარკვევით აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპაში რომაელთა შეჭრის პერიოდში ადგილობრივი ტომები იმყოფებოდნენ ბარბაროსულ სტადიაზე და რომის ადმინისტრაციული სისტემის დამყარებამ ხელი შეუწყო გვაროვნული ჩამორჩენილობის დაძლევა. ერთიან სახელმწიფო სისტემაში მოქცევა შეზღუდა დაპირისპირებანი ტომთა შორის, გზა გაუხსნა კულტურის გავრცელებას და დააჩქარა რომანიზაცია.

თ. მომზენის VIII წიგნის მიმართ პირველი წიგნის ანალოგიური პრეტენზიები არსებობს. ამ შემთხვევაშიც, ბუნებრივია, XIX საუკუნის დონე ჩანს. უკმარისობა გამოწვეულია იმით, რომ მომდევნო 150 წლის მანძილზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები, ბუნებრივია, წიგნში ვერ მოხვდებოდა. წიგნის გამოქვეყნების შემდეგ მეცნიერებისათვის მისაწვდომი გახდა ურიცხვი ძეგლი, ეპიგრაფიკული დოკუმენტი და, რაც მთავარია, პაპირუსები. მომზენს არარსებულის გათვალისწინება არ შეეძლო.

თ. მომზენის მეხუთე ტომით დასაბამი დაედო რომის პროვინციების მეცნიერულ კვლევას, რაც დიდი წარმატებით მიმდინარეობს დღესაც. V ტომი შედგება 13 თავისაგან. თითოეული თავი წარმოადგენს დამოუკიდებელ მონოგრაფიას. საფუძვლიანადაა განხილული პროვინციების ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა. დამაჯერებელია მსჯელობა რომაული ადმინისტრაციული სისტემის შუქ-ჩრდილებზე. ხაზგასმულია ჩრდილოეთ აფრიკის, ესპანეთის, გალიის, ბრიტანეთის რომანიზაციის მნიშვნელობა. თ. მომზენს გერმანიის შესახებ წარმოდგენილი აქვს ორი მოდელი. მისი აზრით, არსებობდა რომაული გერმანია და თავისუფალი გერმანია. მისი მტკიცებით, გერმანელი ტომების ნაწილმა განიცადა რო-

მანიზაცია, მაგრამ ეს პროცესი უცხო იყო თავისუფალი გერმანიისათვის. გავრცელებულ შეხედულებას იმპერიის ბარბარიზაციაზე მომზენი ცვლის უფრო ზუსტი შინაარსით და უწოდებს გერმანიზაციას. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, გერმანელმა ტომებმა დაიპყრეს არა მარტო დასავლეთ რომის იმპერია, არამედ მთელი რომანიზებული ევროპა.

რომაული დაპყრობების აპოლოგეტი თ. მომზენი, განსაკუთრებული სისრულით მოგვითხრობს გერმანელი ტომების ხანგრძლივი ბრძოლების ამსახველ ფაქტებს. ხაზგასმით აღნიშნავს ზერუსკების ბელადის არმინიუსის გამირობას.

„პროვინციებში“ განსხვავებული სიმაღლე უჭირავს საბერძნეთს, როგორც ევროპული ცივილიზაციის აკვანს. მომზენი მიუთითებს რომაელთა მოკრძალებზე ელინური კულტურის მიმართ. საგულისხმოა იმის აღნიშვნაც, რომ ძვ. წ. II საუკუნიდან რომში განათლების საზომად ითვლებოდა ბერძნული ენისა და ლიტერატურის ცოდნა. ლათინურთან ერთად ბერძნული წარმოადგენდა რომაული არისტოკრატის საურთიერთობო ენას. ბერძნული სავალდებულო იყო რომაელებისათვის. მომზენს განმარტებული აქვს ისიც, რომ იმპერიის ხანაში ლათინურის მიმართ ბერძნები დაინტერესებას არ იჩენდნენ, მაგრამ ეს მათ თავიანთ საქმიანობაში ხელს არ უშლიდა. მომზენს განმარტებული აქვს ისიც, რომ იმპერიის ხანაში ბერძნები განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდნენ, თანამდებობის დაკავებისას არ იზღუდებოდნენ. ამ მხრივ მათ რომანიზებული გალებიც ვერ შეედრებოდნენ.

V ტომში განხილული პროვინციები რომაულ ადმინისტრაციულ სისტემაში მოქცეული ქვეყნები იყვნენ. ატლანტის ოკეანიდან სპარსეთის ყურემდე გაერთიანებულ აფრიკა-ევრაზიას რომაული მახვილი განაგებდა. პროცესი იყო დასრულებული და ცალკეულ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება — გატეხილი. საფრთხეს ქმნიდნენ ჩრდილოეთიდან ბარბაროსები (გერმანელები), ხოლო აღმოსავლეთიდან პართები — სპარსელები.

რომის პროვინციებიდან განსხვავებული კუთხით მიდგომას მოითხოვდა წიგნის IX თავი, „საზღვარი ევფრატზე და პართიელები“.⁵ რომსა და პართიას შორის საომარი მოქმედებანი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. ორივე მხარე ესწრაფოდა აზიაზე ბატონობას. პართია, ხოლო 26 წლიდან სპარსეთის სასანიდური დინასტია უქმნიდა ძირითად ბარიერს აღმოსავლეთის მიმართულებით რომის მსოფლიო იმპერიას. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა სასანიდების აღზევების შემდეგ. მათ თავი აქემენიდების მემკვიდრეებად, ხოლო რომაელები დამპყრობლებად გამოაცხადეს. სასანიდების ბატონობის პირველ წლებში რომის ლე-

⁵ თ. მომზენის „რომის ისტორიის“ V ტომიდან ქართულად თარგმნილია VIII-IX თავები, „საზღვარი ევფრატზე და პართიელები“. 2011, გამომცემლობა ინტელექტი. გამოიცა ნობელის პრემიის ლაურეატების სერიით, პროექტის ავტორი კახიძე კუდაბა, ქართულად თარგმნა გოდერძი რუხაძემ, სამეცნიერო რედაქტორი გრანი ქავთარია.

გიონებმა სერიოზული უკანდახევა განიცადეს. თ. მომზენი ჩვეული სიღრმით განიხილავს მუდმივი ფრონტის ხაზს. ფაქტია, რომ დაპირისპირებაში განხეთქილების ვაშლის როლს მესოპოტამია ასრულებდა (ბრძოლები მესოპოტამიისათვის არ შეწყვეტილა რომის იმპერიის გაყოფის შემდეგაც და არაბთა გამოჩენამდე გაგრძელდა).

„საზღვარი ევფრატზე და პართიელები“ საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ სიტუაციის გამწვავებისას ხშირად ხდებოდა სპარსული და რომაული გავლენის პერიფერიებში მცხოვრები ხალხების ჩართვაც. ძველი საქართველოც, როგორც სუპერსახელმწიფოთა ზოლის სიახლოვეს არსებული ქვეყანა, ვერ შეძლებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ომში განზე დგომას. თ. მომზენს კორნელიუს ტაციტუსის „ანალებში“ დაცული ცნობები იბერიის შესახებ უკომენტაროდ გადააქვს და რომაელი ისტორიკოსის ინფორმაციას სრულ ნდობას უცხადებს. ტაციტუსის გადმოცემით, იბერიის სამეფო კარი ინტრიგების ჩვეულებრივ ასპარეზს წარმოადგენდა, გაბატონებული იყო დაუნდობლობა და ზურგში მახვილის ჩაცემა. სამეფო ოჯახის ყველა წევრს საკუთარი მზაკვრული გეგმა ამოძრავებდა. იბერიის მეფის ფარსმანის ბოროტებამ და რომის ხელისუფლების წარმომადგენელთა ანგარებამ დააჩქარა სომხეთის გადასვლა პართიის ხელში.

ძველ საქართველოს რომის ადმინისტრაციული პოლიტიკა არასდროს შეხებია, მაგრამ გავლენისაგან თავს ვერასდროს იცავდა და მუდმივად იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის მხარდამჭერი იყო (კოლხეთი და იბერია ფიგურირებენ „რომის ისტორიის“ III ტომში შედარებით ვრცლად, პომპეუსის ლაშქრობის ამსახველ მოვლენებთან დაკავშირებით).

თ. მომზენის V ტომი ლიტერატურულად ისეთივე ამაღლებული სტილითაა დაწერილი, როგორც I-III ტომები. ამდენად, ნობელის პრემიის მინიჭება იმ საყოველთაო რეზონანსის დადასტურება იყო, რომლითაც სარგებლობდა იგი ევროპული მეცნიერებისა და ლიტერატურის დამფასებელთა შორის. შედეგთა აკადემიის გადაწყვეტილებამ მრავალმხრივი სწავლულის დიდ ავტორიტეტს დიდი მწერლის სახელიც მიუმატა.

თ. მომზენის შრომისმოყვარეობა და ნაღვაწი ლეგენდას ჰკავს, მაგრამ თვითონ საკუთარი შემოქმედების შესახებ საკმაოდ მოკრძალებული აზრი ჰქონდა. ამ თავმდაბლობაზე მეტყველებს 1899 წლის 2 სექტემბერს შედგენილი ანდერძი, რომელშიც ვკითხულობთ, „ვთხოვ ჩემს მახლობლებს, ჩემი სიკვდილის შემდეგ,⁶ რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, შეეწინააღმდეგონ ჩემი ვრცელი ბიოგრაფიის პუბლიკაციას და არ წარმოადგინონ ამ მიზნით არაფიქსირებული დოკუმენტი. მე ჩემს ცხოვრებაში, გარეგნული წარმატების მიუხედავად, არ მიმიღწევია იმისათვის, რისთვისაც უნდა

⁶ თ. მომზენს 1903 წლის იანვარში საკუთარ ბიბლიოთეკაში მუშაობისას ანთებული სანთლიდან გრძელ ჭადარა თმაზე მოედო ცეცხლის ალი. მიღებული დამწვრობისაგან განკურნება შეუძლებელი გახდა და იმავე წლის I ნოემბერს გარდაიცვალა 86 წლის ასაკში.

მიმეღწია. გარემოებამ მომხვედრა ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს შორის, თუმცა ჩემი მომზადება და გონებრივი მონაცემები არასაკმარისი იყო ამ ორი დისციპლინისათვის. მთელი ცხოვრების მანძილზე არ მტოვებდა მძიმე განცდა ჩემი ნაშრომების შესახებ, რომელიც წარმოდგენილია დიდად, ვიდრე სინამდვილეში არის და ჩემს ბიოგრაფიაში ეს არ უნდა დაიმალოს... მე არასდროს მქონია პოლიტიკური გავლენა და მდგომარეობა და არც ვცდილობდა ამას, მაგრამ სულის სიღრმეში ვფიქრობ, რაც მაქვს საუკეთესოა. მე ყოველთვის ვიყავი *animal politicum* და ვცდილობდი ვყოფილიყავი მოქალაქე“.


ანდერძში არის კატეგორიული მოთხოვნა, რომ დოკუმენტური მასალები ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო მისი გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ.⁷

თ. მომზენი მუდმივად შრომის პროცესში იმყოფებოდა.⁸ მშობლიური ენის გარდა სრულყოფილად ფლობდა ინგლისურს, ფრანგულს, იტალიურს. სამეცნიერო ენად ძირითადად იყენებდა ლათინურს. მის ლექციებს უამრავი მსმენელი ესწრებოდა (ინგლისელები, ფრანგები, იტალიელები, რუსები და სხვ.). არჩეული იყო მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად. აღნიშნავენ იმასაც, რომ სიტყვის დიდოსტატის ლექციები გარეგნული ბრწყინვალეობით არ გამოირჩეოდა, და რომ მისი ნაწერი შეუდარებლად მაღლა იდგა აუდიტორიაში წარმოთქმულ სიტყვებზე.

თ. მომზენის შემოქმედება, ისტორიული, იურიდიული და ფილოლოგიური გამოკვლევები, მის მიერ მიღწეული დონე, დღესაც გადაულახავ სიმადლეს წარმოადგენს. „რომის ისტორია“ კი, როგორც ლიტერატურული თხზულება, ისტორიის მხატვრულად გადმოცემის კლასიკურ ნიმუშად ითვლება.

⁷ ანდერძის მოთხოვნა შესრულდა. ოცდაათწლიანი ვადა გავიდა 1933 წელს. 1934 წელს ბერლინის აკადემიამ მომზენის არქივის მასალები მისაწვდომი გახადა და დაიწყო მათი დამუშავება. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგები გამოქვეყნდა ოთხ ტომად. L. Wickert. Teodor Mommsen: Eine Biographie, Bd.I-IV. Frankfurt am Main, 1959-1960.

⁸ თ. მომზენის ქალიშვილის ადელაიდას მოგონების თანახმად, როდესაც მეცნიერი რომელიმე თხზულებას დაამთავრებდა, ვიდრე ახალ თემაზე მუშაობას შეუდგებოდა, დეპრესიაში ვარდებოდა. მაგრამ ამ დროსაც იგი უწინოდ წარმოუდგენელი იყო. კითხულობდა რომანებს გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე.



ბრიგოლ რუსხამი

სანამ ერისი აღმოცენდება

ვიდრე მკითხველი სტატიის შინაარსს გაეცნობა, აუცილებლად მიგვაჩნია განმარტების მიწოდება იმის თაობაზე, რომ იგი კარგა ხნის წინ არის მოზადებული (09.11.1995), მაგრამ აქამდე არ გამოგვიქვეყნებია. ამას არაერთი მიზეზი ჰქონდა: I. სტატიაში მხილებული, თბილისის სასულიერო აკადემიის პედაგოგი ე. ჭელიძე მისი არასწორი შეხედულებების გამო ადრეც გააკრიტიკეთ.¹ რამდენადაც კრიტიკული შენიშვნები აკადემიის მაშინდელი ადმინისტრაციის მიერ არსებითად არ იქნა განხილული, მივიჩნევ, რომ წინამდებარე წერილში გამოაშკარავებული „ლაფსუსები“ მისთვის მით უმეტეს მნიშვნელოვანი არ იქნებოდა. II. მიუხედავად იმისა, რომ მთელმა სასულიერო სასწავლებელმა ზემოთ ნახსენები კრიტიკული წერილი საკამათო თემად აქცია, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ საკითხის არსში მხოლოდ ორად ორი მაშინდელი სტუდენტი, ამჟამად არქიმ. დოროთე ყურაშვილი და დეკ. მიქაელ ბუკია, გაერკვა. მაშასადამე, წერილის გამოქვეყნებით ჩვენ არა ობიექტურობის დადგენას, არამედ სუბიექტურ შეხედულებათა გამძაფრებას შევუწყობდით ხელს; ადამიანები არა წამოჭრილი პრობლემების გამოძიებას, არამედ პოზიციების გარკვევას ცდილობდნენ. III. პრობლემათა დაუძლეველობამ თანდათან ჩემი შევიწროება და, ბოლოს, აკადემიიდან განთავისუფლებაც გამოიწვია (1997 წ.). ამის შემდეგ კი, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „გამარჯვებულ“ ე. ჭელიძეს მხილებას ვერ ვაკადრებდით; ან სიმართლე ვის აინტერესებდა?!

ამ ამბის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ე. ჭელიძესთან ჩვენ არავითარი საქმე არ გვქონია, თუმცა, დროდადრო გვესმოდა მისი საქმენი საგმირონი: „მხილებანი“ აკ. წერეთლისა, იაკ. გოგებაშვილისა და პეტრე იბერიისა, რომლებზეც სხვადასხვა ავტორის მიერ საკადრისი პასუხების გაცემის მიუხედავად, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, მისთვის ოფიციალურად პასუხი არავის არაფერზე მოუთხოვია; როგორც ჩანს, მას ჩვენს თვალთ-

¹ წყარო ქვემოთ არის მითითებული. იგი აგრეთვე შეტანილია კრებულში: «მადლის» 1990-2010 წლების კრებული, II, თბ., 2011. გვ. 366-382.

გან დაფარული ხელშეუხებლობის მანტია მოსავს.

რა თქმა უნდა, მას არც ჩვენი სტატია მოუტანს ვნებას, მაგრამ, ვინაიდან თვით მას დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გასჩენია და ძველი პასკვილები ამჟამად ინტერნეტით გაუვრცელებია, იძულებული ვართ, ცოტა რამ დაინტერესებულ მკითხველს ჩვენც შევახსენოთ.

თმრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჟ. „გზა სამეუფოში“² გამოთქმულ საეჭვო მოსაზრებებზე ჩვენი შენიშვნები³ დავბეჭდეთ, რომელსაც მალევე ე. ჭელიძის პასუხი მოჰყვა.⁴ ამასთან დაკავშირებით უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, სპეციალური საეკლესიო კომისია შეიქმნა, რომელსაც აღნიშნულ წერილებში გამოვლენილი სადაო საკითხების განხილვა და განსჯა ჰქონდა მინდობილი.

1995 წლის 3 ნოემბერს თბილისის სასულიერო აკადემიაში სხდომა ჩატარდა, რომელზეც ღმრთისმეტყველური საკითხები არ განხილულა, მაგრამ შემდეგი პირობები იქნა მიღებული:

ა) აზრის ცხადად ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებული განსჯისათვის ყოველი საპოლემიკო საკითხი წერილობით იქნას დასაბუთებული;

ბ) მოკამათო მხარეებმა, რადგან ისინი სასულიერო აკადემიის პედაგოგები არიან, წერილის გამოქვეყნებამდე ამავე სასწავლებლის რექტორის, ეპისკოპოსის აბრაამისაგან (გარემელია) უნდა მიიღონ ლოცვა-კურთხევა;

გ) ნაშრომები მხოლოდ მეცნიერული ხასიათისა უნდა იყოს და მორალური შეფასებებისაგან თავისუფალი.⁵

ეკლესიის გამოცდილების მიხედვით, მსგავს შემთხვევებში წმ. მამები ყოველ თხზულებას ნაბიჯ-ნაბიჯ და გამოწვლილვით იძიებდნენ, რათა ყოველი სიტყვა თუ ნაწილაკი კონტექსტში შესაბამისი მნიშვნელობით ყოფილიყო ჩასმული და ვინმეს ეჭვის რაიმე საბაბი არ დარჩენოდა. ამისთვის კი, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვით რომ ვთქვათ, აუცილებელია მოიცალო, რომ გულისხმაჰყო ღმერთი. ჩვენც, შეძლებისდაგვარად, გარჯა არ დაგვიკლია იმისათვის, რომ საპოლემიკოდ ქცეულ საკითხებთან და-

² 1994, #1 და #2.

³ სამების ხატი ერთია, გაზ. „მადლი“, #3, 1995.

⁴ აღამიანი — ხატი პირშობატისა, ჟ. „გზა სამეუფოს“ დანართი #1, 1995.

⁵ სამწუხაროდ, შემდგომ ამ ნაშრომებით არავინ დაინტერესებულა, ანუ, ფაქტობრივად, უმადლესი იერარქის ბრძანება არ შესრულდა. სამაგიეროდ, რექტორის მიერ ჩემი თანამდებობრივი დაქვეითებისა და სალექციო საათების პერმანენტულად შემცირების შემდეგ აკადემიიდან საერთოდ გამათავისუფლეს. მთელი ამ ამბის ტრაგიკომიკურობა კი ის იყო, რომ ბრძანება ჩემთვის არავის უნახვებია, ხოლო აკადემიის სააღრიცხვო ჟურნალში ჩემი განათავისუფლების მიზეზად წესრიგის დარღვევა თუ დაუმორჩილებლობა იყო დასახელებული, მაშინ როცა, სტუდენტობიდან მოყოლებული, რვა წლის განმავლობაში შენიშვნაც კი არ მქონდა მიღებული.

კავშირებით ოპონენტის მიერ მოხმობილი წყაროები დაგვეზუსტებინა და ჭეშმარიტების დასადგენად სიცხადე შეგვეტანა მათში. ამიტომ, ვფიქრობდით, წარმოდგენილი ნაშრომი, სადაო საკითხთა მრავალფეროვნების გამო, კომისიის მუშაობის გაადვილებისთვის და გაურკვევლობის თავიდან ასაც-ილებლადაც გამოდგებოდა.

ზედმეტი არ უნდა იყოს, თუ ორი სიტყვით იმ გარემოებას გავიხსენებთ, რომელიც საგაზეთო წერილის „სამების ხატი ერთია“ გამოქვეყნებას უძლოდა წინ, მით უმეტეს, რომ ეს იმ ეჭვის გაფანტვასაც შეუწყობს ხელს, რომელიც ზოგიერთებს პოლემიკის არაარსებით მხარეზე აქცენტის გადასატანად ესაჭიროებათ.

1994 წლის ბოლოს, როცა სასულიერო სასწავლებლის სტუდენტებმა „გზა სამეუფოში“ გადმოცემული სწავლების „აღამიანი ხატის ხატია“ შესახებ ეჭვი გამოთქვეს (და არცთუ უსაფუძვლოდ), როგორც თსა-ის ღმრთისმეტყველების ფაკულტეტის მაშინდელმა დეკანმა, არა მხოლოდ პირადი სურვილით, არამედ მოვალეობითაც, აღძრული ეჭვის გამო ავტორს, ე. ჭელიძეს ეკლესიის გაზეთში გამოსაქვეყნებლად განმარტებითი წერილის დაწერა ვთხოვე, რადგან, მისივე მტკიცებით, აღნიშნული სწავლების შესახებ მრავალი მოწმობის მოხმობა იყო შესაძლებელი. მაგრამ მან უკვე გამოქვეყნებულსა და, მისი სიტყვით, *საყოველთაოდ ცნობილ საკითხებზე* რაიმე კომენტარის გაკეთება ზედმეტად მიიჩნია. ამის შემდეგ პირადად გავეცანი ბროშურებს და აღმოჩნდა, რომ სასულიერო აკადემიის სახელით გამოქვეყნებულ „გზა სამეუფოს“ ღირსებას მართო ერთი საკითხის ბუნდოვანება არ ჩრდილადა. ამიტომ საგაზეთო წერილში შეკითხვის დასმა — „ნებისთ თუ უნებლიეთ მოსდის ავტორს ეს ლაფსუსები?“ — აწ უკვე ჩემ მიერ გამოაშკარავებულმა ავტორის საეჭვო ხასიათის მტკიცებებმა მაიძულა.

დაე, პასუხი ამ კითხვაზე წინამდებარე წერილის გაცნობის შემდეგ თვითონ მკითხველმა გასცეს, ოღონდ იმ მკითხველმა, რომელსაც ეკლესიის სწავლების დაცვისა და პიროვნების შეურაცხყოფის ერთმანეთისგან განსხვავება შეუძლია.

მაგალითად, მაშინაც კი, როცა ეკლესიის მამები მწვალებლებს ეშმაკის შეილებს, ჭეშმარიტების მტრებს, შხამიან გველებს, შხაკერებს, ცბიერებს, შეშლილებს ან უგუნურებს უწოდებდნენ, ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, არა მათი კაცთმოძულეობა, არამედ ღმრთისმბრძოლთა ნამდვილი სახის წარმოჩენა იყო, რაც მორწმუნეთა გასარკვევად და სწორი სწავლების დასაცავად აუცილებლობას წარმოადგენდა. მიზანი ჩვენს შემთხვევაშიც იგივე იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნული კომისიის ერთი ნაწილის მიერ არასწორი სწავლების მამხილებლური წერილი მისი მკაცრი ტონის გამო პიროვნების შეურაცხყოფად იქნა აღქმული. შევახსენებთ, რომ

სწავლებამ „ხატის ხატის“ შესახებ პირველად ეჭვი სტუდენტებს აღუძრა. ამიტომ ვიტყვით, რომ, მართალია, შეცდომა შეიძლება ყველას მოუვიდეს, მაგრამ როცა საკუთარი აზრის დასამტკიცებლად ციტატებიც კი არასწორადაა მოტანილი, მაშინ სჯობია, საგნებს თავისი სახელი დაერქვას, რათა შემცდარნი სხვებიც არ აღმოჩნდნენ.

აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ ქრისტიანის ეკლესიისაგან განშორებას არა მხოლოდ დოგმატური ცდომილებები, არამედ ზნეობრივი მცნებების დარღვევებიც იწვევს. ამიტომ, როცა ფაქტებზეა ლაპარაკი, გულისხმიერმა მკითხველმა თავისი თავი უნდა აიძულოს, რომ პირადი დამოკიდებულებანი განზე გადადოს და ვითარება ობიექტურად შეაფასოს, რათა წინაპრებისაგან სასოებით ნაანდერძევი უდიდესი განძის, მართლმადიდებლური მოძღვრების სიწმინდის დაცვაზე მაღლა ვინმეს ავტორიტეტი არ დააყენოს. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ჩვენი უცვლელი ავტორიტეტი მხოლოდ წმ. წერილსა და წმ. მამათა თხზულებებზე დაფუძნებული ეკლესიის სწავლებაა და იგია ჩვენი სარწმუნოებრივი ცნობიერების განმსაზღვრელი.

უწინარეს ყოვლისა, გაცეხას იწვევს ის ფაქტი, რომ ჟ. „გზა სამეფოს“ დანართში „ადამიანი — ხატი პირმშობატისა“ მისი ავტორის მიერ არა „მადლში“ გამოქვეყნებულ კონკრეტულ წერილს, არამედ საერთოდ საპატრიარქოს გაზეთს აქვს გაცემული პასუხი და არა მხოლოდ მკაცრი, არამედ შეურაცხყოფელი ტონით. ხოლო რაც შეეხება პირად შეურაცხყოფას, ამაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, რადგან საღმრთისმეტყველო საკითხები ისედაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს და პასუხიც სწორედ მათი გარკვევით გაეცემა ყველაფერს.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი, როგორც თვითონვე წერს, მხოლოდ უწმიდესი ხელნაწერებით, უბრწყინვალესი ტექსტებით, სახელგანთქმული ძეგლებით, უსაჩინოესი კრებულებით, სწორუპოვარი ნიმუშებით და უცხადესი და უსაღმრთოესი გამონათქვამებით ხელმძღვანელობს, დანართში მაინც იმდენი მცდარი, ბუნდოვანი და ზედმეტი გამონათქვამია, რომ ყველაფრის აღნიშვნა ზედმეტად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ის შეიძლება ახალი საბაბიც შეიქნეს კამათის დაუსრულებელი გაგრძელებისათვის. ამიტომ ძირითად საკითხებს პუნქტობრივად განვიხილავთ და მრავლიდან მნიშვნელოვანს ამოვარჩევთ.

კომისიამ ყურადღება განსაკუთრებულად ე. ჭელიძის მიერ ციტატების არასწორად მოტანის ფაქტებზე გაამახვილა, კერძოდ, გამოთქვა ეჭვი, მართალი ვართ თუ არა ჩვენ, როცა დასამოწმებელ ტექსტებთან ე. ჭელიძის მეტისმეტად თავისუფალ დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ. ამიტომ კამათში სიცხადის შესატანად საქმესაც აქედან დავიწყებთ.

1. აღნიშნულ საგაზეთო წერილში (სამების ხატი ერთია) „გზა სამ-

ეუფოდან“⁶ მოყვანილი იყო ციტატა: «ამგვარი კეთილი სწავლებანი ერეტიკოსთა შრომებში იმავე სულიწმიდისაგან მომდინარედ შეირაცხებოდა. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწის ეფრემ მცირის (X ს-ის II ნახ.) უწყება იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში მართებული სწავლების გადმოცემისას მწვალებლებიც „მისვე და ერთი სულისაგან მეტყუელებდეს“, რადგანაც სულიწმიდა, ეფრემისვე მითითებით, არათუ ქრისტიან მწვალებლებს, არამედ თვით „წარმართთა მეკერპეთაც“ კი გაუმჟღავნებს ზოგჯერ ჭეშმარიტებას (იხ. „ძველი საქართველო“, ტ. III, გვ. 82)».

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მითითებულ ადგილას ამ უმნიშვნელოვანესი უწყების კვალაც კი არსად ჩანს. დანართის (გვ. 48) ავტორი კი იმაში გვადანაშაულებს, რომ რადგან ციტატის დამოწმებაში კორექტული შეცდომა გაიპარა, ამიტომ უნდა გავრჯილიყავით და ეს ადგილი დაახლოებით 150 გვერდის შემდეგ გვეპოვა(!). იქნებ საქმე მართლაც კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს და ასოთამწვობმა „249 გვ.“ ნაცვლად „81 გვ.“ ჩასვა, ეს საქმეს მაინც ვერ უშველის, რადგან სინამდვილეში „მისვე და ერთი სულისაგან მეტყუელებდეს“-ო ეფრემ მცირე მახარებლების მისამართით ამბობს,⁷ ე. ჭელიძე კი იმავე გამოთქმას მწვალებლებს უკავშირებს და გვარწმუნებს, რომ სული წმიდა ზოგჯერ მათაც უმჟღავნებდა ჭეშმარიტებას. რა ნაწილ უც მორწმუნესა ურწმუნოსა თანა? (2 კორ. 6,15), არავითარიო, — პავლე მოციქული გვეუბნება, ე. ჭელიძე კი საპირისპიროს ამტკიცებს.

გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ თქმული უშუალო კავშირშია ე. ჭელიძის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისთან, რომელიც ჭეშმარიტ ქრისტიანს მწვალებელთა ნაწერებში სიბრძნის მოძიების ვალდებულებას აკისრებს (ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ). ამ უკანასკნელი აზრის დასამტკიცებლად, ანუ „მამებისა და ერეტიკოსების თხზულებათა შორის“ მსგავსების წარმოსაჩენად მოტანილია ციტატა (დრთ., გვ. 49):

«ვითარ-იგი მუნ („იქ“, ე. ჭ.)⁸ ... მისვე და ერთი სულისაგან მეტყუელებდეს და არათუ სხუად სხვსაგან რასმე მოხუეჭით მოიპოვებდეს,

⁶ #1, 1994, გვ. 12.

⁷ „ოდესმე მცირედ რეცა განიყოფების სიტყუად წმიდათა მახარებელთა, და არცა განყოფად იგი მათი განწვალებასა იქმს, ვითარმცა წინა-აღუდგებოდეს ურთიერთას, არცა შეერთებად მათი შერწყმასა ჰყოფს, ვითარმცა ურთიერთასა ივასხებდეს სიტყუათა მათ. არამედ განყოფილობად საეჭუელობად იგი მათი უეჭუელ არს ერთობისათვის, და ზოგებით მეტყუელებად არავე საეჭუელ არს, ვითარმედ მისვე და ერთი სულისაგან მეტყუელებდეს და არა თუ სხუად სხვსაგან რასმე მოხუეჭით მოიპოვებდეს“ (მე. ქართ. ენ. კათ. შრომები, II, 1968, გვ. 81-82).

⁸ „იქ“ განმარტება არაა. როგორც პირველ სქოლიოში მოყვანილი ციტატიდან ჩანს, გამოტოვებულია მთავარი აზრი: „მუნ“, ე. ი. ოთხ სახარებაში მახარებლები „მისვე და ერთი სულისაგან მეტყუელებდეს“.

ეგრეთვე აქა თარგმანნიცა ესე დავითისანი, არა ხოლო ჩუენნი, არამედ გარეშენიცა მრავალგზის ჩუენთა ამათ მიერ თარგმანებულსა მიემსგავსებიან, რამეთუ უმრავლესთა ადგილთა რაჟამს წარიკითხო წმიდისა ბასილის მიერ აღწერილი თარგმანი მუხლისად, ყოვლითურთ თანაშეეტყუების (ე. ი. ყოვლითურთ თანხედება, ე. ჭ.) მისსა მას ვესვეისიცა პამფილესისად და ეგრეთვე ოდესმე რად იგი ძალი აქუნ თარგმანსა ათანასე ღმერთშემოსილისა, იგივე ძალი აქუნდის ორიგენესსა მას ყოვლადშეცდომილისასა».

— დანართში წარმოდგენილი ტექსტი, ე. ჭელიძის კომენტარის გათვალისწინებით, გაუცნობიერებელ მკითხველს მართლაც აფიქრებინებს, რომ მამებიცა და მწვალელებიც სულიწმიდით მეტყველებდნენ, მაგრამ ნუ შესცდებით! ჯერ ერთი, დანართი ტექსტს სწორედ იმ **წინადადებას აკლებს**, რომელიც ხელნაწერს, დაზიანების მიუხედავად, ღმრთის წყალობით შემორჩენია და ასე იკითხება: „ამისთვისცა მსგავსებისა ამისგან სიტყუათადასა, არამედ ნუმცა ვის ჰგონიეს, თუ წმიდასა მამასა სხვსად უვასხებიეს ბილწთა არა-წმიდათაგან“.⁹ — ე. ი. ნუვინ იფიქრებს, ბასილი დიდს არიოზელი ვესვეი პამფილესისაგან, ანდა ათანასე ღმერთშემოსილს (IV ს.) მეორე ს-ში მცხოვრები ყოვლადშეცდომილი ორიგენესაგან რაიმე ესესხებინოსო; და მეორეც, აქ ეფერემ მცირე, როგორც მომდევნო მსჯელობიდან ჩანს, აქცენტს მამათა ერთსულოვნებაზე აკეთებს და გვიხსნის, რომ მათ შორის რაიმე წინააღმდეგობა კი არ არის, არამედ *რომელიმე განმარტებით თარგმნის მუკლსა და რომელიმე სახის-მეტყუელებით*,¹⁰ ამიტომ ფსალმუნის მთარგმანებელი წმ. მამების (და არა მწვალელებების!) სახისმეტყველებითი სიტყვები ერთად შეეკრიბე და ამ წიგნს წაუშემდგარეო.

ამიტომ მცდარია ე. ჭელიძის დამოკიდებულება და, არასწორ ციტირებაზე რომ არაფერი ვთქვათ, საეკლესიო სწავლებისათვის მიუღებელი.

თუკი მკითხველი მიიჩნევს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობისას გაზეთში გადმოცემული მტკიცება არასაკმარისია, მაშინ იმის დასასაბუთებლად, რომ „არ შეიძლება ვინმემ იმათ კეთილ სწავლებაზე ილაპარაკოს, ვისი მამაც ეშმაკია“, განსაკუთრებულ წერილს მოვამზადებთ.¹¹

2. აქვე ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებულ საკითხსაც შევეხებით.

საგაზეთო წერილის მეხუთე შენიშვნაში ვწერდით, რომ „გზა სამეუფო“ შემდეგ სიახლეს გეთავაზობს: ჭეშმარიტების მარცვლები „გაბნეულია უკეთურებისა და ერესის ღვარძლში და ჭეშმარიტ ქრისტიანთა ვალდებულებაა მათი უდანაკარგოდ მოძიება“ (გვ. 11). — შემდეგ კი საკმაოდ ვრცლად განვმარტეთ, რომ ეკლესია ამგვარ ვალდებულებას არ იცნობს.

⁹ დასხ. შრომები, 11, გვ. 8.

¹⁰ იქვე.

¹¹ ჩვენ ასეთი შინაარსის წერილი უკვე გამოქვეყნებული გვაქვს: ერეტიკული წიგნების შესახებ („მადლი“, #7-8, 2005). იგი აგრეთვე შეტანილია კრებულში: გ. რუხაძე, წესი თვისებათა მიცემისად, თბ., 2009. გვ. 141-153.

დანართის ავტორის პოზიცია კი არ შეცვლილა: „ეკლესიის მამათა ვალდებულება ნამდვილად ამგვარია“, ხოლო მათში რომ „მართლმჭვრეტელ მოძღვართ“ ვგულისხმობდით, მეხუთე გვერდზე განმარტებულიო (გვ. 47). ჯერ ერთი, ჭეშმარიტი ქრისტიანი მაინცდამაინც წმ. მამას არ ნიშნავს, და რა შუაშია მეხუთე გვერდი, როცა მიუღებელი აზრი მეთერთმეტეზე წერია; და მეორეც, ასეც რომ იყოს: ვინ, სად ან როდის დაავალდებულა წმ. მამები ამ მოთხოვნით?

დანართში ვრცელი და ამაო მსჯელობაა გადმოცემული ამ „ვალდებულების“ შესახებ, როცა მეორე გვერდზე სწერია, რომ ეფერემ მცირე, ერთი მხრივ, აქებს მათ, *რომელნი-იგი სრულ არიან სიბრძნითა*, რამეთუ მათ საწამლავისაგან (მწვალებელთა წიგნებიდან) საკურნებელი წამლის (კეთილი სწავლების) შეშხადება შეუძლიათ; მეორე მხრივ კი, არც იმათ კრძალულებას აძაგებს, რომლებიც უძლურების გამო ერეტიკოსთა წიგნებს საერთოდ არ ეხებიან (sic). როგორც ჩანს, ეფრემი თავის თავს სწორედ ამგვარ „უძლურთა“ რიცხვს მიაკუთვნებს და ამბობს, რომ ფსალმუნის განმარტებები მხოლოდ მართლმადიდებელ მამათაგან შეეკრიბა: **რომელი ოდენ ვპოვე მართლმადიდებელთა მიერ თარგმანებული სიტყუა დავითისი, ყოველივე ერთად წიგნად შეეკრიბე**. შემდეგ: **ეგრეთვე ჩუენი ესე «თარგმანება დავითისად» ერთისა ამისგან ხოლო განკრძალულ არს, რადთა გარეშეთა თარგმანთად არარაად შემოიღოს, ვითარცა განკუეუთილთად წვლებისათვის**.¹²

ცხადა, თვით ღირ. ეფრემ მცირეც, რომლის სახელსაც დანართის ავტორი ხშირად იყენებს, ერეტიკოსთა თხზულებებში *ჭეშმარიტი მარცვლების ძიებას* არავის ავალდებულებს.

3. „მადლი“ „გზა სამეუფოს“ რედაქტორის მიმართ ასევე აღვნიშნეთ, რომ იგი ტერმინი „ერესის“ მნიშვნელობას *მოძღვრების* შინაარსით ხსნის და ამის დასამოწმებლად ბასილი დიდის 81.1 ეპისტოლეზე მიგვივითიებს, სადაც ეს სიტყვა ნახმარი არ არის.

დანართი (გვ. 54) პასუხობს, რომ მითითება „პატრისტიკული ბერძნული ლექსიკონის“ მიხედვით გააკეთა (რაც ვერაფერი საბუთია თავის გასამართლებლად!), ხოლო სხვადასხვა დალაგებით ეს ადგილი 33-ე ან 71-ე ეპისტოლეში იკითხებაო. თითქოს განმარტება მდგომარეობას ასწორებს, მაგრამ განა ესაა მთავარი? საქმე ისაა, რომ **დანართის ავტორის საწინააღმდეგოდ ბასილი დიდი ამ სიტყვას აქაც ჩვეულებრივი, უარყოფითი (ერესის) და არა დადებითი (მოძღვრების) მნიშვნელობით იყენებს**.

სამწუხაროდ, კომისიამ არ გაითვალისწინა, რომ ჩვენ მიერ „მადლი“ გამოქვეყნებული შენიშვნების მიმართ აკადემიის მაშინდელ მესვეურთა გამოჩენილი უყურადღებობის გამო „გზა სამეუფოს“ რედაქტორმა პა-

¹² იქვე, გვ. 80 და 81.

სუბსემგებლობა ვერ იგრძნო, რამაც შედეგად „დანართში“ ახალი ტექსტობრივი დარღვევები და კიდევ უფრო მძიმე დოგმატური ცდომილებები გამოიღო.

რადგან ჯერჯერობით მხოლოდ დამოწმებულ ციტატებს განვიხილავთ, რამდენიმე სერიოზულ დარღვევას კიდევ წარმოადგენთ და აღვნიშნავთ, რომ ე. ჭელიძის მიერ ტექსტების არასწორი წაკითხვა სუბიექტური დასკვნებისთვისაა გამოყენებული. ამას წინასწარ იმიტომ ვამბობთ, რომ ჯერ მხოლოდ მასალას წარმოადგენთ, ხოლო შემდგომ, თანმიმდევრული მსჯელობისას,¹³ დარღვევათა მნიშვნელობა კონტექსტებში უფრო ადვილი გასაანალიზებელი იქნება.

4. დანართში ორ ადგილას (გვ. 12 და 23) წმ. ანასტასი სინელის ტექსტი ნაკლულადაა წარმოდგენილი. ე. ჭელიძის მიერ გამოტოვებული ადგილი, რომელიც ხელნაწერის ფოტოპირზე იკითხება, პირობითად კავებში გვაქვს ჩასმული:

„გუამი უკუე არს, საეკლესიო მსა და სამოციქულო მსა მოცემისაებრ, პირი, ესე იგი არს ხატი, ვითარცა იტყვს პაულე ძესა [ბრწყინვალეობად მამულისა დიდებისა და] ხატად გუამონებისა მისისა“ (ხელნ. S-1463, 4.1-2).

5. ორ ადგილას (დრთ., გვ. 13 და 23) წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემიდან“ ციტატა ასეა დამოწმებული:

„ხატებითა თითოეულისა გუამისა მათა განყოფილ არს განყოფა მათი (ჰიპოსტასებისა, ე. ჭ.)“. Pg. 94, col. 824B.

სინამდვილეში კი „განყოფილის“ ნაცვლად „განყოფელი“ უნდა ქვეროს: „ხატებითა თითოეულისა გუამისა მათა განყოფელ (ἀδιαίρετῶν, нераздельно) არს განყოფა მათი“.¹⁴ ამავე დროს „ხატებითა“ აქ „დანართის“ ავტორისათვის სასურველ მნიშვნელობას (ჰიპოსტასის შინაარსით) საერთოდ არ ითვალისწინებს, რადგან ხატებითა თითოეულისა გუამისა მათა ნიშნავს: თითოეული პირის განმასხვავებელი თვისებით (მათი განყოფა განყოფელია), *carakthristikw/ th- ipia- upostasew-*, по отличительному свойству отдельного Лица.

6. დანართი, გვ. 22: „ერთ ხატად, ღმერთად და კაცად გამოშჩნდი, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, უვნებელი და ვნებელი, ერთ გუამად“.¹⁵

— ფაქტს მოკლედ აღვნიშნავთ, დედანში „ერთ ხატად“ საერთოდ არ

¹³ ყველა ეს მსჯელობა მოცემულია აწ უკვე გამოქვეყნებულ ნარკვევში: გ. რუსხაძე, ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის, თბ., 2000. აქვე შევნიშნავთ, რომ მისი უწმიდესობის მითითების გათვალისწინებით, ოპონენტი პიროვნულად არსად არ დაგვისახველებია.

¹⁴ გარდამოცემად უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა, ეფრემ მცირის თარგმანი / რ. მიმინოშვილის სადისერტაციო ნაშრომი: იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, 1966, გვ. 30. რუსული რედაქცია: Точное изложение православной веры, пер. А. Бронзов, 1894, с. 23.

¹⁵ მიქაელ მორდრეკელი, ჰიმნები, II, 1978, გვ. 422, 17.

წერია და მის ადგილას იკითხება: „წელთა მოახლებასა: ღმერთად და კაცად გამოშჩნდი“...

7. ახლა სხვა ციტატაც ვნახოთ: ჭეშმარიტების გასარკვევად მიქაელ მორდრეკელის საგალობელი სრულად მოგვყავს საგარაუდო პუნქტუაციის გათვალისწინებით:

„რომელი ჩუენთვს ქუეყანად მოცუედ: (,) უცორცოთა შემოქმედი: იშვე ცორცოთა: (,) ორი ბუნებად ერთ ხატად გუამსა შინა: უცოდველსა: შეაერთე შეხავებით: (—) ღმრთეებად კაცებასა შეურწყმელად (,) ღმრთისა სიტყუაო“.¹⁶

— ე. ჭელიძემ კი ზმნა „იშვე“ აზრობრივად დაუკავშირებელ „ორ ბუნებას“ შეუერთა და „ცორცოთა“ საგალობლიდან საერთოდ ამოაგდო, და მივიღეთ: „იშვე ორი ბუნებად ერთ ხატად“ (დრთ., გვ. 22).

8. დანართი, გვ. 23: „ხატონებითობად იგი გუამისად არს. არა არსებისად“ (Pg. 94, col. 1001C).

— აქაც, ზემოთ აღნიშნული შემთხვევის მსგავსად, დარღვევა იმაში მდგომარეობს, რომ გამოთქმით მსგავსი, მაგრამ განსხვავებული შინაარსის მქონე ტერმინები ერთ კონტექსტშია გამოყენებული. ხატონებითობა („ხარაკტერისტიკოს“) არა ბუნებით ხატს („ხარაკტერ“), არამედ დამახასიათებელ თვისებას ნიშნავს. ეფრემ მცირე ამ ადგილს ასე თარგმნის: „რომელ-ესე არიან თვთუბანი ხატონებითნი და ცხოვნებითობად იგი გუამისად არს, არა არსებისად“.¹⁷ ა. ბრონზოვის თარგმანს კი უფრო ვრცლად მოვიყვანთ, რადგან აღნიშნული ბერძნული ტერმინი („ხარაკტერისტიკოს“) რუსულში უცვლელადაა გადმოტანილი: «Почему лица и не различаются друг от друга по сущности, но по случайностям, которые являются характеристическими их свойствами; но характеристическими свойствами лица, а не естества» (стр. 133).

შევნიშნავთ, რომ ციტატის ამკარა დამახინჯებას ან კონტექსტისათვის შეუსაბამო ციტირებას მსჯელობისას ერთი და იგივე მნიშვნელობა ენიჭება.

9. ჩვენ მიერ მხილებული ავტორისთვის არც სხვა სახის „შეცდომები“ უცხო. იგი ზემოთ დასახელებულ „დანართში“ რამდენიმე მაგალითს სოლ. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიიდან (I, 1946) იმოწმებს. დაინტერესებული მკითხველის საყურადღებოდ შევნიშნავთ, რომ ამ წიგნში ერთ-ერთ აპოკრიფულ საკითხავად დაბეჭდილია „აღსარებად თევდოსისი ჰურიათა მთავრისად“, რომელიც უცვლელი სახით ე. „წყაროს“ (#23) 1993 წელს ასეთი პლაგიატური მინაწერით აქვს გამოქვეყნებული: «ტექსტი გამოსაცემად მოამზადა „წყ-

¹⁶ ჰიმნები, II, გვ. 405, 24.

¹⁷ დასხ. გარდამოცემა, გვ. 157.

აროსთვის“ და წინასიტყვაობა დაურთო ედიშერ ჭელიძემ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, თბილისის სასულიერო აკადემიის პედაგოგი».

10. შეიძლება მკითხველს შემჩნეული ჰქონდეს, რომ საგაზეთო წერილში¹⁸ რიგით მე-10 და მე-11 შენიშვნები გამოტოვებული იყო, რაც ბეჭდვის ტექნიკურმა მხარემ განაპირობა. ახლა ამ ხარვეზსაც ნაწილობრივ შევავსებთ.

„პაველე მოციქული ასე ხმობს: „სარწმუნოებიდან სარწმუნოებისაკენ!“¹⁹

— რომაელთა მიმართ ეპისტოლეს 1,17 მუხლში წერია: *სარწმუნოებითი სარწმუნობად* (ძვ. ქართ.), *ek pistew- eif- pistin* (ბერძ.), *სარწმუნოებიდან სარწმუნოებაში* (საპაატ. გამც.), *от веры в веру* (რუს. სინდ.). პაველე მოციქულის სიტყვები შემდეგ აზრს უკავშირდება: ღმრთის სიმართლეს სახარებაში „გამოცხადების სარწმუნოებითი სარწმუნოებად“. ამ მუხლის კომენტარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ღმრთის სიმართლეს მხოლოდ მორწმუნეთათვისაა განცხადებული და განსაკუთრებით სრულყოფილი, ანუ „ურყევი და მტკიცე“ სარწმუნოების მქონეთათვის მჟღავნდება. აქედან გამომდინარე, სიმართლეს ცხადდება „სარწმუნოებაში“ და არა „სარწმუნოებისაკენ“.

დასკვნის მაგიერ ღირ. ეფრემ მცირის სიტყვას გავიმეორებთ:


«xolo wmidaTa Tqumulsa da marTmadidebelTa mamaTa aRwerilsa vervin ikადრებს შეხებად, ვითარცა წმიდა სახარებასა და ებისტოლეთა პაველე მოციქულისათა, რაოდენცა ლიტონითა სიტყვთა აღწერილ იყოს, ბრძენთა და მართლმადიდებელთაგანი ვერვინ შეეხების, არათუ ვინმე იყოს სულელ, უფროდსა მწვალებელ და განვრდომილ ეკლესიისაგან».²⁰



¹⁸ იგულისხმება „სამების ხატი ერთია“.

¹⁹ გზა სამეუფო, I, 1994, გვ. 5; II, გვ. 23.

²⁰ იოანე დამასკელი, დიალექტიკა, 1976, გვ. 68.



მამულიოზილთა მოსახსენებელი

მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძე — 150 (ძვ. სტ. 24.12.1862 — 21.12.1937). დიდი ქართველი კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე, ქართული საოპერო მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

მ. ბალანჩივაძემ დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მღეროდა ვაჟთა გუნდში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვლადიმერ აღნიაშვილი. იგი ბალანჩივაძის ვოკალური მონაცემებით თავიდანვე დაინტერესდა.

სემინარიაში სწავლისას თავად ჩამოაყალიბა მოსწავლეთა გუნდი და სიმღერა-გალობას ასწავლიდა. 1880 წელს, თბილისში გადმოსვლის შემდეგ, ლოტბარ აუშვეის რეკომენდაციით ჩაირიცხა საქართველოს ეგზარქოსის მგალობელთა გუნდში და გუნდის ხელმძღვანელის თანაშემწედაც დაინიშნა. 1880 წლის დეკემბრიდან, ფილიმონ ქორიძის ინიციატივით მიიწვიეს თბილისის ოპერის გუნდში, სადაც მალევე შეასრულა სოლო პარტიები ოპერებში „ევგენი ონეგინი“ (ზარეცკი) და „ფაუსტი“ (ვალენტინი).

1882 წელს მ. ბალანჩივაძემ ჩამოაყალიბა ქართული ხალხური სიმღერის გუნდი და მომდევნო წელს თბილისში ხალხური სიმღერების პირველი საჯარო კონცერტი გამართა. 1883-86 წლებში, ხალხური საგალობლების ჩაწერის მიზნით, ფილ. ქორიძესთან ერთად შემოიარა საქართველო. 1886 წლიდან კვლავ აღნიაშვილთან მღეროდა და 3 წელი ხელმძღვანელობდა კიდევ ამ გუნდს. მ. ბალანჩივაძემ პირველმა წარუდგინა ფართო აუდიტორიას ქართული რომანსების პირველი კლასიკური ნიმუშები — „ნანა“, „შენ გეტრფი მარად“ და „როდესაც გიცქერ“.

1889-1895 წლებში სწავლობდა პეტერბურგის კონსერვატორიაში ვოკალის სპეციალობაზე, ჯერ სამუსთან, შემდეგ კი კომპოზიციის განხრით რიმსკი-კორსაკოვთან. 28 წლის განმავლობაში მ. ბალანჩივაძე აქტიურად და დაუღალავად მოღვაწეობდა რუსეთში, პროპაგანდას უწევდა ქართულ სამუსიკო ხელოვნებას, მართავდა ქართული სულით გაჯერებულ დაუვიწყარ საღამოებს; იქვე შექმნა ოპერა „თამარ ცბიერი“ (ლიბრეტოს ავტორი

ვ. ველიჩკო). 1907 წ. მანვე დააფინანსა მიხეილ გლინკას წერილების გამოცემა (სულ 250 წერილი), რომელიც დღემდე უდიდესი ინტერესით სარგებლობს მსოფლიო სამუსიკო ხელოვნების მოყვარულთა შორის.

1917 წელს მ. ბალანჩივაძე სამშობლოში დაბრუნდა და მეორე წელსვე ქუთაისში დააარსა მუსიკალური სასწავლებელი (დღეს მის სახელს ატარებს). აქტიურად მონაწილეობდა თბილისის ოპერის თეატრის რეორგანიზაციაში; იყო „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ საპატიო თავმჯდომარე, „საქართველოს სამუსიკო საზოგადოების“ თავმჯდომარე. ხელმძღვანელობდა განათლების სახალხო კომისარიატის სამუსიკო განყოფილებას, ბათუმისა და ქუთაისის სამუსიკო სკოლებს. არის სიმფონიური ორკესტრებისა და საგუნდო მარშების ავტორი.

დაკრძალულია ქუთაისში, ბაგრატიის ტაძრის ეზოში.

ივანე ნიკოლოზის ძე მაჭავარიანი – 150 (1863-1943). „ივანე მაჭავარიანი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა უადრესად ღირსეული მოთხრობებით, პუბლიცისტური წერილებით, ქრონიკებით, მიმოხილვებითა და თარგმანებით და წლების განმავლობაში გვერდში ედგა ილია ჭავჭავაძეს“ (სერგი თურნავა, „მნათობი“, 1993).

მან 1888 წელს დაასრულა ჟენევის უნივერსიტეტი, იქვე ტოვებდნენ, მაგრამ მაინც სამშობლოში დამკვიდრდა. წლების განმავლობაში განაგებდა ჟურნალ „მოამბეს“, იყო ჟურნალ „ნაკადულის“ პასუხისმგებელი რედაქტორი; მისი სტატიები, კორესპონდენციები, პუბლიცისტური წერილები და რეცენზიები იბეჭდებოდა „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „დროებაში“, „საქართველოში“; გამოსცემდა ყოველთვიურ ქრონიკებს „ჩვენსა და სხვაგან“; ბეჭდავდა ფსევდონიმებით „კვიმატი“, „ივანე ახალმენაშვილი“ და სხვ.

წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცმა (თაყაიშვილმა) ივ. მაჭავარიანი მიიწვია „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრად და უცხოეთის კომისიის ხელმძღვანელად.

მუშაობდა ახალდაარსებულ რკინიგზაზე მაღალ თანამდებობებზე.

ივ. მაჭავარიანიმ თარგმნა და გამოცა რუსი და ფრანგი ავტორების უნიკალური ნაწარმოებები: ალექსანდრე დიუმას „სამი მუშეკეტერი“, ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“, ვიქტორ ჰიუგოს „93 წელი“, დენი დიდროს „პარადოქსი აქტიორზე“, ერკმან შტრიანის „გლეხკაცის ისტორია“, ალფონს დოდეს „ტარტარენ ტარასკონელი“, მოლიერის „ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა“, ალ. ტოლსტოის „პეტრე პირველი“, იპოლიტ ტენის „ხელოვნების ფილოსოფია“, პ. პაულენკოს „ბარიკადები“, მაქსიმ გორკის „იტალიური ზღაპრები“, კოკლენის „მსახიობის ოსტატობა“ და სხვა მრავალი.

ასევე მისი შედგენილია პირველი ფრანგულ-ქართული დიდი ლექსიკო-

ნი, რომელიც გამოცა 1942-55 წლებში.

დაკრძალულია თბილისში, კუკიის სასაფლაოზე.

იონა მიხეილის ძე მუხნარია – 160 (26.11.1852 – 1919). ცნობილი ქართველი მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი.

იონა მუხნარია არის სამეგრელოს ისტორიული სასულიერო პირებისა და ოქრომჭედელ პაპუ მუხნარიას შთამომავალი (მისი მოჭედილია მარტვილის ტაძრის მაცხოვრის ხატი და წმ. აია სოფიას ტაძრის წმ. გიორგის ხატი). მისი მამა დეკანოზი იყო.

დაასრულა ჯერ მარტვილის დაწყებითი სკოლა, შემდეგ კი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1872 წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, თუმცა მეორე კურსიდან, 1874 წელს, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო სტუდენტი, სასწავლებლიდან გარიცხეს.

1875 წელს გეზი აიღო ვეროპისკენ და, როგორც უადრესად ნიჭიერი ახალგაზრდა, უგამოცდოდ ჩაირიცხა ჟენევის უნივერსიტეტში, სადაც ისწავლა ორი წელი. 1877 წელს სწავლის გასაგრძელებლად გადავიდა პარიზის უნივერსიტეტში, სადაც უდიდესი მონღომებითა და შემართებით ეცნობოდა საფრანგეთისა და ვეროპის ქვეყნების ლიტერატურასა და ხელოვნებას. იქვე შეხვდა და გაეცნო ვიქტორ ჰიუგოს.

1878 წელს სამშობლოში დაბრუნდა და დაიწყო მუხლჩაუხრელი შრომა. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ბეჭდურ გამოცემებთან, ფასდაუდებელი ღვაწლი გასწია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მუშაობისას. იონა მუხნარიას მიუკერძოებელი, სამართლიანი, მაღალი შეგნებით გამსჭვალული პუბლიცისტური თუ კრიტიკული წერილები გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისადავით, შორსმჭვრეტელობითა და ეროვნულ ღირებულებათა დაცვით. მუშაობდა ფოთის მერის მოადგილედ (1891-94; 1907-13 წწ.), ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრების მომრიგებელ-მოსამართლედ (შუამავლად, 1898-1907 წწ.). მან დიდი წვლილი შეიტანა მომავალი თაობის სარწმუნოებრივი და ზოგადსაკაცობრიო იდეალებით აღზრდის საქმეში.

მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ (II ვარიანტი), „ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან“, „სამახსოვრო წიგნიდან“, „ცხოვრება და ღვაწლი თავად გრიგოლ ორბელიანისა“, „სიტყვა ილიას დასაფლავებაზე“ და სხვ.

დაკრძალულია ცაიშის ტაძრის ეზოში, წინაპართა საფლავებს შორის.

ნიკო იოსების ძე ლომოური – 160 (19.02.1852. გორი – 30.04.1915. გორი), პოეტი, საზოგადო მოღვაწე.

ნიკო ლომოური დაამთავრა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელი,

შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარია. 1875 წელს ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაასრულა წარჩინებით 1879 წელს და სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაიწყო მუშაობა ჯერ თბილისის პირველ ქართულ გიმნაზიაში, ხოლო 1881 წლიდან მშობლიურ გორში სამასწავლებლო სემინარიასა და ქალთა პროგიმნაზიაში მასწავლებლად.

ნიკო ლომოურის პირველი ლექსები 1871 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“. 1885 წელს გამოიცა მისი ლექსებისა და მოთხრობების პირველი პატარა კრებული. 1879 წელს ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა ნ. ლომოურის მეტად მნიშვნელოვანი მოთხრობა „ალი“, სადაც გამოიკვეთა მწერლის სტილი და პათოსი. ნ. ლომოურის შემოქმედებამ განვითარება პპოვა ი. ჭავჭავაძის ზეგავლენით იგი 60-იანელთა იდეური მიმდევარი იყო, — გლეხების, მუშების, გაჭირვებულთა შემწე და ქომაგი („ბერუა ქრისტესიაშვილი“, 1904 წ.). მოუწოდებდა ხალხს განათლების მიღებისა და სულიერი განვითარებისკენ, რათა ურწმუნოებისა და ცრურწმენის მორევს არ ჩაეთრია („ალი“, „ქაჯანა“, „პაწია მეგობრები“ 1881-1906 წწ.).

ფსევდონიმებით „ლევან ცაველი“, „არბოელი“, „გორელი“ აქვეყნებდა მეტად მკაფიო სტილითა და ლაკონიურობით გამორჩეულ მოთხრობებს „ბედი უბედურთა“ (1880 წ.), „გიგო ღრუბელაშვილი“ (1894 წ.), გმირული თავდადების გამომსახველია მოთხრობები „წინაპართა აჩრდილნი“ (1901-1902 წ.წ.), „ხერხი სჯობია ღონესა“ (1910-1914 წ.წ.). ნ. ლომოური იყო უაღრესად ჭკვიანი და ღირსეული ქართველი მოღვაწე და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თავისი შეგნებული ცხოვრების წესით სამაგალითო იყო.

ვასილ მოსუს კეპტრიაშვილი — 170 (04.03, 1842, წალაწყური, გარდაბანი — 08.08. 1908 კარლოვარი). 1865 წელს დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია და იმავე წელს, ერთი გამოცდით (ქიმიაში) ჩაირიცხა ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტში. რომლის წარჩინებით დასრულების შემდეგ დაინიშნა უნივერსიტეტის პირველი ტექნიკური ქიმიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. ხოლო 1907 წელს ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს.

მოღვაწეობდა სამეცნიერო ასპარეზზე ბონში, პარიზში, ლაიფციგში, რომში... გარდა იმისა, რომ ვ. პეტრიაშვილი XX საუკუნის უდიდეს ქიმიკოსთა შორის არის დასახელებული, დიმიტრი მენდელეევი (რუსი ქიმიკოსი, ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემის ავტორი, 1834-1907) თავისი დროის ახალგაზრდა მეცნიერ-ქიმიკოსთა შორის გამორჩეულ და საუკეთესოდ სწორედ ვასილ პეტრიაშვილი დაასახელა (1900 წ.), ხოლო აკადემიკოსმა ნ. ზელინსკიმ ოდესის უნივერსიტეტში მისი რექტორობის პერიოდს „ოქროს ხანა“ უწოდა.

მისი დახმარებით მრავალი ქართველი ნიჭიერი ახალგაზრდა დაეუფლა

ცოდნას ევროპასა და რუსეთში. მისი წერილები და შრომები იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში. არ წყვეტდა კავშირ-ურთიერთობებს მეცნიერებთან, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან. სწორედ ვასილ პეტრიაშვილმა გამოსცა და დღემდე სამაგიდო წიგნია „მეღვინეობა საქართველოში“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში. მისი ნამოწაფარია თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, აკადემიკოსი პეტრე მელიქიშვილი.

გარდაიცვალა კარლოვარში; მისი უეცარი სიკვდილით დანაღვლიანებულმა აკაკი წერეთელმა მას ლექსიც მიუძღვნა. კარლოვარიდან გადმოსვენეს დროებით ოდესაში, მერე თბილისში, ვერის სასაფლაოზე და ბოლოს განსვენებული ვაკის სასაფლაოზე პპოვა.

ალექსანდრე თევდორუს კე ყიფშიაძე — 150 (13.01.1862, ქარელი, სოფ. წვერი — 29.06.1916). 1888 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა სახაზინო პალატაში, გუბერნიის საქმის წარმოების სამმართველოში, საგლეხკაცო საქმეთა საკრებულოში. 1900 წელს დაინიშნა ახალციხის მხარის (გუბერნიის) მთავარ მომრიგებელ-მოსამართლედ. 1905-07 წლებში იყო ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი. მას მხარს უჭერდა დიდი ილია ჭავჭავაძე და ქართული საზოგადოების რჩეული ნაწილი, ამის მიუხედავად 1907 წელს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, როგორც არასაიმედო.

1908 წელს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ დაინიშნა თბილისის სათავადაზნაურო საკრებულოს საადგილმამულო კომისიის მმართველად. იყო გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი. აღ. ყიფშიძის კვლევის სფეროს წარმოადგენდა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. მისი ნაშრომებია: „მთიულეთი 1804 წ.“ (ტფილისი, 1896 წ.), „ამბოხება კახეთისა“ (1812 წ.), „დიდებული მესხეთი“ (გორი, 1914 წ.), „მთის არწივი — შამილი“ (ტფილისი, 1914 წ.) და სხვ. ის იყო პირველი მკვლევარი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიისა. დახვეწილი, ენერგიული, მიუკერძოებელი — ეს სახელები მის ცხოვრებას ყველაზე მეტად შეეფერება.

ზაქარია ჩხიკვაძე — 150 (1862, თელავი — 27.04. 1930, თბილისი). ჯერ დაასრულა თელავის, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიები (1884 წ.). ვ. აუშვეის კლასში სწავლობდა მელიტონ ბალანჩივაძესთან ერთად, შემდეგ კი ხარლამპი საჯანელის მოწაფე იყო. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას შექმნა მოწაფეთა სამუსიკო გუნდი. გუნდისათ-

ვის რომ უძველესი კახური ხალხური სიმღერები ესწავლებინა, რჩევა-დარიგებისათვის მიმართა მუსიკათმცოდნე სოსიკო კოზმანაშვილს, რომელიც უანგარო დახმარებას უწევდა 20 წლის ჭაბუკს.

თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო თელავის წმიდა ნინოს სასწავლებელში ქართული ენის, ლიტერატურისა და გალობა-სიმღერის მასწავლებლად და ასევე, პარალელურად ხელმძღვანელობდა თელავის სასულიერო სასწავლებლის გალობის გუნდს. ჟურნალი „დროება“ წერდა: „საზოგადოება ძლიერ აღტაცებაში მოიყვანა ამ ქალების (საუბარია თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის ქალთა გუნდის მიერ შესრულებულ საგალობლებზე — მ. ც.) სიმღერამ, მით უფრო, რომ 13-14 წლის ქალები ისე გაბედვით მღეროდნენ, რომ თითქოს იმათ მეტი იქ არაფერ არ იყო. გულითადი მადლობის ღირსია ბატონი ზაქარია ჩხიკვაძე, რომელსაც ასე მშვენიერად მოემზადებინა ეს პატარა ქალები“ („დროება“, №19, 1885 წ.).

1889-1907 წლებში მუშაობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია-სა და მის მიერვე დაარსებულ უსინათლოთა სკოლაში სიმღერის მასწავლებლად. მისი ღვაწლის შესახებ წერდა „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „მწყემსი“ და მისი შრომით აღტაცებული ავტორები ქება-დიდებას არ იშურებდნენ ლოტბარისადმი. თვით ილია ჭავჭავაძე აღფრთოვანებული უსმენდა „მრავალჟამიერს“ ზაქარია ჩხიკვაძის გუნდის შესრულებით, სადაც იმ ხანად ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილი მღეროდა. დიდმა ზაქარია ფალიაშვილმა სწორედ ზაქარია ჩხიკვაძეს ჩააბარა ქაშვეთის ტაძრის გუნდის ლოტბარობა.

1890 წელს ზ. ჩხიკვაძის მეცადინეობით გამოიცა მისივე შეკრებილი და რედაქტირებული, ხალხში გაბნეული ხალხური საუნჯე — საგალობლები და სიმღერები „სალამურის“ სახელწოდებით. ზ. ჩხიკვაძის ღვაწლს აღიარებდნენ ნ. სულხანიშვილი და ია კარგარეთელი. ეგზარქოსი ალექსი ყველაზე ხშირი სტუმარი იყო ოპერის თეატრში ზ. ჩხიკვაძის მიერ გამართული კონცერტებისა, სადაც არაერთხელ შესრულდა „მამაო ჩვენო“, „მრავალჟამიერი“ და სხვ.

1905 წელს ზ. ჩხიკვაძემ ზ. ფალიაშვილთან, ან. ყარაშვილთან და ია კარგარეთელთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებასა და პირველ ქართულ სამუსიკო სასწავლებელს, რომელთა ხელმძღვანელი თავად იყო. ფილარმონიული საზოგადოების ფილიალი დააფუძნა ასევე სოხუმში, სიღნაღსა და თელავში კი — სამუსიკო სკოლები.

განსაკუთრებული მეგობრობა ჰქონდა პეტრე ჩაიკოვსკისთან. გარდა ამ მამულიშვილური საქმისა, იგი იყო უდიდესი სიმღერეთა მცველი და სიმღერეთა კომიტეტის ხელმძღვანელი კახეთში. თბილისის უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა გ. ჩუბინიშვილის თაოსნობით შექმნილ ქართულ

სიმღერეთა მუზეუმს (1925 წ.), წერდა წერილებს, იკვლევდა ძეგლებს, კითხულობდა ძველ წარწერებს. იყო მშრომელი, დაუღალავი და უაღრესად ჭკვიანი, სულიერად ძლიერი და ღირსეული მამულიშვილი.

დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

გიორგი (გიგო) ივანეს ძე ბაბაშვილი — 150 (9/21.11.1862 — 28.10.1936, თბილისი). 1882-1883 წლებში სწავლობდა თბილისში, კ. კეპენის კერძო სამხატვრო სკოლაში. იმავე წლებში თანამშრომლობდა ფრანგ ბატალისტ ფრანც რუბოსთან, რომელიც ხატავდა სურათებს თბილისის სამხედრო-ისტორიული მუზეუმისათვის. 1886-1888 წლებში სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში პროფესორ ბ. ვივალდეს ჯგუფში, ხოლო 1894-97 წლებში მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში. მოღვაწეობდა შუა აზიაში, იტალიასა და საბერძნეთში, სადაც შექმნა დაუვიწყარი ტილოები და ჩანახატები. 1891 წელს თბილისში გახსნა პირველი პერსონალური გამოფენა, რომელმაც იმთავითვე აღფრთოვანება გამოიწვია სახვითი ხელოვნების მოყვარულებისა.

გ. ბაბაშვილმა პირველმა დაამკვიდრა ვეროპული მხატვრობის ფორმები საქართველოში და თემატურად გააფართოვა ქართული მხატვრობა. მისი შემოქმედების მწვერვალებია — ილია ჭავჭავაძის (1907-1908), აკაკი წერეთლის (1913), გრიგოლ ორბელიანის (1913) და სხვათა პორტრეტები. ასევე განსაკუთრებულია ნამუშევრები — „უცნობი თავადი“, „სამი გენერალი“, „მთვრალი ხევსური“, „სამი მოქალაქე“, „მძინარე ხევსური“ და სხვ. (1898-1910 წლები). მან ხელი შეუწყო ახალი ქართული მხატვრობის პროფესიული დონის ამაღლებას. საფუძველი ჩაუყარა ძირითადი ფერწერული ჟანრების განვითარებას, ეროვნული სული შთაბერა თავის ნამუშევრებს, რომლებშიც ფერწერულ ოსტატობასთან ცხოველი კოლორიტი იყო შერწყმული.

1897 წელს თბილისში დააარსა სამხატვრო სტუდია, იყო „ნატიფი ხელოვნების წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების“ ხატვის სკოლის პედაგოგი და დირექტორი (1898-1920), ასევე მისი უდიდესი ღვაწლითა და თანამონაწილეობით თბილისში დააარსდა სამხატვრო აკადემია, სადაც თავადვე იყო პირველი პროფესორი (1922 წ.). მინიჭებული აქვს საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება (1929).

დავით სამსონის ძე კლდიაშვილი — 150 (29.08/11.09.1862 — 24.04.1931). დაიბადა თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში. აზნაურის ოჯახში. 7 წლის ასაკში მიაბარეს ქუთაისში, რუსი ექიმის ოჯახის დიასახლისს, რუსულის შესასწავლად. 1872 წელს, 10 წლის ასაკში სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნა კიევის სამხედრო გიმნაზიაში, რომელიც დაას-

რულა 1880 წელს და იმავე ზაფხულში უგამოცდოდ ჩაირიცხა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში. 1882 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმში.

მისი თანამედროვენი დ. კლდიაშვილს ახასიათებენ, როგორც უმწიკველო, სამართლიან, უკომპრომისო, გულმხურვალე მამულიშვილს. იგი დაუღალავად იღვწოდა ქართული ენის საკეთილდღეოდ. XX ს. დასაწყისში დ. კლდიაშვილმა „სული ჩაუდგა“ ბათუმში კულტურულ-საგანმანათლებლო აღმშენებლობას და მალევე აიძულეს წასულიყო სამხედრო სამსახურიდან. მუშაობდა ქუთაისში, ჭიათურაში მუშად, ბრიგადირად; 1917 წლიდან დასახლდა მშობლიურ სოფელში.

დ. კლდიაშვილის შემოქმედებიდან აღსანიშნავია: „მიქელა“, (1894), „მსხვერპლი“ (1894), „სოლომონ მორბელაძე“ (1894), „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1897), „როსტომ მანველიძე“ (1910), „ბაკულას ღორები“ (1920), „ირინეს ბედნიერება“ (1897), „დარისპანის გასაჭირი“ (1903) და სხვ. მწერლის შემოქმედება გამოირჩევა რეალობისა და მისთვის დამახასიათებელი ტრაგიკომიკურობის ობიექტური ასახვით, შეფარული დიქტიონითა და სტილის სისადავითა და უბრალოებით. ამით შეძლო მან მკითხველთა სიყვარულის მოპოვება და მდიდარ ქართულ მწერლობაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე კ., ეტიუდები XIX ს. ქართული ლიტ. ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 13-37-50.
2. წულაძე ე., ორი ქიმიკოსი, თბ., 1957, გვ. 59-69.
3. ზანდუკელი მ., ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. III, თბ., 1955, გვ. 116.
4. სახოკია თ., ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1984, გვ. 29.
5. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 101.
6. დეკანოზი დავით დამბაშიძე, „საყურადღებო ამბები“ / გაზ. „კვალი“, №9, 1895.

რუბრიკას უძღვება
მამუკა ცუხიშვილი.

ჩვენი ავტორები

ვასტანო ჟუკოლის კმ ბერიკი (1914 - 2000)

ქართველი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1959), პროფესორი (1960). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის დირექტორი (1973-1988), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

გვანცა ვასტანოს ასული კოპლატაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტიანისტი; ავტორია მონოგრაფიებისა: ლიტერატურისმცოდნეობა არისტოტელეს მოძღვრებაში (1986), ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (მეოთხე გამოცემა, 2010), ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. ილია მართლისა (2006) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა; ძვ. ბერძნულიდან თარგმნილი აქვს სამი ბიბლიური წიგნი და რამდენიმე პატრისტიკული თხზულება.

გიორგი ბიძინას კმ გოგოლაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ენათმეცნიერი; ავტორია მონოგრაფიებისა: ქართული ზმნის უღვლილების სისტემა (1988), ქართული სალიტერატურო ენა (ისტორია და თანამედროვეობა), (2009), ბედი ქართული ენისა ათასწლეულთა მიჯნასთან (2009), ქართული ზმნა (2010), იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და ცხოვრების გზა (2011) და სხვ.; 300-ზე მეტი სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომისა.

ბორის შაძროს კმ დარჩია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1960-2007 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. გამოცემული აქვს რვა წიგნი: 1. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით (1975); იაკობ შემოქმედელი (2009); ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ) (2011) და სხვ.

ინფორმაციის ახალი იმპანიკა

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ავტორია ნარკვევების და წერილები-სა: სკოლა, როგორც საზოგადოების მინი მოდელი (1996), საბაზრო ეკონომიკა და განათლების სისტემა (1998), საავტორო სკოლა-კომპლექსის მოდელი (1998), აქტიური სწავლება ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით (2002) და სხვ.

ანზორ ბაბრატის კმ თოთაქმ

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დემოგრაფი; ავტორია მონოგრაფიებისა: საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე (1999), საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (2009), კავკასიის მოსახლეობა (თანაავტ. პროფ. ვაჟა ლორთქიფანიძე, ინგლისურ ენაზე, ნიუ-იორკი, 2009); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

თეიმურაზ ანდრიას კმ მირიანაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1978 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. 1992-2003 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი. არის 500-ზე მეტი საერთაშორისო-გაზეთო პუბლიკაციისა და 10-ზე მეტი წიგნის ავტორი.

ნოდარ იულონის კმ ლოპოური

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტიანოლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში (მეორე გამოცემა, 2009), К истории грузинского Петрицонского монастыря (Бачковский монастыр в Болгарии), Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии (2009), ქართული საისტორიო თხზულებები როგორც წყარო ბიზანტიის ისტორიისა — „ბიზანტია ქართულ წყაროებში“ (2010), საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა, IV-IX სს. (2011); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

გულბაათი ვიქტორის კმ რცხილაქმ

პოლიტოლოგი და გერმანიისტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტის დამ-

თარების (1995 წ.) შემდეგ ჯერ სტაჟორად, შემდგომ – საერთაშორისო საკითხების რეფერენტად მუშაობდა ქვეყნის პრეზიდენტის აპარატში, აგრეთვე, ახორციელებდა პრეზიდენტის თარჯიმნის ფუნქციებს (2003 წლამდე). 2000-იან წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა გერმანიაში, პარალელურად კონსულტაციებს უწევდა გერმანულ კვლევით ცენტრებს კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ტენდენციებთან დაკავშირებით. 2009 წელს დააარსა ანალიტიკური ცენტრი „ვერაზიის ინსტიტუტი“. არის ავტორი მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიისა რუსულ-ქართული ურთიერთობების, პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების, საერთაშორისო პოლიტიკის თემებზე. გამოსცა 2 მონოგრაფია.

ბონდო ვალერიანის კმ არჰელაქმ

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არქეოლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში? (1996), ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; ქართული ეკლესიის მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება (2001); როცა უდავო სადავო ხდება (2007); ქვანი კვლავ დაღადავენ (2005) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

თინა ვლადიმერის ახალი იველავილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1979-2006 წლებში მუშაობდა ფ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერთანამშრომლად, 1992 წლიდან დღემდე ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობს. 2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გამოქვეყნებული აქვს 12 მონოგრაფია და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. მისი კვლევის სფეროა: ეთნო-სოციალური და ეთნო-რელიგიური საკითხები.

მამუკა ავთანდილის კმ ცუსიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ავტორია მონოგრაფიებისა: დღევანდელი და ქართული ფოლკლორი (2005), ქალის სახე ქართულ ფოლკლორში (2006), ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საგანძური (2006), ლეო კვაჭაძე — ქართული ენის ამავდარი (2008), ჩემი პატრიარქი (2009) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

ბრანი ვეფლიანეს კმ ქავთარია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ავტორია მონოგრაფიებისა: მძევი გრაკუხევი(1990), ჰანიბალი(1979), სამყაროს შვიდი საოცრება (1996), ფარნაუზი (1999), აზონი (2000), ქუჯი (2000), ძველი საბერძნეთი (2005), სერტორიუსი (2003); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

ბრიგოლ ნიკოლოზის კმ რუსაკი

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პატროლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის (2000), მსოფლიო საეკლესიო კრებები/დოგმატური ღმრთისმეტყველება (მესამე გამოცემა, 2008), საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი (2010) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილები.

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №4, 2012
(на грузинском языке)

РЕЗЮМЕ**ВАХТАНГ БЕРИДЗЕ
НИКО ПИРОСМАНАШВИЛИ**

Книга посвящена выдающемуся грузинскому художнику Нико Пиросманашвили (1862-1918). Пиросманашвили не получал специального образования, но благодаря своему большому таланту и жизненному опыту создал образцы высокого искусства, создал собственный мир художественных образов. Его тематика была многообразной: сцены сельской жизни, портрет, натюрморт, анималистический жанр; особое место в его творчестве занимали изображение обитателей старого Тбилиси, сцены кутежей; он оставил нам целую галерею предшественников различных социальных слоев.

**ГВАНЦА КОПЛАТАДЗЕ
МЕЧ ДУХОВНЫЙ**

Нематериальное слово или меч души (апостол Павел) намного острее материального орудия и поскольку ущерб наносится не тленному телу человека, а бессмертной душе, то и вреда приносит больше. Наблюдения за историей человечества свидетельствуют, что нравственная деградация человека непосредственно связана с усовершенствованием-развитием технических средств молниеносного распространения написанных или произнесенных слов. Поскольку и приостановление и установление глобального контроля за этим удивительно возрастающим процессом представляется невозможным.

усилия православной церкви и лучшей части общества прежде всего должны быть ориентированы на правильное воспитание человека. Они неизбежно должны выиграть тот сложный бой, который ведется сегодня в сфере образования, ибо эта победа имеет жизненно важное значение для всего рода человеческого.

**ГИОРГИЙ ГОГОЛАШВИЛИ
ЗАСЛУГА И ЖИТИЕ ЯКОБА ГОГЕБАШВИЛИ**
Жизненный путь Якоба Гогешашвили – путь самоотверженного труда

и бескомпромиссной борьбы, путь деятеля, принесшего себя в жертву во имя блага родины и народа, путь истинного святого.

Сознательную жизнь Якоба Гогешвили можно разделить на два этапа: до создания «Дедаэна» - азбучного учебника и после создания «Дедаэна». И весь этот длинный путь преисполнен противоречиями, противопоставлениями, разочарованиями, с одной стороны и победами, успехами, с другой стороны. Настолько серьезными были противоречия, противопоставления, разочарования, что окажись другой на его месте, изменил бы намеченной цели или позиции; Но столь впечатляющими были победы, достижения, столь великой была цель, что Якоба не сломили противоречия и до конца дней своих остался верен намеченной цели и избранного пути.

БОРИС ДАРЧИЯ
ФОРМАЛИСТСКИЕ ЛИТЕРАТУРНЫЕ ТЕЧЕНИЯ И
КЛАССИЧЕСКАЯ ГРУЗИНСКАЯ ЛИТЕРАТУРА

В статье рассмотрены две работы созданные в стиле этого литературно-теоретического направления, касающиеся стихотворения Галактиона Табидзе «Родина» и рассказов Ильи Чавчавадзе. Показано, что эти методы и результаты исследования неприемлемы.

ИНЕЗА ИАМАНИДЗЕ
ОБРАЗОВАНИЕ И XXI ВЕК

По мнению автора статьи, причиной понижения качества образования в Грузии является не система образования, педагогические коллективы и руководящие звенья, а закон Грузии «Об общем образовании», полностью игнорирующий нетиповые школы. Запрещается создание дополнительных сетей образования и предоставления дополнительного образования, при том, не только одной статьей. Исходя из вышеотмеченного, по мнению автора, нужно внести изменения в закон. Следует уточнить и усовершенствовать некоторые вопросы, чтобы в кратчайшие сроки создать механизмы, обеспечивающие всех учащихся доступным качественным образованием и способствовать адаптации подрастающего поколения в быстро изменяющемся мире.

АНЗОР ТОТАДЗЕ

ЧЕРНОЕ ПЯТНО В ИСТОРИИ ГРУЗИИ

Демографический центр Кавказского Международного Университета провел опрос с целью изучения отношения студентов к победе «Грузинской мечты» на парламентских выборах.

Из опрошенных 302 студентов победу «Грузинской мечты» на парламентских выборах положительно оценили 78,8%, отрицательно – 5,3%, а 15,9% респондентов воздержались от ответа. Большинство опрошенных выражает надежду, что «Грузинская мечта» выполнит данные предвыборные обещания и сможет изменить жизнь к лучшему. По мнению большинства студентов, в период правления «национального движения» в Грузии установился авторитарный режим; важные для страны вопросы решались единолично, непосредственно президентом; правительство проводило незаконные аресты ни в чем не повинных людей; нечеловеческие пытки заключенных были организованы непосредственно правительством; Президент Грузии был знаком с видеоматериалами, отражающими пытки заключенных; существенно ограничивались свобода слова, права человека и др.

Исходя из вышесказанного, по мнению большинства студентов (65%), «Национальное движение» должно покинуть политическую арену.

ТЕМУР МИРИАНАШВИЛИ
ПРАВДА О ГРУЗИНО - РОССИЙСКИХ ОТНОШЕНИЯХ В
ТЕЧЕНИИ ПОСЛЕДНИХ ПЯТИ ВЕКОВ

В статье опровергаются взгляды вестернофилов, выраженные в известной фразе: «Я грузин, следовательно, я европеец». Автор обосновывает, что грузины ни генетически, ни этнокультурно не близкородственны ни одному из европейскому народу, что признают и западные ученые.

По мнению автора, исторически не подтверждается также утверждение вестернистов, что Грузия всегда стремилась к Европе, а не к России. Приведенные в статье факты подтверждают, что после XV века (распада единой Византийской империи), почти все грузинские цари, политические или общественные деятели пытались сблизить нашу страну с Россией.

А после 1801 года все великие грузинские политические и общественные деятели – Н.Бараташвили, Д.Кипиани, Я.Гогешвили, И.Чавчавадзе – весьма положительно оценивали историческое решение Ерекле I I.

НОДАР ЛОМОУРИ

ПОЧТИТЕЛЬНЫЕ ВОСПОМИНАНИЯ

Сегодня, когда Президент Грузии, в сложных для страны условиях, находится в оппозиции со своим народом, приход к власти достойной личности, Бидзина Иванишвили, дает надежду исправить положение к лучшему. Для успешного преодоления последующих трудностей большое значение имеет и то счастливое обстоятельство, что духовным пастырем Грузии является Католикос-Патриарх Илия II.

Автор вспоминает историю знакомства с Его Святейшеством и то неожиданное впечатление, которое будущий Католикос-Патриарх произвел на него своей эрудицией и высоконравственностью. Статья интересна и тем, что автор является непосредственным участником предшествующих восстановлению автокефалии Грузинской Православной Церкви научно-церковных диспутов, проводимых по инициативе Католикоса-Патриарха Илия II.

ГУЛБААТ РЦХИЛАДЗЕ

ТРАГЕДИЯ СЕРБИИ И ГРУЗИИ

В статье дан обзор причин практически безусловной поддержки албанского сепаратизма в Косове со стороны США и их союзников. Причина кроется как в военной стратегии США (освоение военных баз, в том числе и в Косове - база Бондстил), так и в деятельности албанского лобби внутри Соединенных Штатов. Охарактеризован также предвзятый подход Гаагского трибунала по бывшей Югославии к президенту Милошевичу и к представителям сербского народа в целом.

В статье особо отмечается, что разгром Югославии со стороны НАТО и последующее признание Косово западными державами сыграли плачевную роль в контексте территориальной целостности Грузии. «Не было бы признания Косово со стороны западных государств, не было бы и признания Абхазии и Южной Осетии со стороны России», – говорится в статье. Но, кроме того, в статье подчеркнута, что поведение миротворческих (тех же оккупационных) войск НАТО, допустивших разрушение и осквернение многих православных монастырей на территории Косово, отчасти объясняет поддержку со стороны Запада любых сил антиправославной направленности, будь они в Сербии, России или Грузии. «Запад не так сильно волнуют отдельно взятая Грузия, отдельно взятая Сербия или даже отдельно взятая Россия. Их волнует Православие, как вера и как основа евразийской идентичности», – заключает автор статьи.

БОНДО АРВЕЛАДЗЕ

ОБЛИЧЕНИЕ АРМЯНСКИХ УЧЕНЫХ-СКАЗОЧНИКОВ

В статье дан обзор изданного недавно в Баку справочника энциклопедического характера – «Разрушители фальсификаций» (т. I, на русс.яз.). Составителем и автором введения сборника является Фуад Ахундов. В сборнике собраны довольно пространственные выдержки из трудов американских, европейских, русских и грузинских ученых и общественных деятелей, обличающие армянских ученых в фальсификации и научном мошенничестве.

БОНДО АРВЕЛАДЗЕ

КУМУРДО

Деревня Кумурдо расположена в Джавахети, 14-ти километрах от Ахалкалаки. Здесь находится кафедральный собор Кумурдо. Он был воздвигнут по инициативе Иоанна епископа (Кумурдского) в 964 году. Согласно настенным грузинским надписям, зодчим собора был Сакоцари. Собор Кумурдо, с его архитектурно-художественным стилем и структурой, является одним из оригинальным памятником грузинской классической архитектуры. Кумурдская епархия одна из старейших среди грузинских епархий. Этот собор, украшенный более двадцатью грузинскими настенными надписями, без всякого обоснования был объявлен армянским ученым Самвелом Карапетяном армянским собором. Инициатора строительства собора, грузинского епископа Иоанна превратил в армянского епископа Ованеса. Красу грузинской архитектуры окрестил армянским собором имени Сурб-Гамбардзума.

ТИНА ИВЕЛАШВИЛИ

ПОПЫТКА ОСУЩЕСТВЛЕНИЯ БЕЛОГО ГЕНОЦИДА В ГРУЗИИ

Геноцид осуществляется двумя формами: кровопролитием и бескровно. Последнюю форму называют белым геноцидом. Существует несколько видов белого геноцида: языковой, религиозный, нравственно-моральный, экономический и т.д. Со стороны антинационально-антигосударственной власти он может осуществляться не только против других этнических групп и представителей других вероисповеданий, но и по отношению к собственному народу.

Классическая попытка белого геноцида имела место в Грузии с приходом к власти националов после «революции роз». В течении девяти лет они сумели полностью девальвировать экономические, научные,

национально-духовно-нравственные ценности. Катастрофическое социальное и политическое положение, потерянные и предназначенные для утери территории, неналаженные внутренние и внешние конфликты, неопределенные границы с соседскими государствами, тревожное демографическое положение, иммигрированная на чужбину одна треть репродуктивного населения, разрушенные, присвоенные и переделанные чужаками исторические памятники или грузинские православные молельни, увеличение числа сектантов и разных религиозных конфессий, разрушенная система образования, уничтоженное сельское хозяйство, тотальная безработица – все это означает, что марионеточное правительство при помощи целенаправленного бескровного т.е. белого геноцида почти довела до грани деградации-перерождения грузинскую нацию, как культурно исторический феномен.

Грузия, как независимое государство, только в том случае сможет избежать висящий над ней как дамоклов меч белый геноцид и самоутвердиться в современном мире, если будет ориентироваться на грузинские национальные ценности, национально-государственные интересы и христианскую культуру.

МАМУКА ЦУХИШВИЛИ «ПРАХ ТЫ И В ПРАХ ВОЗВРАТИШЬСЯ»

В 1940 году, во время строительства Боржоми-Ахалцихской железной дороги, у подножия скалы, вблизи селения Цниси было обнаружено захоронение с нетленными останками 35-45 летнего мужчины.

С 1940 до 1989 года прах покоился в Ахалцихском музее (в настоящее время этот музей размещен в Ахалцихе, в крепости Рабат).

В 1971 году академик Константин Эристави провел морфологическое исследование останков (мумии), результаты которого в том же году были опубликованы в журнале Академии Наук Грузии «Моамбе».

Мумию (останки) перевезли в Зармзский монастырь, где покоится и поныне.

Мы, исходя из результатов научно-медицинских исследований и наблюдений автора, пришли к выводу, что «мумия», которую отступившие от Церкви духовные лица объявили святым, а народ и поныне поклоняется ему, не может считаться святым по двум причинам: 1) не выяснена личность усопшего, не известна история его жизни 2) не удовлетворяет требования законов Всемирной Православной Церкви о канонизации святых.

Постольку, мумия должна покоиться не в соборе, рядом с алтарем, а в земле, ибо усопший - «прах и в прах возвратиться» должен.

ГРАНИ КАВТАРИЯ ТЕОДОР МОММЗЕН

Теодор Моммзен, универсальный исследователь римской истории, историк, юрист, филолог, признан писателем мирового значения. В статье дан краткий обзор жизни и творчества гениального ученого. Т.Моммзен возвел на новые высоты изучение римских древностей.

В статье представлена художественная сторона его главного исторического труда – «История Рима», за которую в 1902 году Шведская Академия Наук присудила Моммзену Нобелевскую премию.

ГРИГОЛ РУХАДЗЕ ПОКА ЕРЕСЬ ПРОРАСТЕТСЯ

В работах профессора Э.Челидзе автор статьи выявляет случаи искажения цитат, приведенных из сочинений святых отцов и выражает опасение по случаю поощрения разоблаченного в статье автора со стороны некоторых иерархов церкви.

SCIENTIFIC AND SOCIAL JOURNAL
 "SAMI SAUNJE" (THREE TREASURES) №4, 2012
 (IN GEORGIAN)

SUMMARY

GVANTSA KOPLATADZE
THE SWORD OF THE SPIRIT

A non-material word or the Sword of the Spirit (apostle Paul) is much sharper than a material instrument. It can cause a greater damage not to a perishable body of a person but to its immortal soul. History of mankind shows that moral degradation is directly connected to the improvement and development of technical resources that aided in the spread of written and spoken words with a lightning speed. Because neither the suspension or the global control of the extraordinary process is possible, the efforts of the Orthodox Church and the community must be directed towards the correct upbringing of a person. They must win the battle that is being conducted in the education system because this victory is of vital importance for the entire human race.

GIORGI GOGOLASHVILI
LIFE AND MERIT OF IAKOB GOGEBASHVILI

The life of Iakob Gogebashvili was a path of devoted work and a persistent battle, a path of self-sacrifice for the good of the motherland and its people. His path was that of a true saint. Iakob Gogebashvili's conscious life can be divided into two phases: Before the creation of the alphabet textbook "Dedaena" and after the creation of "Dedaena".

On one hand, his long road was full of obstacles, hurdles, oppositions, disappointments, and on the other hand, it was full of victories and success. The resistance, the confrontation, the frustration were so severe that another person in his place, might have abandoned the goal or changed his position. The objective was so immense for Iakob, the victories and achievements were so inspiring that he did not get discouraged by any obstacles. He remained true to his intended goal and the chosen path to end of his days.

BORIS DARCHIA
**FORMALIST LITERARY STYLES AND CLASSIC
 GEORGIAN LITERATURE**

The article reviews two research papers about Galaktion Tabidze's poem "Homeland" and Ilia Chavchavadze's tales. The papers are created in the formalist literary theoretical style. The article declares this type of research as invalid; therefore, its methods and results are not acceptable.

INEZA IAMANIDZE
EDUCATION AND 21ST CENTURY

According to the author, the quality of education is decreasing in Georgia not because of the education system, the educators or the leaders but due to the Georgian law "On General Education". The law disregards the non-standard schools altogether. Several articles even prohibit establishing additional educational networks and provisioning supplementary education. Based on the aforementioned, the author believes that it is necessary to amend the law. Some issues require clarification and improvement fast. This will ensure affordable, quality education for all students and facilitate the integration of the young generation into the rapidly changing world.

ANZOR TOTADZE
BLACK MARK IN THE HISTORY OF GEORGIA

The Demographic Research Center of Caucasus International University conducted a survey of students asking their opinion about the victory of "Georgian Dream" in the parliamentary elections.

Out of the 302 surveyed students 78.8% were in favor of "Georgian Dream" winning the elections; 5.3% were against and 15.9% abstained. The vast majority of respondents believe "Georgian Dream" will keep the campaign promises and will change the lives of Georgian people for the better. In addition, according to most of the students, "National Movement" established an authoritarian regime while in power. Important decisions were made solely by the President; The Government conducted illegal arrests of innocent people; carried out inhumane tortures of prisoners. The government significantly restricted freedom of speech, human rights, and more. The President of Georgia was familiar with the videos, depicting the torture of prisoners.

Based on the foregoing, in the opinion of the majority of students (65%), “National Movement” should leave the political arena.

TEMUR MIRIANASHVILI
TRUTH ABOUT THE GEORGIAN RUSSIAN RELATIONS
OVER THE PAST FIVE CENTURIES

The article refutes the views of westernophiles expressed in the famous phrase, “I am Georgian, therefore I am European.” The author demonstrates that Georgians neither genetically nor culturally are closely related to the European people. This fact is also recognized by the Western scholars.

In the author’s opinion, history contradicts the statement of westerners that Georgia has always aspired to Europe, instead of Russia. Facts presented in the research confirm that after the 15th century, (the collapse of the Orthodox Christian faith Byzantine Empire), almost all Georgian kings, politicians or public figures tried to bring Georgia closer to Russia. After 1801, all of the great Georgian political and public figures like N. Baratashvili, D. Kipiani, I. Chavchavadze, I. Gogebashvili rendered a positive affirmation of the historic decision made by king Erekle II.

NODAR LOMOURI
REVERENT MEMORIES

Today, as the president of Georgia is in opposition with the Georgian people, Bidzina Ivanishvili’s coming to power gives the Georgian people the reassurance of bettering this difficult situation. Also, our country being led by a spiritual guide Catholicos-Patriarch Ilia II will play enormous importance in Georgia overcoming any potential hardships.

The author recollects his first meeting with his Holiness and the surprised impression of future Catholicos-Patriarch made on him by his erudition and ethicality. The article is also appealing by the fact that the author was part of the scientific ecclesiastical debates initiated by the Catholicos-Patriarch Ilia II. The debates preceded the restoration of autocephaly of the Georgian Church and Orthodox Church.

GULBAAT RTSKHILADZE
TRAGEDY OF SERBIA AND GEORGIA

The article reviews the causes of almost unconditional support of Albanian separatism in Kosovo by the U.S. and its allies. The reason lies in U.S. military strategy (use of military bases, including those in Kosovo - Camp Bondsteel) and the activities of Albanian lobbyist in the United States. It also describes the biased approach of the Hague Tribunal towards the former Yugoslavia President Milosevic and the Serbian people as a whole.

The article stresses the fact that the recent military defeat of Yugoslavia by NATO and subsequent recognition of Kosovo by the the Western powers have played an unfortunate role in the territorial integrity of Georgia. The article states: “If West had not recognized Kosovo, Russia would have never recognized Abkhazia and South Ossetia”. In addition, the article points out that NATO peacekeeping (same as occupational) troops allowed the destruction and desecration of many Orthodox monasteries in Kosovo. This in part explains the Western support of anti Orthodox forces, whether they are in Serbia, Russia or Georgia. The author concludes, “the west is not concerned with Georgia itself, or Serbia itself or even Russia. They worry about Orthodoxy as a faith and as a basis of Eurasian identity.”

BONDO ARVELADZE
EXPOSING ARMENIAN STORYTELLER SCHOLARS

The author presents an analysis of an encyclopedic character reference book recently published in Baku – “Destroyers of Falsifications” (Vol.1. In Russian). The creator and the author of the introduction is Fuad Akhundov. The collection includes fairly extensive excerpts from the works of American, European, Russian and Georgian scientists and public figures uncovering on-going falsifications and scientific fraud carried out by Armenian scholars from early times to now.

BONDO ARVELADZE
KUMURDO

Kumurdo temple is an Episcopal cathedral located in Kumurdo village, Javakheti region 14 kilometers from Akhalkalaki. It was built in 964 by the initiative of John Bishop (Ioane Kumurdoeli). According to the Georgian inscriptions found on the walls of the cathedral, the architect was Sakotsar. Kumurdo

Cathedral is one of the significant monuments of classical Georgian architecture distinguished by its architectural and artistic style and structure. Kumurdo episcopacy diocese is one of the oldest of the Georgian dioceses. An Armenian scientist Samvel Karapetian declared this Georgian cathedral, decorated by more than twenty Georgian wall inscriptions, as an Armenian cathedral without any substantiation. He turned the Georgian bishop John who initiated the construction of the cathedral into Hovhanness an Armenian bishop, and he dubbed this beauty of Georgian architecture as a Surb Hambardzum Armenian Cathedral.

TINA IVELASHVILI
WHITE GENOCIDE ATTEMPT IN GEORGIA

Genocide is carried out in two forms: with bloodshed and without bloodshed. The latter form is referred to as white genocide. There are different types of white genocide: linguistic, religious, ideological, economic, moral, ethical, etc.

Anti-national and anti-political government can carry out genocide not only against other ethnic groups and representatives of other faiths, but also against their own people. Classic white genocide attempt took place in Georgia with the advent of the Nationals after the “Rose Revolution”. In the nine years, the Nationals have managed to totally devalue the country’s economic, scientific, national, spiritual and moral values. A catastrophic social and political situation; Already lost and destined to lose territories; Internal and external conflicts; Undefined borders with neighboring states; Alarming demographic situation; One third of immigrated reproductive population; Historical monuments and Georgian orthodox cathedrals altered, destroyed and appropriated; Increasing numbers of sectarian and religious denominations; Destroyed education system; Devastated agriculture; Total unemployment – These are the results of a puppet government actions. The purposeful bloodless actions nearly brought the Georgian nation as a cultural and historical phenomenon to the verge of collapse and extinction i.e. White genocide.

Georgia can avoid white genocide hanging above it like the Sword of Damocles and self-affirm itself in the modern world only if it gets focused on the Georgian national values, national and state interests and Christian traditions.

MAMUKA TSUKHISHVILI
“DUST THOU ART, AND UNTO DUST THOU SHALT RETURN”

In 1940, during the construction of the Borjomi-Akhaltzikhe railway,

in the village of Tsnisi of Akhaltsikhe region, a tomb was discovered at the foot of a cliff. The tomb contained imperishable remains of 35-45 year old male. The remains were transferred to the Akhaltsikhe Museum where they remained until 1989 (Today the Museum is located in Akhaltsikhe fortress Rabat). In 1971, academician Constantine Eristavi carried out a pathoanatomic and morphological analysis of the remains (the mummy). The results were published in the journal of the Georgian Academy of Science “Moambe” the same year. In 1989, the mummy was transported to Zarma monastery, where it rests today. The ecclesiastics who had separated from the Church declared the mummy a saint. Some people still worship it; However, based on the results of the scientific and medical research and the author’s observations, it cannot be considered a Saint for two simple reasons: 1) The identity and the life of the mummy are unknown. 2) It does not meet the criteria of the world Orthodox Church for the canonization of Saints. Therefore, the mummy may not rest in a Cathedral, next to the altar. It must rest in the ground as any deceased person – “Ashes to ashes, dust to dust”.

GRANI KAVTARIA
THEODOR MOMMSEN

Theodor Mommsen, a versatile scholar of Roman history, a historian, a lawyer and a philologist is regarded as a writer of global importance. The article provides a brief overview of life and work of this brilliant scientist. Theodor Mommsen elevated the study of Roman antiquities to new heights. The article presents the artistic side of his chief historical work – “History of Rome”, for which the Swedish Academy of Science awarded Mommsen the Nobel Prize in 1902.

GRIGOL RUKHADZE
BEFORE HERESY CROPS UP

The author exposes the works of Professor E. Chelidze by identifying incorrectly cited quotes from the writings of Holy Fathers. The author also expresses concern at the encouragement the professor has received from some of the hierarchies of church.

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
„სამი საუნჯე“ №4, 2012

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“
სამტრედია, დავით აღმაშენებლის ქ. № 409.

ელ. ფოსტა: samisaunje@sinergia.ge
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23



Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №4, 2012
(на грузинском языке)



Scientific and social journal
“SAMI SAUNJE” (Three treasures) №4, 2012
(in georgian)



პატივცემულო მკითხველებო, გთხოვთ გაითვალისწინოთ,
ყოველი გამოწერილი ნომერი ჟურნალის
თანადგომასა და სამი საუნჯის დაცვას ნიშნავს.

ჟურნალზე ხელმოსაწერად დაუკავშირდით
გამაგრცელებელ სააგენტოებს —
თბილისში: „მაცნე“, 214-74-22; „ელვა.ჯი“, 238-26-73(74);
აგრეთვე შეგიძლიათ თანხა (7 ან 14 ლ.) ჩარიცხოთ ანგარიშზე:
საბანკო კოდი — TBCBGE 22
მიმღების დასახელება — შპს „სამი საუნჯე“
ანგარიშსწორების ანგარიში — GE18 TB79 6263 6060 1000 01
და ჟურნალი თქვენს მისამართზე მოგეწოდებათ;
ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და
რაიონების ფილიალებს — ვებ-გვერდის
www.sinergia.ge საშუალებით.

ქრნალი „სამი ხუნჯე“ აცხადებს
კონკურსს საუკეთესო ნარკვევის,
მოთხრობის ან ლექსისათვის
ხალხური გამოწამყვანის თემაზე

«რატომ დიდგულობ სიკვდილო,
სირცხვილზე მეტი ხომ არ ხარ?»

მასალის მოწოდების ბოლო ვადა –
28 თებერვალი 2018 წელია.

გამარჯვებული დაჯილდოვდება 800 ლარით და
ხანატრიარქოს გამოცემლობის ახალი წიგნით –
საქართველოს კვლევის 2018 წლის კალენდარი.